

1934

მნათობი

16006970
სიბუჩხოსი

3

პოეზია და პრლზა

კაკლო კალაძე
დონია შენგელაია
ილო მთხაშვილი
კონსტ. გამსახურდია
ბრ. მუხზაძე
ედ. გაგაიძე
ლევო ძიანელი
მ. მუხიშვილი
სერგო კლდიაშვილი

ქრტილუბა

მ. ბორჯომელიძე
ლევან ასათიანი
ალ. სულაშა
ნიკონ სულაძე

მეცურტი

აქიმს. ჯაბადარი

პრინციპული კვლევა, მუშაობა



მნათობი

სრულიად საქართველოს საშუალო სკოლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სასკოლო და საზოგადოებრივ-სამხალისო ქორეატი

3

ქორეატი მუშაობა

1551



საბჭოთა

1934

საქართველოს
ენციკლოპედია
თბილისი
1934

სარედაქციო კოლეგია:

გ. ურულაშვილი, ს. თული, გრ. გუზიშვილი, შ. კადიანი,
დ. ხულიაშვილი, ვალ. ტაბიკა, ტიც. ტაბიკა, სიმ. ჩიქოვანი,
პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ./მგ.
მდივანი).
პ./მგ. რედაქტორი: გიორგი ურულაშვილი.

პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა შტ. № 25. ტირ. 6000. მთელიტ. № 169.
--

ტფილისი, მანაბლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: შერალხა სასაზღვ. ტელ. № 1-65.

კანტორის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7, საბელგამის პერიოდსექტორი.

მ. ბოროშელიძე

ენის უმსახემბ

პირველად სალიტერატურო ენის საკითხი როგორც ენის სიწმინდის დაცვის საკითხი წამოაყენა მ. გორკი. მან აღნიშნა, რომ საქმე ეხება მთელ რიგ შემთხვევებში ლიტერატურის ხარისხის დამდაბლებას, გაუარესებას. მუშებს ჰქონდა, როდესაც წარმოებას წუნი გამოუდის, ლიტერატორებს კი ამართლებენო. ენის სიწმინდისა, აზრის გამოკვეთილობისა, ენის სიმახვილისათვის ბრძოლა—არის კულტურის იარაღისთვის ბრძოლაო. ამგვარად, მ. გორკისთვის ენის საკითხი ლიტერატურული პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. მ. გორკის მიერ წამოყენებულმა საკითხმა დიდი გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა მწერლებს შორის. უმრავლესობამ მისი აზრი გაიზიარა, ზოგი მწერალი კი შეეკამათა მის დებულებებს. ყველაზე მეტად გორკის წინააღმდეგ გაილაშქრა მწერალმა სერაფიმოვიჩმა. მან ხელაღებით უარყო გორკის დებულება, რომელიც მის მიერ შემდეგ სიტყვებშია გამოთქმული: „დროა შევიგნოთ, რომ სიტყვიერებითი შემოქმედებით დარგში ენის, ლექსიკის უცოდინარობა (неграмотность) მუდამ ნიშნავს დაბალ კულტურას და მას მუდამ თან სდევს იდეოლოგიური უცოდინარობა“. — უარჰყო რა ეს დებულება, სერაფიმოვიჩმა გაამახვილა სალიტერატურო ენის და სალაპარაკო ენის, აგრეთვე სალიტერატურო ენის და დიალექტების ურთიერთობის საკითხი. მან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა დიალექტს. რა გინდ დიდი მნიშვნელობაც ქონდეთ დიალექტებს, ერთი რამ უდავოა: სალიტერატურო ენა სხვა არის და სალაპარაკო ხალხური ენა, დიალექტები კიდევ სხვა. რასაკვირველია, ენაც, როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, ვითარდება, განიცდის ცვლილებას. ფეოდალურ ხანაში შეიძლება ითქვას, არც კი არსებობდა საერთო ეროვნული ენა, როგორც არ არსებობს ეროვნება, როგორც ეს დღეს გვესმის. ამ დროის ნატურალური მეურნეობის შესაფერად ქვეყანა დაქუცმაცებულია, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ კუთხეებად, რომლებიც საერთო ენის საჭიროებას არც გრძობენ. ყოველ კუთხეს აქვს თავისი კილოკავი, თავისი დიალექტი. სულ სხვა სურათია კაპიტალიზმის დროს. საქონლის ბრუნვა, ბაზრის ურთიერთობა მოითხოვს საერთო ენას და ეს ენაც იქმნება, როგორც გაბატონებული კლასის—ბურჟუაზიის ერთი იარაღთაგანი, როგორც ბაზართან დაკავშირების ერთი საშუალებათაგანი, მაგრამ როგორც საქონლის მეურნეობის, ფულის მეურნეობის წარმოშობა არ ნიშნავს ნატურალური მეურ-

ნეობის ერთბაშად მოსპობას და ეს უკანასკნელი განაგრძობს თავის არსებობას სხვადასხვა ჩამორჩენილ კუთხეში, ისე ეროვნული ენის შექმნა არ ნაშნავს დიალექტების ერთბაშად მოსპობას. ისინიც თავის შესაფერ პირამებზე განაგრძობენ არსებობას, მაგრამ გაბატონებულ ენისა და კილოკავებს შორის უწყალოდ ბრძოლა. საინტერესოა, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი ადრე განვითარდა, ნაკლებად დარჩა კუთხური ენები ანუ დიალექტები. ხოლო იქ, სადაც კაპიტალიზმი გვიან მოიკიდა ფეხი, დღესაც საგრძნობია დიფერენციაცია სხვადასხვა რაიონის სალაპარაკო ენებს შორის. მაგალითად, კაპიტალიზმის ყველაზე ძველ ქვეყანაში — ინგლისში დიალექტებს უფრო ნაკლებად ვხვდებით. საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს ბურჟუაზიამ დეკრეტით დააკანონა საერთო ენა და დიალექტებს ბრძოლა გამოუცხადა. ცნობილია საფრანგეთის აკადემიის დიდი მზრუნველობა ენის ერთიანობასა და სიწმინდეზე. ბუნებრივია, რომ გერმანიაში სხვა სურათი გვაქვს. აქ კაპიტალიზმი ყველაზე გვიან განვითარდა და ფეოდალიზმის ნაშთები ძლიერი იყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ეს პატარა ტერიტორია 36 სახელმწიფოდ იყო დაქუცმაცებული და მხოლოდ „რკინის კანცლერის“ ბისმარკის დროს შეიქმნა შესაძლებელი (1871 წელს) მათი პოლიტიკური გაერთიანება. ამის შესაფერად იქ ყველაზე ძლიერია ადგილობრივი ენების მნიშვნელობა. თვით სამრეწველო ან ადმინისტრატიულ ცენტრებშიაც არ არის ერთნაირი ენა გაბატონებული. ერთი და იგივე სიტყვის გამოთქმაც კი სხვადასხვანაირია. ზოგიერთ ჩვენს მწერალს სადავოდ აქვთ, მაგალითად, როგორ გამოთქვას: ლეიპციგი თუ ლაიპციგი, ჰეინე თუ ჰაინე და სხვ.

სალიტერატურო ენა გაბატონებულ კლასის იარაღს წარმოადგენს. ძველსა და ახალს შორის ბრძოლა ხშირად ენის სიწმინდისათვის ბრძოლის სახეს იღებს. ძველი, მიმავალი კლასი ებლაუჭება ძველ ენას, ახალი კლასი კი, პირიქით, იცავს ახალ ენას. ამ დებულების დამტკიცება შეიძლება რუსეთის მაგალითზე. მაგრამ საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების ფონზედაც რელიეფურად ჩანს ეს ბრძოლა ძველსა და ახალს ენას შორის.

საქაქრო ურთიერთობის განმტკიცების შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში მკაფიოდ იჩინა თავი უარყოფითმა დამოკიდებულებამ დიალექტებისადმი. ეს აშკარად ჩანს ანტონოვის, გ. ერისთავის კომედიებში. ამ ავტორების ნაწარმოებთა მთელი მარტილი იმერული კილოს გამასხარავებაა, ეს კომედიები იწერებოდა შესამოცე წლების რეფორმამდე, როდესაც ბატონის მათრახს გამოქცეული გლეხობა ლუკმა პურის საშოვნელად აწყდებოდა ტფილისს. პირველ ხანებში თვით იმერლობა ვერაფერს აწყობს მისდამი მიმართულ დაცინვის წინააღმდეგ და თითქოს მართებულად აღიარებს მას. რასაკვირველია დღეს, იმერლების სალაპარაკო ენის იუმორის მასალად აღება წარმოუდგენელია.

შესამოცე წლებში სალიტერატურო ფორმტზე ერთიმეორეს ეკვეთა ორი მიმართულება: ძველი — გრ. ორბელიანის და ახალი — ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გრ. ორბელიანი ფეოდალიზმისა და თავადაზნაურობის პირწავარდნილ დამცველი იცავდა ძველ საეკლესიო ენას, ხოლო ილია ჭავჭავაძე — იმავე თავადაზნაურობის დამცველი, მხოლოდ ახალ შეცვლილ პირობებში, — ეჭომაგებოდა ახალ ენას. ძველი თაობა ბარბარე ჯორჯაძის სახით ახალ თაობას მართლ-

წერის შერყვნას უკეცინებდა და უსაყვედურებდა მთელ რიგ ასოების ამოგდებას ქართულ ანაბანიდან. ძველ, დრომოკმულ ასოებს 90-იანი წლებში, მიწურულ-შიაც კი გამოესარჩლა პედაგოგიური მოსაზრებით გრამატიკოსი, ფედორ უფრო-დანია, მაგრამ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, ზოგიერთი ძველი ასოები ცხოვრებაში უკუ აგდო და ჩვენ დღეს ძალიან იოლად მივდივართ უმამათოდ.

„რა ენა წახდეს, ვრიც დაეცეს,
ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმიდას,—

ასეთ სიტყვებს ამბობდა გრ. ორბელიანი და უმიზნებდა ახალ თაობას. ეს უკანასკნელნიც ლებულობდა ამ დებულების სისწორეს. მაგრამ ენის წახდენაში ბრალს დებდა სწორედ ძველ თაობას. ცნობილია ილიას გესლიანი ლექსი, სადაც ავტორი ერთ და იმავე დროს თავს იცავს ბრალდებისაგან და მეორე მხრივ, უფუო მძიმე ბრალდებას უყენებს მოწინააღმდეგეს.

„მტრობა ენის
არს მტრობა ქვეყნის—
მაგ აზრისა ვართ თანაბმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დაედეათ ჩვენა თუ თქვენა?
უბლა რომ ბლავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზე უწინა?
ჩვენ ძუძუს ეწოდებით,
როცა თქვენ გმობდით
ენას და ხალხსაც გარეთ თუ შინა.
ის არ ზართ თქვენა,
რომ ლეიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაყვეთად?
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ზმარობთ თქვენდა სარცხვენად.
ენა მალალი,
მის სიღრმე; ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამბდარა,
პირველ თქვენგანმა,
ამა ბედშაემა
მას მკედრის სუდარა გადააფარა,
ენა მდიდარი
თქვენს ხელში მკედარი,
ჩვენ მიგვილია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ ცოდვად გვითულოთ ჩვენ,
რალა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!
თქვენგან გმობილი,
თქვენგან ლტოლვილი
ენა ჩვენს ქობში ჩვენ შევაფარეთ:
კარგად თუ აუად
ჩვენ მას ეინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგაზარებთ“.

ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა ილია ქავჭავაძე, ძველი საეკლესიო ენა დაეწეებას მიეცა და მის ნაცვლად დამკვიდრდა ხალხურ ენასთან დაახლოებული, მაგრამ მისგან მიანც განსხვავებული სალიტერატურული ენა. ||

სალიტერატურო ენა, არ შეიძლება, არ იყოს განსხვავებული ხალხურ ენასაგან, ისე, როგორც არ შეიძლება მეცნიერება. არ განსხვავდებოდეს იმ ყოველდღიურ გამოცდილებიდან, რომელიც სხედასხვა დარგში ყოველ ადამიანს მოეპოება. მართალია, სალიტერატურო ენა ნაკლებ განიცდის ცვლილებას, უფრო კონსერვატიულია, მაგრამ ამ კონსერვატიულობის აღმოსაფხვრელად ის ვერ მიმართავს კილოკავს, ვერ გაუღებს კარებს დიალექტს, ვერ დაუბრუნდება განვლილ საფეხურს. მეორე მხრით, სალიტერატურო ენა ვერ აღადგენს ვერც ძველისძველ ფორმებს, რომლებიც ლიტერატურაში აღბეჭდილან, მაგრამ რომელთაც ეამთა ვითარების გამო მნიშვნელობა დაუკარგავთ. სალიტერატურო ენა, სალაპარაკო ენიდან მუდამ ღებულაობს საჭირო მარაგს და ყოველთვის ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. მაგრამ ყოველსავე ახლად მიღებულსა და ათვისებულს იგი უთანხმებს უკვე ჩამოყალიბებულს, და დაწინაურებულს, დიდი სოციალური ძვრების დროს სალიტერატურო ენის ცვლილებაც უფრო ძლიერია. იგი, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღი, თვითონაც განიცდის კლასთა ბრძოლის ზეგავლენას. ის შედის გაბატონებული კლასის ინვენტარში, მაგრამ როგორც არ შეიძლება წარსულის მემკვიდრეობის ზეგავლენით უარყოფა, ასევე არ შეიძლება წინანდელი სალიტერატურო ენის უარყოფაც. ის გამოყენებული უნდა იქნას სხვა კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად.

დიალექტი ჩამორჩენილობის ნაშთია. მისი გაბატონება უკანდახევას ნიშნავს, მაგრამ არც სალიტერატურო ენის შემოფარგვლა შეიძლება ჩინური კედლებით, რადგან თუ ეს ასე მოხდა, ენა გაიყინება და ბოლოს გამოუსადეგარი გახდება. აუცილებელია, კანონიერათ იქნას ცნობილი ახალი სიტყვების შემოქრია, როგორც უცხო ენებიდან, ისე სალაპარაკო ენიდან. უცხო სიტყვებისაგან დაზღვეული არ არის არც ერთი ენა. ყველაზე გავრცელებული ინგლისური ენა ყველაზე ნაკლებ ორგინალურია, მაგრამ მას თავისად გადაუქცევია უცხო სიტყვები და ამით თავი გაუმდიდრებია. არის მომენტები, როდესაც ერთი ენა შეგნებულად, ენერგიულად ებრძვის თავისთავზე მდიდარი ენის გავლენას.

უცხო ენიდან შეთვისებული სიტყვა რომ უბედურებას არ წარმოადგენს, ამას ჩვენი ენის განვითარება და მასში შესული უცხო სიტყვები მოწმობენ. დღეს არავის მოუა თავში ქართული ლექსიკონიდან ამოავდოს სიტყვა „მელანი“, აქაო და ეს ბერძნული სიტყვააო. ჩვენი ლინგვისტები, რასაკვირველია, უფრო ბევრ მაგალითს დაასახელებენ: რამდენი სპარსული, არაბული, ბერძნული სიტყვა შეუთვისებია ჩვენს ენას, შეუთვისებია ისე, რომ დღეს არც ერთი ქართველი არ გრძნობს მათ უცხო წარმოშობას.

რაც შეეხება სალაპარაკო და სალიტერატურო ენის ურთიერთობას, უნდა ითქვას, რომ დღეს არა გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როგორიც წინად იყო. დღეს სალაპარაკო ენა ადვილად ითვისებს ლიტერატურის მიერ დადგენილ ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს. (მაგ. „შეებულება“, „მივლინება“ და სხვ.) ჩვენი

მშრომელი ხალხი მშვენიერად სარგებლობს და იყენებს სალიტერატურო/ენის სხვადასხვა ფუნქციების ასრულების დროს, კედლის გაზეთის კორესპოდენტობით დაწყებული გათავებული საჯარო კრებაზე, ან სპეციალისტთა სხდომაზე წაკითხულ მოხსენებით. სალიტერატურო ენის გავლენა სასაუბრო-სალაპარაკო ენაზე მუდამ სასარგებლო იქნება მხოლოდ იმ პირობით თუ სალიტერატურო ენის მუშაკები შეტი პასუხისმგებლობით და ყურადღებით მოეკიდებიან სალიტერატურო ენის შექმნას და მისი ნორმების დაცვის საქმეს, სამწუხაროდ ამ მხრით საქმე ყარგად ვერ გვაქვს. სწორედ მწერლები თვითონ ცოდავენ ენის მხრით. და ეს არის მეტწილად უყურადღებობის, გულგრილობის და დაუდევრობის შედეგი — თუ შოთა იტყოდა „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამათ კარგიო“, ეხლა ხშირად შაირი ხდება გრძელი სიტყვის იარაღი და მოკლე აზრის გამოხატვის საშუალებად. ნაცვლად აზრის მკაფიოთ გამოკვეთისა, შაირი ხშირად აზრის დამაბნელებელი და აზრის მიმჩქმალველია.

აკაკი ყველას მიერ აღიარებულია სიტყვის საუკეთესო ოსატატად. კაცს ეგონება, რომ მას ოსატატობა თავისთავად ეძლევა, თითქოს მას დიდი ხელოვნება მინიჭებული ჰქონდა ცისაგან და იგი მუქთად გაურჯელად სარგებლობდეს მომადლებული ნიქით. მაგრამ რომ ეს ასე არ არის, ამას მოწიპობს მისი ლექსი.

„ცრემლში მიღსაეს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია...
შიგ სისხლი არის ნარვეი
და ზოგან ცრემლი ცხარეა“

როგორც ჩანს აკაკისათვის იოლი არ ყოფილა ლექსების წერა. განა ყველა პოეტს შეუძლია თქვას, რომ ასეთი ტანჯვით ვქმნი ლექსსო? ყველა ვერ იტყვის ამას, აკაკი კი ამბობდა და მის ამ სიტყვას ამართლებს მისი მუშაობა ყოველ ნაწარმოებზე. აკაკი ყურმახვილი იყო არა მარტო თავის ნაწარმოებისადმი, არამედ სხვისი ნაწარმოებისადმიც და იგი დაუნდობლად ამხელდა ყველას, ვისაც კი ენის სიწმინდის შელახვას შეამჩხევდა. ცნობილია მისი გაბედულება, როცა მან აშკარად დაუწუნა ენა თავის ბადალ პოეტს ვაჟა-ფშაველას. 1913 წელს ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსში იგი წერდა:

ენას გიწუნებ ფშაველო
მგოსანო მაღალ მთისაო.
თუმც—კი გვითვისავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო..
ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიციან ცნობითა:
შენ დამინატე ის მხარე
ფშაველის ჰკუა გრძნობითა.
და რაც არ გადმოგიცია
მის მშვენებაზე ენითა,
მე თითონ მივხედი ყოლიფერს,
შენთანვე აღმაფრენითა
ვიცი, რომ ფშაველის სოფელი
წმინდაა მაღალ მთისაო

ენამიტველი სიმართლის
გულმკერდი ფოლადისაო.
წინედ რომ ზმალი უჭრიდათ,
სადღესით სჭრის კალამი,
გადაცე ბარის მგოსნისგან
მთიულეთს ძმური სალამი!



აქ აკაკი გარკვევით ეუბნება ვაჟას, ენას გიწუნებ, თუმცა კარგი პოეტი ხარო. მიუხედავად იმისა, რომ ფშავეთში არ ცვაფილვარ და შენ მთლიანად ვერ იძლევი მის სურათს, მე მაინც ვხვდები, რაც არისო. ეს საყვედური გულში მოხვდა ვაჟას, მას დაუწუნეს ლექსი მაშინ, როცა მან დაასრულა თავისი მოლ-ვაწეობა. დაუწუნა არა უბრალო ვიგინდარამ, არამედ მასავეთ დიდმა სტატმა. ვაჟამ ასეთი პასუხი გასცა:

ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მცხოვანო პოეტო;
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
რომ დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი დამეცა:
სიტყვა მოსული სათქმელად
ენიდან მომწედა, გამგეცა;
დავლონებულვარ ძალიან,
თითქოს სახლარი დამეცა
რათა. რა ღმერთი გამიწყრა
მარგალიტების მფლობელსა,
რომ თავის უწნო ფნითა
ვჭრას ვაგონებ შშობელსა
ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსა,
მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმარობს ღონედა,
და როცა მარგალიტს თესავს,
ან თუ ავგებს ყორედა,
მაინც ის არი, რაც არის,
ჭორები მოაშორეთა,
იქნებ მე, ჩემმა ენამა
სამშობლო დავაღონეთა
ფრთები შევეკვეცეთ, ოცნება
დავაბუთ, დავამონეთა
უარგისობის მიხეზი,
ფშავლობა არის სწორედა.

ვაჟა თავის თავს ანუგეშებს, რომ სწორ გზაზედ ვდგევარო. აკაკიც და ვაჟაც სიმართლის კარზე დგანან. რატომ არ მოსწონს აკაკის ვაჟას ენა? იმიტომ რომ მისი ფშავური კილოკავი ვერ გამოხატავს ზღმიწეფენით იმ აზრს, რისი თქმაც პოეტს სწადია. ვაჟამ მიიღო ეს შენიშვნა, იგი მიხვდა, რომ მისი ენის უვარგისობის მიზეზი ფშავლობა არ არის, არამედ, ფშავური დიალექტია და არა მარტო დიალექტი, არამედ მთელი კომპოზიცია. ეს მაგალითი საკმაოდ ამტკიცებს, თუ

რა დიდ ელემენტს წარმოადგენს ენა ლიტერატურისათვის და რა სიღრმეებით ეკიდებიან ამ საუნჯეს დიდი ოსტატები.

მოვიყვანოთ მეორე მაგალითი, რომელიც ცხადყოფს თუ რა უნდა იყოს ხისმკვებლობით ეკიდება სიტყვას მხატვრული პროზის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი დავით კლდიაშვილი. იგი გადმოგვცემს, რომ წერას შეუდგებოდი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემში ჩამოყალიბდებოდენ, საეცებით მომწიფდებოდენ როგორც ტიპები, ეპიზოდები და სცენები, ისე მთელ ნაწარმოების კომპოზიციაო.

დ. კლდიაშვილი მანამდი არ დაიწყებდა წერას, ვიდრე თავიდან ბოლომდე თავის თავში არ გაატარებდა მთელს სიტუეტს, ვიდრე მას საბოლოოდ არ გამოჰყვებოდა და არ ჩამოაყალიბებდა. „ჩამოაყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოუნახე პირველი სტრიქონიო, — ამბობს იგი. — ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მიმცემი იყო“ კლდიაშვილი გადმოგვცემს იმ სიამოვნებას, რომელსაც იგი განიცდიდა საძებარი სტრიქონის პოვნის დროს, მაშინ კალამი თავიათავად იწყებდა წერასო. ეს სიამოვნება არის შედეგი იმ განცდის, როცა მწერალი პოულობს გამოტანჯული აზრის, გამოტანჯული ნაწარმოების შესაფერ ფორმას. ასეთი ძიება, ასეთი პასუხისმგებლობა შინაარსისათვის შესაფერი სიტყვიერი ფორმის გამოხატვის დროს ბევრ მწერალს არ ახასიათებს. ზოგიერთ მწერალს ჩვევია მოიბოდიშოს მკითხველთან თავისი ნაწარმოების სუსტი გაფორმების გამო და ამით გაათავოს საქმე. ბევრი მწერალი ჩვენში არ ცდილობს ისე დასწეროს თავისი ნაწარმოები, რომ ადვილად გასაგები გახადოს მკითხველისათვის, რომ მის ათვისებაზე მკითხველს ნაკლები ენერჯია დაეხარჯოს. ზოგი მწერალი სრულიად არ ცდილობს გააუმჯობესოს თავისი სტილი, სრულპყოს თავისი წერის მანერა. ბევრი გაურბის სამეცნიერო ლიტერატურის და მხატვრული ნაწარმოებების კითხვას იმ მოსაზრებით, თითქოს ეს დაამძიმებს პოეტის გონებას, მისცემს მის შემოქმედებას ისეთ მიმართულებას, რომელიც შეასუსტებს მისი ნაწარმოების მხატვრულ ძალას. სხვა პოეტის ნაწარმოების კითხვა, განსაკუთრებით დიდი პოეტის, გავლენას მოახდენს ჩემი ნაწარმოების სიტუეტზე და საერთოდ სტილზეო, — ფიქრობს ზოგიერთი მწერალი და ამ მოსაზრებით თავს არიდებს კლასიკოსების შესწავლას. თავის საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის ცოდვები, რომელსაც ვხედავთ ბევრი ჩვენი. მწერლის ნაწარმოებში, გორკის ცნობილი წერილების შემდეგ ჩვენში დაიწყო ამ ცოდვების გამოქვეყნება და უნდა ითქვას, რომ ბევრი საგულისხმო ენობრივი და სტილობრივი დეფექტი გამოჰქადაგნდა, თუმცა ის წერილები, რომელიც ენის სიწმინდის შესახებ დაიწერა (ა.კ. ჭყონიას, მ. ჯავახიშვილის წერილი „კომუნისტი“, ა.მ. აგიაშვილის ვაზ. „სიტყვა და საქმეში“) ბევრ სამართლიან სწორ შენიშვნას შეიცავენ, მაგრამ აქვთ ერთი საერთო ნაკლი, სახელდობრ, ის რომ აქ ლაპარაკია ცალკე შეცდომებზე, სიტყვების ცალკეულ დამახინჯებაზე, მაგრამ გარკვეული და დანაბრებული არ არის ამ მოვლენის საერთო მიზეზები. ა.მ. ა.კ. ჭყონიას აქვს მეორე შეცდომა, სახელდობრ იქ, სადაც იგი მწერლებს უწუნებს შედარებებს, მეტაფორულ გამოთქმებს და მხატვრული გამოსახვის სხვა ხერხებს. ა.მ. ა.კ. ჭყონიას

მითითებას რომ გაყვეს მწერალი და ამოაგდოს ყოველგვარი შედეგად, ჰიპერ-ბოლა და მეტაფორა, მაშინ მხატვრული ენა არა თუ დაიწმინდება, არამედ სრულად გამოიფიტება. თუ საქმე ენის სიწმინდეზე მიდგება, ჩვენი მკვლევარი ამხ. აკ. ჭკონიასაც აღმოუჩინოთ იმავე წერილში წინადადებებში, რომლებიც მკითხველისათვის ნაკლებ გასაგებია და მისაწვდომია არიან. გაზეთში გამოსაქვეყნებელ წერილების ენას და მის სტილისტურ დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს, რადგან გაზეთი ყველაზე დიდ როლს ასრულებს ენის სიწმინდის დაცვაში.

ენის პრობლემათა გარშემო გამართული დისკუსიის მთავარი ნაკლი ამასი მდგომარეობს, რომ ხშირად, ენას იხილავენ არა როგორც სტილობრივ კატეგორიას, დაკავშირებით მხატვრულ ფორმასთან, არამედ დაყავთ იგი გრამატიკის საკითხებამდე. ცხადია, რომ ეს აშკარა გამრუდებაა დისკუსიის მაგისტრალური ხაზის.

ენის დაცვის მხრით ასეთივე დიდი მოთხოვნა უნდა წაუყენოთ თარგმნალ-ლატერატურასაც, რადგან თარგმნილი ლიტერატურის ხვედრითი წონა ჩვენს ბეჭდვითი სიტყვაში დიდია. კარგი თარგმანი ენას ამდიდრებს, ცუდი თარგმანი კი, გარდა იმისა, რომ შეუძლებელს ხდის აზრის შეთვისებას, ამახინჯებს ენას. ზოგიერთი მთარგმნელი თავისებურად უდგება საქმეს, მაგალითად ჩვენს საუკეთესო მთარგმნელს გეორგი კიკოძეს არ წამს რთული წინადადება და თითქმის ყოველთვის გაურბის დამაკავშირებელი სიტყვის „რომელიც“ ხმარებას. იგი ემყარება იმ მოსაზრებას, თითქმის ქართული ენის თვისებას მარტივი წინადადება შეადგენდეს, რომ საბა სულხან ორბელიანი მხოლოდ პატარა-პატარა, მოკვებით წინადადებებს ხმარობდაო. საბა სხვა დროის მწერალია. დღეს სულ სხვა ეპოქაა, დღეს სულ სხვა ტემპებია. ჩვენი დროის აზროვნების გამოხატვა საბას დროინდელი ქართულით არ შეიძლება, დღეს პერიოდების დროა. ესეც არ იყო, შოთა რუსთაველიც ასე იწყებს თავის პოემას: „რომელმა შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერითა“ და მგონია, ამით არაფერი დაუშავებია. ენის კულტურა უნდა ჩანდეს ყოველ ნაბეჭდ ნაწარმოებში თარგმნილი იქნება იგი, თუ ორიგინალური, ამ კულტურას ჩვენ ხშირად ვერ ვხედავთ, მრავალ კურობს აქვს ადგილი. მაგალითად ახლახან გამოიცა ერთი ავტორის შრომა—„მარქსი, როგორც ფილოსოფოსი“, სადაც ავტორი ამქვეყნებს სრულ უფიცობას. მას მარქსის ირონია ვერ გაუგია და რასაც მარქსი დაცინვით გამოთქვამს, ის მარქსის აზრად ასაღებს. გამოდის სრული დამახინჯება და შერყვნა მარქსის აზრისა. ამ წიგნაკის მე-10 გვერდზე ვკითხულობთ: „მარქსი, ეხებარა ამ რევოლუციებს იდეების სფეროში (გერმანიის კლასიკურ ფილოსოფიაზე ლაპარაკი (მ. ტ.)—წერს:— ეს იყო რევოლუცია, რომელთან შედარებით საფრანგეთის რევოლუცია ბევრად უფრო სათამაშოს წარმოადგენდა, ეს იყო მსოფლიო ბრძოლა, რომლის წინაშე დიადოხების ბრძოლა გეგვენებოდათ რაღაც მიზნულ ბრძოლად... სამი წლის მანძილზე გერმანიაში (1842-1845 წ.) ვაკეთებულ იქნა უფრო მეტი, ვიდრე წინათ, სამ საუკუნეში“. გამოდის, რომ ახალგაზრდა ჰეგელიანობის მოძრაობასთან შედარებით მარქსს ბევრად უფრო სათამაშოდ მიაჩნდა საფრანგეთის რევოლუცია; მასთან შესადარებლად გერმანიაში ველარ გამოუნახავს ბადალი, იმ გერმანიაში,

რომელსაც, სხვა არა იყოს რა, გლახთა ომები მაინც ახსოვს და იძულებულია ძველ ისტორიას მიმართოს, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეები შოიხსენიოს და მათი ბრძოლაც წვრილმანად მიიჩნიოს. თურმე „იდეების სტრატეგია“ მომადარ რეეოლოგიას“ მარქსი ასე მალა აყენებდა. ეს ყველაფერი სისულელეა და მარქსისტების ასეთი სისულელის მიწერა მხოლოდ იმას შეეძლო ვისაც მარქსიზმის ანაბანა არ გაეგება. ვაი ჩვენი ახალგაზრდობის ბრალი ასეთი ავტორების ხელში. მას რომ მთელი აბზაცი წაეკითხა, იქნებ მიხედებოდა, რომ ეს მარქსის აზრი კი არ არის, ეს გერმანელი იდეოლოგების ბრალია, აბზაციც ასე იწყება: „როგორც გვაუწყებენ გერმანელი იდეოლოგებიო“. მაგრამ დაწერილს გაგება უნდა და ვისაც ეს არ შეუძლია, წიგნებს კი არ უნდა სწერდეს, საშუალო სასწავლებელში უნდა შევიდეს და სხვების დაწერილი შეითვისოს. დღეს მკითხველს წართმეული აქვს უფლება მოთხოვოს მწერალს: კარგად დაწერე, გამოკვეთე და მომეცი იმ ფორმით, რომ ადვილად შევითვისო ის, რასაც სწერ. მაგრამ თუ ასე იყო ასე აღარ იქნება. მკითხველი შეიარაღდება თავის უფლებებით. ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობა მწერლობისათვისაც მოიცლის, მოიცლის იმისთვის, რომ აიღოს ძალიან დიდი ცოცხი და ასტეხოს დიდი აურზაური იმ ბანაკში, რომელსაც მწერლობა ეწოდება, უნდა აღმოიფხვრას ის აზრი, თითქოს კალმოსნობა ადვილი საქმე იყოს, თითქოს შეიძლებოდეს ყოველივე აბდაუბდას წერა და მკითხველისათვის თავის პობეზრება. უკვე დადგა დრო ნამდვილი თვითკრიტიკისათვის. მომწიფდა მომენტი—ვაშხილოთ ჩვენი ლიტერატურის სისუსტე და ვიზრუნოთ მისი გაჯანსაღებისათვის. ეს ყველაზე უკეთ იგრძნო ამხ. მ. გორკიძე, რომელმაც წამოაყენა ენის, სტილის სიწმინდის საკითხი და დღეს ჩვენი ვალია არ მოვეშვათ ამ საკითხს მანამდე, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ არ აღმოვფხვრით ენის სიწმინჯეს და არ გავაუმჯობესებთ ლიტერატურულ მხატვრული წემოქმედების ყოველ მხარეს.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მწერალმა მოგვეცეს ყოველმხრივ დასრულებული ნაწარმოები, სადაც დაცული იქნება გრამატიკული ნორმები, მხატვრული შედარებების და გამოთქმების სისწორე, კომპოზიცია და მთლიანად ნაწარმოების მთელი სტილი. დისკუსია სალიტერატურო ენის სიწმინდის შესახებ უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ მკითხველი და მწერალი არ გრძნობენ სრულ ერთობას ერთმანეთთან, სანამ მწერლის აზრი საყსებით გასაგები და ნათელი არ იქნება მკითხველი მასისათვის. ვიდრე მკითხველი მოშორებულია მწერლობას და მწერალი თავისთავს გრძნობს პატარა მეფედ, ის თავს ვერ დააღწევს განდიდებას და მუდამ ექნება წარმოდგენა, რომ თავისი ლექსით თუ მოთხრობით დიდ მადლს ანიჭებს ქვეყანას, რომ მისი ხაწარმოები მკითხველ მასაზე მალა დგას, რომ არავის აქვს უფლება მასზე კრინტი დასძრას და თუ ვინმე რასმეს იტყვის, უეჭველად ქება-დიდებათ უნდა შეამკოს მისი ნაწარმოები. ბევრ მწერალს საქმე ასე წარმოუდგენია, რომ კრიტიკოსმა ან უნდა აქოს მწერალი, ან უნდა აგინოს. ამიტომ ზოგი მწერალი კრიტიკოსთა შორის ეტებს თავის კაცს, რომელიც უზრუნველყოფს მის ქება-დიდებას. სამწუხაროდ, ზოგი კრიტიკოსიც ასე ფიქრობს. მათ გონიათ, რომ კრიტიკოსი მოწოდებულია დაარიგოს დიპლომები, ზოგს უწოდოს ნიკიერი, ზოგს-კი უნიკო. ზოგს ნაწარმოებს უწოდოს ცუდი,

ზოგს კიდევ კარგი. მაგრამ დასაბუთებას, თუ რით არის ესა თუ ის ნაწარმოებები კარგი, ან ცუდი, — ამას ჩვენი კრიტიკოსების წერილებში იშვიათად ხვდება. რა უფლების ძალით ჩადის ამას ჩვენი ზოგიერთი კრიტიკოსი? რა საბუთით?

საბუთი მხოლოდ ის არის, რომ კრიტიკოსი ვარო. ვინ მისცა მათ უფლება არიგონ ტიტულები და მწერალს, რომელსაც დაუწერია უზარმაზარი რომანი ერთი კალმის მოსმით უთხრას, რომ ის არ ვარგა. ნუ თუ არ შეიძლება კრიტიკოსმა, თუ მთელი ნაწარმოები არა, ერთი რომელიმე ეპიზოდი მაინც გაარჩიოს და ამის საფუძველზე დაამტკიცოს, ვარგა თუ არა იგი.

რასაკვირველია, ზერეულ მიდგომა მწერლისადმი გამოიწვევს მის გულისწყრომას. თუ კი მას არ დაუფასებენ ნაწარმოებს, არაფრად ჩაუგდებენ შრომას, მწერალს გული გაუტყდება: ან სულ მიანებებს მწერლობას თავს, ან არაფითარ ანგარიშს არ გაუწევს ასეთ კრიტიკას და მართებულიც იქნება. მეორე მხრით, არც ის ვარგა, კრიტიკოსს მოეთხოვოთ, რომ იგი განსაკუთრებით მორიდებული იყოს მწერლისადმი და გაბედულათ, საფუძვლიანად არ ამხილოს ნაკლი. მარსალია მ. გორკი, როდესაც ამბობს, თუ მუშებს ასამართლებენ წუნისათვის, რატომ მწერლებიც არ უნდა გავასამართლოთ. ჩვენში კი ხშირად ხდება, თუ სააშკაროზე გამოიტანე მწერლის ნაკლი, მერე უნდა დაიმალო ან ტფილისიდან გადაიხვეწო.

საჭიროა ყოველი ჩვენგანი, ბელეტრისტი იქნება, თუ პოეტი, კრიტიკოსი თუ პუბლიცისტი, მთარგმნელი თუ კორექტორი, გაიმსკვალოს იმ შეგნებით, რომ პროდუქცია, რომელიც ჩვენი ხელიდან გამოდის, მეტიხმეტად ფაქიზია და საჭიროებს მზრუნველ და ფრთხილ მოპყრობას.

ამ შეგნებით შევძლებთ შევქმნათ ის მძლავრი იარაღი, რომელიც ასე გვესაჭიროება მასების იდეოლოგიურ გარდაქმნისა და სოციალისტურად აღზრდისათვის



ქარლო კალაძე

ხუთი ლექსი

რ უ ბ ა ი

აქ ერთხელ ზღვისპირად ჩამოსულა უცნობი ქალგაეი,—
უნახავთ ლელვა და მზის ჩასვლამდე ტალღების თამაში.
აქ ეხლა მე და შენ ვინ გვიამბობს სად გაპქრენ ისინი
ანუ ის ტალღები ამოდ რომ ლელავდა მაშინ.

ზ ღ ვ ა

მთელი თვე წვიმა ხმელეთმა სვა,—
მაღე მთას ალბად მეწყერი დაშლის!
მდინარეები ერთვიან ზღვას
და წყალდიდობა ხდება ავდარში.

შავი ზღვა ვრცელი, გულივით ღრმა
ბოლოს აივსო როგორც ფიალა!
ხმელეთს მოასკდა ტალღების ხმა
და მოთმინებამ გადმოიარა...

ლამდება, ზღვაჩი ჩავიდა ცა—
მაღლა მოექცა ზღვა და იქცევა,—
დე იყოს ლელვა და წვიმის ცრა
მე ამ სტიქიის მოხალისე ვარ.

რაა იძროდეს ველური ზღვა,
რაა მდინარე აღიდებულნი!
მე დილით ხალხში გამოვალ ხეალ
და იქ ცხოვრების ლელვა მეგულვის.

მეზღვაურების შეხვედრა



მე ვნახე ზღვის წინ მოწყენით ისხდენ ამხანაგებნი,
მეც იქვე ახლო, დროს ხეტიალით ვკლავდი.
და მხოლოდ გვიან უცხოეთიდან მოვიდა გემი
რომ აქ ბათომში ისევ ეშოვა ნავთი.

მაშინ წამოდევ და მეზღვაურმა სხეებიც აშალე;
აილე მზარები და რხევით ცურვას ჰხადავ,—
შენ თეძოებზე ხელისგულები მიმოიშვრალე
და ჩაეჭიდე გემიდან ნასროლ ბაწარს.

ნავთსადგურში ვარ... და მე ამ გემის რხევაზე ვამჩნევ
ზღვას ეხლა მძიმედ გული თუ როგორ უძგერს,—
მეზღვაურს თურმე ის ხმელთა შუა ხეტიალს აჩვევს
რომ შორ ხმელეთზე მონახოს ძმა და ვუცქერ:

უცებ შენ დაბლა დაჰკარი ქუდი და გაიხარე.—
გემის კიბესთან, მოსულ მეზღვაურს ელი,
შენ თეძოებზე ხელისგულები მიმოიშვრალე
და ჩამოართვი შორეულ მებრძოლს ხელი.



მთებიდან დაბრუნება ღამით

ჩემი გზა ახლავს ხეობას ოან,—
მთებში ჭოროხის ბრძოლის ხმებია!
თურქეთში გასულ ნახევარ მთას,
ჩემი ლექსებიც არ ეხებიან.

მზე არაა და სოფელთან ხეს
ალარ უსხედან კაცები უქმად.
გზა ჩალამებულ კლდეებში ძევს
რომ ვერ მოძებნოს მანქანის შუქმა.

მთვარის ქვეშ მხოლოდ სამხრეთის მთა
დგას და ებგევა სურო და ხავსი...
ჭოროხის გაღმა მას წილად ხვდა
მოჩანდეს ცაში მეჩეთის მსგავსი.

ღამეში თვალებს მონახონ სუროთ
დიდი მხატვრობა სალი კლდისანი,
მაგრამ, აწ მელნით წაშლილან სულ
და სურათები ველარ ვიცანი.

მეც სტრიქონივით მთაგორებს ვწლი—
 ლექსს რომ არ აჩნდეს დუმილით მდგარი...
 როგორც კოროხი ხეობას ვჭრი
 და მოიშედე ზღვისკენ ვიჩქარი.



შ ლ ვ ა

ზღვა როგორც ხალხი მთების წინ დგას
 და ხმელთა შუა მისი ცხოვრება—
 მაღალ კლდეებთან მებრძოლი ჰგავს
 ჩვენი დღეების განმეორებას.

ეხლა ეს ღელავაც არაა სხვა,—
 კლდის ქვეშ ტალღები შეგროვებულან.
 ღამდება მოგბში და შავი ზღვა
 ხალხივით მღერის ხასანბეგურას.

დემნა შენგელაია

ს ს მ

ბერდია ბუჭურაულმა ლატაკი მწყემსის ჯილაგის მოლაღატე შვილი წინ რომ გაიგდო და თვითონაც თან მიჰყვა, გაისაზრა: სანამ არტელის ბიჭები იმ ჩამორთმეულ ცხორს ძირს ჩაღალავდენ და საითმე დააბინავებდენ, კარგა დრო გავიღოდა.

სიფრთხილეს თავი როდის ასტკენია, ახლა რომ ასტკივდეს? სიფრთხილედ და ვაეკაცობა ძმებია. არც ბერდიას უნდოდა აეტკივა აუტკივარი თავი. უკან მოიხედა და უმცროსი ვოეი, ალუდა, ქალამნის თასმის შეკვრაში გართული რომ დაინახა, დაუძახა:

— ბიჭაუ, ჰაი, ბიჭაუ, მაი ბატარაი ფებს უჩქარებდე!

— მოვდივარ, მამაისი, მოვდივარ!— გასძახა ბიჭამ, ქალამანი საჩქაროდ აიკრა და, წელში რომ გაიმართა, მამისკენ მგლური ძუნძულით გაიქცა. რომ წამოეწივა, ბერდიამ თავი საყვედურისაგან ვერ შეიკავა:

— ბალლაუ, ერთაი, შამამხედე, — დავბერებულვარ, ქალარა მამრეფია! ამდროულ კაცს სიცრუეც დაეჯერების. ქვა არ მიკვნეტია, რკინა არ მიღეჭია, თორთ ცხო არა დამკლებია რა. ბებერი ცხენივით კბილები ღრძილებამდე დამცვეთია და ყური მათხოვე. მტერი რა მტერია, შენს კაცობას ის დაინდობს, დუშმანი ნამუსს შაგინახავს და ჯილაგის მოლაღატე არ დავზოგავს. რჯულის გამტები მუხთალია და გაუტანელი, ქვიდან ქვამდე უნდა მიჰყვე, რო არ აიტაცოს და უკანიდან თავში არ გთხლიშოს.

— რაისთვი უბნობ, ჩე? — გაიოცა ალუდამ. — თუ, არ მენდობი?

— არა, ბიჭაუ, უნდობლობას რას გემართლები! — მიუგო მამამ დამამშვიდებელი კილოთი. — შენს უნდოს ღმერთი არ დაინდობს! იმ ჩენი ხაზუაის უნდილ ქცევაზე გულს გუმანი რამ შამეპარა და ჯიგარს ციცასავით მზწყალავს. ქეიფად ნუ მაიდიხარ, იარაღნ მზად გქონდას. ერთაი პირი წყალსაც წასთვლემს, ძალსაც წაეძინების თეოზე და მტერმა ლული არ იცის. შენც იცი, ჩემი თქმა არ გინდის, ის ბაითალა მძახალი არც ჯაბანია და არც ეგრე ადვილად მაპტყდების. ბრიყვს რო მუხთალი მოყვარე და ჭკუა არ გაიტანს, თავის ჯაბნობას ფათერაკს დააბრალებს.

— მემრე რაი, ჩვენ ხო ბრიყვნი არა ვართ?

— არა, ბიჭაუ, ბრიყვნი საიფ ვიქნებით, მაგრამ გუფრთხილებელი კაცი მტერს კი არა, მოყვარესაც გაიმტერებს, მუხანათობას აფიქრებინებს.

— ვიცი, მამისი, ვიცი! ბატარაი ჩვენც გვიცხოვრია ამ დღეებში. ქვეყანა გვინახავნ, ქუდი გვიტარებავ!— მიუგო ალუდამ თაკილით და უკან დაცურებულნი ნავანი წინ ვიკაკურად წამოსწია, სარტყელზე ხელმარჯვედ მყოფი.

— ეგრე ნუ უბნობ, ბიჭაუ! მოყვარე ხო კაცია, მტერი ვაქცურ კაცია. ჭიას რო გაამწარებ, ქუსლს დააჭერ, ისიც კბენას ვაგვიბირებს. კაცი რო დოვლათით არის და დოვლათს გამააცლი, ისიც შემოვიტევს.

— აბაიმი, ბედშავო, შენ ჩემო თავო! მაშ მე კაცობაში არა ვრევივარ! ამოიოხრა ხირჩლამ. — ალუდაუ, ჰაი, ალუდაუ, მტრად რად გამიხდი, განა ჩვენ ერთაი დედის მუკლით არ ვშობილვართ? მამისი, აი, მამისი, სასიხლოდ რად ჩამამეკიდე, შენს ნაშობს მტრად რად ჩამამიდეგ? რაი ვიცი, რაი ვიცი შე ბედშავმა, მეგონა მამაი იყავ, შშობელი და თურმე მტერი ყოფილხარ!

— ჰაიჰაი, რომ ჩემი ნაშობი ხარ!... ჩემი შობილი რო ხარ, გულს ეგ მიკლავს, თორო... ჩემი ბაღდაი რო ხარ, სიბერეს ეგ მიმწარებს, თორო რას ვინალვლიდი!...— ამოხდა მოხუცს სინანულით და თავი მწუხარედ ჩაჰკიდა. მერე უცრად გაიშართა, კისერი რისხვით მოიღერა და შვილს ისე შემოუტია:

— მემრე რაი რო გშობე?.. შობასაც მამუნათებ? პირიმისს ნაღღმა, შენ შობას, ქვა მეშობა, არად ჩავაგდავდი. ქვას მოკოდავს კაცი, კლდეს გასჩეხს და შენ კი არ მორაჯულდები. არა, ლომისის მადღმა, ტივი განედლების, წყალს უღელი დაედგმის და შენ კი არა... მოლაღატეს ტყვია გაასწორებს. შენ შობას, გველის წიწილი რო მეშობა, ის მერჩივა. საკებნად რო მაიშართებოდა, თავს ქუსლით გაუსრესდი და მისი ცოდო კაცის ცოდოთ არ დამედებოდა. — დაიკვნესა ბერდიამ გულის უსახურო ტყვილით და სიმწარით თუ ბრაზით მოღელილ მკერდზე მჯიღები დაიბრაგუნა.

— სუ, მამისი, იყუჩე!.. — სცადა ხირჩლამ მამის დაყვავება, მაგრამ მან რომ პირი ზიზლით აუქცია, ახლა ძმას მოუბრუნდა:

— ალუდაუ, ჰაი, ალუდაუ, ერთაი სიტყვა მტერსაც დაეჯერების და ეს ერთაი მეც გამიგონეთ! ერთის სისხლისანი ორთ, ერთის ჯილაგისა და ნუ დამღუბავთ, გულითგან ნუ მამიგლეჯთ! მტრის გულის გასახარად ნუ მომაქცევთ!.. რაია, ვოჟო, სოფლის ენის საბრუნავს რო აპყოლიხართ!..

ალუდამ ძმას სიტყვის დასრულება არ აცალა.

— შენ ეი, ბიჭაუ!.. — შემოუტია ქალაქური კილოთი. — ენა საბელივით ნუ წაგიგდავ, თორო... გირჩევენავ, ხირჩლაუ, ლაშარის მადღმა, გირჩევენავ უბრად იარო და ის დავლათი, სახლი რო ყელთამდე ავიესია, ნებით ჩავგვაბარო. ამტოლ ხანს რით ვერ ვაგიგავ, რო ჭარის მოტანილს ჭარივ გაიტანს! ეს ჭარი ჩვენა ვართ და, რაც ჩვენთვის ძალით წაგიგლეჯავ და სახლი შეგიტანავ, ძალითვე გავიტანთ! ცხორი ხო ოხრად დაგირჩინეთ, ეხლა იმ დავლათსაც ეგრევე დაგირჩინთ. გულში ნიავად არ ვაივლო, რო ძმობით ვაგიტანოთ. ჩარჩი და მაწაუკი ძმაც ერთია და გადამთიელიც. რაი შენ ლატაკი მწყემსისა და მოჯამაგირის ჯილაგს ფეხი დაადგი, ლარიბის ჯამს წიხლი დახკარ და სახვრევი წაპმურდლე, ჩვენობა არ გეთქმის. იმ დღის შემდეგ რაც შენ იმ შენ ბობოლა სიმამრის ბურჯად შეუდეგ და შენც ვაბობოლაედი, შენი მტერი, ჩენი მოყვასია, ღვიძლი ძმაა და,

აბაიძე, ბედშავო შენ, ჩემო თავო, ღვიძლ ძმას საით ელაღატები! შენ, ძმობის შემარცხენელსა და გამცემს ძმობა საით გეთქმის?

— ჰაი, ალუდაუ, ჰაი, მამაისი! — სცადა ერთხელ კიდევ გაეკრძალებული მანისა და ძმის დათათბირება ხიჩჩლამ. — ყური მივღეთ, თქვე უღვთოებო, ერთი სიტყვა ჩემიც წაისმინეთ! კაცნი ხართ, ქვა ხო არა ხართ! გემუდარებით, გეაჯებით, ნუ სკოდავთ, ჩემ ცოდოში ნუ დგებით, თქვენაი ჭირაიძე, ნუ წამახდენთ, კაცობაში ნუ გამამწყვეტთ!.. — მაგრამ მინც რო არაფერი გაუვიდა, ხელი უსასოოდ ჩაიჭნია, პირი უმწეოდ გააწაბუნა და გაჩუშდა.

— ჰაიჰაი, ბედშავო, შენ ჩემო თავო! — ამოიოხრა მან და თანდახრილი, წინ რომ წავიდა, მამამ მხარში ხელი ღონიერად დაჭრა, შემოაბრუნა და კოპებშეკრული შეეკითხა!

— რაი სთქვი? — და რისხვის ცეცხლით აგიზგიზებული თვალები სახეში მუგუზლებივით შეუფიცხა.

— ჩენა ვცოდავთ? — დაიღმუვლა გაცეცხლებულმა ბერიკაცმა სიმწრით და ბოაზით სახე ისე დაემანქა, თითქოს მუცელში თეგზის ნახარში მარილიანი მდულარე შემოესხაო. — მაშ ჩენა ვცოდავთ?.. ჰაიჰაი, რომ ღმერთი და სამართალი მართლაც არ ყოფილა ამ დღენიაზე!.. ჰაიჰაი, რო მართალ უთქომთ: ახალციხელი თათარი გოკის თავს შედავებოდაო! ჩენი ჯიქნებივით პოხიერი და შალდაყიანი იალალები რო ძალით მიგქონდათ და ჩვენ პიტალოზე გვტოვებდით, საით იყო მაშინ ეგ შენაი ცოდო-მადლი? სათიბს რო ქრთამითა და უსამართლობით გეართმევდით, საით იყო მაშინ ეგ შენაი ცოდო-მადლი? ჩვენს სარჩო-საბადებელს, მატყლსა და სატან-საპოხს რო ჩარჩობითა და ყალბი თამასუქებით ხელში შექთად იგდავდით, საით იყო მაშინ ეგ ცოდო-მადლი? ა-არა, ბალაუ, ა-არა, შენ მართლაც არა ხარ ჩემი შობილი. კაცს რომ გველი ეშობოს არ გაგონილა და შენ გველი ხარ, ხეთის მადლმა, ნამდვილი გველი. მართალ უთქომთ: ერთის ხისაგან ბარიც გამავეიდის და ჯვარიცა!.. ა-არა, შვილოსან, ჩემი შობილი ბოკვერი მაგვეარის ენით არა ჰყბედავს, მტრის ენით არ იგესლებს!.. — დაიძახა მოხუცმა გულის გამგმირავე ღაღადისით და, სული რომ მოითქვა, სიტყვა ისევ შემოუბრუნა:

— ბიჭაუ, ჰაი, ბიჭაუ! გეყოთ, რაც შენა და იმ შენმა მაწაუქმა სიმამრმა წურბელაივით სისხლი გვსუტეთ. თქვენ რო სისხლსა გვწოვდით და ჩენის ხორცი სტომაქს იყორავდით, ცოდვით მალლა ცა იწვოდა და ძირს დედამიწა, მაგრამ ვინ იყო ჩენი გამკითხავი? მაშინ ხო არც ძმობაი იცოდით და არც ძეობაი, არც ნათესაობაი და არც მეზობლობაი? ეხლა გავახსენდათ, დასაკლავ შიშაქივით რო წამოგაქცივით და ყელნი დანა მოგიღერეთ? ა-არა, პირიშის მადლმა, ა-არა, ამ ულაშის მზემა, ურჯულოსავით ძალღივით არ დაგინდობთ? შაბაშ, გათავდის! თქვენი ღრეობის დრო წავიდის! თქვენ დროებას დედა მოუკვდა! ბიჭაუ, არ შასცდე, გულნი ამოა გუშანი არ გაიტარო, არ იფიქრო, რო ნათესაეობით გაგიტანოთ, მოყვრობით შაგინახოთ. ჩვენც ვოყები ვართ! ჩიქილათი არც ჩვენ დავებურავთ თავსა! მტრის მტრულად დახვედრა ჩვენც ვიცით, მოყვასსაც მოყვრულად შავხვდებით! ჩვენც კაცნი ვართ, ჯიგარი ჩვენც გვეწვის! ბებერი რო ვარ, რჯულიანი რო ვარ, ნამუსში იმით ვერ ჩამავდავ! კაცი

რო ვარ, ჯიგარი რო მეწვის, ამიტომ თქვენ სისხლჩი ვარევაი მირჩენავ საწყალი ხალხის ცოდოში ფეხის ჩადგმასა. მეც საწყალი ვარ, მეც ტაბორუკი ვარ და ბერდიაი, მართალ უთქომთ, დაჰბნრდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენი დაჩაჩანაკებულა, რო ბჯალღები დაღეული ჰქონდეს, ჯერ კიდევ ირგო ახსნა დაბარდნილა, რო ჰაზრმა არ გაუქრას და ანგარიშში შასცდეს! მდიდარი მე საით გამიტანს, ვალღებულე მე საით დამზოგავს, როცა ჩემივე ბოკვერი დღე-მუღამ გასაკრეკ ცხოროვით მიცქერის? რო მოგტებთ, რო ვაგქელავთ, ჩვენი წუთისოფელი მაშინ დაამდების, დღე მაშინ დაგვიტკებებს! იგრე კაცური სიცოცხლე არ გვიწერია!.. — უნდოდა კიდევ ეთქვა რალაც, მაგრამ რომ ვერ მოახერხა, ხელი წამოიშველა, ჰაერში უცნაურად აიქნია, აასახავა და, რომ ვერ მისწვდა რას, თვითონაც არ იცოდა, თვალეზი მომაკედაგივით მიელულა და მოხაპული ჰაერი რომ არ ეყო, აცახცახებულე პირი გადაუფითრდა, გულს ხელშეტაცებულე დატორტმანდა, მაგრამ აღუდა დროზე შეეშველა. სული რომ მოიბრუნა, შეშველებულ შვილს ხელი უხიაგად ჰქრა, მოიგერია. წელში ამყად რომ გაიმართა, თვალეზი რისხვით აჰკვესა და უფროს შვილს გოროზად შეუტია:

— იარე, ბიჭაუ, იარე!.. გირჩევენავ უჩხად იარო, გაჩქურდე, თარო თავჩი სისხლი ამვარდნია და თოლბ არ დაგებრმას, ცოდოს არ გადაამკიდო!

ხირჩლა აიძურწა.

მამის შიში და მორიდება ბალობითგანვე გულში ჩაზრდოდა და მისი რისხვით ანთებულ თვალეზით წელგაწყვეტილმა ფეხები უნიათოთ წაითრია. შიშით დაპატარავდა, მუჟის ოდენი ვახდა და, მაჩვივით მოკუნტულმა ცოტა წინ რომ წაიარა ძუნძულით გაიქცა.

ბრაზში ბერდია ბრმა იყო და დაუნდობელი. არტელში სამტროდ შეპარულ ძალივით არც მას დაზოგავდა და ისევე მშვიდობიანად გაცლა არჩია.

მოხუცი, ცოტა რომ დაშოშმინდა, აღუდას გულმა არ მოითმინა:

— მამი, ჰაი, მამისი!

— რას გადამეკიდე, ბიჭაუ, რაი გინდის? — უცნაურად შეჰღრინა ბერდია შვილს.

— რაი უნდა მინდოდანს? — გაიკვირვა აღუდამ. — რაი და დღეგრძელობაი შენაი, ცხო არაფერი! რაი მინდის და სისხლს ფუქად რაისთვი იმღვრე? შენც იცი, ჩემგან რჩევა საით გეკადრების, — მტერთან თათბირი არ იქნების!

მოხუცმა ახედა შვილს, უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი მოწყვეტით ჩაიქნია. მხოლოდ.

— აბაიმეო!.. — ამოხდა.

დარდით ჩაქინდრული თავი კანჩურით რომ წაიღო და მოღალატე შვილის კვალს მიჰყვა, ეს თავი კი არ ება, ეკიდა კისერზე რიყის ქვასავით.

ხირჩლა გაქანებული მიუძლოდა მტრებს ბინისაკენ და აღმართში ჩქარი სიარულით დადევნებულ მოხუცს გული ამოვარდა. ფეხს ძლივს უსწორებდა.

აღუდამ მამის აჩაგირება ვერ მოითმინა და ძმას გაგულისებულმა გასძახა:

— ჰაი ბიჭაუ, ნამუსი სულ ნუ გაირეცხე! ბატარაის დინჯად იარდე!..

სირჩლამ ნაბიჯს უკლო.

მიდიოდენ ისინი ჩუმაღ, ხმაგამედლინი.

ყოველი მათგანი ფიქრებში იყო წასული. რიდესავით ჩამოშვებულ აღმართზე რომ აღიოდნენ, ეს ბილიკიანი მთის ფერდი თვალს წინ ეფარებოდა და ქვეყნის მხოლოდ ერთი მტკაველი და იხედებოდა.

ორწობებში სალამოს ბინდი ჩამოწვა, მაგრამ, აღმართი რომ მოლიეს და სერს თავზე მოექცენ, ისევ ინათა.

აქ, ცაში, ჯერ კიდევ დღე იყო და მზეს დაბრძანება ვერ მოესწრო.

მსუყვედ გადალურჯებული საძოვრები საამოდ ბიბინებდა და მთის თვალის მომჭრელი ყვავილები ბრუალა სურნელებით ათრობდნენ კორდს.

ცაც ამ საძოვარით იყო ლურჯი და ეს თეთრი კავკასიონიკ ზედაბორად მიყრილ ყველის უზარმაზარ ბარქაშებივით გაჩრილიყვნენ ცისა და მიწის შუა.

მთის ფერდებზე განრთხმული ნისლი ქუფურად ბოყირებდა.

აღუდა მობრუნდა, — ხეცს ჩახედა.

სანამ ძირს იყო, ვერ შეემჩნია ეს ჩრდილებად წამოპარული ღამე და ახლა, მზით განათებულ იალაღიდან რომ ჩახედა, ხევი ლურჯად ჩაქუფრულიყო.

თვალეები დაკვირვებით ჩააცივა, ბილიკებსა და მოკლე გზებს ამოაყოლა, მაგრამ არტელის ბიჭები მაინც ვერ გაარჩია. სჩანს, — დაყოვნდნენ. ალბათ, ცხორი ხვთის ანაბრად ვერ დასტოვეს. არა და... გული ეთანაღრება. ვინ იცის, ვინ იცის, ის ბაითალმანი ძმის სიმამრი რა ხიმანს უწყობს... მერმე მოლალატე ძალღიას სისხლი მაინც არ ედოსთ ვალად... მაგრამ ამ დაეკვებამ წუთით გაიღლეა თავში, შემობრუნდა. მყინვარებიდან მობერილმა ნიაგმა საამო სიგრილე და იალაღის მათრობელა სურნელება რომ შემოაყარა, მზისაგან მახობელა პურისფრად დამწვარი სახე სიოს მიუშვირა და სიხარულით გული ჯიქანივით აღევსო.

ეს ალტაცება მთის ლალი კაცის შავდღიან ცხოვრებას ახალმოხდილ არაქანივით ასალბუნებდა და გულს უტნაურად აჩუყებდა. ახალგაზნდა ვაჟკაცის გული ხომ ჩინჩხვარივით არის, ხანდახან ცეცხლი თავასით შენთება და ხანძარივით აბრიალდება? აღუდაც ვაჟკაცი იყო. ამ სიხარულმა ტანში ვნების ჟრუანტელად გაურბინა და საყვარლის ალერსს მოწყურებული გული აპრიალდა ღირღიტასაებრ.

იქვე, ნაპარალთან ყორანთ მჯდარიყო, სალამოს სიყურეში აღუდას გრძლად წასულმა ჩრდილმა რომ გადაუარა, დაფრთხა, წავიდა ფარფაბით და შეცრად იქ, ადამიანის გულის ქვესენელში ჩახაფრულ უფსკრულზე შედგმულ უფსკრულებიან სიღრმეებში ფანტურიც აელროილდა:

სიხმარში ქალას ყორანი
სიყვარულს ეფიცებოდა.
თოლებს ჰკარკლავდა წითელსა,
ქლანკით უბეში სწვდებოდა.

დაწვანთებული გოგოი
ვნებით მიწაზე წვებოდა.
— ჰაუფ, ისმენდგ, ქალაუ!
ჩრდილში რა გინდის იაო?

გამაზიოე თოლები,
მკერდიც გვიჩვენე ღიად!
ვატყაცის მოუხმარები
ყორანსაც წაუღიად.



— ვატყაცის მოუხმარები ყორანსაც წაუღიად! — გაიმეორა მან კიდევ ერთხელ და, თითქოს პასუხად, იქ, მაღლა, მყინვართა ორწოხებში საზარელი გუგუნე გაისმა. ეს, — კორიანტელად ამდგარი ზევი მოსკდა, მოშვავებული გუგუნით ყვირითში წავიდა და, რომ ჩაიხაფრა, სიყვარულზე დამშეულ ვატყაცურ მკერდშიც მოსკდა, რაღაც ზევივით და ტანში აგრილებულ ქრუანტელად დაუარა.

შუა საძოვარში ამიღლებულ ბორცვზე ქეჩით დაჩულული ხარგა ქვაზე დამჯდარ ყორანივით გაფოფრილიყო.

იქით, მთის გადაღმა, ქისტეთი იყო, ცოტა გვერდით დიდო და ვატყაც ალუდას გული უშიზხო სევდით აევსო: ადათი და უგზოობა აზრობდა ბარის ყვავილებს, ქალაქიდან აქ რომ მოიტანა, და ამ ყვავილს არტელი ერქვა. რამდენი ბრძოლა, რამდენი სისხლია საჭირო რომ ყვავილმა იხიროს!

მტერს წუთით არ ეძინა და სიფხიზლე იყო საჭირო, თეოზე დამჯდარ ქოთაკივით ყარაულობა, რომ დუშმანს მოულოდნელად არ წამოეჭროლა.

არაფერი ალუდამ არ დაზოგა, რომ არტელს ეხერია.

ძმა გულიდან მოიგლიჯა, ნათესაეობას ფეხი დაადგა, მამა შვილზე აამხედრა და მამამისს არტელნი დასაღუპავად შემოპარული მეზობელი ძალღია ნაბუფრიდ ხელნი უხვთოდ შემოაკვდა და მისი გვარის სისხლში გაერივნენ.

ფიქრებში წასული ბიჭა ყფამ გამოარკვია.

მუხლამდე შემორტყმულ ბალახში ძაღლები კაპასით, ყფით მოჭკროდენ, მაგრამ მოტევებამდე იკნეს პატრონი, ყფა მზიარულ წაწკანად გადაექცათ და სტუმრებს და პატრონს ლაციციითა და კუდის ქნევით წინ გაუძღვენ.

ხაზუამ ხარგის იქიდან ბინის კარმიდამოზე მომდგარ ხალხს რომ გამოხედა, ფერი ეცვალა. ერთი პირობა ხელში ტავანა რომ ეჭირა, დადგა მიწაზე, ისევე აიტაცა და გულში საიმედოდ რომ ჩაიჭრა, თვითონ კი არა, თავისით, დაიკივლა:

— მოდიან!.. მოდიან!.. — პასუხად ხარგაში ჩოჩქოლი გაისმა, მაგრამ ვარეთ მაინც არავინ გამოხედა.

— მოდიან!.. მოდიან!.. — დაიკივლა კიდევ ერთხელ ხაზუამ.

— ჩუ, ქალაუ, იყურე! — შეუტია მამამთილმა, მაგრამ ქალამ უფროსს არ გაუგონა.

— დამიბრმას თოლები!.. დამიბრმას თოლები!.. დამიბრმას თოლები!.. — მოსთქვამდა იგი უღაზათოდ აწუწუნებული და, ბინაში შევარდნა რომ გააპირა, ალუდამ რძალს ხელი მაჯაში უტაცა.

— ქალაუ, ბატარაის მაიცდიდე! — მაგრამ ხაზუა მზღს მაინც არ დამორჩილდა და, ვატყაცს რომ ვერ მოერია, გამწარებულმა ტავანა სახეში დაუშინა.

— იყურე, დიაცო!.. — შესწყრა გულჩახურული ბრძღვინვით ხიჩჩა ჯალაბს და დედაკაცი გაყურდა, ადათს ფეხი ვერ დაადგა, — ქმრის ბრძანებას წინ ვერ დაუდგა.

ბერდიამ ბებერი მგელივით ფიცხლავ აიკრიფა ხიფათის სურათი და უმცროს შვილს მკაცრად გადასძახა:

— ბიჭაუ, მზად იყავ!

— ფიქრი ნუ გაქვნი, მამისი! — შეაქება წახალისებით მამულდამსამხვედა-წრებული მოხუცი, წინ რომ ხიზლა წაეგდო და, მამის წაბაძვით, თვითონაც რძალი დაიჭირა საფარად.

მტრად მოკიდებულ შვილს მოფარებულმა ბერდიამ, თქვის რიდე გაბედულად რომ ასწია და ხიზლა ბინაში შეაგდო, თვითონაც თან მიჰყვა. მიჰყვა და, მართალია, სინათლეს ნაჩვევი თვალები ბნელ ხარგაში ანახლად ვერ გაიტეხა, მაგრამ მაინც გაარჩია და ნაგანს ხელი იტაცა.

სამი იარაღასხმული კულაკი კუთხეში მიდგმულ კასრებთან იდგა...

— ბიჭაუ, ჩავვაბეს!.. არ შამაიხეიდე!.. — მაგრამ გვიან იყო. ანდა ეს სატიელე ბიჭა როგორი მამის შვილი იყო, — კერპი და გაუგონარი რას დაუჯერებდა? და ისიც რომ მის გვერდით აიშართა, დაიკვნესა, შუბლზე კირის ოფლი დაასხა.

ორაი ვოცი ჰყავნ ბერდია ბუჭურაულს, მაგრამ რაი მემრე, თუ ერთად მტრისაკენ დგას და მეორე მოქნეულ კლდესაგებრ ზედ ეხლება და ნაცრად იქცევა! ამ სატიალე ბინაში გასაქანიც არ არის, ერთი ლალად გაიშალოს კაცი და თუ ომია, ომი იყოს.

დგანან და ელიან.

არ იციან როგორ სჯობს, პირველმა ვინ დაიწყოს.

უკან დასახევი გზები ერთიან მოჭრილია, არც გვერდი აივლების.

ბერდიამ ბინდში თვალი რომ კარგად გაიტეხა, იცნო ისინი: ის, წინ რომ შავი ფლასით თავფაქრული დგას და თვალებს ირმა ხარივით აბრიალებს⁺ თორღვაი ნაბურჩია, ძაღლიას ძმა. ეტყობა, ძმის დაღვრილი სისხლი ერჩის და ახლა ეს სისხლი უნდა რომ ამოიღოს.

— კარგი, შვილოსან, კარგი! რახან აგრე გინდისთ, ენახოთ, მაშ ენახოთ ვისი დედის თოლები ატირდების!.. — გაიტარა გულში ბერდიამ და ახლა, ძაღლიას ძმის გვერდით რომ ბიჭაი იდგა და პირს არიდებდა, იმას გაუყარა თვალი თვალში. რომ იცნო, გულმა არ მოუთმინა და ზედ მიეტრევა:

— ბიჭაუ, პირს რას მათივინა? სანამ ეგ თოლი დაგიბრმებოდეს, გამისწორე, რას მალავ. სიკვდილს საით დაემალეები! — ეს მეზობელ სოფლის მეტყვარე იყო, დურსუნა ჩობანის ნახაზეინარი, ისიც ბობოლა და ის, მათ რომ უკან მოჰფარებია, — მისი მაწაული მძახალი და, აჰაი, დედესა, რა ცუდი დრო ჩავიგდავთ ხელჩი!

ირგვლივ სიყურეა, ჩამი არ ისმის არსად და, ეს ტიელი, რაღა ეხლა გაჩქურდა ყველაფერი!

ამ დუმბილმაც თითქოს ენა აიბა! ეს ვერანა სიჩუმეც მოწოლილ სისხლივით გუგუნობს ყურში და ოდნავი გარეგანი გახმეურება აკრთობს მათ შეციებულუბივით.

ვაეკაცნი არიან ისინი და ვაეკაცისათვის, სიკვდილი რა ბედენაა, მაგრამ სიცოცხლე მაინც ტკბილია, ტიელი, და მისი უბრალოდ დაკარგვაც დასანანი.

ბერდიამ სიზუმეს რომ ყური მიუგდო, სადანღაც გაახსენდა: ამ ხანებში ლამის შუშა იყიდა სოფლის კოოპერატივში და, ყურზე რომ მიიღო, რაღაც უცნაური შხული შემოესმა დუმილისა. ეს დუმილიც იმ შხულს ეგონებოდა ახლა.

თვალეზმეციებულნი, სთუქვაშეკრულნი, საძრაობის უნაბეზარეულები დგანან გაფაციცებით და სდარაჯობენ ერთერთის ყოველ მოძრაობას, ყოველ რხევას. ამოქმენაც ვერ გაუბედავთ, თვალის ვერ დაუხამხამებიათ დასაგრილებლად გამზადებულ დამბაჩებისა და ნაგანების შიშით.

ოდნავი ღრმად ამოსუნთქვა, ოდნავი განძრევა და ეს დუმილი აფეთქდება ზარდამცემი გრიალით, აფეთქდება ისე, რომ ცა ძირს ჩამოსკდება და მთანი შეკრთებიან. ოდნავ საეჭვო შერხევა და ვინ იცის მერმე ვისი დედის, ცოლის ან ობლის თვალნი ატირდებიან შავი ცრემლით.

ეს ვერანა წუთიც რომ საუკუნედ იქცა!

ბებერი ბუჭურაული ისედაც ავი ძაღლივით იყო აღრენილი, ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ეჩვენებოდა და სად ჰქონდა ახლა ამ განსაცდელის გასაძლისი!

სადღაც თავგმა კასრისა თუ სხვა რაღაც სატიალის ხვრა დაიწყო, ეტყობა, ხეს კვრებდა და ყველას გულისყური იქით მიიქცა, ყველამ ამ კვრებას მიუგდო ყური ისე. თითქოს ამ მდგომარეობიდან გამოსვლის იმედი იქ მოიპოვებოდა და ასე რომ არიან დამაგრულნი, არტახგაკრულნი, უეცრად რაღაცამ დაიქუხა, გავარდა ზარბაზანივით, მაგრამ ქუხილი არ იყო, არც ზარბაზნის სროლა, ეს უბრალო რამ ხმაური იყო და ქუხილად იმით მოლოდინით გაწერილებულ გულს ჩასწვდა. ეს, — ხაზუას შიშით ხელნი ტაგანა გაუფარდა და ის გახმაურდა მიწაზე დაცემული.

ისევ დუმილი.

დუმილი ისეთი, რომ ბერდიას, ერთი შვილის საყვარელ სუნთქვასთან ერთად, მოღალატე შვილის უწმინდური სუნთქვაც რომ ჩაესმა, მოთმინება აღარ იყო, ილაჯი გაუწყდა და გაგოროზებულმა დაიძახა:

— მტერი ხარ და მტრისავე დასდეგ!.. — და რჯულზე ხელაღებული შვილი ხელის კვრით მოწინააღმდეგეთა მხარეზე რომ მიაგდო, ნაგანი ფიცხლავ იშიშვლა, მაგრამ სროლა მაინც არ გამხდარა. სჩანს, მოთმინება ორთავე მხარეს ჯერ კიდევ შესწევდათ არ ჩქარობდნენ.

ხაზუას ძალამ უმტყუნა, მუხლთ მოგეცა და თონეში ჩავარდნილ კუტი პურივით ჩაიკეცა, მაგრამ დიაცის სულწოკლეობა რა ბედენაა ან რა ყურადსაღები?

დედაკაცს რომ ყური არავინ ათხოვა, დრო არც მან დაჰკარგა, მიწაზე გველივით უჩუმრად გაეცურდა და მამამთილთან რომ მიბოზლდა, უეცრად ფეხებში ეცა, ჯერგის ხუნდივით ზედ შემოებლანდა და, წაქცევა რომ ვერ მოუხერხა, კბილები წვივში ძვლებამდე გაუყარა.

მოხუცს ტკივილი და ბოღმა ყელში ერთად ამოაწვა, გამწარებულმა მუხთალი რძალი წიხლის კვრით იქით მიაგდო და ნაგანის აქნევით თავზარდამცემი ხმით დასკვივლა:

— ბიჭაუ, დავიწყით!.. — და ნაგანიც გავარდა.

სროლას სროლა მოჰყვა, აირია ყველაფერი.

პეშეის ოდენი ბინა კვამლით გაიგვიფა, კიდევ უფრო ჩამობნელდა და დახუთულ ბინდებში შეკრულ ძნასავით გადმოქნეული ცეცხლუმი შეხვიფო ვარდნობდა. აცდენილი ტყვია ვერ ატანდა ნაბდით შეკრულ ხატგამოქცევილი შიგვე ცვივოდა წივილით.

იყო წუთი, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, მაგრამ ეს მხოლოდ წუთი იყო, თვალის დახამხამება და ხელახლა აგრიანებულ ქექა-ქუხილში და მეხის ტეხვაში დასალუპავად განწირული კაცის გამწარებული ყიყინაც გაისმა:

— აჰაი, თქვენი მურდალი სისხლი!..

ისევ დუმილი.

კარავში ბოლია და კორიანტელი.

ვილაც კენესის და იქ, მიწაზე, რალაცა ბათქუნობს დაკლულ ქათამივით.

— ალუდაუ, ჰაი, ბიჭაუ, ცოცხალი ხარა?..

და გატენილ ტომარით დაეცა მიწაზე მძიმედ.

რა არის ეს, მიწაზე მიყრილ ხალხს ასე ჩჩვილი და საღებუნიათი თავზე რომ ესხმის? ეს, — თაროზე შემოდგმული კასრი ტყვიას გაუხვრეტია, რძე შედრეგანივით ასხამს და ვილაც გამოიერკვა... რძით მოდღურული სახე რომ მოიწმინდა, ხელი სისხლში და რძეში დაესვარა.

დახედა მიწას, — თეთრად გაცურებული რძის ნაკადი შავად დატბორილ სისხლს შეერთვოდა და მის ნაწილს ვარდისფრად ლებავდა.

კასრზე წაქლულმა კაცმა სასიკვდილო კრთომაში დაჰკარგა წონასწორობა, თავდაღმა დაცურდა და ძირს დაყრილ გვამებს დაეცა რბილად.

არტელის ბიჭები აღმართში ლალად მიდიოდნენ.

ცხორი დაბინავებული ჰყავდათ და გული საგულეს ჰქონდათ, მაგრამ ეს სატიელე დურსუნა ჩობანი მაინც არ სცხრება. რაკი ერთი დაიყინა, მის გაჩუმებას არა აქვს საშველი:

— ამხანაგებო!.. იოლდაშლა-არ!.. ყარდაშლა-არ!.. გული!.. გულ-კივა დურსუნას! ჩქარა წაუდათ, ზემებო, ჩქარა!.. — აჩქარებდა სულის წასვლით ამხანაგებს და მაინც რომ ვერ ააჩქარა, გული არ უთმენდა, არ იცოდა რასა სწეოდა. მეტი რომ ვერ შესძლო, მარტო წავიდა, ამხანაგებს თავს გადაუხსწრო და წინ ჩქარი ნაბიჯით წაიარა, მაგრამ ეტყობა, გზაში გადაიფიქრა, რატომღაც უხერხულად მიიჩნია, მათი დატოვება და შეჩერდა. უკან რომ მოიხედა და მწყემსები ისევ ლალად მომავალნი დაინახა, სასოწარკვეთილმა კომბალი, რაც ძალი და ღონე ქონდა მოიქნია და მიწას დაარტყა. მიწაზე დარტყმული შინდის გრძელი კომბალი ისე უხეიროდ გაიზნიქა და გაიმართა რომ ხელი კინალამ ააწყვიტა, გამოიერკვა, — თვითონვე შერცხვა თავისი ბრაზის.

ღვას და უცდის, მაგრამ მოლოდინში ბრაზი ისევ მოერია, მოუთმენლობით ერთ ადგილას უშნოდ აწრიალდა და, სხვა რომ ვერაფერი გაისახრა, მიწაზე წაეგდო. მწყემსები რომ წამოეწივნენ, ისევ საყვედურები და ბოლოს ამ

თათარმა ილაჯი როჱ სულ მთლად წაიღო, გულგაწყალებულმა აბდიას არაბულ-მა თავი ვერ შეიკავა:

— აბაი, ბიჭაუ! რაია რო გული გააწვრილი!.. იყუჩე!.. *იყუჩე! იყუჩე!* თურო გული გაწყალდა და... — უნდოდა დაშუქებოდა, მაგრამ ცად *აყუღდებოდა* თათარმა ბავშვივით ალალი და უმწეო თვალები ზემოდან მონდობილად რომ ჩამოანათა, არაბულს ხმა ჩაუწყვდა, სიტყვა ყელში ძვალვივით გაეხირა და ენა საწყენად ვერ მოაბრუნა.

— უუჰ!.. უუჰ!.. სახლალი დურსუნა!.. მაშ რა გოოკეთას დურსუნამ, გული ეგრე რო კივა! დურსუნა სახლალი კასია... დურსუნას ამხანაგები, იოლდაშები უყორს... დურსუნას გული კივა... ხალიან კივა!.. — ატიტინდა ენის მოკიდებით ჩობანი, სასოწარკვეთილმა თავი უმიზეზო მწუხარებით გაიჭნია და, ფეხს რომ აუჩქარეს, უეცრად შედრკენ, გაქვავდენ ერთ ადგილას.

ზემოდან, წიკლაურიანთ ბინიდან, სროლა მოესმათ.

— იყუჩეთ, ვოეებო!.. — ამოხდა გასაფრებულ აბდიას და, ყური რომ მიუგდეს, სროლა ისევ განმეორდა.

ეტყობა საქმე არც თუ სახუმროდ იყო.

თოფის ხმა გამოძახილის გამოძახილებად აშხუვდა მთის ორწოხებში.

— აბაიშე, დავილუპეთ!.. — დაიღრიალა არაბულმა და, წინ რომ გაიქცა, დანარჩენებიც თან მიჰყვნენ.

სულ წინ დურსუნა მირბის თავისი სამადლიანი ლაჯებით, მიიწოწება ამ აღმართში და თან დაჭრილ დათვივით მიბღუის:

— ზმა მომიკლეს, ზმა!.. იოლდაშებო, დურსუნას ზმა მოკდა!.. ყარდა-აშ!.. ყარდა-აშ!.. ბლავის გულის გამგმირავად ეს ცად აწოწილი თათარი ბალღვივით და ჯავრითა და მოუთმენლობით გაწყალებული გული კიდევ უფრო წყალდება.

კრიკაშეკრულნი, გულამოვარდნილნი მირბიან მწყემსები და გულზე სისხლი ევლებათ. აჰლა ნანობენ რომ არტელის სიამაყე და ბურჯი ბუჭურაულები მარტო გაუშვეს მტრის ბანაკში. ბრაზით გულში მჯიღს იცემენ. ათასი ფიჭრი, ათასი აზრი ბოროთსავით ირევა თავში, ტვინი აბრუნდა და არავინ იცის რა დახვდებათ იქ, საითაც მირბიან. ეს ტიელი გზაც ისე გავრძელდა, რომ, თუ ოდესმე მიაღწევენ, არა ჰგონიათ.

სერი რომ ალაბეს, ბინაჲ გამოჩნდა.

ხარგაში სროლით ამდგარი ბოლი ჯერ კიდევ სულ არ განიაგებულა და ლეგად აბოკირებული კვამლი თავს ნისლივით ადგას,

შეჩერდენ.

ფეხის წინ წადგმის ეშინიათ, მაგრამ აბდიამ რომ დაიძახა:

— წაშაიდიო!..

ისინიც მიჰყვნენ.

ხარგის წინ ძაღლები დაყუნტულან, პირი ცად აუშვერიათ და ღმუიას გულის დამლევად, შესტირიან ცას ყელში მობჯენილი ძაღლური ბოლმით და ღმუილში ისე გართულან, რომ ზედ წამომდგარ უცხო კაცებს ვერ ამჩნევენ.

— ასგამ, შე სატიალევ! — შეუტია ვილაცამ.

ძაღლები აჩქარწენ, კულები ამოიძუეს და წაწყანითა და თვალთა ნაბევით იქით მიდგენ.

ისინიც მიხვდნენ რომ პატრონი აღარა ჰყავთ, პატრონს არც კანება აქვს, ამიტომ ყუფაც უაზროა და ზედმეტი. კარმიდამოზე ცოტა მოშორებით რომ მიდგენ, ისევ დაყუნტდნენ, ისევ აიშვირეს პირი ცად, ისევ უტყუარდნენ.

— უუუ!.. — ისმის ზმუილი და არავინ იცის ვინ ლმობის: ყველაღმობის ვებულად, — კაცი, ძალი თუ ადამიანის გავერანებული გული.

მწყემსები დგანან და ვერცერთი შიშით ფეხს წინ ვერა დგამს. არავის არ უნდა სხვაზე უწინ დაინახოს უბედურება, რომელმაც სოფ. შარაულას მეცხვართა არტელს თვალეში ჩამოხედა. გული გასივდა ჯავრით და მოსული უბედურება იმდენად დიდია, რომ ვაჟაკები მოტყდნენ, დგანან წელში გაღუნულნი, თავი მალლა ვერ აუღიათ. ასე რომ დგანან გაოგნებულნი, შიგნიდან ხარგის რიდეს ვილაცამ ხელი შეავლო. მწყემსები შეკრთენ და თვალმცილებულნი უტყვრიან ვინ არის იგი, — მტერი, მოყვარე, თუ მოჩვენება.

ცოტა ხანიც და ხარგის დირეზე ვილაც მობობლავს სისხლში ამოვლებული. რომ გამოფორთხდა, ზღურბლზე ტანი ვერ გადმოითრია. აკენესდა, აბლავლდა შემზარავად და ცას რომ გადაქცეული თვალებით შეპლმუვლა, სულიც თან ამოატანა და ხარგის გამოსასვლელში გარდიგარდმო მოსხლეთით ჩაწვა, — არ განძრეულა.

— ხირჩალუ!.. — იცნო ვილაცამ, მაგრამ ხირჩლას უსულო გვამი არ გამოხმაურებია ამ ძახილს.

დურსუნამ რომ იცნო, მიხვდა რაშიც იყო საქმე.

— ვალაპ!.. — დაიბლავლა და ბინისკენ გაქანება რომ გააპირა, ხარგის რიდე ისევ გადაიწია. დურსუნა შედრკა, გაქვავდა ერთ ადგილას.

კარებში ბერდია გამოჩნდა.

მკლავებზე უსულო ალუდა პურის სავეც ძნასავით გადაუწვენია და დარდითა და შვილის საყვარელი შოლტა ტანით დამძიმებულმა ტორტმანით მოლაღატე შვილის ცხედარს ზედ გადმოაოლაჯა. მოდის გოროზი და უკარებელი გააუსახლვრელ მწუხარებაში წასული. მოდის ისე, რომ ირგვლივ არავის ხედავს, არაფერი ესმის. მოდის ისე, თითქოს სიზმარში იყოს და თან მკლავებზე გადასვენებულ შვილს დასჩერებია.

ვილაცამ ამოიკვნესა.

ბერდია შეკრთა ამ კვნესაზე, აიხედა და არტელის ბიჭები რომ დაინახა, გაშეშდა ერთ ადგილას.

მწყემსებიც დგანან გაოგნებულნი და უტყვრიან თავის სარქალსა და ბელადს უმწეონი.

დარდი და წუთი იმდენად დიდია, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება და სიტყვა მოკლებულია აზრსა და მნიშვნელობას.

ბერდია დგას გარინდებული, დგას მედიდური და ზვიადი, ზვიადი იმით რომ: — სწორია, — ერთაი ვოქმა უღალატა სათემო საქმეს, მაგრამ რაი მეზრე, მეორემ ხომ თავი დასდო ამ საქმისათვის და მძის სირცხვილი თავისი სისხლით ჩამორეცხა ხომ მამის პატიოსან-სახელს.

ბიჭა ჯერ სულ არ გაციებულა და ჭრილობიდან თქრიალით წამოსული შავი ვაჟაკური სისხლი მოყონავს შესქელებული გაუბედურებულ მამის თით-

ბში, ტარაჯალზე ღვარად ჩამოსდის და შედედებული მსხვილ ნაფლეთებდად ეცემა შალდაყ ბალახზე.

ღურსუნან

— ვალლაჰო! — რომ დაიბღაველა, საკინძემოგლეჯილი მიწაზე პირქვე წაიქცა და გულს შეიომხდარ დარდით გამხეცებულმა, პირდორბლიანმა უცნაური კრუნჩხვა იწყო და გადალრეცილი სახით ბრღვინავს, სუნთქვას ვერ იბრუნებს და კბილებით ტანზე ტარაჯალს იგლეჯს, ნადირივით აღმუვლებული ბლოტავს ხელებით ამ ვერანა კაცის ამშენებელსა და დამღუპველ ბალახსა და მიწას. ვილაცამ რომ წუტია:

— იუჟიო!.. — გაჩუმდა, ენა მუცელში ჩაიგდო, მაგრამ ახლა თავი წაუშინა უსიტყვოდ მიწას გამეტებით და, როცა ისე დარეტიანდა რომ თავის წასაშენად აღებაც ალარ შეეძლო, მუხლებზე ტანი ძლივს აიტანა, ტანს დამძიმებული თავიც კუნძივით აჰყვა და ოთხზე გაფორთხებული ბერდიას ფეხებში რომ შეუბობლდა, პეშვი ძმის ჩამოდენილ სისხლს შეუშვირა. აავსო, გულში სასოებით ჩაიკრა და კბილებდარქენილი

— ვალაჰ!.. ვალლაჰის ძახილით ძმის სისხლს მკერდში ისრესს, ბლავის ხბოსავით, ტირის აზღუტუნებული და წვერით შემოსილ სახეზე ტალახიანი ცრემლები ჩამოსდის ღაპალუპით.

უეცრად წამოიჭრა, წელში გაიმართა და, ვინ იცის, იქნება დარდმა აამალა ასე? თავი ცაში გაუყარა და ჩანახიანი მჯიღები რომ მოიქნია, კბილთა ღრქენაში მოგუღულად გაისმა:

— ალუდაჟ!.. ყარდაში!.. იოლდაში!.. შენი ზმა ვარ და სისხლს ავიღავ!.. სისხლს!.. — და ხელები ცაში ისე ააფათურა, თითქოს იქ ღმერთს ეძებდა ჩამოსაღებად, რომ დაეთრია იგი, ფეხქვეშ გაეგდო და ეცემა ასეთი უსამართლობისათვის.

არამული გამოერკვა, მხოლოდ ახლა ჩავარდა გონს და მოსაზრების უნარი დაუბრუნდა. ბერდიასთან მიიჭრა და ძვირფასი ტვირთი სათუთად ჩამოართვა. მიწაზე რომ ფრთხილად დაასვენა და წელში გაიმართა, უბედურ მამას თვალი თვალში გაუყარა.

— ისინი?..

— წვანანი!.. — იყო მოკლე პასუხი. პასუხი ისეთი, თითქოს ეს მას არც შეეხებოდა, მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა და შვილის სისხლში დასვრილი ხელი რძითა და სიმწრის ოფლით დასველებულ შუბლზე რომ გადაისვა, სახე სისხლით შეესვარა.

დახედა სისხლიან ხელს: დიდხანს უცქირა, მერე ორივე ხელები მწყემსებისაყენ ცახცახით ალაპყრო და დაიგმინა:

— ძმებო!.. გულის საყორელნიო!.. — მეტი ვერ შესძლო.

თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა და შუბლქვემოდან გამომზირალი თვალები ხარივით აღმაცერად აუბრუნდა. გადაქცეული თვალები ჯერ ერთს გაუყარა თვალში გახურებულ შანთივით, მერე მეორეს და ასე, ყველას სათითაოდ რომ მოუფათურა სული ისე, თითქოს იქ, მათ გულის კუნჭულში, ჩასაფრებულ მტერს ეძებს და ვერ იპოვა, ირგვლივ რალაც მოიძებნა და, რომ ვერც ის იპოვნა, დაიღმუვლა:

— ყალივანი მამეცით!..

ბიჭები უეცრად ვერ მიხვდნენ რა უნდოდა მოხუცს.

ყალიონი თავის დღეში არ მოუწევია და ყურებს არ ისევ რომ გაიმეორა:

— ყალივანიო!..

აბდიაშვილს ხელი გაიკრა, ყალიონი სახელდახელოდ თუთუნით გატენა და მიაწოდა, მაგრამ ბერდიას უეცრად სახე შემზარავად დაეპრანჭა, უარის ნიშნად ხელი უსიტყვოდ აუკრა, მერმე შებრუნდა და ტორტმანით ხარგისკენ წავიდა. ხარგის დირეში გაშხლართულ მოლაღატე შვილის გვამი რომ დაინახა, ზარდაცემული უკან მოაწყდა, ზიზლით გვერდი აუქცია და მოფარებულ ადგილას დადგა...

ბინის ირგვლივ კულაკის დოვლათი: ძროხები და ცხენები ბალახს დინჯად სძოვდნენ.

დალა ეთქვათ, დალა, მხედრებო,

დალაი, დალაი!..

ძნელი არს დალაობაი,

დალაი, დალაი!..

P. S. „სხა“ ჩერქეზულ ტომების სასისხლო იურიდიული ტერმინია. სხა ეწოდება ადამიანთა დაწესებულ რაოდენობას ჯარიმისას, რომელიც სისხლში გარეულს უნდა გადაეხადა მოსისხარისათვის, რომ მით შურის გება აეშორებინა. აქედან უნდა იყოს წარმოებული ზღა (ანაზლაურება), სისხლი, ზმნა: სხმა და მთაში გავრცელებული გვარი: ნაზლაიძე.



ილო მოსაზვილი

მონადირული

ჩამოვარდა ტოტიდან
დათოვლილი ბელურა.
გომბორისკენ შრიალით
გაიარეს ღრუბლებმა.
გუშინ ქალის კიუხში
შავი ღამე გვეხურა,
ებლა მწყემსის ჩონგური
ცეცხლთან გვესაუბრება.

კლდეზე დასალუქავად
გადამდგარიან ვერხვები.
ჭარი ტირის ტოტებში
მონადირის ცოლივით.
შუა ცეცხლი ავარდა
და ნაბდებში ვეხვევით
ბიკები და მუხები
ერთად წამოწოლილი.

სალამურის ცენესა და
ჩონგურის ხმა ირევა.
ზოგმა ტყვია დაფერა,
ზოგი უვლის იარაღს.
ჩონგურს სიბი გაუწყდა,
მგონი ებლა ირემმა
ჭორბუდიან ხარივით
ტყეზე გადაიარა.

„გაზაფხულის დამდეგსა, შაშვს მოსა...
„შენ ჩემი დაწუნებისთვის გაგიშავებ...
სალამურმა დაჰკრა და
გულზე ნისლი მოხია:

17949
1551

საქართველოს
ნიგელიონთა
საქართველოს
ნიგელიონთა



ბიჭი ვაშლებს ესროდა გოგო იდგა იფანთან...

ლექსი ესე გათავდა:

ბიჭმა მგლავი მოხვია

და ქალის ნაწნავები მბრებზე ჩამოიფანტა.



მეჩონგურე ხარია,

გოგო—ფური ირემი.

ჩვენ მაყრები, თავს გვივლის

მზიარული ეჯიბი.

შუაქუცხლის ლადარში

გდია ნანადირევი.

უფაქაკო ბრძოლაში

ტახი მკერდგაგლეჯილი.

თაული სწვიმს და რძე ქონავს

თითო მუხის ნეკიდან.

ვარსკვლავები სინზეა

თავთუხივით გაშლილი.

და დაღესტანს მოწყვეტილი

მთვარე ვერხვს დაეკიდა

საქორწილო სუფრაზე

გადაგდებულ ვაშლივით.

აეიშალეთ. გულმკერდის

ამოგლეჯას აპირობს.

ძნელი არის უღრანში

ერთმანეთის მიგნება.

თუ ხიფათმა მონადირე

სადმე გაინაპიროს,

ძმებო, ჩვენი ნიშანი

სალამური იქნება!



კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მობრუნება

V. ფოლადისფერი ქოჩი *

თამარ პიანინოს უკრავდა. ეამგამოშვებით სებასტიან ბახის მენუეტს სინჯავდა, ხან ზანტად ფურცლავდა ნოტებს, ხანაც ხრახნილიან სკამს მოაბრუნებდა და თარაშის შესიტყვებას გაეხმაურებოდა. პიანინოზე ძველჩინურ ვაზაში მაგნოლიის ყვავილები ეწყო. თუმცა ფანჯარა ღია იყო, მაგრამ მაგნოლიების გამაბრუნებელი სუნი იდგა, ხოლო თამარის ტულეტის მაგიდისაკენ ვარდის ესენციის სურნელი — პატარა თათიას გადმოეგდო ესენციის ფლაკონი და მაგიდაზე დაღვრილიყო ვარდის ესენცია.

თარაშ ემხვარი ზამბარმოშვებულ ტყავის სავარძელში იჯდა და ბერლინელ საილლჟესტრაციო ჟურნალს სინჯავდა. აჩვენებდა თამარს სპორტის სურათებს, ტენისის მოედნის, დერბის სანახებს, ახალი მოდის კაბების ფოტოგრაფიებს. როგორც კი რომელიმე მათგანი თარაშს მოეწონებოდა, თამარი დგებოდა, სავარძლის ძგიდებზე ჩამოჯდებოდა, ცალხელს სავარძლის ზურგზე აყრდნობდა და ორივენი ათვალეერებდნენ. და თამარი ვერასოდეს გაძლებოდა ამ შოდღური ჟურნალების თვალეერებით. მას ისე ახარებდა კოსტაშუმების ბაღლების, რომელმე მოდიტი სალონის დამის ახალი და ახალი მორთულობანი, თითქოს ეს აჯანისამოსები შესძენოდა თავათაც. ხშირად ესიზმრებოდა კიდევაც, თითქოს ესა თუ ის პარიზული, ბერლინური, ან შვედური ახალი რამ მოდის კაბა თავათაც უფვა და ფოქსტროტს ცეკვავდა ვითომდაც.

თამარს ძლიერ უყვარდა უცხოური კინოსდენოფლების, პრემირებული ლამაზმანების და პრიმბალერინების სურათები და ისიც, როცა თავის თავგადანსავალს და დასაველეთის ცხოვრების უმცირესს დეტალებს უამბობდა ხოლმე თარაშ ემხვარ.

თარაშს აღმოსავლური ჩვეულებისამებრ ფრთიანი სიტყვით თხრობა ემარჯეებოდა. მაგნოლიების ვაზას წასწვდა, ერთი კუყურგახსნილი გადმოიღო, სული შეუბერა, ფრთხილად, სულ ფრთხილად გაუშალა პირი მაგნოლიის ყვავილს და თამარს ეუბნება:

„ამ ყვავილს ხომ ხედავ, შორიდან რომ უყურებ იგი ერთი ჰგონია კაცს, ახლოს ნახავ, გარეფურცელს შემოხსნი, შიგნით კიდევ ფურცელი რჩება, იმას

რომ შემოხსნი კიდევ ფურცელი, შემოხსნი და კიდევ ფურცელი, კიდევ და კიდევ და აგრე, სანამ ყვაეილის თასში დაგროვილ თესლამდის არ სწავლავი".

ასეთი ადამიანიც, ამბობდა თარაში, ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს ოგი უწყვეტელ მეთამორფოზას არქმევედა ამ მარადეამულ სახეცელას ადამიანის სულისას და სხეულისას.

მეო, ამბობდა თარაშ ემხვარ, არასოდეს არ მომეწყინებო, რადგანაც ვიცითო, ყოველ წუთში სხედასხვა ვხდებიო.

გვარის რომანტიკა ქალს არ ესმის, ან რად უნდა ყვარებოდა თამარს თავისი გვარი, ან ვის უნდა ახალ დროში დიდგვაროვნება? დიდი გვარი, დიდი გვარიო ჩვენს დროში.

შარვაშიძეებს ხმლითა და მათრახით სახელი მოუხვეჭიათო.

მერმე რა?

თარაში უამბობდა ლეონ აბხაზთა და ქართველთა მეფის ამბავს, თამარ მეფის ერისთავის დაღათო შარვაშიძის თავგადასავალს. რომელიღაც აბხაზ რაინდებს ასახელებდა კიდევ, სიმონ მეფის ხელქვეითებს, სააკაძის თანამოღაშქრეებს.

თარაშ ემხვარსაც ხომ ტვირთად აწვა თავისი გვარის მემკვიდრეობა. რევოლუციამდის ასეთი გვარის პატრონი ყოველგვარ კარიერას იოლად გაიკეთებდა, სახელსაც უფრო ადვილად მოიხვეჭდა.

რადგან სახელი ისეთი რამეაო, აქ ხრმლით მონახვეჭი, კალმით შენაქმნი და ფულით მონაპოვარი ყოველივე ურთიერთს ემატებაო.

„რევოლუციის დროს რა უნდა ჰქმნას დიდგვაროვანმა ახალგაზრდამ?“ ამბობდა თარაშ ემხვარ.

არასოდეს ისე სასტიკად არ განუქითხავთო ადამიანი წინაპართა თვისთა ცოდვების გამო, როგორც რევოლუციების დროსო. რადგან ყოველ დიდ-რევოლუციას ასე სჩვევიაო, სისხლს უხვად ხარჯავსო, მაგრამ ყოველკაცს უხვადვე აზღვევინებსო სისხლისთვის და წარსულისათვის.

სისხლი სისხლის წილო...

გაისმისო ჯერაც მთელ ქვეყანაზე ახალი გრგვინვა ახალი დროისა.

და სისხლი წყლის წვეთსა ჰგავსო.

სისხლი წყლის წვეთსა ჰგავსო, წვეთს გამოუშვებ და ზღვა გამოჰყვებაო.

თამარი ჯერაც უსაკო ქალი იყო, თარაშ ემხვარ უცხოეთში ჩარჩა, ამიტომაც ორიენი იოლად გადაურჩნენ განკითხვის გზიგაღას.

ძველად ემხვარი შარვაშიძესავით ცნობილი გვარი არა ყოფილა, მაგრამ უკანასკნელ საუკუნოებში ემხვარი შარვაშიძეს გაუტოლდა და მთავრის ტახტს წაეპოტინა. სამაგიეროდ ორი უკანასკნელი საუკუნის შანძილზე ორჯერ ამოუწყვეტია შარვაშიძეს ჩაქმეული ემხვარების ერთი შტო. უფროსი ძმა ხონთქართან გაქცეულა, ხოლო უმცროსი მძიმედ დაჭრილი სამცხე საათაბაგოში გაუხიზნავთ. თარაშის წინაპარი სამურზაყანოში ეცილებოდა შარვაშიძეს, შარვაშიძეს მაინც ვეღარ ერეოდა ემხვარი, ხან დადიანს მოიხველიებდა, ხან იმერეთის მეფეს, საერთოდ ფრად ოსტატურად სარგებლობდა საქართველოს ფეოდალების უგუნურ კინკლაობით. თურმე თამარსაც განაგონი ჰქონია, რომ თამარისა და თა-

რწმის ოჯახებს რამოდენიმე თაობის მანძილზე აშორებდა უსახშიოდ დაღვრილი სისხლის კოშმარი.

სასელებით უბრალო, ბალღურმა მიზეზმაც იქმარა ორი, განუცხადებელი გვარის დასატაკებლად. თამარის პაპა მანუჩარ შარტიშვილი მანუჩარისათვის ბავლის გაგდებას ზეიმობდა. ნადიმი ჯირითით და სისხლისღვრით დასრულდა. ჯირითში მონაწილეობა მიუღია თარაშის ბაბუს ასთამურს. მკერდულში მანუჩარ შარვაშიძეს უჯობნია, ხოლო როცა ცხენები სხაპის თამაშზე მიადგეს, აქ ასთამურმა პილო პირველობა. გაცეცხლებულმა მანუჩარმა მოულოდნელად მკერდულით მიუშვა თავისი ცხენი ასთამურის ცხენზე. ასთამურმა მკვებე სიტყვა აკადრა მასპინძელს, მაშინ ლეკური იძრო მანუჩარმა და სამყურასავით წააწყვიტა ასთამურს თავი.

იმ საღამოსვე ოქუშის სასახლეში მიუტანეს ძიძაშვილებმა ეს ამბავი ასთამურის მეუღლეს ჯარამხანს. ჯარამხან მთელს აბხაზეთში განთქმული მოჯირითე, მსროლელი და მონადირე იყო. გადაიკვა თურმე თავისი ქმრის ხარის-სისხლისფერი ჩოხა, ჩაბალახით თავი გაიკრა აბხაზეთად, წელში დამბაჩა გაიკრა, შეიღწლიანი ვაყი თავისი ჯამსული ტახტაზე შემოისვა და შეღამებულზე მანუჩარის ვრცელ ეზოში შეაჯირითა ცხენი: სტუმრებზე დაშლილიყვენენ, დაქანცული მეითარები და ძიძაშვილები ნასუფრალს მოსხდომოდნენ საშინაყმში, დაცარიელებულ სასახლეში ქონის ქალები ხრჩოლავდნენ. თავათ მანუჩარ ახალმისამარა აივანზე წამოწოლილიყო მხარეთმძზე, სპარსულ ნარგილეს შექცეოდა. ის იყო ბიკებს გფადსაჩა/მანუჩარმა, ნარგილეს წყალი გამოუცვალეთო და ამ წყლში ბაღლი ჯამსული გავიდა აივანზე და დაზვერა იგი. ბაღლი შინაური ეგონა ასთამურს „წყალიო“. ჯამსული ხმის ამოუღებლად გამობრუნდა დედასთან.

კიდევ დაიძახა მანუჩარმა „წყალიო“ და ხარისსისხლისფერ ჩოხაში, მორთული ლანდი დაადგა თავზე. მანუჩარ ცრუმორწმუნე იყო, ბევრი რამ გაეგონა მიცვალებულთა სულების მობრუნებისათვის. ჩოხა ეცნაურა, ასთამური ეგონა, შიშისაგან ათრთოჯდა, მაგრამ მაინც წამოიწია და ამ დროს დამბაჩა მიბალა. ჯარამხანმა პირში. ცივად გამობრუნდა ჯარამხან, ჯამსულს ხელი წამოუქსვა და ვიღრე მეითარები და ძიძაშვილები გონს მოვიდოდნენ, ჯარამხან გაუჩინარდა.

მერზე მაჰაჯირებთან გადაიყვანა ჯარამხანმა ჯამსული ოსმალეთში. ოქუშელი ემხვარების გვარი ჯამსულის უფროს ძმაზე, ერამბუტზე შეჩერდა. ერამბუტტი ჩემი მელანქოლიით იყო სნეული, შეშლილიაო — ამბობდნენ, ამიტომაც ხელი არ ახლეს შარვაშიძეებმა.

ზეზეურად ჩამოდნა დამარტოებული ერამბუტ. არც კოლი შეფრთავს, არც კორპუსში წასულა, ქორითა და მიმინოთი ნადირობას გულს აყოლებდა. მღუშარეთა ორდენის წევრივით, მუღმივ დუმილს იცავდა, თავის ერთადერთ ძიძაშვილს არ იშორებდა. შემოდგომაზე მწყერაობდა, ზამთარში ავადმყოფობდა.

დაღმდა ემხვარების ოქუშელი სასახლე, არც შარგების და მეითარების გრიამული ისმოდა, არც მეძებრების მხიარული წყაფწყავი. არც მოქეიფეთა და მერინაბეთა ვნიასო, არც ქალწულების მიერ ჩონგურის დაკრა და ნაზი აბხაზეთი სიმღერები. ყველა რიდით გვერდს უვლიდა ჩაბნელებულ ოქუშელ სასახლეს. ასე

ამბობდნენ: ერამხუტს ლამის სულერთან მისვლამოსულა აქვს, ეშმაკს განდობიაო.

თარაშის დედას შემოენახა ერამხუტ ემხვარის სურათი ^{ჩინკანდელი} ფრანგი მოგზაურის მიერ ნახატი.

სავსებით გამოხუნებულ ტილოზე ოდნავ გამოკრთის მაღალი, ხმელი, გაფითრებული შეჩოხიანი კაცის მკრთალი სილუეტი. ზემოტანი სამკუთხედს მიუგავს, პირუკმოდ დახატულს. ვიწრო, ვიწრო წილზე, ძველებური, ზარნიშოანი ქამარი არტყია და სავსებით სადა, შავი ძელის სატევარი. იგი ჩრდილების სამყაროდან მოსულ სტუმარსა ჰგავს მაღალზურგიან სავარძლის გვერდით ლანდივით მდგარი. საშინელი მარტოობა ცხადდება მის აწურულ აღნაგობასა და ფერმიღებულ სახეში.

ასე განმარტოებული სცხოვრობდა ერამხუტ, ეამიდან ეამზე, სადაც გადაიკარგებოდა, ოქტომში ამბავს დაადგებდა: დიგორში მამის ძიძაშვილებთან მივდივარო. სამღვლიად კი თავის ძიძაშვილს თან წარიტანდა ჩერქეზეთში გადადიოდა და შაშვილის ვახავატში იღებდა მონაწილეობას. შემოდგომაზე ოქტომის სასახლეს უბრუნდებოდა მკირეხნით, მწყერობას მოათავებდა და ისევ გაუჩანარდებოდა. ერთ შემოდგომაზე მძიმედ დაკრილი, ნაბადში ვახვეული ჩამოიყვანა ძიძაშვილმა. ოქტომში ხმა დაადგო: დათვზე ნადირობის დროს დაიჭრაო. ერთი წლის შემდეგ ნატყვიარები მოუშუშდა ერამხუტს. ისევ ჩერქეზეთს წასვლაზე დაიწყო ოცნება.

ყოველ ქვეყანაში, სადაც რამოდენიმე რელიგია ებრძვის ურთიერთს, ცალკეულ რელიგიას განსაკუთრებულის ფანატისმით მისდევენ.

ახახუთში ოდითგანვე ჰიდილი იყო ქრისტიანობასა, მამადიანობასა და წარმართობას შორის. ამიტომაც ვასაგებია, რომ ერამხუტ უაღრესად მორწმუნე იყო და სწორედ ამ უკანასკნელად წასვლის წინ თავის კარის ეკლესიის მღვდელი დაიბარა, თავათ ნაბადში გაეხვია, თითქოს წინააწარ გრძნობდა წესის აუგებლად რომ დაიშორებოდა და სთხოვდა ხუცესს დავითნი წამიკითხეო. მღვდელი ვერ მიუხედა თუ რას ჩადიოდა ერამხუტ და როცა თავისი სურვილი დაბეჯითებით გაუმეორა ტაბტზე მწოლარემ, მღვდელმა დავითნი წაუკითხა, გაოცებული მოძღვარი წავიდა და ერამხუტის საქციელი სულიერად დაავადებას მისას შიაწერა.

ძიძაშვილი ქალაქში თოფებს ყიდულობდა, სატევრებს ლესავდა, კარტერს შოულობდა ნამალეგად. ასე ემზადებოდა ერამხუტ ზამთრის ლაშქრობისათვის, მაგრამ „აურუსებმა“ ეშმაკობა გაუგეს და ერთ დღეს ოლქის უფროსმა თავის ამალით ერამხუტის სასახლის აივანზე მიავლო ცხენი. სწორედ იმ დილით აპირებდა ერამხუტ ჩერქეზეთს წასვლას, ძიძაშვილი ცხენებს კახმავდა. თავათ აივანზე იღვა და ახალახის ღილებს იბნეედა.

უსიტყვოდ იგრძნო მასპინძელმა თუ რად მოსულიყვენ ეს დანუპატყებელი სტუმრები. შინ შებრუნება და თოფის გადმოღება დააპირა, მაგრამ ძიძაშვილი თან არ ახლდა, ბრძოლა უნაზრო ეჩვენა. ადგილიდან არ დაძრულა, ხელი არ ატოკებია, ისე შეიბნია ოცდათორმეტი ღილი. შემდეგ ჩამოვიდა უქამროდ კიბეზე სიკვდილის ანგელოზივით გაფითრებული და ნაძალადევი თავაზიანობით მიიპატიჟა უსიამო სტუმრები.

ოქტის უფროსი ქართველი იყო, პურმარილის მიღება არ ინდობა, ეს ლაწილულულა: „აურუსების მეფე პეტერბურგს გიბარებსო“. ქართველი ძიძაშვილი გაიყოლა ერამბუტმა, თავისი საყვარელი ფეხდასმული ქორი თან წარიტანა. ოდესამი ხმელზე გადმოსულმა ქორი გამოუშვა.

ფოლადისფერი ქორი ოქტის სასახლეში მიბრუნდა, თავის გარაბადზე ჩამოჯდა და ქორის პატრონზე არავის არაფერი სმენია ამის შემდეგ ემზარების ოჯახში.

VI. გენერლის კალმასობა

სწორედ იმ წელიწადს, როცა ფოლადისფერი ქორი მიბრუნდა, ოქტში ერამბუტის უმცროსმა ძმამ ჯამსულ ემზარმა მოაღწია. დედა ოსმალეთში, ერთ ლაზურ სოფელში გარდაცვლილიყო. ჯამსულს დაგვაცაცების უმაღ აბხაზეთი მონატრებოდა. არ სკამდა, არ სვამდა, ცვილივით ჩამოდნა მაჯაჯირებმა შეიცოდეს ქაბუკი და აფხაზეთში გამოგზავნეს. შვიდი ხარი დაუკლავთ იმ დღეს ილორის წმ. გიორგისათვის ზეამბაიებსა და ავირბას—ემზარის ძიძაშვილებს.

ბედებმა, — ჯარამხანის ძებმა კორპუსში გაგზავნეს ჯამსული. ერამბუტის ლალატით გაგულსებულმა აურუსებმა კორპუსის დასრულების შემდეგ აბხაზეთში არ ჩამოუშვეს ჯამსული და ვოლოგდის გურგინიაში იმსახურეს. მერმე ის იყო მსოფლიო ომიდან ცხრა ჭრილობა ჩამოჰყვა ჯამსულ ემზარს, გენერლის ჩინი და აურაცხელი რუსული ორდენები. სამ წელიწადს მენშევიკურ საქართველოს ჯარში იმსახურა ჯამსულმა. მრავალი აჯანყების ჩაქრობაში წილი დაიდო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში სოხუმის თუთუნის პლანტაციები და ოქტმელი მამულები მიჰყიდნობიდა, ეს ფული თათრულ ლირებზე გადახურდავა, ცამეტი წლის თარაში სკოლიდან გამოიყვანა და ევროპაში გაქცეულ მთაგრობას თან გაჰყვა. ჯამსულის დედა ოქტის სასახლეში დარჩა, „ფუძის ბატონის“ მოსაველედა.

გაუძეულდა ბერიკაცს ახალი და რთული ცხოვრების შეგება. აბხაზურ ჩოხას, გენერლის ჩინს და ორდენებს მიინც არ იცილებდა. სტამბოლში ვიდაც ხუშარა ბერძენმა. გვერდივთ გაუარა, ახლოს მიეჭრა და პირჯვარი მიიწერა ორდენების მისის კანკელს.

შემდეგ დაიწყო ჯამსულ ემზარის მძიმე კალმასობა მთელს ევროპაში, გენერლის სამსახურის საქებრად. სტამბოლიდან იტალიას ჩავიდა, ვიქტორ ემანუელს ეახლა, დიდხანს იარა ქვირინალში, კოლონიურ ჯარებში წარგზავნას დაპირდნენ, მაგრამ დაპირება დაპირებდად დარჩა.

იტალიიდან ბულგარეთს ჩავიდა, იქ ბულგარეთის მეფეს წარუდგინეს იგი „ვითარცა გენერალ ქვარტირშიესტერ და აბხაზეთის პრინცი“. მაგრამ იქრუსის გენერლებს ჩაესწროთ და საკუთარი გენერლებიც თავსაყარი აღმოჩნდნენ იქ. ბულგარეთიდან პილსუდციის ეახლა. პილსუდციმ მეტი ყურადღება გამოიჩინა, ბელვედერის სავარეო დარბაზში მიიღო, გამოიზაფხულებამდის დამიცადეო და ერთკვალერიის მოსახლერე ესკადრონის უფროსობა აღუთქვა, მაგრამ ეს ეს-

კადრონი საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან მოხსნეს იმ ზაფხულში და უკვე შეიკრიბა და დაეგზავნეს, ასე რომ გენერალ ემზვარ უესკადრონოდ დარჩა.

კოპენჰაგენში დანიის სამხედრო მინისტრი გააცნო ჯანსაღსა და უსაფრთხოებას რუსის ქალმა, წმ. გიორგის ორივე ორდენი უჩვენა მინისტრის სამსახურის ბარათი, ორდენებიც მოუწონეს და სამსახურის ბარათიც უქეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გერმანიაში საკუთარი მეფეები და გენერლები შტატს ვარეშე დასტოვა რევოლუციამ.

აბხაზურ ჩოხას და ორდენებს მაინც არა იშორებდა, არც თავის თეთრ ჩაბალახს. ქუჩებში მოკლილი ხალხი დასდევდა, იაფფ სიან სასტუმროებში ჩერდებოდა. პოტელინ ადმინისტრაციას არა სჯეროდა, რომ ბრწყინვალე თავადი და გენერალ ქვარტირშიასტერ ანეთ სასტუმროში თუ ჩამოხტებოდა, მისი პასპორტი პოლიციაში მიჰქონდათ, ინტერნაციონალურ-ავანტიურისტებისა და ცრუ თავადების ოჩენებით დაშინებული ბერლინისპოლიცია წარამარა განმარტებებს და დოკუმენტებს მოითხოვდა მისგან.

გაქრდა ბერიკაცია, ასე უგონა მას განზრახ მტრობდნენ და ავიწროებდნენ. ერთხელ ვიღაც სამხედრო პირებმა სადილად დაპატივეს სასტუმრო ადლონში. წესისამებრ გენერალ ემზვარსაც გაეცხლებული თევში დაუდგეს წინ. ათანადო კერძის ჩამორიგებამდის. გენერალმა ხელსახოცი აიღო, სიინის გაწმენდა უნდოდა. ცხელმა საინმა ხელი დამწვა. გაბრაზდა, დამკინიანო იფიქრა და სილა აქამა ლაქიას.

თარაშმა ადრე შეითვისა უცხო ენები. ეცოდებოდა მოხუცი მამა, ბევრი უქადაგა, მაგრამ მაინც ვერ გააგებინა, თუ როგორ უნდა გამოსულიყრ ფრანგულ უკანონო ხმნიდან „ააღუ“ — „ეა“, გერმანულ „გაქენიდან“ — „გეგანგენ“ რნგლისურ — „გაოუ“-დან — „უნტ“.

განსაკურებით ინგლისური ენა სძაგდა. ეს ენაო, ამტკიცებდა გენერალი, ალბიონის გულამაყ ძეგებს კაცობრიობის საწამებლად გამოუგონიათო. ჩვენებური ალუჩა თუ არ ამოიღევი ენის ქვეშ, იქვე ვერ ილაპარაკებო. მიტომაც განუზომელად იტანჯებოდა მოხუცია. ვაგონების, სასტუმროების, რესტორანების ავტომატიურ ფებსადგილებში ჩაიკეტებოდა და დიდის ვაივაგლახით ახერხებდა გამოსვლას. ვანების და შაპების ოჩანების წარწერას ვერ არ ჩევედა და მუდამ იმდულრებოდა. საქმელების ნუსხას ვეღარ კითხვლობდა და მუდამ ღორისხორცე, ლოკოკინა, ან ზღვის კიბო მოჰქონდათ მისთვის, თუმცა როგორც ტრადიციული აბხაზი არც ერთს არა სჭავდა. მეტროპოლიტენებში, რკინისგზებზე — ომნიბუსებში ბილეთები ეკარგებოდა, მიწისქვეშა მატარებლებსა და რკინის გზების ტონელებში მუდამ გზა ებნეოდა, აჯარიმებდნენ, უწყობდნენ და ტუქსავდნენ.

ქუჩებზე გადასვლიას ავტომობილების ეშინოდა, უდროოდროს გაექცეოდა ერთ ტალდას ავტოებისას და სწორედ მეორეს უფარდებოდა ფერხითით. რამოდენიმეჯერ ხიჯათი შეემთხვა.

ველარ გაართვა თავი დიდი ქალაქის ციკლოპიურ შენობებს. მუდამ კითხვა-კითხვით უხდებოდა შინ დაბრუნება. „ა“ და „ბ“ — ნომბრებს ველარ იმანსორებდა, მუდამ სხვის ტალანებში, სხვის ბინებში შედიოდა, სახლის ტალანში

დაუყოთხავად და ქუდმოუხდელად შესვლისთვის ჰჭირდადენენ, გარედ ~~სვე~~ ბუნენ. ზუსტი გალოშები არ გაიხადა. ბერლინელი საშინელი წვიმები იქედამ გულს უკლავდა. მაჯაგანით გაახდევინა თარაშმა ჩოხა.

ვეროპული კოსტაუმი რომ ჩაიცვა, ასე მგონია კაბა ~~მეცხეჩიქუთუშუგის~~ ვერ შეეგუა, მღვდელი ხომ არა ვარო. თავის თეთრ ჩაბალახს ველარ შეელია. ახლა ჩაბალახის გამო აუტყდა ქუჩის ბრბო. ვერავის გაეგო რად ეკრდა ბერიკაცს კისერზე ეს თეთრი შალის ნაქერი. ზოგს ეგონა პირსახოცი კისერზე შერჩენილი. ამ ჩაბალახმა შინც მრავალ უსიამოვნებას გადაჰქიდა მოხუცი. მუდმივ წვიმების გამო დაისვარა, გაიზინთა თეთრი ჩაბალახი. ერსასატუმროში გვიანამდის დარჩა. ჩაცმისას ჩაბალახი ხელიდინ გაუვარდა ნაღვი-ნეგს. მიეჭრა ვილაც თავზედი ამერიკელი, დაინტერესებულმა ხელი წააელო ჩაბალახს და რაკი შეატყო: ბერიკაცმა ინგლისურა არ იცოდა, ჯერ ლოყაზე გაი-სვა ჩაბალახის ტოტი, მერმე ხელზე, ჯამსული სდუმდა. ახლა თავის ყავისფერ ბოტუორზე წაისვა. მუნჯურად ეკითხებოდა: პირის საწმენდად გინდა, ხელისა, თუ ფეხსაცმელისაო?

მაშინ გაუშალა და ისეთი სილაქამა ჯანსულ ემზვარმა ამ გათავებდებულ ამერტკელს, რომ საში ხელოვნური კბილი ჩაუღწა.

დადარდიანდა მოხუცი, მწუხარებით აეცო გული. არ იქნა და ახალ პი-რობებს შინც ვერ შეეთვისა.

ველარ გადაეჭია მუხუტუმებში ქანდაკებებისა და სურათების ხე-ის ხლე-ბას. ვაგონების ღია ფანჯრებიდან თავის გადმოყოფას, იატაკზე დაფურთებას, უცხო კაცისთვის გაუცნობლად გამოლაპარაკებას, ვაჟელელისათვის ასანთის თხო-ენას და ისეთ კარებსა და ეზოებში შესვლას, სადაც ეწერა „აკრძალულია“-ო.

შინც ისეთი საოცარი ბედი ჰქონდა ჯამსულ ემზვარს, საითაც არ უნდა წასულიყო, სწორედ ასეთ „აკრძალულ“ კარებს მიადგებოდა.

მუდამ მევე და პილპილიან საქმელების მონატრული იყო.

დაიხუთა ბერიკაცი ციკლოპიურ ქვის შენობებში, მუდამ მწვანეზე ოცნე-ბობდა და მიშველი მიწის სუნი ენატრებოდა. ამიტომაც პარკებსა და სკვე-რებში განუყოთხავად გადადიოდა მწვანე გაზონებზე, ხან მოტოციკლების და ექლოსიპედების მოტვლევილ ბილიკებზე, ხანაც ფხვიერ საცხენო შარებზე სია-ოფლს არჩევდა, ამტრავაც მუდამ აჯარიმებდნენ, იჭერდნენ და ლანძლავდნენ.

დასწყველა გერმანია ჯანსულ ემზვარმა. მისი შორიგი აფშორიზში ასეთი იყო: გერმანულში რომ ყველას და ყველაფერს „აკრძალულია“-ს დააწერდნენ. კარგი იქნებოდაო, არც შვეიცარიაში დაადგა კარგი დღე. როცა იგი ბაზელ-ლში ჩავიდა, მთელი ქვეყნის ნამუფარები, ნამინისტრალები, და ყოფილი კრონ-პრინცები, პრინცები, თავადები აქ შეყრილიყვნენ. გენერლები ხომ სახვეტად იყო.

ბაზელში საფრანგეთის საელჩოს ატაშე დაინტერესდა ჯამსულის საშახტ-რის ბართით. მაროკოში მიიპარტკა, იგი აჯანყებულ რიფების დასაწყნარებ-ლად. რაკი შეიტყო რომ ყოფილი რუსის გენერალი აჯანყებების ჩაჭობის ოს-ტატი ყოფილაო. შტრამ ცალკრძ აფრიკის სიციხე, ცალკვრძ შორიელების შიშ-

მა შეაკრთო იგი და მიგრენი მოიმიზეზა. პარიზში კირილე რომანოვის მუტაფორულ სასახლეშიც ბევრი იარა. რუსეთის ცრუმეფე ყოველგვანან მუსლიმანთაგან ამზადებდა საგაზაფხულო ლაშქრობას ბოლშევიკების წინააღმდეგ. მისგანაღებულს ზაფხული მოსდევდა, როგორც ბუნების წესია, ხოლო ზაფხულს შემოდგომა და ზამთარი წინასწარ დათქმულ ციკლს ასრულებდა, მაგრამ ექსპედიციის ნაცვლად ბანკეტები იმართებოდა.

ერთ ზამთარს ლამანშს გადაღმა გადავიდა გენერალ ემზვარ. ნისლებმა მთლად გადარია ბერიაკი. ამ ნისლიან ლონდონისტიც, ჩემი ტალახიანი ოქუმი მიჩვენიაო, სწერდა ჯამსული ლონდონიდან თარაშს, და ოქუმი მუდამ პირზე ეყერა, დარწმუნებული იყო „ბოლშევიკები სულ მალე წავიდოდნენ“ და ოქუმი ში დაბრუნდებოდა გენერალი.

ლონდონში ერთმა რუსის გენერალმა სიერ ჯონსონ ხიკს წარუდგინა იგი. ხიკს იმ წელს ექსპედიციას ამზადებდა მურმანსკში დესანტის გადასასხმელად. აბხაზი პრინცისა და გენერლის გამოყენება გულწრფელად უნდოდა, თუმცა ვერც კი გაეგო სად უნდა ყოფილიყო აბხაზეთი, ან საქართველო. სანამ ჯამსულ ემზვარმა ჰომერის, სტრაბონის, ქსენოფონის, პროკოფი კესარიელის, როდოსელის და ლუკანის მიერ მრავალგზის შექმნილი კოლხიდა, არგონავტები და მდინარე ფაზისი არ გააბხენა; სიერ ჯონსონ ხიკს წარმატებით სწავლობდა თურმე კოლეჯში კლასიკურ ენებს და ამ გარემოებამ გაჰფანტა მის თავში წარმოშვებული ბურუსი.

მაგრამ ვიდრემდის ხიკს ძველი კოლხიდის ამბებს თავს გაართმევდა, მურმანსკში ექსპედიციას მოაწყობდა, თურქული ლირები საშინელი სისწრაფით დასცა ერთმა ამერიკელმა ბანკმა, ხოლო ლირების პატრონი გრამმოფონის ფირფიტების ქარხანაში შევიდა პარიზში.

თარაში გერმანიაში სწავლობდა, რადგან აქ ვალატის ინფლაცია იყო.

მრავალი წლის მოუსვენრად ხეტიალმა მთელს ევროპაში, ქალაქიდან ქალაქად, სასტუმროებიდან სასტუმროებში ყიალმა. ჰიპოზონდრიით სნეული — მამის პატრონობამ და დარღმა, ახალგაზრდა თარაშის გულიც დასეტყვა. დედა ოქუმის სასახლეში მიწა დედობილს სდარაჯობდა, ეამიდან ეამზე დედაბრული ხელით დაწერილი ბარათი მოსდიოდა თარაშს. ყოველდღე დროს ნიშნავდა საპასუხოს მისაწერს მაგრამ შეგნებულად გაურბოდა იმ მღელვარებას, დედისადმი წერილის მიწერისას, რომ განიცდიდა.

წისქვილები და მამულები ბოლშევიკებმა წავგართვესო, სასახლეში, სკოლა გამართესო, მე და ცირუნიას ერთი პატარა ოთახი-ლა დაგვიტოვესო, შენმა ცხენმა ოქროსფერი კვიცი მოიგოო, არზაყანი კომკავშირში შევიდაო, ეკლესიას ჯვარი მოხსნესო, მღვდელი კომკავშირელებმა გააკრიტიკესო, წმინდა თებრონეს ძვლები მონასტრიდან გარედ გამოყარესო, მონაზნები გარეკესო და ტფილისის აბრეშუმის ქარხანაში სამუშაოდ გააგზავნესო. დიაკონი ქაში ჩახტაო, ამოიყვანეს და ცოლი შეერთოო, ახლა ოქუმელი დიაკონი კოპერატივის მოანგარიშედ დადგაო; და ფსალმუნის კითხვას ბალანსების შედგენა არჩიაო. მღვდელმა სევასტი ლაკრბაიამ ანაფორა გაიხადაო და ახლა უღმერთოთა საზოგადოებაში მუშაობსო, ოცდახუთი წელი ღმერთის ქებით თავს ირჩენდაო და აწი თავისი სიბერე ღმერთისგანობით უნდა გაათროსო.

ოქუშის ეკლესიის ხატები ყაზალებსავეთ შექერესო და ტფილისის ძუჭუჭუმში გადააგზავენსო, ხალხი დაფეთებული უკან მისდევდაო, ყველაფერი უძლვოდინში იყოო, ხატები იძალბდნენ და ბოლშევიკებს რამეს მოსწყვდნენთა მადრამ ბოლშევიკები გადარჩნენო და ანუსია მონაზონმა აბორტი გაიკეთაო.

არც იმას უშალაედა დედა, სახლს რომ აწვიმიდა, რადგან ძველი ყვარო დაშალიყო და ახლის მომტანი არავინ სჩანდა. თარაშ ემხეარს საქართველოს რუკა ჰქონდა კედელზე გაკრული, თავის პატარა ოთახში, მიუნხენში. რუკასთან მივიდოდა თარაშ, მოსძებნიდა სულ პაწია წერტილს ამ პატარა რუკაზე — ოქუშს.

ოქუშს იგონებს თარაში და მხედავს პატარა თარაშ ემხეარს კაც ზეამზიას ეზოში ფულურო მუხის ქვეშ არზაყანთან მოთამაშეს.

„აიარე — ბაიარე“.

მღერიან თარაში და არზაყანი.

ბაიებს თავს წააწყვეტდენ, მოლზე დააწყობდენ. ბაიის ყვავილები მათი წიწილებია. არზაყან გვირილის ყვავილსაც გამოსძებნის.

ეს კრუხია.

„წიპ, წიპ, წიპ“, იძახის არზაყან და არზაყან არზაყანი როდია, არზაყან თარაშის ძიძა და თარაში თარაშ ემხეარი როდია, თარაში მეზობლის ზეხაა.

„ჩემი წიწილი შენს ბოსტანში გადასულა.“

„არა ეს ჩემია“.

ჩხუბობენ თარაში და არზაყან, მზეხას და ძიძას ბაძვენ.

წამოვა წვიმა, ეზოში წყლის გუბე დადგება ეს დიდი გუბე შავი ზღვაა. ცარიელი კოლოფი ჩააგდეს, ეს ვეშა ოჩამჩირესთან მიმდგარი. ბეე, ბლავის გემი მეზობლის ვერძივით.

ვინ ხარ მამაცი, ჩამოიტანეთ სკივრები, ზანდუკები ოქროთი და ვერცხლით გაესილი, დედას მოუტანეთ.

ბეე, ბლავის გემი და წასვლა ეჩქარება.

გუბიდან პაწია ღელეს გამოუშვებენ, ჩალის ღეროდან ღარს და ბორბალს გააკეთებენ, კისკისებენ როცა წყალი ბორბალს შეატრიალებს. გამოშვონებულის პირველი სიხარულით ივსება თარაშისა და არზაყანის გული.

ღელემ ნაპირი გადალახა, არზაყანის ყანები წაიღო და ახლა არზაყანი და თარაში ისევე ჩხუბობენ, როგორც კაც ზეამზიას და მისი მეზობელი მამაგაეშა.

ჯობებზე ჯიროთობენ არზაყანი და თარაში და ბედაურებზე ვზივართო ჰგონიათ. მკერდულსა და სხაპს აქნევენებენ „ცხენებს“, ხანაც „ბედაურს“ მიაქროლებს თარაშ, რამოდენიმე მარკაფა „ცხენი“ მიჰყავს არზაყანთან, როგორც ცხენის ქურდ თავადებს მიჰყავდათ ხოლმე კაც ზეამზიასას სახლში, ნაქურდალი ცხენები ყაბარდოში გადასაგზავნად. ასე გოროზობენ არზაყან და თარაში, დიდ მოჯირითებულ თავი როაკეთ. ნიგვზის შტოს მოუქნევენ „ლეკურს“ და ისე წააცლიან ფოთლებს, როგორც ერამხუტ ემხეარს წაუტლია თავი ყაზახების ოფიცირისათვის, ასეთი დიდი გმირებია არზაყანი და თარაში, მაგრამ ჯერ მამალი ბატის ეშინიათ და შუკაში ვერ გასულან მეზობლის ვერძის რიდით.

და საღამოს ეამს, როცა გრძელი ღანდები აიტუზებიან კაც ზეამზიას ფაცხის ქუთხებში, არზაყანი და თარაში უკვე წვანან, შიშისაგან ცახცახებენ და ურთიერთს ეხუტებიან. ძიძა რძეს აუდუღებს ბალებს და დაძინების წინ უამ-

ბობს წაბლისფერ თმიან წყლის დედის ამბავს. და წყლის დედას თურმე წინ ტაბლა უდგას, ტაბლაზე სარკე და სანთელი შეიდი. დაფრეხეხეხე უდგარა მონადირეს ათ თითს უჩვენებს, ათი წელი ერთად დაწვეთოფიკლ...
ვინ უნდა იჩინეს წყლის დედა?

ვინ მონადირე?

არზაყანსა და თარაშს ცილობა მოუვით ამის გამო.

ბოლოს განჩინებას გამოიტანენ: არც ერთი.

ძაბული უნდა გახდეს წყლის დედა, რადგანაც ძაბულისაც წაბლისფერი თმა აქვს.

ლაფაროში ლეკვები წყმტუნებენ, მოზერები და ძროხები ბლავიან. ბავშვებმა იციან რა ბლავის, მაინც ეშინიათ, ვინ იცის რაა? მუხის ფულურობმა ბუები სცხოვრობენ, ეს იციან, მაგრამ ცუცხლისთვალემა ეშმაკები ელანდებათ.

ზაფხულზე ქაცვამბაიას მიჰყავს ბავშვები მთაში, ტყეების უფალის — „მიზიტუს“ პირველ ყვავილების სადღესასწაულოდ. შინ დარჩენილები სახლებსა და ფაცებებს ყვავილებითა და მშვანით მორთავენ. წინა ლაქით ძიძა და სხვა შობუცი დედაკაცები სიშღერითა და თოფის სროლით მიდიან ტყეში ხუთყურა ყვავილის მოსახეჭად, თარაში და არზაყანი კი სოფლის ბიჭებს გაჰყვებიან საგანძურის საძებრად. სიშღერითა და დამბაჩების სროლით ბრუნდებიან სოფელში. მუხის ფოთლების გვირგვინით შუბლდამშვენებული ლომკაც ესვანჯია მოუძღვის მზიარულ პროცესიას.

წყლის დედა წყალში სცხოვრობს და ოჩოკოჩი ქალებში დააბოტებს. ამიტომაც ეშინია საღამოს ქალებში გავლის.

ლეღვით ხეს პატარა ძეძუების მინაგვარი ხორკლები ატყვია.

ლეღვის ხე ძიძაა, ხორკლები ძეძუებია. მარცხენა არზაყანისაა, მარჯვენა თარაშის.

მორღუ უახლოვდება. ლეღვის ხეს, თარაშ ცალ ფეხს მიადგამს ხეს და მორღუსავით ბუტბუტებს.

„ზეო შენი შადლი და სიკეთე მომანიჭე, ხიდან უვნებლად ჩამომიყვანე, ნედლე შევდგე და გამიშარდეს, ხმელზე შევდგე — გამინედლდეს“.

და ქარის სალოკავიც იცის უკვე თარაშმა. ძიძა დიდ ჭადს გამოაცხობს ყველით სავსეს. ბავშვებს ეზოში გააქვთ ეს მკალი და ევედრებიან „ქარსა ქალბატონსა ჩინასა“.

თარაში და არზაყანი შთელი დღე ფესშიშველა დატოპავენ თბრილებსა და კაობებში, კიბოების დარანებს მიაგნებენ, ლორჯოებს იჭერენ ლოდებს ქვეშ, გველებს და ხელიკებს ქვით უსრესენ თავს და ესენი გველები როდია, არამედ უშველებელი ურჩხულები; ხოლო ერთსაც და მეორესაც ურჩხულების მშტსერელ წმინდა გიორგად მოაქვთ თავი.

„ნან, ეხეწება თარაში ძიძას, „რამხელაა ილორის ეკლესიის ზარა?“

„რომელი ზარა?“

„დიდი ზარა“

ძიძა ხელს აჩერებს:

„ამ ხელა?“



„არა, ამ ხელა“.

„მაინც?“

„წისქვილის გელაზის ოდენა“.

„ნან“, შევედრება თარაში ძიძას.

„წმინდა გიორგი რაფერ ცხენზე ზის?“

„თუთრზე სქანსანთელო, სულ თეორ ცხენზე“.

„ნან“, კიდევ შევედრება თარაში ძიძას. გიორგობას დადია რატომ დაჰკეტავს ილორის კიშკარს?..

„დადია კიშკარს დაჰკეტავს, რომ ეზოში არაეინ შეუშვან, ვიდრედის წმ. გიორგი არ მოვა და სამსხვერპლო ხარს არ მოიყვანს“.

„მერმე, მერმე“?..

„მერმე დავენაცვლე იმის მაღლს წმ. გიორგი მოიყვანს ხარს.“

„მერმე?“

„მერმე დადია მოვა მეორე დღეს. ეკლესიას გახსნის და მსხვერპლს დაუკლავს ილორის წმ. გიორგის“.

„ნან, ილორში მართლა თუ არის წმ. გიორგის მშვილდი?“

„როგორ არა შვილო, მე მინახავს“.

„მორდუსაც უნახავს?“

„ყველას უნახავს“.

„ნან, ვის ესროლა ბოძალი წმ. გიორგიმ?“

„ვეშაპს ესროლა სქანსანთელო“.

„მერმე მოჰკლა, ნან“?

„მოჰკლა აბა რას იხამდა“.

ამოვა ახალი მთვარე, კაც ზეამბაია ხელს წამოავლებს არხაყანს და თარაშს, ჯერ მთვარეს უჩვენებს, მერმე სატყეარს იძრობს და გაოცებული ბალები მისჩერებიან გაშიშვლებულ სატყეარს მთვარის შუქზე მოვარაერს.

მთვარის ეშინიათ რატომღაც ძიძასაც და მორდუსაც. ამიტომაც მთვარის დღეს — ორშაბათს, მორდუ სამგზავროდ არ წავა, ძიძა თავს არ დაიბანს, არც არაეინ სვამს ოქტუმის წყალს ამ დღეს, რადგან მთვარე ამ დღეს გაკაპასებულია, ვეშაპებს, გველებს, ჯოჯოებს და ხელიკებს მოაწამვლინებს წყლებს.

ბაყაყს არ ჰკლავენ თარაში და არხაყანი, გველს თავის საბელით არ ახსენებენ და არც ცისარტყელას.

ნიგვზის ხეზე კაკალს არ მიამტკრევენ, თორემ მომავალ ზაფხულში კაკალი კერკეტი გახდებოდა..

თარაში არხაყანზე უფრო ნაზია, იგი ხშირად ცივდება, აცივებს და ფერს ჰკარგავს, ძიძა ასე ხსნის: „ზეცას რომ აკრავს“ იმ ცისარტყელას ბრალითაო, აღბად ბავში წყალში მიშინ ჩასულათ, როცა ცისარტყელა წყალს სვამდაო.

თავზე ყვერულს შემოავლებენ თარაშს, ძიძას და ძაბულის წყლის პირად მიჰყავთ თარაში, ორ შემწვარი ყვერული და ორი ღვეძელი თან მიაქვთ, ღვეძელები ენასავით წაგძელებულია და ამიტომ „ენებს“ უწოდებენ მათ. მდინარის გაღმა მორდუს ვერცხლის ქამარი სძევს, გამოღმა ჯამსულის ნაჩუქარი ვერცხლისავე სატყეარი. მდინარეზე აბრეშუმის ძაფია გაბმული

ძიძა ხელში აიღებს დედოფალას ფერადი ნაჭრებით მოპოტივს, თარაშ დააჩოქებს, დედოფალას თავზე შემოაველებს, შეივედრება ცისარტყელას. მან განკურნოს თარაშ ემხვარი. შემდეგ ამისა თავფლოს სანთლებს აწვთებს ძიძა, ბატონს წყლის დედას შეივედრება. ყვერულს და ლეველურს აწვთავლებს თარაშს, ლეველებს გასტებს, ნამუსრევს წყლის სულენს მიუგდებს. ძაბულის თავწაჭრილ მწარე კვახს გამოატანინებს. დედოფალას შიგ ჩასდებს, ირგვლივ თავფლოს სანთლებს აწვთებს და წყალში გადაავდებს. თანაც ლოცულობს: „ჩემი თარაშის ნაცვლად ამას ეთამაშეო“.

აპრილის დამდეგს ამშაპის დღესასწაული იწყებოდა. 16 დღეს თარაში და არზაყანიც კი მარხულობდნენ. წინა ღამით მთელი სოფელი აიშლებოდა და უხუცესის მეთაურობით ტყისაკენ მიეშურებოდა. სამღვთო მუხის ძირში დაბანაკდება ხალხი. უხუცესი ლოცვას წარმოსთქვამს, ლოცვის შემდეგ ნაბადს წამოისხამს თავზე და დაიმალება. ქალები და ვაჟები რიგრიგობით უახლოვდებიან მუხას, თვითეული მათგანი ჯერ აკოცებს და შერე ხანჯალს მიარქობს. შემდეგ ლოცულობს და ემთხვევა მუხას.

ყველანი სათითაოდ იჩოქებენ მოხუცის წინაშე და და აღსარებას გაანდობენ. სამაგიეროდ სანთლის ნაჭერს ლებულობენ მისგან.

ბავშვობაში ეს ყოველივე უსახლეროდ აოცებდა თარაშ ემხვარს, ახლა კარგად იცის, ეს ძველბერძნული მუხის კულტის ნაშთებია. მუხა ხომ ძვესის საყვარელი ხე იყო, და იგონებს თარაშ ემხვარ თებდან გამოფრენილი ორი შავი მტრედის ამბავს. ერთი დოდონაში რომ მიფრინდა და წმ. მუხაზე შემოჯდა. ენა აიღვა და ძვესის ორაკულის დადგენა რომ მოითხოვა. და ძვესს ამიტომაც „ფეგონაოს“ შეერქვა—მუხაში მცხოვრები: უამრავი შავი მტრედებით გაესილი იყო ეს მუხა და ამ შავი მტრედების ღულუნით ამცნობდა სამყაროს თავის გულის ხმას ძვესი.

თარაშ ემხვარ წიგნს ამზადებს კოლხიდის ფეტიშისმისათვის, ეს წიგნი უთუოდ დიდ სახელს მოუხვეჭავს მას, მაგრამ არ ეჩქარება თარაშს, რადგანაც იცის: სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა თავად მოგაკითხავს.

თამარიც გააოცა ამ ამბავმა. მას არასოდეს არაფერი სმენია აფხაზურ-მეგრულ მისტერიების და „წმინდა ტყეების“ კულტის შესახებ, რადგან მის ოჯახში რუსული ვიკმუნდირების ამბები ტრიალებდა მუდამ, ან რომელიმე რუსის (რქიმანდრიტს რამდენი საყვარელი აღმოაჩნდა, ვის როგორი მიტრა ეხურა თავზე და ალექსანდრე მე-III-მემ რომელ თავადს აკოცა მოტვლებილ თავზე, როცა იგი აფხაზეთში ჩამოეთრა. ან რამდენმა კნინამ შეიკერა აბრეშუმის ნიფხავი, სრულიად რუსეთის მეფის ღირსეულად შესახვედრად.

ღლები რიალით მიჰქრიან, ბაია მოილევა, მერცხლები მოვლენ, ალუჩა დამწიფდება, ბლებს ჩიტები დაესვეიან, ალუჩას მუხობლის ბავშები გაჰკრფავენ, ნივზის ხე „ღეკვებს“ გამოისხამს, ალუბალს ფოთოლი შეუყვითლდება და ჰურის ყანებს მოოქერილ ქოჩორს უვარცხნის შავი ზღვიდან მოვარდნილი ქალიკონი. ხეზე გასულ ვენახის ფოთლებში ლალის ფერი მტევნები გამოკრთიან. დაიწყება წვიმები, აფხაზეთისა და ოდიშის გაუთავებელი წვიმები. საძირკველში ობის სუნი ჩასდგება, სინესტის სუნი, ციების სუნი. სიმინდს ქო-

ჩორი შევერცხლება, მწვანე ტაროებს ყვითელი ფოთი გამოესხმება. ზაშინ არზა-
ყანი და თარაში ფოჩებს დააძრობენ სიზინდებს, გრძელ წვერულვას გიიყ-
თებენ.

ქართული

არზაყანი ხელში ყავარჯენს დაიქერს, კოკლობას მოიჭრებენ, მათ-
ხოვრად გადაცმული სისხლისაშლებია.

თარაში დიდი ბატონია თავის კაკლის ქვეშ მედიდურად წამოგდარი. ამ
დიდმა ბატონმა მოუკლა ამ კოკლ მათხოვარს ლეიძლი ძმა. და ძმამ ძმის სის-
ლი უნდა აიღოს.

ჩაბალახით პირშებურელი კოკლი მათხოვარი ძლივს მოკლანობს, მუხლები
უკანკალებს, წარამარა ოფლს იხოკავს შუბლიდან.

უკებ მათხოვარი ვაყვაცურად წელში გაიმართება, უბეში დამალულ დამ-
ბაჩას იძრობს და...

დუ, დუ, დუ, დუ...

დიდი ბატონი კუნძიდან გადმოვარდება და თარაში ღრიალებს სასიკვდი-
ლოდ დაქრილი დიდი ბატონის მაგივრად. არზაყანი „ბედაურს“ მოახტება და
გაქუსლავს. გარედ-კი სწვიმს, ლაფაროში უღლიდან ღორები ღრიტინობენ.
ეხოში კაკალი სკვია. დამწიფებულ ლელეს მოლალურები ეხვევიან და მაშინ
გიყვარდეს საფარიდან მშვილდისრის სროლა.

თორმეტი წლის თარაში და არზაყანი უკვე საგმირო საქმეებისაკენ მი-
იწვევენ.

ის როგორ იყო ჯვობა ფიფიამ ქაჯი რომ მოკლა? ეკითხებიან კაც ზემ-
ბაიას.

რამდენა ათასი ყაზახ რუსი დახოცა შამილის ომში ერამხუტ ემხვარმა?

კაც ზემბაია ასწავლის ბალებს უბელო ცხენებით ჯირითს, ხანჯლის ხმა-
რებას, ლეკურის მოქნევას, გაქნებულ ცხენიდან გადმოხტომას. ისევ ზედმოქ-
ცევას, ისინდის თამაშს.

ამოიღებს სატევარს კაც, უჩვენებს თარაშს და არზაყანს ცალკერძად გა-
ლესილს.

„გახსოვდეთ, სატევარი არასოდეს პირდაპირ არ უნდა ამგვროთ მტერს.
ენ სალახანებმა იციან ასე, სატევარს მარჯვედ უნდა წაავლო ვადაში ხელი,
ზემოდან ქვემოთკენ მოუქნიო და ჩამოსთალო.“

უკვე ჯარობაში, — ოსხაპუეში გამოდიან ბიჭუნები. განსაკუთრებით თარაშს
უყვარდა ოსხაპუე. იქ ხინტკირიას თამაშობენ ახლად მოჩიტული სოფლის
ტოლბიჭები.

ხინტკირია ოდიშურ-აფხაზური დუელის უძველესი ნაშთია, აწი უკვე თამა-
შად ქცეული.

გალმაგამოღმა დამსხდარი ქალვაეის წრეში გამოდის ორი სატევრიანი
ვაეი, მეტწილად რომელიმე თვალტუეუნას გამო ხუმრობით მოჭიშპე, ორივეს
ჩაბალახით თვალებს აუბვევს, მესამე, სატევრიანი ვაეი. ერთ მათგანს სატევარი
ქარქაშში აქვს ჩაგებული. შუაში ვახლერილ ქილას ჩოხისას მისცემენ ხელში,
ესპანური კასტანიეტის მზგავსად მორიკრიკეს. მეორეს გაშიშვლებული სატევა-
რი უჭირავს. ქილიანი დაბრიალობს წრეში, ქილას არიკრიკებს და იძახის

„ხინტიკოია“. ირგვლივ დამსხდარნი ქალღაინი აპყვებიან და ყველანი ერთობ-
ლივად იძახიან, „ხინტიკოია, ხინტიკოია“. ქილებიანი ადგილს იცვლის ამასო-
ბაში. სატევარმოღებული უმწეოდ დააბოტებს და ქილიანი ქალღაინი ხელის
მოპირდაპირის ხმა გამოიცინოს. გაიგონებს თუ არა მის წმას, ისევ გაეშურება
ქილიანისაყენ. ეს უკანასკნელი ისევ გაინაბება, ხელიდან გაუტყრება მოპირდა-
პირეს. ისევ დაიძახებს „ხინტიკოია“-ს და ისევ შეიცვლის ადგილს.

აჰა, მოიმწყვდია ერთ ადგილზე ქილიანი სატევარიანმა, სატევარი პირდა-
პირ მიუღირა, მაშინ ქილიანი იძრობს სატევარს და გაიმართება კენწლობა
მათ შორის, მოვა მესამე, მოწესე. თავის სატევრით აწესრიგებს მოპირდაპირეთა
ფარეკაობას. უკეთუ რომელამე გაიკაწრა, ან თუ სატევარი გაუვარდა ხელიდან,
მას გახლებილ ქილას მისცემენ ხელში და ახლა მან უნდა ირბინოს და დამარ-
ცხებულმა „ხინტიკოია“ უნდა იძახოს. მიეჩიენ ამ თამაშს თარაში და არზაყა-
ნი. ყველგან ფარეკაობდენ, როცა ცხენებს ამოვებენ ტყეში, ან წისქვილისკარზე
თავიანთ საფუკვეის ჯერის მოლოდინში, ეხოში, კაკლის ძირას და სახლის
ლაფაროში. კაც ზეამბაია უშლიდა, ორივეს ტუქსავდა, მაგრამ ამოოდ, განსა-
კუთრებით თარაშ ემზავრს უყვარდა ანაიჩაჲ ფარეკაობა.

თარაშს ყოველივე ეპატიებოდა ოჯახში, ამიტომაც ზედმეტ იკვიანობას
იჩენდა არზაყანი. წლების გამავლობაში გულში დაგულებულმა იკვენულობამ
იფეთქა ერთხელაც, არზაყანმა ამგვარი ფარეკაობის დროს ხუმრობით დასჭრა
თარაში მარცხენა მკლავში და ამის შემდეგ ორივეს წაართვა სატევარი კაც
ზეამბაიამ და ხინტიკოიას თამაში სამუდამოდ აუკრძალა.

მოვა ხელხვეიანი შემოდგომა. ქარვა და ძოწი გაერევა ყანებს, ვენახებს,
ბოსტნებს და მწვანეს. ქარვასა და ძოწს ათოვს მაშინ ველებს ალამაგშლი-
ლი მზე.

და კაც ზეამბაია ღომის, პურის, ფეტვის და სიმინდის ცომისაგან საკმელს
გაკეთებინებს ძიძას, საკმელს გრძელ ტაბაკზე დააგებინებს. თავათ ქუდს მოიზ-
დის და მადლობას მოახსენებს ნაყოფიერების ღმერთს—ჯაჯის.

ახალი წელი ახლოვდება და ბავშვებს სიხარულისაგან გრძლად ეტყენებთ
დეკემბრის ხანმოკლე დღეები.

დადგება ახალი წელი და ძიძა ღორიან ქალებს გამოაცხობს, ცალკერძ
ძიძა და ძაბული დაჯდებიან და ცალკერძ თარაში, მორდუ და არზაყანი (თა-
რაშს მუდამ სუფრისთაზე სვამენ, საუკეთესო აკვაკვარს მისთვის აცხობენ, ქათ-
მის კურტუმოც მისია, კუჭიკ და ფილტიკ. არზაყანს შურს მაგრამ იბურება
და სდუმს).

კერაზე ფოთლოვან სუროს წნელს დააგდებენ. გაღმა და გამრღმა დამ-
სხდარნი თვალს ადევნებენ, თუ როდის გადაიწეება სუროს წნელი.

ძაბულის და თარაშს ადგილს დაუნიშნავენ. როგორც კი წნელი გადი-
წეება, ამ ადგილამდის რბენით უნდა მიასწროს ერთერთმა.

გადაიწეება თუ არა წნელი, ნახევარს თარაში წამოავლებს ხელს, ნახევარს
ძაბული, ერთი მათგანი წინ კარიდან გამოვარდება, მეორე უკანა კარიდან.
ვინც ფაცხას შემოფრბენს და შინ შემოასწრებს, იგი კარს ჩაჰკეტავს და გარეუ-
დარჩენილს შინ არ შემოუშვებს.



ნასადილეც ძრდა „კირუ კარუს“ ამზადებს.

კირუ კარუ ეს პატარა გომიჯებია, ყურძნის მტენისა, ჩვენი ქვეყნის გელაზისა, ბარის, ჩამურის ღორისა და კრუხის გამოზნატველი კლასიკოსების ქათმის ფრთით ხერცტენ, თანაც ყველანი ერთხმად ამბობენ:

„თეთრო ქათამო, ქათემო,
თეთრო ქათამო ღვთისაო,
ორი ათასი ჩვენს სახლში
და კენტი კვერცხი სხვისაო“.

აგერ მირსობაც კარებზეა მომდგარი „ომირსე“ ღორს უკანა ფეხებზე წა-
აეღებს ხელს მორდუ. კერძს ვარშემო შემოატარებებს „ჯვარი მირსობის მობ-
რძანებასა, ბედი მოეცი მე და ჩემს ცოლშვილს, ზედნიერი ჰყავ ყოველივე, აღი-
ანი, ჩალიანი გზებზე გაიგდე მანე ყოველი, შენც იფარავდე წყალში დაილო-
კოს შენი სახელი“.

ლოლი ყვირის, ბავშვები თითებით იცობენ კურებს. დიდმარხვის პირველ
დღეს „ეინი ანთარი“ მოდის. გარიერაზე სიმინდის ცოშს საფუარს შეუმატე-
ბენ. ვახშმისათვის ოთხკუთხად მეაფე ცოშს მუხის ფოთლებში გაშვევენ, ლადარ-
ში შეაგდებენ. როცა მკადი გამოცხება, ტაბაკს შემოუსხდებიან, მორდუ მუხის
ფოთლებს ააცლის ქადს, თანაც ბუტბუტებს:

„ეინი ანთარი პატენი გომორძვილი“.

ნავახშმევს ნამუსრევს შეინახავენ. დილით ადრე არზაყანი და თარაში
არჩივს წაულდებნ ბუებს და ყვავებს, თუ გვალვამ ყანა შემუსრა, კაც ზეამბაია
და მისი შეზობელი ორ ხარს ამოირჩევენ. დანიშნულ დღეს ოქუმის პირად წაი-
ყვანენ. ხოლო მამაკაცებს და ვაყებს თან გაიყოლებენ. ყველას სათითაოდ მო-
აქვს თავიანთი სავალი მკადი და ღვინო.

ლომკაც ესვანჯია სამსხვერპლო ხარს ბაწრით გამოსწევს. ქუდს მოიხდის:
აფის ევედრება ტაროსის ღმერთს: „ჰოჲ, მბრძანებლო ქუხილისა და ელვისაო,
წვიმის და თოვლის გამგებლო, შეგვიწყალენ ჩვენ“.

ჩვენი ჯეჯილები გვალვამ გაახმო, ჩვენი საძოვრები მხემ დასწვა, სიცხემ
და მწერებმა საქონელი შეგვიმუსრა.

უბრძანე ქუხილისა და ელვის გამგებლო, ღრუბლები მოსჯარდნენ ცაზე,
უბრძანე თოვლისა და წვიმის მბრძანებლო, აქუხდეს ქუხილი ცაზე. ელვამ გა-
აპოს ცა და ზღვა, წვიმები მოგვიგზავნე და თქორი მოუვლინე ჩვენს ჯეჯილებს
ხეატით გადარუჯულს. შეგვიწყალე უფალო და გვიხსენ ჩვენ“.

ყველანი ქუდმოხდილნი იჩოქებენ წყლის პირად და ამბობენ; ამინ! შემ-
დეგ ხარებს დაკლავენ, ღვინოს სვამენ და წვადებს შექცივიან და ლექსებს
ეტყვიან ტაროსის უფალს აფის.

ყველაზე მეტ გაცობას იწვევს თარაშის შეგნებაში საესებით ბნელი და
გაუგებარი დღესასწაულად „გოხვარჩლაფა“.

„ბევრი ვეძიე ამ ძველი მისტეს ფესვი როგორც ჰინდურ, ბერძნულ, ისე
ეგვიპტურ და არაბულ მითოლოგიაში, მაგრამ მის კვალს ვერსად წავაწყდიო“.

ეუბნება იგი თამარს. დიდბუთშაბათს მამლის პირველ დაწილებას წამოდგებოდა ძიძა „მეწურბუმედ“—მღუმარედ დავარდებოდა. შემდეგ მთელი დღე კერასთან იჯდა და მატყლის ძაფს ართავდა. მთელი ოჯახი შეტყობებოდა, ეძიძგილავებოდნენ, აჯავრებდნენ, უზიჩინებდნენ, ეხუმრებოდნენ, როგორმე ღუმელი დაერღვია, მაგრამ ამაოდ, მტკიცე იცავდა ძიძა ღუმელს, მღუმარედ იჯდა კერასთან ჩაბალახით პირშებურვილი და მატყლის ძაფს ართავდა.

მეორე ღამეს ძიძა წამოდგებოდა, ოჯახის წევრებს ბამბის ძაფით შეუქრავდა ცალღებს.

შემდეგ „ჯოხს წამოავლებდა ხელს, ქანურ ქვაბს, ან თითბერის ტაშტს სცემდა, განგაშს ასტებდა. ყველანი ზეზე წამოსცვივებოდნენ: სალამურებს აიღებდნენ, უკრავდნენ, თანაც გარს ეხვეოდნენ მღუმარეს. ძიძა ღირიჯობდა, კერას შემოუვლიდნენ, წინ კარიდან გავიდოდნენ, სახლს შემოუვლიდნენ, თანაც ყვიროდნენ, მღეროდნენ, სალამურს უკრავდნენ, ისევ სახლში შემობრუნდებოდნენ.

ძიძა თოხს წამოავლებდა ხელს. სხვენზე გაიტანდა. მორღუს ანიშნებდა: გრძელი ქვა აეღო ხელში, მოპასუხეს დამდგარიყო კერის პირად.

მორღუ თოხს სცემდა ფიცარზე, თითქო თოხნიდა.

„ვინ ყანა და ვინ სხვენიო?“ ამბობდა.

მოპასუხე ქვას სცემდა მიწაზე, თითქოს რწყილს ჰკლავსო.

„ვინ სახლი და ვინ რწყილიო?“, ესიტყვებოდა.

„ვინ თოხი და ვინ სხვენიო?“

იტყოდა მღუმარე.

„ვინ სახლი და ვინ რწყილიო?“

„რწყილი მიწა სამარეში“.

დაასრულებდა მოპასუხე.

„რწყილი მიწა სამარეში“ იმეორებდა მთელი ოჯახი.

ძიძა სხვენიდან ჩამოდოდა, წააღწა აიღებდა, მორღუს ხელს მოჰკიდებდა, ხილნარში შედიოდნენ, ბავშვები სიმღერით უკან მისდევდნენ, სალამურებს უკრავდნენ.

ძიძა უნაყოფო ხეს მიადგებოდა „უნდა მოგკრაო“, დამუქრებოდა. მორღუ შეევედრებოდა: ახლა ნუ მოსკრი, თავებმად მე დავეუდგები, გაისად ან გარდაგისად მოიხამსო“.

მერმე „ხოზოს დაქერის“ დროს მოაწვედა.

ეს დღესასწაული წლის მოქცევისას იცოდნენ.

მორღუ სამს გომჯეს—ხოზოს აიღებდა ხელში, შესთხოვდა ღმერთებს: „დიდნო ღმერთნო“, ახლა სხვა ხოზოს აიღებდა ხელში ალიშკინტრის მიმართავდა, ძაღლების უფალს, შეევედრებოდა ძაღლის ბედი მომეციო, კარგი ძაღლები დამიზარდეთ. შემდეგ აითარს—საქონლის უფალს შესთხოვდა: აითარ შენი მაღლი და სიკეთე მომავლინეთ, აითარის წარმომთქმელთა შორის ყველას მამჯობინეთ.

ადრე გამოფხიზლდა თარაშ ემხვარი სიყრმის ზმანებიდან.

ფერი გაუკრთა ამ ღმერთებს, აღარც აითარი სწამს მას, არც მიზითხუ, აღარც ჯაჯი, აღარც ალიშკინტრი—ძაღლების უფალი. მაგრამ სულ სხვა კრპეპმა დაივიანეს მის სახატეში.

დიდი მეცნიერები უფრო აოცებდნენ მას, წარამარა უნივერსიტეტს იც-
ვლიდა, ქალაქიდან ქალაქად დაჰყვებოდა მათ ნატერფალს. ზეცაკური ბუნები-
სანი ეგონა თარაშ ემხვარს მსოფლიო სახელის მომხვეჭელი ~~საქართველოში~~ ვერ
სახელგანთქმული ბელუარის მწერლებს შენატროდა თარაშ, საქუთარი ვილლეშში
მონებთერეთ. მაგრამ გემოვნება დაეწმინდა. ახლა სიტყვის დიდოსტატების ბე-
დიც გაიგო, რომელნიც მარტოობასა და სილატაკეში სულსა ლევდენ განუზო-
მელი შრომითა და შემოქმედებით წელში გადრეკილნი. რაკი მრავალმილიონიან
მასებს მათი გემოვნების დონემდის ვერ მიეღწიათ, ებრალებოდა ისინი, ვისაც
სიკვდილი დიდებისა და სახელის მოხვეჭაზე ადრე უნდა სწვეოდა, რადგან სახე-
ლი ხშირად სიკვდილს უსწრებს და ხანაც სახელი სიკვდილს შორს გადაას-
წრებს. ეხლა მუსიკამ გაიტაცა თარაშ ემხვარი. ტანტალივით დაძრწოდა თარაშ
ემხვარ, კონცერტებსა და ოპერებს არ აკლდებოდა, დიდ პიანისტებს და ორგე-
ლისტებს შენატროდა.

რომში, ფლორენციაში, დრეზდენში, ლუერში, ბრიტში მუზეუმში პლას-
ტიური ხელოვნების უკვდავი ნიმუშები შეიკნო და ეს ყოველივე მოწიწებით,
აღტაცებითა და გაოცებით აესებდა ქაბუჯის გულს.

მაგრამ ხომ არ შეიძლება მუდამ სხვისი შემოქმედებით იყო აღტაცებული
და საქუთარი თავი დაგავიწყდეს?

„როგორც დასაგეშ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკერავენ. მე-
რზე მარცხენა ხელზე დისვამენ და მთელ ღამე აააააა-ს ჩასძახიან ყურში,
რათა თავისი წარსული გადაავიწყონ, თანდაყოლილი ენერჯის პირველადი
სილალე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში
ააააა-ს... ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შეიდი-
წლის განმავლობაში“ ეუბნება თარაშ ემხვარ თამარს.

„და მე სულ სხვა გავხდი, ვიდრე აქ ვიყავი და ახლაც იგი არა ვარ, რაც
უნდა ვყოფილიყავი. და რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამომადგა და რაც აქ
შემიძენია, იქ არ გამომადგება“.

„მამასთან ერთად მთელ ევროპაში ყიალის დროს მე გავეცანი დაწვრილე-
ბით ევროპის ყოფაცხოვრებას, პრესასა და ინდუსტრიას. მართალი ვითხრა შევ-
დრკ. ეს ყოველივე როს შევიცანი. ახლა რა უნდა ვააწყოს ჩვენისთანა პატარა
ერმა?“

საშუალო საუკუნოებში მანძილების სივრცე, მანქანების პრიმიტიულობა,
ბუნების სტიქიონების სიზვიადე შესაძლებელს ხდიდა პატარა ერების დამოუკი-
დებელ არსებობას.

ეხლა დასავლეთით დიდი ერები მოდიან თავიანთი პაუბიციებით, პერო-
პლანებით, პრესით, თეატრით და ლიტერატურით და ჩვენ რა უნდა დაუპირდა-
პიროთ მათ სამაგიეროდ? მიტომაც ვყოყმანობდი შინ დაბრუნებას.

„რალა შორს მივიღივართ, კაროლინა ხომ შენი რძალია, ჩვენი რძალია,
აფხაზეთის რძალი. ხომ მართებული ძენებოდა, რომ მას ჩვენი ენა შეესწავლა,
ჩვენი ჩვეულებები შეეთვისებინა, მაგრამ იცის, ეს მას არა სჭირია. ეს არ
აინტერესებს, რადგანაც ჩვენ ცოტანი ვართ და უძლურნი. აბა ორასი მილიონი
ვიყოთ, ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს, მდიდარი ლიტერატურა, მაშინ
აქეთ შემოგვხვეწებოდა მასწავლეთო.“

თამარი ყურს უჯდებდა გულდაკოდილ თარშის სიმკვებებს. მაგრამ სდუმდა, რადგან სანუგეშო სიტყვა არც მას ეგულებოდა თვის გულში. ეს იყო მხოლოდ, ეს აზრები პირველად ესმოდა და არც ისეთი სიმძაფრით შეეგნო თარაშის გულის ტკივილი.

თარაშ ემზვარის წინაშე დიდი ასპარეზი იყო, მაგრამ სდამკვიდრდებოდა, იქ მოასპარეზეც მრავალია. დედა კი ოქუმიდან იწერებოდა: სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაქალოს დათესვა გერჩიოსო.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იღვარებოდა დედის ხელი, ასობებს უფრო მეტის კაფურებით აბამდა ურთიერთს, ზოგის გადაბმაც ავიწყლებოდა. ალაგაგაღვ სიტყვებს მარცვლები აკლდა, ხოლო მარცვლებს ასობები. თარაში მაჯაგანით არჩევდა დედის ნაწერს.

„რკო თუნდ ყვავიაც მოიტანოსო, ოღონდ შშობლიური მიწაზე გაუვარდესო“ ამასაც დედა იწერებოდა ოქუმიდან. მერმე მთელი კვირა უბით ატარებდა თარაშ დედის ბარათს, თანატარებდა ვიდრე მთლად არ დაიკრიცებოდა ქალღლი.

რაც დრო გადიოდა, მამისთვის უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა პარიზში, ფირფიტების ქარხანაში მუშაობა.

სად გენერალი და სად გრამოფონის ფირფიტები!

სად ლურსმანი და სად პანაშეიდი?

მაგრამ ასეა: ჩვენი ეპოქა ვასაოცარი წინააღმდეგობითა და კონსტრასტით საესეა.

და დიდი ჯამბაზი უნდა იყო ადამიანი ამ უფსკრულებს რომ გადაახტე-ჯამსულ ემზვარიც არ იყო ჯამბაზი.

ან როგორ წარმოიდგენდა მოხუცი გენერალი, რომლის წინაპრებს მხოლოდ ხმლისა და ცხენის ამბავი უსწავლიათ საუკუნოების მანძილზე, აფხაზეთის მთარების, ბიზანტიის კეისრების, საქართველოს მეფეების, რუსეთის იმპერატორების სახელით სისხლი უღვრიათ, რომ მას მიხრწნილების ეპოს გრამოფონის ფირფიტების ქარხანაში მოუხდებოდა მუშაობა?

ჯამსულ ემზვარიც არ იყო ჯამბაზი და სწორედ შაბათ საღამოს, როცა ფირფიტებით დატვირთულმა ავტომატიურ კიბეზე ხუთმეტი მეტრის სიმაღლეს მიიღწია, გული გაუსკდა, ფირფიტები ბზრილით, ფრილით ძირს დაეშვნენ, ხოლო გენერალს მიწამდე სული არ დაჰყოლია. ძირს დაკეშულმა რომედილაც მანქანის ძვიდეს შუბლი დაჰკრა და თავის ქალა გაუსკდა. მაშინ ფრანგმა მუშებმა ჩამოხსნეს კისრიდან თეთრი ჩაბალახი და უზომოდ დასაჩინბრეული თავი წაუყრეს ჯამსულს, თუმცა არც ისეთი დიდის ოსტატობით, როგორც ეს აბხაზეტს სწევიათ, მაგრამ მაინც შეუსხვიეს ასე თუ ისე თავი.

თარაში სწორედ იმ თვეში ათავებდა მდუნხენის უნივერსიტეტს. პარიზელმა ქართველებმა ფული ჩამრითხოვეს და მაჯაგანით დაამარბვინეს მამა თარაშ ემზვარს და პერლაშეზის სასაფლაოზე დამარბულ ცხედარს თავი აფხაზური თეთრი ჩაბალახით ჰკონდა გაკრული.

თარაშ ემზვარმა მაჯის საათს დახედა. ზეწამოიჭრა. თამარი შეეპატივა. უნდოდა კიდევ ცოტა ხანს დარჩენილიყო თარაში, მაგრამ იცოდა: უბერხული იყო გვიან-ღამემდის რომ დარჩენილიყო მის ოთახში ახალგაზრდა ვაჟი.

თარაშს უმძიმდა მისგან განშორება, მაგრამ თავათაც უსიტყვოდ იგრძნო ეს უბერხულობა. სამუშაო მაქვსო მოიმიზეზა და ბნელ ეზოში გავიდა.

თუთების ხეივანში მიმავალმა ბულბულის ხმა გაიგონა. განმარტებული მღეროდა ბულბული აკაციების ვადმოღმა.

(ვაცრძელემა იქნება).



ედუარდ გაბრიცკი

თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა

პიონერის სიკვდილი

ვალა, ვალენტინა,
ეგ რა დაგემართა?
თეთრ პალატში წვეხარ
ამ შეღებულ კართან.
ვით ოზობას ქსელი,
გებინდება ლოყა,
და ანთება ცხელი
ყელჭირვებს მოყვა.

გახურებულ ტუჩებს
ველარ სწყდებათ ხმები,
მკითხაობენ თითქოს
ბრძენი ექიმებიც.
ხელს გისვამენ თავზე
და ამბობენ თანაც:
ვალა, ვალენტინა,
აველა ხარ, განა?

ანთებული სივრცე
ბალახია შავი.
სიცხისაგან ასე
რატომ გტკივა თავი?
კენესა ყელში გრჩება.
გიკირს სუნთქვა ფრთხილი.
რატომ გეკიდება
წამწამებზე ძილი?
და იღება კარი
(გებინება მეტად).
მოიხრება შენს წინ
ცრემლიანი ღედა.



—ვალაჲ, ჩემო კარგო,
სახლში ძლიერ სწუხან
მოგიტანე ჯვარი
და ჯიუტი ნუ ხარ.
სახლკარს ვინ ლა უვლის,
მივანებეთ თავი.
ატალახდა ეზო,
ძროხაც საწყლად ბლავის.
ვერვინ უვლის ქათმებს,
ლორიც დარდით ოხრავს
ვინ მიხედავს მშვიერს,
უპატრონო ძროხას!
ზედაჲ, ჩემო კარგო,
რა პატარა არი,
ნუ ჯიუტობ, ნახე;
ეს ნათლობის ჯვარი.

ცრემლიანი ლოყა.
დარდიანი შუბლი.

სარკმელში კი მოსჩანს
მომჩაობა ღრუბლის.

აღებს მღვრიე თვალებს
ვალაჲ, დასიცხული.

ღრუბლებს მოაქვთ წვიმა
იმ ქვეყნიდან, სადაც
სამეფოა ავდრის
და მშფოთარე ზღვათა.

საავადმყოფოს ზევიდან
რაზმი მწყრივად მდგარი
მოდის და იმ რაზმის უკან
კიდევ რაზმი არი.

ელავს, თითქოს ყელსახვევებს.
აფრიალებს ქარი.

და წვეთები სცვივით
ციდან ღრუბლებს შაეებს,
ხატავს ნისლში წვიმა
ათი ათას თავებს.



გადინგრა ზღუდე,
მიწვა ზეცის ბურჯი —
გამოდინ ლაშქრად
ხალათები ლურჯი.
და ყვირიან ნისლში
საყვირები ურჩი.

საავადმყოფოს ხევანზე
დღის ნათელი ქრება
სალამოთი რაზმი რაზმზე
მოდის შესაკრებათ.

აბინდებენ შუქს ისინი
(შორსაც ისევ ბნელა)
კუნცევოს პიონერები
და ნოვინის ქარბნიდანაც
აქ მოსულან ყველა.

დახრილია დაბლა
და ქვითინებს დედა:
ვალენტინას ისევ
სუნთქვა გაუძნელდა.
ბაგეს სიციხით დამსკდარს
რაღა გაამთელებს
ვერ დაჰკოცნის დედა
ვილას ბავშვურ ხელებს.

„გიკერაედი სამოსს
არა ვმჯდარვარ ცუდათ
ვერცხლეულს და ბეწვებს
გიგროვებდი მუდამ.
გაეასწორე ლამე
არ ვიცოდი ძილი
არ ყოფილა ბუზიცი
შენს წინ აფრენილი.
ყოველგვარი სარჩო
სახლში უხვად ვზიდე —
ვამზადებდი შენთვის
შესაფერისს მზითევს!“

ხედავ, ჩემო კარგო
რა პატარა არი
ნუ ჯიუტობ ნახე
ეს ნათლობის ჯვარი“.



თუნდ ისმოდეს სიტყვა
გულში ეჭვის მწენი—
არ მომკვდარა მაინც
სიყმაწვილე ჩვენი.

მან გვაჩვენა ომი
და სამხედრო რიგი
და კრონშტადტის ყინულს
გვახეთქებდა იგი.

მას მივყავდით ცხენით
სადაც ცეცხლი სჩანდა
და გვხოცავდა მხედრებს
ფართე მოედანთან.

გვაყენებდა ფეხზე
ომის სისხლით მთვრალებს
და ვახელდით ისევ
დაბრმავებულ თვალებს.

ვაეცაოებავ, აღსდევ
გული ბრძოლას მიაქვს.
შეუღულდი მტკიცედ
ფოლადსა და ტყვიას.

რომ ეს მიწა უნდო
სისხლდაცლილი მოკედეს,
ძვლები ფერფლი უნდა
სიყმაწვილეს შობდეს.

ეს პატარა ტანი,
ეს სხეული მკრთალი
აჩუხჩუხდეს, როგორც
გაზაფხულის წყალი.

ვაღაა, ვალენტინა
გახედე და ნახე
როგორ არხვეს ქარი
ბაზის ბაირალებს.
წითელ ტილოს არხვეს
აღელვებულ ტალღად.

„შხად იყავი, ვაღაა!“ —
გრგვინვა ისმის მაღლა.
უკვე მწეანე ველი



წვიმას ველარ მალაეს!
 ლურჯი სამოსელით
 ვალაა აძღვეს სალამს.

ვით მსუბუქი ლანდი,
 ფერგამკრთალი, ნელი,
 სარცელის თავზე
 იძვრის ბავშვის ხელი.

— მე ყოველთვის მხად ვარ! —
 ეს ბავშვის ხმა არის.
 ხალიჩაზე დაბლა
 დაეცემა ჯვარი.
 და შერე კი თითქოს
 იცელება ხელი —
 ბალიშები რბილი,
 რბილი სარცელი.

ფანჯრებში კი ეხლაც
 ისევ ლურჯად ჭბილა,
 და ოთახი მზიან
 შუქით ამოვსილა.

სარცელთან ჩუმი
 ქვითინია დედის.

ფანჯრებიდან შუქი
 ისევ მშვიდათ შედის.

მორბა!
 მაგრამ მღერა
 ვერ მოიციდის კიდევ.
 და სიმღერა ბავშვთა
 ცელქ საუბარს მისდევს.

ამ სიმღერას რა ხმი
 ცამდე აატარებს.

და ფეხის ხმა მისი
 გამოვლენს კარებს

გამოუცნობ ქვეყნებს
 და მშფოთარე ქარებს.

უნასთა ბუდე

დასასრული 1

8

თიბაძის საქმეზე რაიონიდან მოსული ქალაქი კირილე ბოთერაძეს ერთ ხანს „მაუდ ქვეშ“ ჰქონდა ამოღებული. რა თქმა უნდა, მის მაგიდას მაუდი სულაც არ გააჩნდა, მაგრამ, სამაგიეროდ, კარტონის ერთი „ყდა“ ჰქონდა, რომელსაც წითელი მელნით სხვილად ეწერა: გამოსარკვევი.

გარდა იმ ქალაქებისა, რაც მართლა გამოსარკვევი იყო, ამ ყდაში ისეთი ქალაქებიც შედიოდა, რომლებზედაც პასუხის გაცემა, სხვადასხვა მოსაზრებით, საჭიროდ არ მიაჩნდა, და ისეთებიც, რომლებიც, მისი აზრით, დაგვიანებას მოითმენდა.

ხოლო, ვინაიდან პატივცემული ამხანაგი კირილე ბუნებით მეტად ზანტი და უძრავი კაცი იყო, ამიტომ გამოსარკვევი საქმეები თვეობით, ზოგი კი წლებითაც, გამოურკვეველი რჩებოდა.

ამრიგად, ამ ყოვლისდამტევე ყდას დღითი-დღე ქალაქების ახალ-ახალი ფენა ემატებოდა, რის გამოც მის ოდენობას საკმაოდ თვალსაჩინო წონა და მოცულობა ჰქონდა.

ზოგჯერ ისიც მოხდებოდა, რომ აქ მოქცეული რომელიმე საქმე შემთხვევით თუ განგებ მართლაც დასჭირდებოდა. აბა მაშინ უნდა გენახათ მისი გაწამაწია: ათივე თითს უზარმაზარ ყდაში შეჰყოფდა, სთხრიდა, სჩაჩქინდა, ფურცლავდა და, რაკი ქალაქებს შემოსევის არც თარიღი აჯდა, არც ნომერი, ცხადია, საჭიროს ვერ პოულობდა, ხოლო ისედაც დაბურულ საქმეებს უფროც ჰჟუწავდა.

თიბაძის საქმეცაც, რასაკვირველია, ამ განთქმულ ყდაში ჰპოვა მყუდროს სავანე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი, მისი აზრით, აგრეოვად საჩქარო არ იყო; მეორეც, იმიტომ, რომ ბოთერაძე იმ კომბინაციის ნაყოფს ელოდებოდა, რაც თიბაძის ცხენის შესახებ ნეფიტარიძესთან ერთად გაიარა.

უცეთუეს კომბინაცია სასურველად გაკეთდებოდა, იმ შემთხვევაში, სადმე ერთ ნაკვეთ მოკმულ მიწას გამოსძებნიდა, ჩამორთმეულ მიწის საბადლოდ თიბაძეს მიუთითებდა და, აწნაირად, საჩივრის კბილსაც მოჰკვეთდა.

ასეთ კომპრომისზე ნეფიტარიძესთანაც იმთავითვე იყო შეთანხმებული. მაგრამ კოლექტივის თავმჯდომარეს ამ ბოლო დროს საკუთარი საჭირობორტო საქმეც ბევრი გაუჩნდა და ცხენის სადალალოდ აღარ ეცალა, ხოლო თიბაზე კი მუდამ-დღე სასოფლო საბჭოს კარებზე იყო ატუხული.

1 იხ. „მართობი“ № 1—2.

— რაგინდა, შე ოჯახდასაქცევო, ძველ ზურგინივით რო ჩამამეცდებე? თიბაძე საბრალოდ დაიჭყაწება, კისერს გაიწეღის, სათხოვნელად წელღებს გაშლის, მაგრამ, ბოთერაძე სიტყვის თქმას არ აცლის და კვლავ შეუტყვის:

— ხო გითხარი, შენი გულისთვინ კოლექტივის არ დაგეგმავს! გითხარი თუ არა?

— ქე მითხარი, ბატონო, მარა...

— ამა რალა ჯანდაბა გინდა?

— მშია, აშხანაგო თავჯდომარე, მშია! ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება...

— მე რა უნდა გიყო? იშონე და ქამე.

— სადლა უნდა ვიშონო, როცა ჩემი სარჩო ი ყანა იყო?

— ეგ ჩემი საქმე არ არი: სადაც გინდა, იქ იშონე!

— სამაგვირო მიანც მამეცი, ფრონტის მიწები ხო ბევრი გაქ?

— რატო მაშინ არ ინებე აგრე, საჩივლელათ რო გეიქეცი?

— რა ვიცოდი, შენი ჭირიმე, ერთი უსტავლელი კაცი ვარ, შირჩიეს, მხარი მაიქციეს: იჩივლე და რაიონი მოგცემსო.

— ვინ გირჩია? იმ ვეებატონმა რაფაძემ, არა? ჰოდა, ამა ახლა იმან მოგცეს.

— რაიონმა რო მოგწერა, ანუ. თავჯდომარე, მეც იმისი თხოვნელი ვარ.

— რა მაწერა? ჩემი საქმე რაიონზე უკეთ მე ვიცი.

— თუ კი რაინი თანხმია...

— რაიო? გითხარი და გავათავე: მე შენთვინ მიწები არ მაქ.

— რაკი თხოვამ არ გასქრა, თიბაძემ ვითომ სხვა ხერხს მიმართა.

— კალონი თუ კი მაძლევს...

— რა კანონი? რომელი კანონი? გეუნები: არ გაძლევ. მე არ გაძლევ, შე! ხო გეიგე? წადი და კიდე იჩივლე. სადაც გინდა მიჩივლე!

თავგასული უნასი ყოველთვის ასეთი პასუხით ისტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ, რა კი რაიონი არ ასვენებდა, აღგა და მდივანს ასეთი პასუხის გაცემა უყარნახა:

„გასულ წელს სოფ. ზურეთის მცხ. ელიზბარ თიბაძეს მიწათმომწყობმა კომისიამ ჩამოართვა ერთ ქცევამდე სახნავ-სათესი მიწა, ვინაიდან მისი ადგილი კოლმეურნეობის ფართობში იყო შეჭრილი და ხელს უშლიდა კოლექტივის მიწათმომწყობას. აღნიშნულ თიბაძეს მაშინვე მიეთითა საბადლო მიწა, იმავე ზომის და ხარისხის, მარა მან მითითებული მიწა არ იჩინა და დაჯინებით შეითხოვს თავისი მიწის დაბრუნებას, რაც კანონს ეწინააღმდეგება. ვარდა ამისა, ხსენებული ადგილი კოლექტივმა მას შემდეგ დეიმუშავე და გააუმჯობესა. ახლა რომ თიბაძეს დოუბრუნოთ, უსიამოვნობას გაპიწივყევს და კოლმეურნეობას დაშლის საფრთხეს წინ დააყენებს“.

რასაკვირველია, ეს ქალაღი თავიდან ბოლომდე სიკრუეზე იყო აგებული. კომისიას თიბაძისთვის არც მიწა ჩამოურთმევეია და არც ჩამორთმეულის სამაგვირო შეუძლევია. ის გარემოება კი, თითქოს მიწის დაბრუნება კოლმეურნეობის წვეკრთა შორის უსიამოვნებას გამოიწვევს და კოლექტივის დაშლისო, განგებ მოკოორილი იყო, როგორც ყველაზე უფრო გადამჭრელი საბუთი.

ნამდვილად კი საქმე სულ სხვანაირად იყო: თიბაძეს უღვლილი ნეფიტარიძის ერთპიროვნული განკარგულებით ჩამოერთვა, ხოლო, როცა ამ ამბავმა სასოველო საბჭომდე მიაღწია, იქ ნეფიტარიძემ, როგორც სწორედ საბჭოთა სახელმწიფო კომისიის გავლენიანმა წევრმა, თავისი დამტკიცებული აამოძრავა და თიბაძე შეძლებულ გლახად და კოლექტივის შტრად გამოიყვანა. ამნაირად, ფაქტის წინაშე დამდგარ სასოველო საბჭოს ალექსამ თვალი აუხვია, თავისი უკანონო მოქმედება დადასტურებინა და ძალმომრეობას ვითომ კანონიერი იერი მისცა.

ყოველივე ამას, როგორც ვიცით, სარწულად პირადი ინტერესი ედო და შურისძიების ძველ სურვილზე იყო აღმოცენებული.

თიბაძე და ნეფიტარიძე იმთავითვე მეზობლები არიან, კარის მეზობლები, როგორც სოფლად იტყვიან ხოლმე. ერთ დროს მათს კარმიდამოს მხოლოდ ფიჩხის უბრალო ლოზე ჰყოფდა, ისიც ალაგ-ალაგ ჩათელილ-დაცხავებული.

მოგვხსენებთ, ასეთი ახლო მეზობლობას სიამოვნების მოტივებიც ახლავს და უსიამოვნებისაც, მაგრამ თიბაძე—ნეფიტარიძის მეზობლურ ურთიერთობაში უსიამოვნების გამომწვევი ელემენტები უფრო ბევრი იყო, ვიდრე კეთილგანწყობილები.

ესოს ბოლ.ის, სწორედ იმის პირდაპირ, სადაც თიბაძეს, თავის წილში, საქათმე, სალორე და სულადობის სხვა ნაშრომი ედგა, ნეფიტარიძეს ერთი ბელიდადება ძველი ვენახი ჰქონდა ფილოქსერით გადაკმული. ამ ვენახისა და წვრილფეხობის ასეთი სიახლოე იყო სწორედ მთავარი წყრო იმ დაუსრულებელი დავიდარაბისა, რაც თიბაძესა და ნეფიტარიძეს შორის წლობით იყო გაჩაღებული.

დადგებოდა თუ არა აპრილი და ნეფიტარიძის, უკაცრავად პასუხია, ვენახში სიმინდი და ლობიო ამოიწვევებოდა, მას შემდეგ რქტომბრის დამლევაზე ამ ორი ოჯახის ყბა ქაჭანითა და ლანძლით არ იღლებოდა. დილა-ადრიან რომ დიდიან-პატარაიან ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, გინებისა და სიმყარალის იარაღით თანაბრად აღჭურულ მებრძოლებს მხოლოდ ღამის ბინდი თუ გაპყრიდა.

ნეფიტარიძიანები ამტკიცებდნენ, რომ თიბაძიანთ წვრილფეხი მათს ვენახში იჩეკება, იქვე იზრდება და იმითვე იკვებება, თორემ ასე რომ არ იყოს, იმ ვენახის მოსავალი ნეფიტარიძის მცირე ოჯახს სარჩოდ ეყოფოდაო. ყოველივე ამას თიბაძე შურით სჩადის, თავის ქათამ-ბატონადურს განგებ ვენახისკენ უქშინანებს, რადგან მეზობლისთვის ავი სურს და მისი შემატება უხარბებო.

მართალია, ნეფიტარიძე, საქვეყნოდ ასე ამბობდა, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა, პირდაპირ ამის საწინააღმდეგო გრძობა ამოძრავებდა: რაკი თვითონ არაერთარი წვრილფეხა თუ სხვილფეხა საქონელი არ გააჩნდა, მისი მძაფრი ნატურა ის იყო, რომ არც თიბაძეს ჰყოლოდა იგი. თორემ, როგორც შემდეგ გამოირკვა, თიბაძიანთ საქონელი არც თუ მაინც და მაინც იმდენ ზარალს აყენებდა მის ზეარს, რომ ამ მცირე გარემოებას მოსისხარ შტრებად ექცია ისინი.

ენაშწარობაში, რა თქმა უნდა, ნეფიტარიძიანებს არც მათი მოწინააღმდეგენი ჩამორჩებოდნენ, მაგრამ თიბაძიანები ერთ გარემოებას მაინც აღნიშნავენ:

— ვისაც ვენახი უნდა, — ამბობდენ ისინი: — იმან კიდევ უნდა შეირაგოს იგი, ვინაიდან ნათქვამია: ურაგვო ყანა წერომ მოკვამო.

გაწიწმატებული ნეფიტარიძიანები ამაზე ასე უპასუხებდნენ: *გაწიწმატებული*
— ჩვენ რაგვთან თქვენ რა ხელი გაქვთ? თქვენ საკუთარ ღვინოში მყოფად, რო ვენახი არ წაგვიხდინოს, და თვითონ თქვენ შეირაგვეთ თქვენი ეზო.

როგორც ჰყვებოდნენ, ორი პატივცემული ოჯახის ერთმანეთზე ბოროტად გადამკიდებული უმნიშვნელო მიზეზი ერთობ ადვილი ამოსაფხვრელი იყო, მაგრამ, რაკი რაგვის თავი არცერთს არ ჰქონდა, და ამასთანავე თვალდახუჭულ ეინსაც თავისი ვაჰქონდა, ამიტომ ასეთ მდგომარეობას ის მოჰყვა, რასაც ზალხური ერთი თქმულება ჩინებულად გამოჰხატავს: კაპასი რწყილი დაწეა და აქლემი შობაო.

ერთს მშვენიერ თუ უშნო დღეს, როცა ნეფიტარიძის ვენახში ყურძენი კარგა შეთვალბული იყო, ხოლო, თიბაძიანთ ყვინჩილ-ვარიები კი გვარიანად დაბიბილოებული, ალექსიმ ერთი ტარო სიმინდი იშოვნა, დაფშენა, მკედზე ააგო და მალარის გაბრუნდულ ოლიხს ქვეშ მიიშალა:

გამოივლის ქათამი თუ არა, ალექსა მკედზეცამულ მარცვალს გადაუგდებს, ბრიყვი ფრინველი მაშინვე ეცემა, გადჰყლავს და... ალექსაც სახელდახელო ანკესს მიიზიდავს, ნანადირევს კისერს მოუგრებს და იქვე, ოლიხის ძირას მიავდებს — არც კრაახი, არც სხვა რამ ხმაურობა, რასაც სიავის გამელაფენება შეეძლოს.

ამრიგად, ერთი კვირის განმავლობაში ერთი ტარო სიმინდით ალექსამ თიბაძიანთ ასიოდენ ფრთა ქათამს სულ სინსილა გაუწყვიტა და თანაც კვალის ასაზნეად მეზობლებში ადრიდახვე ასეთი ხმა დაარხა:

— ვინცხა უბირმა გაგვიშეტა, დაგწყველა და სინდიოფალებს ჯოგი მოგვისია, ჩემი საკუთარი თვალით რამდენჯერმე ვნახეო.

რასაკვირველია, თიბაძიანებმა სინდიოფალების შემოსევის ზღაპარი არ დაიჯერეს. პაწია, მაგრამ მოსისხარ შენებულთა მოსაგერებლად ზალხში ნაცად საშუალებათა ნაცვლად, როგორცაა, კოკობებით რძის დადგმა და შესაბამისი შელოცვა, სხვა უფრო რეალურ ღონისძიებას მიმართეს: სოფლის კანცელარიაში მივიდნენ და თავიანთი გასაქირი მთავრობის მიერ დანიშნულს აკარულ მამასახლისს შესჩივლეს. თანაც, ხელისუფლების პატივისცემისა და თავიანთ სიმართლის ნიშნად, ერთი ცხრა ხაქაპური და ერთიც რველად მოხარშული დედალი მიართვეს, ნეფიტარიძის უცნაურ ანკესს რომ შემთხვევით გადაარჩინოდა.

მამასახლისმა ფიცხლად „სტრაჟნიკი“ აფრინა, ამან კი ქათმის ხორცის მოყვარული მონადირე ანაზდად, ისე როგორც შეხვედრისას ნახა: ჩრდილში, საცვლების ამარა, მოსასვენებლად განმზადებული, არც მისიანების მუდარა შეიწყინარა, არც მეზობლების შუამდგომლობა, ბოროლსავეთ წინ წაიგდო, გზაში — თავის გასართობად — ორიოდ მათრახიც უთავაზა და, ამნაირად შერცხვენილი ალექსა, მამასახლისის განკარგულებისამებრ, ვირის აბანოში შეაბრძანა.

აი რა ნიდადაზე იყო აღმოცენებული ნეფიტარიძის შურისძიება თიბაძიანადმი და რა საშუალებას მიმართავდა იგი გულისბუხრის ამოსაყრელად.

თორემ აბა ვინ არ იცოდა, რომ ელიზბარ თიბაძე შატილოსანი წრომით არჩენდა თავის ღარიბ ოჯახსა და, არა თუ კოლექტივის მტრობა, არამედ, პირიქით, კოლექტივში შესვლაც კი სურდა, ოღონდ ეს იყო, როგორც მისი მამის ჯიუტობა ჯერ-ჯერობით ვერ დაეძლია და ხელს მხოლოდ ეს უშლიდა.

9

გაზეთში ჩაგდების ამბავი მთელ სოფელს მოარულღივით მოედო. „ნიანგის“ ერთად-ერთი ნომერი ხელიდან ხელში გადადიოდა. წიგნის მკოდნე თუ უკოდინარი, ყველა თილისმასავით ეძებდა, იხვეწებოდა, მის წამკითხველს ჰირსადა სატკივარს სჭამდა, რა არის, ერთი თვალი ჩვენც გადავაფლოთო. ჟურნალი დაიფუშა, დაიფურცლა, ოფლითა და ქუქკით გაიქონა, მაგრამ ცნობისმოყვარეობის წუფრული ყველას მაინც ვერ მოუკლა.

სხვადასხვა ვარიანტებიც გაჩნდა. პირვანდელი ამბავი სრულიად შეიცვალა: გადიდდა, გაიბერა, როგორც მთის წვერვალიდან დაგორებული პაწია გუნდა თოვლისა—ვისაც წაეკითხა, თუ არ წაეკითხა, ყველა თავისას და თავისებურად უმატებდა.

ყველაზე მეტს ამ მხრით „გეიკრიკე“ ბეჯითობდა: ყოველ დღე ახალ-ახალ დამატებას სთხოვდა და მარცხნით თუ მარჯვენით არიგებდა.

— თქვენ რაღა გითხრათ, გოგუებო, უხედარ კვიცივით რო ჰინებინობთ? დოუკენწლავო არც თქვენ ბრძანდებით, ბრე!

— ეინა, ბოშო?

— ჩვენე?

— ისე შენ გაგიხარია!

— კი, აბა!

ცხარობდენ გოგოები.

— ისემც კაი-კაი ულაპა ჩეშმა ხახამ.

უპასუხებს იგი.

— მაინც ვინ არი გამოყვანილი, მამა ნუ წაგინწყდება!

— ვინ არი და ყველაი: შენც, დაფინაც, მატუცაც, კაკალაც, ბაცოც და ბაბუცაც.

— უო, შენ გაგიწყდა, ბოშო, მიწა: რაღა კრიალოსანივით ჩამოთვალე!

— არ გეხუტრები, თავი ნუ მამიკედება, ქალებიც ქე გამოუყვანია იმ ურჯულოს. სულ ჩასტოლიანი გოგუებია გამოჭიმული. ერთი მუხზე უჯის ალექსას, მეორე კისერზე, მესამე კიდო... ჰი, ჰი, ჰიიი!

— არიქა, ჰო! დეიწყე ახლა შენებურათ!

— ძმობას გეფიცები, ერთი კიდო ასე ყავს ჩახუტებული ა...

და ერთ-ერთ გოგოს ხელს წელზე შემოხვევს.

— ისემც ძმარი წაგდინდება მაგ ბუშტუქა ცვირში! არც კი გცხვენია, ძმობას იფიცებ.

დარცხვენით მიახლის ყველაზე უფრო მოკრძალებული დაფინა.

— ვინ ყავს, კრიკე, ჩახუტებული ვინა?

არ ეშვება თამამი ბაცო, ვისაც სოფელში ქალა-ბიჭას სახელი იქვს გაეარ-ნილი.

— ვინა და...

„გეიკრიკე“ აღარ დაასრულებს, მარცხენა თვალს ირიბულად დაფინას გადააფლებს, მარჯვენას კი ეშმაკურად ბაცოს ჩაუქნევს.

დაფინა ეშმაკობას შენიშნავს და კატასავით გაანჩხლდება.

— მანამდი არაფერი ჭამა მისმა ღრანჭებმა, ნურც შენმა, თუ მან გრძდა!

— რატო, შენ გეიხარე, რატო? — თავს იმართლებს ლაზღანდარა „გეიკრიკე“: — ვასასი თუ კი ეხუტება...

— ვასასი ცოლია, შე უხვირო!

უპასუხებს ბაცო და თავში ჩაუფანტუნებს.

— მერე რა უყოთ, რო ცოლია! შენ გგონია, გოუთხოვარი ვერ მოახერხებს მაგას?..

— იმე, ბეჩა, ახირებუღია, შენ ნუ მამიკედები! რა გახდა ეს შამფურა ალექსა იმისთანა, რო თვალი ყველას იმაზე უნდა დარჩეს?

— საკაცეთი კი არ გამწუდარა! ჩვენოდენა შვილები ყავს.

— რა ვიცო, ქე კი არ თხოვდებით და...

საყვედურით მიუგო „გეიკრიკემ“.

— იმიტო, რო შენ გიცდით.

— ისეშე კაი დაგემართოსყე, მარა თავი როდი მამშლებია ჯერ, ჩემო ბაცო.

— რავბ?

— შე დალოცვილო, ამდენ ახურაგან გოგოს ქე ვინ გოუძლებს!

— უი, შენ დეიღუბე საცხა!

— მაგისთანა ენა რო არ გემას, რა გეშველოზოდა, შე უბედურო?

— ენაც კაი მაზია და... მარა კი არ მაფასებთ,

— ფიქრი ნუ გაქ, ჩემო კრიკე! შეიცა, აგერ ალექსა გადავაყენოთ და... იმისთანა ქორწილს გაეაჩალებთ მე და შენ, რო...

— ამა შენ იცი, რასაც კაის იზამ, შენთვის უკეთესია.

— არა, ჯერ კოლექტივის თავჯდომარე უნდა გახდე, თვარა ისე რა უნდა ვქამოთ?

— ხუმრობა იქით იყოს, გოგუებო, და დიდი მამაძალი კი უნდა იყოს, ვინცამ ის დაწერა. სულ ძაშებიკით ჩამოუყაკალებში ყოლიფერი, რო იცოდეთ, რა ამბავია კოლექტიაში? სულ ბალანს იგლეჯენ ტრთიანა!

„გეიკრიკე“ როდი აქარბებდა. ნეფიტარიძე ხერელიდან გამოგდებულ უნასივით იყო აწრიალებული. რასაკვირველია, მისი მოღვაწეობის ნიმუშები წინადაც ყოფილა გამოფენილი, საყვედურიც ბევრი სმენია, მაგრამ დღემდე ყოველივე გაუბმაურე ბელი დარჩენილა, კოლექტივისა და სასოფლო საბჭოს ფარგალს არ გასცილებია. გარდა ამასა, მისი მარჩოლებიც მუდამ შინაური ხალხი ყოფილა და ამიტომ მათი განადგურება, ან როგორც ნეფიტარიძე ამბობს ბოლომე, „მორჯულება“ მისთვის ერთობ იფლი საქმე ყოფილა.

ახლა კი, პირველს ხანებში, რეტდასხმულივით დაიარებოდა, რადგან ამგვარ თავდასხმას სრულიად არ მოელოდა, მით უმეტეს, რომ არც თავდასხმის ეს იარაღი იყო მისთვის ცნობილი და არც თავდასხმელი:

„გახეთში ჩაგდეს და ისიც როგორ გახეთში? ვერც თავს ვამბობთ და ვერც ვერაფერს ვასუსხს ვასცემს: უარესად გამოაქენებენ. არა და /ათასები წაიკითხავენ, ცოგანი და ლაწირაკი ქვეყანაზე რამ გამოლია: ფეხქვეშა გუგულებს, გაიბურთავენ. დიდი თუ პატარა, ახლა რომ ლაგამამოდეს, თუ იშვეებს...“

„...მაგრამ სირცხვილს ვინლა სჩივის? კიდევ კარგი, თუ გამასხარავენა ავმარეს, ამას როგორმე გაუძლებს. განა წარსულში ცოტა „თავის მოჭრა“ და „გზა-შარაში გაქენება“ აღუტანია? ჯანდაბას, თუ კი ამით გადაჩნება! მაგრამ...“

„საქმეც ის არის, რომ ამას არ დააჯერებენ: მოვა ვინმე პორტფელიანი, უკმები და კაპოეტი... შენსას არც სალამს მიიღებსა და არც პურ-მარილს... თოფის სასროლზედაც ვერ მიეკარები. პორტფელს ვახსნის, დაჯდება და ისე გამოგვიგნავს, რომ დედის ხენსაც აღარ დაგიტოვებს მუკელში!“

ასე ჰფიქრობდა კულზე ფეხდაბიჯებული უნასი, მაგრამ პირველ ხანების ზარდაცემულობა მალე გამოინელდა: აგერ სამიოდე კვირა გადიოდა და ჯერ ყველაფერი ისევე ძველებურად იყო.

ამასობაში კიდევ მოსულიერდა, მიიხედ-მოიხედა, თავდაცვის საშუალების შეუღდა. გამფრთხალი დამქაშები კვლავ დარაზმა, კოლექტივში შერყეული პოზიციების გამაგრებას შეუღდა, სასოფლო საბჭოში — მოკავშირეთა ერთგულება შეამოწმა, გული ოდნავ დაუშოშმინდა: თითქოს ყველაფერი რიგზეა! მაშ, რა მოხდა? რამ შეაშინა? თურმე, როგორც ჰქვამდა, ისე როდი წვიმს!

ასე დაასკვნა და ახლა შეტევაზე გადასვლა განიზრახა. — დედას უტირებ, დედას! ვიცი, ვინც არი. შემპარავ ძალღვივით რო ქაჩაბებს უკირკიტებს, თუ ვაშკაცია, რატო გვარს არ აწერს? ამა ახლა ზოგიც მე მაკალოს: ისე უკბინო, რო თურმანის მალამომაც ვერ მოუშუშოს!

საქვეყნოდ ასე იმუქრებოდა ბრაზიანი ნეფიტარიძე, ხოლო იმას კი არ ამხელდა, თუ ვინ უნდა გაეხადნა განთქმულ თურმანის პაციენტად.

არ ამხელდა იმიტომ, რომ ბრძოლის თავისებური ტაქტიკა ჰქონდა: ნიშანში ამოღებულ საკბილოს კაი მონადირესავით შორიდან უვლიდა, ფრთხილად და ფეხაკრებით უთვალთვალებდა. ნაადრევად გაღიზიანებას, გამოწვევას ერიდებოდა. პირიქით, პირში უცინოდა, აქებდა, ხშირად ვითომ კიდევ იცავდა სხვათა წინაშე. ხოლო, როცა ყელს მოუძებნიდა, მაშინ უკვე უღმობელი იყო: ქამანდს ერთბაშად ჰკრავდა და მოულოდნელად გააბამდა.

ამ შემთხვევაში კი გაცილებით მეტი სიფრთხილე და ვერაგული სიჭრელე ესაჩიროებოდა, ვინაიდან ბიჭიკო რიკაძე ისეთი ჯიშის საკბილო როდი იყო, რომ ერთბაშად და იოლად გაემა. მით უმეტეს, რომ „მტერი“ უკვე სიგნალიზებული იყო. ამას წინად რომ ყარამან რაფაძისას შეტაკება მოუხდა, მეორე დღეს, გამოფხიზლებული ნეფიტარიძე სულ თავში იცემდა: რა ვქენი, რა მივქარეო.

ამიტომ ახლა ყოველ ღონეს ხმარობდა, მოწინააღმდეგისთვის როგორმე თვალი აებვია, ჩვეული გველათობით მისი სიფხიზლე მიეძინებინა. ერთხელ, კოლმეურნეობის კრებაზე, როცა გადაკრულმა ნიხვერშტეინმა „ნიანგის“ თაობაზე რიკაძეს სიტყვა გადაჰკრა, ნეფიტარიძე „გულწრფელად აღშფოთდა და თვისი ერთგული დამქაში გვარიანად გაჯოროა:

— ახლა წამოგცთენია და მეორეთ აღარ გაბედო მაგისთანა სისულელე ან. რიკაძეს სხვა საშუალებაც ბევრი აქვს ჩენი ნაკლის სამხედრო-საქონლო ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, ერთი-ორად გაბერილნი მამრისეული მითტანეს და აღეჭასასაც მხოლოდ ეს უნდოდა.

10

ხატულა აპრილი სიუხვეს აღარ ჰზოგავს: მადლისა და სიკეთის სკივრის-თვის თავი აუხდია, რაგინდრაფერი ფარჩა-ატლასი გამოუშვევებია, მოუზომელად ჰხვესა და ზამთრის კრიყანგობით გაშიშვლებულ ქვეყანას ჰმოსავს.

მომავალი ნაყოფით წიაღსავეც აღუბლები ელექტროს ქალებივით ანთებულა. ნახსა და სათუთ ატმებს მეტის კდემამოსილებით სიწითლე მორევეია. ციატი ლალის დაადემებით მორთულა სისხლქარბი ბროწეულები. ბერწსა და უნაყოფო ტყეებს კი ჯერ კიდევ უსაკობის სიყვითლე დაჰკრავს. მინდვრად ყვავილთა სოცხეჯარება გამართულა, ნაყანვარში კი ბაიასა და გვირილას გაუმარჯვია.

სადაც შორს, ვრცელი ქალების ნაყიერ მკერდზე, ტყვიამფრქვევით რახ-რახებს კოლმეურნეობის ტრაქტორი...

მოხუცი კიკოლა მზიგულს გაჰფიცებია: ღობის ყურგვი მიუდგამს სამფეხა სკამი და ბებერ ძვლებს ითბობს. მუდამ განუშორებელს კაპიან ჯოხზე იღლია ჩამოცმული, ვასცქერის იგი შორეულ სერებს, სადაც, თითქოს ზანტი ობობები ქსელს აბამენო, ზოზინით იჭერიან კავშიგაბმული ნაზამთრი ხარები.

უცქერის ბერიკაცი სასიცოცხლოდ მობრუნებულ ბუნებასა და გუდაფ-შუტასავით გამხმარი გული უსასოობით ევსება:

«კაია, რომ ეამთა სიავემ თვალის ჩინი მაინც დააკლო. აბა რათ უნდ ისეთი სინათლე, რომელიც მისთვის ბნელზე უფრო შავია? რას აქნევს ისეთ სიცოცხლეს, სადაც მისთვის საარადანო წილიც კი არ ურგუნებიათ? განა სამოც-და თერამეტი უჯიათი წელი იმისთვის ათრია, რომ ეს მძიმე ცხოვრება ჟინედოდ კვლავ თავიდან დაიწყოს? რათა, რისთვის, რატომ და როგორ? ვინ, ვი გასცემს, ან ვის შეუძლია მისცეს ამისი პასუხი?..»

«...ვინ ეტყვის სიმართლეს — მართალ სიმართლეს და არა ორკოფულს? ვინ აუხსნის ცხოვრების ამ დაუხსნელ უკუღმართობას, უბედურს რომ იმთავითვე უბედოდ გადაეკიდა და, აბა, სამარის კარზე მიმდგარსაც კი აღარ ეშვება?! სად არის მიჯნა, ან ეამთა რიკბვი, რასაც მისი წამება ამერიდან მაინც ველარ გადასცდეს? სად არის საწყაო, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ტანჯვით აივსოს და იგი ეკმაროს, კვლავ აღარ მოეთხოვებოდეს? ვინ არის მსაჯული, გამკითხველი: კაცი, ღმერთი თუ ეშმაკი? ფუი, კრელო წუთისოფელო, რათ მინდა შენი უბერიო ნაბოძვარი, სიცოცხლის სახით რომ ასე ბრმად, ასე ხელუკულმა შემომაჩენი?!»

ასე, თუ დაახლოებით ასე, სჩივის მოხუცი კიკოლა.

იქვე, მის წინ, ტევრევივით აღიშხულს კოინდარზე, ბატის ყვითელი ტუკები გაფენილან. თათო ნისკარტებით ბალახს მოსაგლეჯად ეკიდებიან უძლურნი

სასაცილონი. სუსტ ფეხებზე სასწორივით იყანთრებიან და კისერაწილინი, ალბად სიცოცხლის ხალისით გაკვირვებულნი, ერთმანეთს რაღაცას ებრაუნებიან.

კოტა მოშორებით პატარა სულიკო მიმჯდარა. ხელში გრძელე სახრე უჭირავს, ვითომ პატების მწყემსია. ნამდვილად კი თვალს მისი ქოუფეუ კაპუ-ლას წარტაცენია, ალუბლის ყვავილს რომ ფრთების პარპალით ეთამაშება, და, ფიქრში წასული, თავისთვის რაღაცას — უაზროსა და საყვარელს ღულუნებს.

ცხვირში ფრთაგაჩოლი დედა-ბატი ისეთის დამამკირებელი თვალით უცქერის პატარას, თითქოს აშკარად ეუბნებოდეს: შენი მწყემსობისა რა მცოდნიაო. მართალია, სულიკოს სახრე უჭირავს, მაგრამ საფრთხის დროს არც ამ იარაღის იხედი აქვს და არც საკუთარი მამაცობისა. არა თუ თითო ქუცები ვისგანმე ან რისგანმე დაიცვას, არამედ თვით მათი საკუთარი დედისაც კი ეშინია. როცა დედა-ბატი სრულიად უძიზნოდ, — ისე, ყოველი შემთხვევისთვის — ქსერს გაიწვდის და ასისინდება, გულგახეთქილი სულიკო იმწამსვე სახრეს დააგდებს და საშველად პაპას ენახს.

— ბაბუ!

ესმის მოხუცს შვილიშვილის გაუბედავი ძახილი, მაგრამ თვითონაც ხომ მაშველს ეძებს, ცხოვრების ჯურღმულიდან ამომყვანელს:

„...ამ პატარებს მაინც რაღა დაუშავებიათ? — ისე იმ უჩინარ მოსაუბრეს ეკითხება ფიქრებით გაოგნებული მოხუცი: — ეთქვათ, დიდებს დანაშაულობა მიუძღვისთ და ცოდვაც იმიტომ მოეკითხათ, მარა ამ უსუსურებმა ვის რა დააკლეს, რა წაუბდინეს? ეს ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება, მისი მართებლობა და კანონები — ყველაფერი ხომ ამათთვისაა, ამათი კაი კაცობის საწინდარიო, მათი მომავლის გზა და ბიძია? შერე? თუ ასეა რატომღა მოუტრეს გზა, რათ ჩაუტეხეს ბიდი, რისთვის მოუსპეს სავალი?...“

„...საწყალი და გაკირვებული იშვებდეს, უძლურს დახმარება მიეცეს, საპყარი და დავრდომილი აღსდგესო. ამის უკეთესი ამ ქვეყნად აბა ვინ რაღა ინატროს? განა კიკოლაც ამას არ ნატრობდა? განა ისიც ამ ალთქმის ქვეყნის დამკვიდრებას არ ელოდებოდა? შერე, როცა საწყალ კაცს მართლაც გაუთუნდა, როცა ყმობითა და მონობით მრწყვეტილი წელი ისევე გაუმთელდა, ვინ ჰქნა, ვინღა გაბედა კვლავ მისი გასრესა, შავ მიწაში ცოცხლად ჩაძვრენა?...“

— ბაბუ! ა, ბაბუ!

ეძახის პაწია სულიკო.

მოხუცი ფიქრებს თავს ველარ ართმევს, უგულისყუროდ გაეხმაურება:

— რა გინდა, შვილო?

— მამა ლოდის მოვა?

„...მ, მამა როდის მოვაო! აბა კიკოლამ რა იცის? ვინ ეტყვის? სად და როგორ გაიგოს? მოხუცისთვის არც წაყვანა უკითხავსთ, ალბად, არც მოყვანას დაეკითხებიან. იცის მხოლოდ, რომ წაიყვანეს, მუშაობაზე ხელი დაღებინესა და ისე წაიყვანეს, რომ შინ აღარც კი გამოუვლია. ეს იცის მხოლოდ. მეტი არაფერი. რისთვის წაიყვანეს, სად ან როდემდე? აბა ბაბუამ ამისი რა იცის! არა თუ ბაბუამ, საზოგადოდ, არავინაც არ იცის: არც ლოგინს მიკრულმა, წყალმანკიანმა დედამ, არც „ქურსონიკმა“ თემურმა, არც მოჩიტულმა მარიკამ, ვერ

რომ სადილის ნასესხვე მკადა ატყაპუნენს, არც თვით წაყვანილობა... დანს, არა-
ვინ არაფერი იცის, გარდა კირილე ბოთერაძის, ალექსა ნეტაროძისა და მის-
თანათა, რომლებიც მიყრუებულ სოფელს უნახებდით შესევეან და გაქვით-
ხავად იკლებენ"...

— ალ გესმის, ლოდის მოვა-მეთქი?

— არ ვიცი, შვილო, არა. ნეტამც ბაბუა შენს სულაც აღარაფერი ცოდ-
ნოდა ამ ქვეყანაზე!

და გამოსტერებულ ბერიკაცს კვლავ აბეზარ ფიქრთა ხრო მიეტია.

— შენ ალ მითხალი, გუგული ლო დეიყვილებსო?

არ ეშვება პატარა.

მოხუცი რეტდასხმულივით შეტორტმანდა. ილღიაში შებჯინებული ჯოხი
გაუსხლტა, პირი იბრუნა და... ნავალევე მიწასავით დახოკილს ლოყებზე სხვი-
ლი და უნებური ცრემლები ჩამოუგორდა:

— ეგელ, ხო გესმის? გუგული...

და სულეკომ საბრიანი ხელი გაუქმებულ ეკლესიის ასწლოვან ცაცხების-
კენ გაუშვირა, საიდანაც მართლა მოისმოდა გუგულის მკაფიო ძახილი.

...„ხო, ესმის, როგორ არ ესმის? თვალი აღარ უჭრის ხერიიანად, თორემ
ყურთა სმენა შვილიშვილისაზე ნაკლები როდი აქვს. ისიც კარგად ესმის, რომ
აი ეგერ, ნახოვარში, რომლის ვატეხეასა და ამოძირკვას მამა-შვილმა კიპკიპა
და მაჯის ძარღვი შეაწყვიტა, ახლა ალექსას ბიჭი მუშაობს, მამაზე უფრო ღვარ-
ძლიანი და უხამსი. ხნავესა და, ვითომ მართლა მუშა ვარო, ომახიანად გაჰკივის:
მეეიშოოო!

...„ეგერ კიდევ, სხვა მეზობლებიც სახნავს მოსდებიან და ქალიან-ვა-
ციანა რჭონებდით ბულრაობენ: ზოგი ნამკალსა სჭრის, ზოგი მოკრპილს აგ-
როვებს, რივი ბაიასა და სხვა სარკველას ეთიძვილება, რივი კიდევ ქვისა და
ხერგისაგან ასუფთავებს. ყველა შრომობს, ყველა ზრუნავს სახვალისთვის, შვი-
ლისა და მომავლისათვის...

...„წყვეული კიკოლა კი... (მოხუკმა ფიქრი შეაყენა და თავს შეეკითხა:
მართალი ვთქვი, თუ არაო) დიან, ღეთისა და კაცისგან წყვეული კიკოლა, აგერ
რომ ბებერ ნავაზივით მზოგულს გზჭვიტებია, არაფერს აკეთებს, არაფრისა-
თვის ზრუნავს. მოკვდეს მაინც! გათავდეს! ვის რას არგია გადაღრძეებული,
მძორის შაში? არავის და არაფერს. მხოლოდ გაძალღებულ ლტყმას ართმევს
ისედაც მშიერ ბაღნებს: აი აგერ. შოშაას ბარტყივით პირყვითელა სტლიკოს,
კეცზე რომ ჯერ კიდევ ცოპი მკადო აუვლეჯია და ინდაურის ქუჩივით იზორ-
ჩება. მოკვდეს და ამდენი ტყულია ჯახირიც გათავდეს ბარემ! ოჯახის მარტე-
ნალი, ალალი და მართალი შვილი უნახთა ავი წყურვილის მოსაკლავად სად-
ღაც წვეარამში ეგულებოდეს და ეს კი აქ იყოს ფუტუროსავით წამოფხორილი?!
არა, არა! ამისთანა სიცოცხლეს"...

აღარ დაასრულა, ნაწყევარ სიცოცხლესა თუ ცხოვრებას მშრალად მი-
ფურთხა და, რაკი სასოების უკანასკნელი სარკმელიც დაეხშო, ინსტიტუტურად
დანა მოსინჯა, საკუთარის ხელით ნაქვდი ბასრი დახა, ქარქაშით რომ მუღამ
წელზე ეკიდა.

— ბაბუნა! ბაბუნა! სტუმრები.

ანაზღად წამოიძახა სულიკომ და ხტუნვით თემურისკენ გაექანა, რომელიც ორ უცხოს მოუძლოდა.

სანამ სტუმრები კიშკარს გაიღებდნენ, თემურმა ლობენჯი ჩნუქმა დაწინაურდა და პაპასთან მიიბრინა, გაოფლიანებულს, აქოშინებულს ქული განზე მოქცეოდა, ილღიაში წიგნები დაფუშოდა.

— ბაბუნა, კამისია მევიყვანე, ჩვენი საქმე უნდა გაარჩიოს!

მობხემა ხელიგულით თვალები დაიჩრდილა, კიშკარისკენ გაიხედა და, რაკი ნათქვამს დარწმუნდა, თემურს მიმართა:

— მოუძებნი, შვილო, მოუძებნი და მარიკასაც უთხარი, ერთი-ორი ქალი კიდე დააკრას.

მერე ახალუხის გახსნილი საკინძე შეიკრა, საბიჯკი მოსძებნა და კრუსუნით ძლივს წამოიღვა, სტუმრებს შეეგება.

— მობძანდით, ბატონო, მობძანდით!

მოსულნი იქვე, მოღზე გაგორდნენ. ესენი იყვნენ: სოფლის საბჭოს მიმიგრებული ბიჭკო რიკაძე და კომკავშირის უჯრედის სუბუქი კავალერიის ხელმძღვანელი მურზა ხედაგიანი.

ელიზბარის დაპატიმრების შემდეგ თიბაძიანთ ოჯახი სრულიად უმწეო გახდა. არა თუ მუშა ხელი, ავადმყოფ — დავრდოვილისა და ბავშვები მოვლელიც არავინ იყო. უპატრონო ოჯახი გულმონყაღე მეზობლების სატვირთველი შეიქნა: არც საფეკავი, აღარ ნაფეკავი. მომავალი კი უფრო უიმედოც იყო, ვინაიდან აპრილი უკვე ილეოდა და საგაზაფხულო გაწამაწიის ხანა უქმად გადიოდა.

გარდა ამისა, უდანაშაულოდ დასჯილსაც ხომ შეეღა უნდოდა?

ამიტომ უთაური ოჯახის გაძლოლა ძალა-უნებურად თორმეტი წლის თემურს ხედა წილად და ისიც ჯერ-ჯერობით პირნათლად ასრულებს ამ მძიმე მოვალეობას. ეს მეორე კვირაა, სკოლისთვის ვიღარ მოუტლია. ჩიტიც კი ვერ დაასწრებს ბუდიდან ამოფრენას. რიგრაგზე იღვიძებსა და ყველაფერს ცეცხლიეთ ედებო: წყალი, შეშა, წვრილფეხობის მოვლა, მეზობლებში საციქველზე სირბილი.

შემდეგ სასოფლო საბჭოსკენ გაეშურება, რომელიც 7—8 კილომეტრის მანძილზეა: თავმჯდომარეს თავს აბეზრებს, მდივანს სისხლს უშრობს, ხეპრე ნეფიტარიძეს სულ მკვდარსა და ცოცხალს ავინეზინებს.

აქედან რომ არაფერი გამოიქვინოს, მერე სკოლაში გარბის: მასწავლებლებს დახმარებასა სთხოვს. იქიდან კომკავშირის უჯრედში. ყველგან და ყველას ეხვეწება, ემუდარება, სტირის, კარებზე ტალახს უყენებს. და აი, ბოლოს, კიდევ გასკრა თითქოს მისმა თავდადებამ: თიბაძის საკითხი რიკაძემ კომკავშირის უჯრედში დასვა, მაგრამ, ვინაიდან უჯრედის მდივანად ალექსა ნაფეტარიძის ვაჟი იყო, დიდი დავიდარაბა გადახდა, მუქარაც ბევრი შემოეხარჯა, სანამ უჯრედის მდივნის ენთან წინააღმდეგობას გასტეხდა.

„სახელოვან“ მამას შემკვიდრეც ღირსეულა ჰყავდა. უკეთეს ეკალზე ვარდი არ აიწავა, უორკუკა ნეფიტარიძე უკვე ქაცვი იყო, ტინქარი, უჯანგარა. მამის-

გან დაგეშოლი, მის კვალს მისდევდა — მისივე ერო, ბრმა იარაღი, ხოლო უფრო ხებრე, გაცილებით უდიერი და თავაწყვეტილი. თუმცა თავის დღეზე იგი წესისამებრ იყო მონათლული, მაგრამ სოფელმა მაინც თავისებურად გადაწყვიტა და „ლივერველა“ შეარქვა, რადგან ყაილა იყო და შარიანი: მცირე რამესთვის მუის იარაღზე იტაცებდა ხელს.

— უჟაცრავათ ვარ, — იბოდიშა მოხუცმა მოსულთა. წინაშე: — ქოხი ქე გვიდგია, მარა ახლა მაინც გარე ჯდომა ჯობია.

— არაფერია, — მიუგო რიკაძემ: — ჩვენ იმისთანა საქმეზე ვართ მოსული, რო აქანაც გაეთდება.

— ჰო, ბოვში მეუწებოდა, — გაუბედავად დაიწყო კიკოლამ და ოდნავი დუმისის შემდეგ დაუმატა: — თქვენ ვინ ბანდებით, თუ უჟაცრავათ არ ვიყო?

— ჩვენ... ეს ამხანაგი კომკავშირელია, შე კი... სოფლის საბჭოზე მიმავრებული ვარ.

კომკავშირელის გაგონებაზე კიკოლას უორჯიკა წარმოუდგა თვალ წინ და გულს უნებური ნემსი ეცა, მაგრამ თავი გაიშავრა და სიტყვა გადააქართულა:

— რაფა მიმავრებული, შვილო, ვერ გევიგე. რიკაძემ ღიმილით ამხანაგს გადაჰხედა.

— რაიონიდან ვარ გამოგზანილი.

— ჰოოო... — და მოხუცმა თავი რამდენჯერმე ჩაიქნია. არავინ იცოდა, ეს თავის ქნევა მუქარის იყო, თუ უნდობლობისა: — ჩვენი გაკირვების ამბავი, შვილო, რაიონმა კი არა, თელმა ღრუბენიამ გეიგო, მარა მაინც არაფერი გვეშველა. ამ ქვეყანაზე ჩვენთვის არც კალონი წერებულა და არც სამართალი. მოგვდგა ეს კაცი და ცოცხლოვლა მიწაში ჩაგვაძვრინა. ბალშევიკები ნიკოლოზ მეფეს მეერიენ და გადააგდეს. ახლა კიდე თელ ქვეყნიერებას ებძვიან, მეფეების სინსილა ყველგან უნდა გაეწყვიტოთო, და ეს ალექსა რა გახდა იმისთანა, რო შავისი შამრე ამ რიადავებზე აღარავინ გამოჩთა? ჩემი წუთისოფელი სიღარიბეში დავაბერე, აგერ ოთხმოცი წლის კაცი ვარ და ერთი გემრიელი ლუქმა არ შღირსებია...

— ჩვენც სწორეთ მაგაზე ვართ მოსული: შენი სოციალურ-მატერიალური მდგომარეობა უნდა გამოვარკვიოთ.

გააწყვეტინა რიკაძემ და წამოდგა.

— რა უნდა გამეიკვლიოთ, შვილო? ყურზე ხელის წამოფარებით ჰკითხა მოხუცმა.

— ესე იგი, რა ჩამამავლობის ხარ და რა შეძლება გაქ. მოხუცის დამკენარ ტუჩებს მწარე ღიმი შეეპარა.

— ჰმ, გაგახარა, შვილო, ღმერთმა! მაგაზე აბა რა მოგახსენო? ამ ჩვენ კუთხეში ამიღაბორი არავინ ყოფილა და წერეთელი. ორიოდ აზნაორი იყო და იმათაც კადის ქატო ენატრებოდათ. ქონებო? ა, ბატონო, მიიხედ-მეიხედეთ საკუთარი თვალითა და ნახეთ, რაც გაგვანია!

მოხუცი კვნესით წამოდგა, საპიჯგი მოიშარჯვა და მოსულეებს გაუძღვა.

ჯერ პირლია სასიმიინდეს მიადგენ. პატრონმა ზე ასვლა და შიგ შეხედვა უჩრიათ. უარი სთქვეს, რადგან წნულ სასიმიინდეს გვერდებში ისედაც სინათლე

გასდიოდა, იქიდან საბძელს გაუარეს: შიგ ოციოდე კონა ჩალა გამოდგა, ცერზე დაყუდებული; ცოტაოდენი ნალობიერი და გოდრითაც ჩაშავებული, ნაწვიმარი ფურჭი.

საბძლის გვერდით ხის ძელური პაწია ბოსელი იდგა, ცილინქრამ ქანა ერთს კუთხეში ნეხვით აზვინული. ჩალის ძველის-ძველ სახურავზე ბაია ჰყვოდა.

ბოსელს ქვემოდ, ცოტა მოშორებით, გოდრისებური რალაც წინეული იყო, ოთხს წვრილ ბოძზე წამოსკუბებული და გვიშბრით დახურული.

— ეს რალა არი?

სიცილით იკითხა რიკაძემ.

— საქათმე უნდა იყო.

მიუგო ხვადგიანმა და ჩელტის კარს წიხლი ჰკრა. ჟეცრად, იქიდან გამფრთხალი დედალი გამოვარდა და ტკვარცალით ზედ მკერდზე მოასკდა. გულ-გახეთქილმა მურხამ ურიდო ქათამი მელას გაატანა.

— ეგერ კიდო დამპალი ჭობია და ეს ერთი ბოხა ეხო.

დაასკვნა მოხუცმა.

— ლეინო რამდენი მოგივა, ბაბუა?

კიკოლამ გახილული წარბები მოქმუნა, გამშრალი ტუჩები ნერწყვით დაისველა, ცალი თვალის მისაქციელი ოდნავ მოზინდა, თითქოს ანგარიშობსო, და კითხვაზე კითხვითვე უპასუხა:

— რამდენი უნდა მამივიდეს, შვილო? ექვსასი კვატრატი ნამყენია, ეგერ კიდო ათიოდე ოლიხზე ძველი კამური, ჩვენ ბარობაზე შაბრაშანი არ არი და გოგილდი. შენც ქე მოგვხსენება, უიმისოთ მარტვა ბარდმა რა უნდა ქნას? შარშან მაინც სულ ერთიანა შეიფშენა შენი მტერი: საზიარებელი არ მოსულა.

— მაინც, მაინც? კაი მოსავალში რამდენს ჩაახხამ?

არ ეშვება ხვადგიანი.

— კაი მოსავალი სადღაა, ბაბუა? აგერ თუთხმეტი წელიწადია; ჩამავალი ქური არ გამირეცხია, კიდევ რო შეიბას, რაი ბერე? შეთვალდება თუ არა, ი დასაფსების ლიანგი ცისმარა დღეს შიდ არი, — და ხელი ნეფიტარიძის სახლისკენ გაიშვირა: — საჩხეთ აქვს გადაქცეული. მიდღემში მაგის ხათბალას ვერ გადავრჩით. იმ თავიდან მაგიტომ გადაგვეკიდა და ახლაც იმის გამოისობით გვახზობს. სულ ევიყრებოდი აქიდან, მარა რა ვქნა, სად წვევიდე? დამყარებულს რო ასე მიჭირს, აგორებულს რალა მეშველება? არა და, სიკვდილი გვანატრა მაგისმა კაი მეხოზლობამ...

— საყანე მიწა რა გეჭნებათ?

ამ კითხვაზე მოხუცმა ჯერ გაკვირებული თვალი შეავლო, მერე ყელი ამოიხრინწა, გაჯავრებით განზე გააფურთხა და შემკითხველს კოლოკივით ესროლა.

— ხო არ მეხუმრები, ყმაწვილო? მამაზეციერმა საყარი ნუ მოუშალოს აღექსა ნეფიტარიძეს! ერთი ტკაველი მიწა მქონდა ოფლით და სისხლით ნარწყავი და იმაზედაც იმტერესით ხელი ამაღებია. ამდენ დავარდნილსა და საყარს ლუკმა გაგვიწყვიტა. ადგილი ხო ჩამოგვართვა, მარა ამასაც არ დაგვაჯერა. ადგა და საბუროში დავგასმინა: ქვემოთში ლეინო დააქს, იქიდან ნაეპკრი მოაქს და სპეკულანტობსო. ახლა კიდო, ი საწყალი ბიჭი რო დეიჭირს...

ამ ლაპარაკში, მათს უკან, ლობეს ორი კაცი მოადგა. მოსულთაგან რომ ესენი დაინახეს, ისეუპეს და პირდაპირ ლობეზე გადმოხტენ.

— გამარჯობა რქვენი!

— ზრასტი, ამფხანიკო მურხა!

თამამად მიესალმა ერთი მოსულთაგანი და ტლაშუნით ხელი ჩამოართვა.

— ცოტა ქე შეგვიგვიანდა, ამხანაგებო.

იბოდიშა მეორემ.

ესენი ადგილობრივ ღარიბთა ჯგუფის წევრები იყვნენ, რომლებიც რიკაძეს ადრევე გაეფრთხილებინა, როგორც გამოკვლევის დამსწრენი. ორივე ნამოჯამაგირალი იყო, ფხიზელი, გამარჯელი და პირდაპირი. ერთ მათგანს, მინავო ქატოძეს, სატრაქტორო კურსები დაემთავრებინა და მურხასაც სწორედ იქიდან იცნობდა.

— ხოშზე რაეა ხარ, ბაბუა? ხო კარქათ?

თეთრი ლოჯების ჩენით უხუმრა ქატოძემ.

— მე რო ვარ, შეილო, ისე იქნა შენი მტერი!

— რატო, ბაბუა, რატო?

— რატო და, სიბერე რო დამიშაქრეთ იმიტო!

— ფიქრი არ არი, ამხანაგო კიკო! შეიცა, აგერ კოლექტივეში შეგიყვანოთ! ისე გაჯეულდები, რო სულ ვერძივით იხტუნებ.

— რაც რამე ვამაჩთა, ქე წვილეთ, შეილო, და აბა მეტი რა გზა მაქ?

სარჩენათ ისევ თქვენ უნდა მოგადგეყ.

— ჰო, ბაბუა, ჰო! შიგასაც გოუძღებთ, შენ ოღონდ აღზეინათ იყავი.

არ იმაა მოხუცს, რომ ბაასი ხუმრობის ხასიათს იღებდა. ამიტომ წარბი

შეიკრა და საყვედურის კილოთი უთხრა:

— ღმერთმა გუნება ნუ მოგიშალოს, შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ, შეილო, ჩემ გულში კი ცეცხლი ტრიალობს. რასაკვირველია, შენი ბრალი როდია მარა ყველას რო ერთი პირი ქონოდა, ი გარეწარი ასე ველარ ეიშვებდა.

— ამხანაგო, კიკო, შენც ქე იცი, რო... — სერიოზულად დაიწყო ქატოძემ და მერე უცრად რიკაძეს მიმართა — ამათი საქმე, ამხანაგო ბიჭიკო, ისეა რო ბეზუსლოვნო გადახრას აქს ადგილი. ჩენი მოვალეობაა, გადახრები ძირიანფესვიანათ ამოვადგოთ და გადახრელებსაც, ვინც უნდა იყოს, ბეზუსლოვნო მაგრა დაეარტყათ. ამხანაგ კიკოს საყვედური რამდენიმეთ სწორია: ჩვენში დისციპლინა ბეზუსლოვნო ვერ არის სათანადო სიმალღეზე. პირადათ ჩემზე უნდა გაეაცხადო, რო ბეზუსლოვნო ყოველთვინ პარტიის გენერალურ ხაზს ვატარებდი და თვითკრიტიკის წესით ვამხელდი ამხ. ნეფიტარიძეს. მარა უნდა ითქვას, რო საზოგადო კრებებზე უმრავლესობა სათანადო ინტერესს არ იჩენდა, ეს რისი მჩვენებელია? იმის მჩვენებელია, რო ბეზუსლოვნო პარტიის და ხელისულების დირექტივები ჩვენ სათანადოთ ვერ გვაქ დამუშავებულნი...

და ქატოძე ჩვეულებრივად გაეტაცინა, წრფელად, თავისებურის პათოსით. მოხუცი კიკოლა ჯობს დაეყრდნო და პირდაღებული უსმენს. უსმენს და ვერ გაუგია: ამ მინავას და, ეს უცხო-უცხო აზრები და გაუგებარი სიტყვები საიდან შეუძენიაო.

რიკაძეს კი საულვაშეზე უნებური ღიმილი აელანდა, საკუთარი ხმის მუსიკით მოხიბლულ ქატიკეს მოსიყვარულე ხელი მხარზე დააბოძა და თითქოს ბოდიშით უთხრაო:

— ყველაფერი ეს, ამხანაგო მინაგო, რა თქმა უნდა, ჩემთვისაა. მხარა ამ შემთხვევაში საჭიროა საკითხს ცოტა კონკრეტულათ მიუღწეო.

მინაგო უტყარადვე შესდგა. ანთებული თვალები ამხანაგს მიაპყრო, მერე რატომღაც საკუთარ ფეხებზე დაიხედა და ოდნავ დარცხვენით განაგრძო:

— საკითხი ბეზუსლოვნო კონკრეტულათ უნდა იქნეს დასმული, მარა...

— აი, შენ ამბობ, — გააწყვეტინა რიკაძემ: — თიბაძის საკითხში გადახრას აქვს ადგილიო, რაში გამეიხატა გადახრა?

— იმაში გამეიხატა, ამბ. ბიჭიკო, რო აქ კერძო იმტერესი ურგვია. ასეა ხომ? — მიმართა მან თავის ამხანაგს, რომელიც უცხვით უკოხს ჩლიგნიდა და ყოველ მის სიტყვას თავის მტკიცე ქნევით ადასტურებდა: — ელიზბარა თიბაძეს ჩვენში ვინ არ იცნობს? რა გასაკულაყებელი კაცი ის იყო? ის თუ კულაკია, მაშინ ჩვენ კოლექტივში ერთიც არავინ იქნება დასაყენებელი. ასეა თუ არა?

— ო, შენი გამზდელის სული ვანათლდეს იმ ქვეყნათ! — აღტაცებით წამოიძახა გულაჩუყებულმა მოხუცმა და ხელი ცად აღმართა ათრთოლებული: კულაკი კი არა, მიდღემჩი თავი ნაცრიდან ვერ აგვიღია!

— სამეურნეო ობიექტების მიხედვით, რა თქმა უნდა, არა თუ კულაკათ, საშუალოთაც ძლივს ჩაითვლება. — ქატიკეს წაულაპარაკა რიკაძემ და მერე მოხუცს მიუბრუნდა: — იქნებ ვაჭრობდით, ან სხვა რამე უწრომო შამოსავალი გაქვთ?

მოხუცმა ხელები გაასავსა:

— ვაჭრობა კი არა, ბატონო, ი საცოდავ ავანტურისთვინ ღობტურის გროში ვერ მოგვიხერხებია, რა ბაზრიდან ამევიყვანათ.

— აჰა ერთი ის საშენაწერო ფურცელი მიჩვენეთ, ამ ბოლო დროს რო მოგსვლიათ.

მიმართა მოხუცს რიკაძემ და მოლოდინში იქვე, ღობის ძირას მისჯდა მარნის უხარმაზარ კვირისტავზე. სხეებმაც მას მიჰბადეს.

თეიმურაზმა საშენაწერო ფურცელი მოარბენინა. რიკაძემ აუჩქარებლად გაშალა და დიდ ხანს უჯირკიტა:

ნათესი	0,20 ჰექტ.
ვენახი	0,10 "
ბალ-ბოსტანი	0,15 "
ცხენი	ერთი.
დამკული	ერთი.
ცხვარი	ორი.

მიწარობის გარეშე შემოსავალი

(ნალბანდობიდან) 1000 მან.

სასოფლო პროდუქტების გაყიდვიდან (ჩემი ვაჭრობა) 2000 მან.

ყოველი ობიექტის ამოკითხვაზე მოხუცი მუჭარით თავს აქნევდა და მკერდშიც მუშტს იცემდა. ხოლო, როცა ჯერი იმ მუხლებზე მისდგა, სადაც კერ

ძო ბაზარში ვაჭრობა და ნაღბანდობა იყო ნახსენები, ვეღარ მიათინა და კაი გვარიანად შეუჭურთხა, როგორც ფურცლის დამწერს, ისე მას, ვისი კარნახითაც იგი იყო შედგენილი.

— ამ უჩინო თვალს მზის სინათლე აღარ ენახოს, თუ, ~~ერაზმ-სმტყველ~~ არა არის ერთი ღერი სიტყვა მავაში სწორი იყოს! ბაზარში ვაჭრობაო! მერე რა მქონდა, ან ახლა რა მაქ ვასაყიდელი? თქვე ქრისტიანებო, ვასაყიდელი კი არა, აჰა — და მოხუცმა დაძონკილ ახალუხის საყელოს ხელი გაიკრა, გაპკლიჯა და აცახცახებული, გამკენარი ორი თითით ნაპერანგვევის ყვითელ-ქუჩყუჩანი ნაფლეთები განოაჩინა: — თუ ამდენი ფულის პატრონი ვიყო, ერთი ალაბი ჩითის ფასი ვეღარ გვეიმეტე, რო კუბოში მაინც სუფთათ ჩაპაწვინონ? ხალხო, იმ უნა-სებმა თუ ღეთის შიში დაკარქეს, სეინდისი მაინც სად არა? ოცი წელიწადია, კვერი და გაზი ხელში აღარ ამილია, საშაგისო აღარც ჯანი მაქ, აღარც თვა-ლის ჩინი. ჰო და, აჰა ნაღბანდობისას ვინ რას მამაქვავებს? აჰა, ეს მარჯვენა ახლა ფოლზე ლურსმანს დაასობს?! გამამტყუნეთ, კაცო, გამამტყუნეთ! ადამიანები არა ხართ?

და მოხუცმა სკლეროზოვანის ძარღვებით დაქსელული მკლავი იდაყვამდე წაიშვიშლა.

დამსწრეებმა ერთმანეთს გადაჰხედეს. ვერცერთს საპასუხოდ ვერაფერი მოეხერხებია. ოიკაძე ბლოკნოტში რალაცას ინიშნავდა; ქატოძე რიკაძის ფანქრის წვეროს ადევნებდა თვალს უაზროდ, მხოლოდ იმისთვის, რომ რაიმე საყრდნობი წერტილი ეპოვნა; მისი უტყვი ამხანაგი ისევ ჩლივნას განავრძობდა; მურზა თემურს ეჩურჩულებოდა რალაც უწყინარს; მოხუცი კი, ვით ქადაგად დავარდნილი, მალალის ხმით ქაქანებდა, ხრინწიანი, სასაგამშრალი...

მეზობლები ღობეებს მოსდგომოდნენ და მალულად უსმენდნენ. ნეფიტარიძის ცოლი, ქორისგან დაშინებულ კრუხივით, ბავშვებიანა თბილის ბუჩქებში შეტრილიყო, ზედ თიბაძის ქიშკრის ყურეში რომ იყო ტყესავით ატეხილი.

რიკაძემ ბლოკნოტი განზე მიაგდო და კვლავ მოხუცს მიჰპართა:

— ერთი ეს მითხარი: აცაშვილი რაზე იყო თქვენსა?

კიკოლამ ნატირალევი ქირისუფალივით ამოიგმინა:

— იმან დააფსო ჩვენი ოჯახი.

— რაო, რა შინდაო?

— რაი, ბატონო და, მოგხეხნება, ერთი წელადვერა კვიცი გვეყავს, წვალებით გაზდილი. პირში ლუქმას ვიძრობდით და იმას ვაძლევდით. ა, ამაზე ნუ გავმწარდები, — და მოხუცმა ხელი შეილიშვილს ოადლო თავზე: — ამისთვის არ დახარჯულა იმდენი ამაგი. ის კვიცი თურმე სოფლის თავმჯდომარეს მოსვლია თვალშია: იმას ზო ძელიანი არსად გვეცდებო რამე! ჰო და, აცაშვილი მამიგზანა, მამყიდგო. რაც მართალია, უარით გვეისტუმრე. მერე კიდე მობძანდა: გოტყვალე და კაი სარტის მოგცემსო. ვერ შეველიე, შენი ქარიშხ, შეილივით გამოკვებული გვეყავს. ჩვენთვის ხარც ის არი და კამეჩიც. სულ ბურღლუნით წვევიდა. ქიშკარაან რო შივიდა, მობრუნდა და ასე მამაძახა: კიკოლა, დამიჯერე, თვარა ჩემი სიტყვა გვიან დაგიჯდება ჭკუაშიო. თქვა და კიდევაც აასრულა: ერთ კვირეს არ გოფელია, რო ეგ ბლანკი მამაყენა კარზე...

— წინა წლებში რამდენს იხდიდი?

— რას ვიხდიდი, შენი კირიმე! შარშან თერთმეტი მანათი და კაპიკები გვქონდა შემოწერილი, იქით კილო ბლანკი სულაც არ მოგვეკლფო.

— არა, ამხანაგო ბიჭო, აქ ბეზუსლოვნო დამახინგეა. შენს ახვდელი. მე სრული ასი პროცენტით ვადასტურებ, რო თიბაძე მშრომელი ელემენტია და პრა ხელისუფლების მტერი.

— ცხენის თაობაზე ლაპარაკს მეც ქე შევესტარი აქანა, — ამოიღვა ენა და-თუა ბირკაძემაც: — ი კედელი ნანდიელ შამოჩენილი იყო რა გინდა კაცოვო? ეგ შენი ბოიდაყი კვიცი რა გახდა ამისთანაო? მიეცი და ი ჩამოართმეული აღგი-ლიც დაგიბრუნდებაო.

— მაგ თქვენმა ენამ იხარა, შეილო, რო სიმართლეს არ გადოუდგეით. სტორეთ იმან გაიშუაბა კუდი ჩვენ უმედურებას. გინდა თუ არა, ახლავე სამასი თუმანი უნდა დაგვითვალოვო. სამი დღის ვადა მოგცეს. მერე შევიდენ და... ჯერ ყოლიფერა აგვიწერეს, რასაც კი ხელი მეველებოდა. მერე... მერე ი სა-ცოდავი ბიჭი გეიგდეს წინ...

მოხუცმა აწვილებული გული ველარ შეიმაჯრა, პირი იბრუნა და მოძალე-ბული ცრემლი ცერის ფრჩხილით მოიშორა.

იქ მყოფებმა თვალი მოარიდეს და გაჩხე გავიდენ.

მოხუცი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა კომისიის წევრებმა ქიშკარი განვლეს. მყის წამოიჭრა და ფანდალით წასულებს გამოუდგა. თან თემურცი დაადევ-ნა: ნუ გამაწბილებთ, აგრე ურწყულით წასვლას ნუ ინებებთო.

11

ნეფიტარიძის „ოდა“, მაღალ პალატზე შედგმული, საგუშაგოსავით ოთხივ კუთხით ჰხვერავს ბილამოს (ეს პალატი ალექსამ ზედა სართულის ფიქრულს კოლექტივის თავმჯდომარეობის დროს გამოუშენა). ფართო აივანი მდ. ყვირი-ლის ქალებს დასკეერის, სადაც, ახალშეწამლულ ვენახთა ქარგაში, გარკვევით მოსჩანს ხოხოულას მწვანედ აჯღანებულ სიმიზნის ყანები. მზე დასავლის და-ღმართს დაჰკიდებია და სალამოს ბინდის მახარობელს, ფრთამალ ნიავს, საირ-მეს ფიჭვნარში ნაქურდალი სუნნელება მოაქვს.

აივანზე ნეფიტარიძე და ბოთერაძე სხედან, ჩვეულებრივად თათბირობენ.

— არა, კაცო, შენ კი არ გისაყვედურებ, მარა ნამეტანი ეიგდო თავი, — ამბობს ბოთერაძე და პაპიროსის მუშტუკს ნერვულად სკვლელტს: — მე მაგისი დედა ვატირე, რაო? ჰომავრებული მეტიჩარაა, მეტი ზო არაფერი!

— აცუნცრულება არ ვარგა-მეთქი გეუნები და უნდა დამიჯერო. ათასი რა იხტუნოს, სად წაგვივა? მაგისთანა ბოცორს თოკი უნდა ოუთრიო, შო-რაიდან მიყვე, შამომესრო და მერე... ერთი ქამანდი და სადღაა შენი ბიჭიო?

— კი, მარა სანამდი ორივე ფეხით გავაბამდეა, ერთი კაი პალტრიც არ აწყენს. ხო ვაგიგონია, ღორის ტალიო? ჰო და, ტილია ეგ მამაძალიც, სადაცაა ტომორში ამილოდდება და მერე წადი და უყარე კაკალი!

— რა გეწყობა? აღოლდეს კი არა, შეიძლება თავზედაც დაგ... მარა დრომდი ყოლიფერი უნდა ვითმინოთ.



— რა გეწყობა და...—ბოთერაძე უცრად წამოიქრა, პაპიროსის ნაწკავეს ხარტი წვიპურტით შორს გაისროლა:—მე ვიცი, რაც გეეწყობა, ქრთუჭუნებურათ ჩავკვარტიანდები, საღმე ფარულ ალაგას მოვიგდებ დასწკრტყმს სისელოშმეავებ, რო სულ ბზიკები ეხვეოდეს.

— აი, კოჩალ ბიჭო! ძან ვაშკაცობაში არ ჩავივარდება, თუ მაგისთანა ნახევარი ქათამი გაალაშაზე.

— აბა რა უყო, კაცო, რა? სისხლი აი აქ მოდის.

და გაშლილი ხელი ჰორიზონტალურად ყელზე გაისვა.

ალექსამ სააბურჯო სიცილი დააყარა:

— ა, მართლა? ბატონს გოუმარჯოს! გაზეთში რო გამამუქიმა და შენ კი სილა-სილა-ბასარას შეუნებოდი? ჰოოო, ასე, ჩემო ბუაძეო, გვიან მოხვალ კქუაზეო!

და კვლავ ულაყვივით ახვიზინდა.

— არა, ხუმრობა იქით იყოს და... ძან გოუვიდა თავს. ხმას რო არ ვიღებთ, ასე გონია, დავაშინეო.

— მერე შენ რა გენაღვლება? რაც უნდა, ის ეგონოს, იმ თვალებს რო დავაკაველიებ შემწვარ ტარანასავით, მაშინ ხო გეიგებს?

— კაცო, ქვეყანა აამტუტა-შეთქი, გეუბნები. ღობიძირებში დედებრები აალაპარაკა და შეტი გინდა კიდე?

— ქვეყნის ლაგამი არავის გოუქედია. ხვალ კიდე თითვან იმაზე ალაპარაკდებიან. ასეა, ჩემო, ეს მიეთ-მოეთი წუთისოფელი. შენ მაგისი დარდი ნუ გაქ: ისე გიჩვენო შენი მიმაგრებული, რო ორი ორს კითხვდეს.

— კაი, ბატონო, რაეარც გენებოს. შენ კქუაზე იყოს,—წყენით წამოიძახა ბოთერაძემ და ზურგი იქცია, მაგრამ ისევ მალე მოტრიალდა და შიგ პირში, მის წვეროთან ტუნშიტანით მიახალა:— ი ღარიბთა ჯგუფი ხო გედებირა? აქტივი ხო გადაგვიდა? ახლა უარესაც ვპირდება!

— რას მპირდება მაგისთანას?

— რას და, კომკავშირის უჯრედზე დოუსვამს თიბაძის საკითხი!

— რაიოოო?

მგელივით დაიღმუღლა ნეფიტარიძემ და მოსაუბრეს ბლუზის ბოლოში სტაცა-ხელი, თითქოს შეურაცხყოფელი რამ უაზრა და ეშინია, არსად გაექცესო.

— აბა კი აღარ გეხუმრება!

კოლექტივის თავმჯდომარემ თხაცანცარა წვერი მუქში მოიქცია, იდაყვით მუხლს დაეყრდნო და კარგა ხანს ასე იყო გაშტერებული. მერე უცრად წამოსხლტა, აივნის რიკულს გადაეკიდა და მუქარით გადა ძახა თავის ვაჟს, ჩიტლელვაზე რომ კოლოკივით გადებულიყო და გაუფტკუნელ ხილს ისანსლებოდა.

— შენ ეი, ბელადო, ერთი აქ ამობძანდი!

ბიჭი რალაც უცნაურად, გვერდულად წამოვიდა, როგორც ცემას მორადებული ძაღლი. მამამ იმწამსვე შეუტია:

— შენ რისი მოხელე ხარ, ღლაღივით რო დაგიღია ეგ პირი?

— ?!

— კაცს ვეუნები თუ კედელს?



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

დაიღრიალა მან და ხელი მოძს ბრახ-თ ატაჯა.

— რაშია საქმე?

ძლივს წამოიკნავლა ყმაწვილმა.

— რაშია და, მაგ გამოტყვინებულ გოგრაში!

— არაფერი გამეგება, მაცოდინე მაინც...

— მეც იმას ვტირი, რო არაფერი გაგეგება.

ბიჭმა დარცხვენით ბოთერაძეს გადაჰხედა, შენ მაინც გამაგებინე რამეო, მ. გრამ მან მხოლოდ ტუჩი ააწლაკუნა და სიცილომძალეზული პირი იბრუნა.

— აქეთ შეიწი!—ოდნავის დაყვავებით უიხრა მამამ:—ამ გზა შარაწი მოლასავით ნუ მყავიერებ! ბიჭიკომ გითხრა რამე?

— რისი?

— რისი და, ბებია ჩემის, საიქიოდან! უჯრედზე თუ დასვა რამე საკითხი? ყმაწვილი დანაშაულებრივად წამოწითლდა, თავი დახარა და გაუბედავად წაიბლუკუნა:

— თიბაძის საკითხის დასმა ითხოვა:

— მერე?

— ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

ნეფიტარიძემ ულვაშებში ჩაილიმა ძალად, გამჭირდავად:

— მაგას რალა გადაწყვეტა უნდა? არ იცი, რაეარც უნდა შეიქცე?

ბიჭი უხერხულად შეტორტმანდა.

— კი, მარა...

— რალა მარა?—მტკიცედ მიაშველა მამამ:—თუ არ იცი, მე გასწავლი.— მერე ისევ აფეთქდა:—დედალი ხარ, დედალი! ჩიჩია! ლობიო! ნერა ვის გამეგვანე ასე ყურპანტურა?!

და თავისებურად მოჰყვა შვილის შესამკობელს. მაშველად, ბოლოს, ბოთერაძე ჩამოვარდა:

— ცხენს ვერაფერი დააკლესო, ისე ხო არ არი, კაცო, შენი საქმე? ამისი რა ბრალია? ერთიკ ვნახოთ და... დისციპლინის წესით შეითხოვა. მაშინ?

— იმისთანა დისციპლინი ჩემ მტრს მიეცეს, მე მაგას მიეცე!—ცალყბად წამოისროლა კბენია ცხენივით აღურსულმა აღექსამ:—დისციპლინი კი არა, ხო ხედავს, კაცი წახდენას მიპირობს? რა დროის დისციპლინებია!

მერე აივნის ყურეში მიღგა და დატუქსული ვაგი თვალით მიიხმო ისე, თითქოს ყურით მიითრიაო.

— წარმოდგენა როდის გაქთ?

— კვირეს.

— ვახშამიც, არა?

— ვახშამიც.

— ხო ვახსობს, რაც გითხარი?

— მახსობს.

— ვახსობს და, ენას კბილა დააქირე, თვარა...

მტკიცედ უთხრა და უმადურ მემკვიდრეს ვითომ ხუმრული, მაგრამ ნამდვილად კი გვარიანი პანდური სჩანთრა...



— რა იყო, კაცო, რა შოულოცე?

სიცილით ჰკითხა ბოთერადემ.

— თელნაკრავის. — სიცილითვე მიუგო ნეფიტარიძემ და მერე ხელაქნევით განავრძო: — ახლანდელი თაობა ტყუილა რას გიხარია!

— რავე, რა ურიგო ბიჭია?

— დეიქარტოს საცხა მავისი ბიჭობაც და მავისი თავიც! ნამდვილი ბამბრს-ტომარაა. ე ყმაწვილობის ხოში მაინც რამ წაართვა მაგ ოჯახეტიანს? არაფრის შნო არ აქს, კაცო: არც ქამა-სმის, არც ჩაცმა-დახურვის. ამას წინათ ქორწილში იყო დაჰაიჯებულები, დამთვრალა და ე, ეგერ ზედ ქიშკრის ყურეში დაძინებია. — აქ ნეფიტარიძეს უნებური სიცილი წასქდა, რის გამოც კარგა ხანს ენა ველარ მოიბრუნა: — დაძინებია, შენ ხარ ჩემი ბატონი, და სამაყრო გოჭის თავი და ხაქაპურები რო წამოუღია შამფურზე აცმული, სართუმალდ დოუდვია. ასე ვახშობა იქნებოდა, რო ერთი ზღაფენი და ღრენა შამამესმა. გვედი ქრატით და... რას ნახავ: დასევია, ყმაწვილო, ქვეყნის ლიანგი — ძალი თუ კატა და არი ერთი გაწამაწია! მავას, ვითამ აქ არაფერიო, გოუქიმავეს ფეხები და ხერი-ნავს. მიკვირს, რატო თავი არ წაქამეს?!

— აჰა მაყრობაც მავისთანა უნდა იო!

— ეს ამბავი იმაზე მოვყაოლე, რო ხერი არ აქვს, თვარა მავას რო ცოტაოდენი ფოლადი ერიოს, თელი სოფელი ასე უნდა ყავდეს, ა — და შეილის მოაუღე მამამ მარჯვენა ხელი დამუშტა: — უჯრედის დივანია, ხუმრობა ხო არ არი! მარა რათ გინდა? ძველ ფარცხივით ისევე მე უნდა ვათრიო.

— ჰო, მაგ საქმეში ცოტა ქე გვაზარალა.

— ცოტა რომელია? გამანახვერა კაკალი კაცი! ვერ ხედავ, რას გვიშვება ეგერ ვინცხა მოთრეული რიკაძე? ეგ რო ბაწრით სათრევი არ მყავდეს, იმას გაგაბედღვინებდი რამეს? მიმაგრებული კი არა, იმისთანეები დამიყირავენბია, რო რიკაძე იმათ ქაჩაჩებამდი ვერ შეცვდებოდა.

— ტყუილა გგონია აგრე, რიკაძე იმისთანა მამაძალღია, რო...

— არა, ვიცე, რაც არი. ის კი არ მინდა, ვთქვა, რო...

— ჰო, რაცხა უში კაცია ეგ მამაძალღის ტიელი: ვერც საკბენად მუღუდგები, ვერც საკბეჩათ. საქმე თუ არაფერი აქს, შეძერება თავის ბუნჯაში და მუღოსავით სულ წიგნებში იფუნება. შე გეტყვი, სხვებივით გევიღ-გამეოვლის, დაღვეს ან გეიარშიყებს! აგრე თვე იქნება, რაც აქ არი და მავისი პირი ერთი გაღინებული არ მინახავს.

— მართალი გითბრა, უკუყო ბიჭი როღია. შარშან რაიკავშირის ყრილობაზე დევესტარი. იმისთანა მოხსენება გააკეთა, რო შენი მოწონებული!

— ჰო, ცოდნა კი არ აკლია, მარა ისეა რაცხა უქმური. ამას წინახე, რაიონში რო ვიყავი, კვერნაძეს ვეუზნები: კაცო, ეს რა მაჩვის ხალთა გამოგვიგზანეთ-მეთქი? ვინაო? მაღლობის მაგიერი ეგ არიო? რიკაძისთანა მომზადებული ბიჭი ამ რაიონში კი არა, სხვაგანაც ბევრი არ მეიძებნებო.

ნეფიტარიძემ იქედნურად გაიღიმა.

— საქმეც ეგ არი და! სხვისი კაი ჩვენთვინ როღი გამოდგება. კანტროლი და მეთვალყურე უმაგისოთაც არ გვაქდა, ახლა ეგეც აგვეიკოდა.

— რა გინდა, ძმაო, ე ხალხის გული ქე შეინადირა და... ეს კარხ-სამკითხველოვო, ეს შკოლაო, ახლა კიდე წყაროს შეკეთებას აპირობს თუოშე. საბჭოში რო კაცი შამოდის, პირველათ რიკაძეს კითხულობს. საქმეატივე, ათუ სათხოვარი, ყველა მაგას ესევა: თაემჯდომარე და დივანი ვილასო, ტახტიუქეჩე!

— აგრეა, ჩემო, აგრე!— და უნასმა ღრმად ამოიხვნეშა:— ხალხი პირუტყვია: ერთს რო ხმელი ჩალის ფოთოლი ოუშვირო, თელი ფარა დაგედენება.

— უნდა გაყურებია, რა ამბავშია ხომე. რო გოუფენს ამ ტკბილ ენას, ასე ვიზამ, ისე ვიზამო, გეგონება, ქეყენის ამშენებელი ეს არიო.

— იმე, რასაკურელია. საქმე თუ გოუყეთა, ხო კაი, თუ არა და, კაცი მაინც მადრიელია: მამილო, დამაუასაო. ო, იმისთანა ვირეშმაკაა, რო...

— ჰო, ვირეშმაკაზე გამახსენდა!— იდაყვის ჯიკავით უთხრა ბოთერაძემ:— გუშინწინ, საპრეზიდენტო საქმეებს ვამზადებდი. სხვათა შორის კირაკიტაძის საკითხიც უნდა დამესვა. ხო გახსობს, მე და შენ რო ვიკლიეთ? ჰო და, გულმავიწყი ქე ვარ, მარა გადავავდი, კაცო, არ იქნა, ვერ ვიპოვე. ვიცი, რო ნარკვევი საქმეები ყველა ერთათ მაქს,— ვეძებე, არ არი და არა. მერე იმას ვეუბნებო: შენ ხო არსად მოგიკრავს თვალი-მეთქი? ამეილო და მამცა, ჩემ ქალაღებს შეუოლიო. რალას ვიზამდი? გამეცინა. დარწმუნებული ვარ, განგებ ამართვა.

— რას ამბობ?— შეცხადებით წამოიძახა ნეფიტარიძემ:— შე უღმერთო, რაზე ჩოუფდე ხელში?

— კი არ ჩოუფდე, გეუნები...

— კაცო, აღარ გახსობს რაფაძისას რა ამბავი დავეთია?

— რაფა არ მახსობს, მარა რა უნდა მექნა?

ნეფიტარიძემ თავი წაიფხანა. აღგა, ნერუულად გაიარ-გამოიარა, მერე ერთბაშად შესტვა, თვალი სიერცეს გაუსწორა და, თითქოს ეშინია, არავინ გაიგონოსო, წყნარად სთქვა:

— ახლა მაგასაც კულს გამუბამს თავისებურათ.

— იმე, თქმა უნდა? ხო იცი, არ დაგვზოგავს?

— არ დაგვზოგავს და... დედას უტირებ!

თავდაჯერებით წამოიძახა ნეფიტარიძემ, აივნის რიკულს დაეყრდნო და ვითომ უღარდელად აღიღინდა...

წელანდელი გრილი ნიავი საღლაკ გამარულიყო. იმის ნაცვლად ახლა სიზმარივით მქრალი სიო-ლა იძვროდა. საქუწუროდ განმზადებულ ყანებიდან მკალთა ჭკრული მოჰქონდა. კარვა მობინდებულებიყო. დასავლის კიდურს რომ სიწითლე დაჰკარგოდა, სამავიეროდ აღმოსავალი გაშუქებულიყო. ცოტაც კიდევ და: ლიხის ახვინულ ხერხემალზე ვეება კვერცხისგულივით გადმოგორდა დამცხრალი მთვარე მოსაუბრენი შეთქმულებივით სდუმდენ.

მიუწებელი გარემო უეცრად თოფის ხმამ დაჰსერა: ერთი, ორი, სამი... მერე თოფის სროლას უეცრადვე სიმღერა მოჰყვა, 1905 წლის ქართულ მარსელის გუგუნი:

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,

ჩამოვიბერტყოთ ფეხ ქვეშ მის მტერი...



— ჩენი ბიჭებია!

— ჰო, წარმოდგენას ამზადებენ.

და უნასთა ფიქრი უნებურად 1905 წლის სახელოვან მოგონებებშიცაა აღნიშნული. გადაფრინდა, როცა ესენიც კი ბიჭები იყვენ—ყოველ შემთხვევაში, რომელიც ამ თემაზე ზიინც, ვიდრე დღეს ბრძანდებიან...

12

წარმოდგენა ადგილობრივი შვიდწლედის სასარგებლოდ იყო განზრახული. ძველს დროში სოფელი ზურეთი; მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ვითორმეტრი ვერსის მანძილით იყო დაშორებული კარგა მოზრდილ საეკლესიო დაბას (დღეს კი—ქალაქსა და რაიონის ცენტრს), განათლების მხრით მაინც და მაინც ცერაფერს დაიკვებინდა. ერთადერთი სამრევლო ორკლასიანი სკოლა გაჩნდა, სადაც ორმოციოდე ბავშვი—ქალი და ვაჟი—სწავლობდა, ესენიც მეტწილად მრავალრიცხოვან გუდამიწიერ აზნაურთა შვილები იყვენ.

ეკლესიის გალაგანში ერთი დაბალი და დაქვიშული შენობა იდგა, რომელიც კვირა-დღესასწაულებში საეკლესიო სენაკის დანიშნულებას ასრულებდა, სხვა დროს კი—სკოლის შენობისას. მასწავლებლადაც ადგილობრივი მღვდელი იყო. ხშირად მოხდებოდა, რომ მღვდელს გაკვეთილის დროს სოფლად გაიწვევდნენ რაიმე მოულოდნელ მღვდელმსახურების შესასრულებლად. მაშინ ბავშვები სრულიად უშეთვალყურო რჩებოდნენ და, მასწავლებლის მოლოდინში, იქაურობას იკლებდნენ: რიკტაველა, კენჭობია, არ თურმა და სხვა ძველებური ტანვარჯიშობა პირდაპირ საკლასო ოთახში იყო ხოლმე გამართული.

მასწავლებლის ერთადერთი ღირსება ის იყო, რომ გალობა იცოდა. ხშირ შემთხვევაში მშვენიერი ჰქონდა, და მოწაფეთაგან ჩინებული ხორო ჰყვოდა შედგენილი. ერთხელ, მახლობელი დაბის ტაძრის კურთხევაზე ამ ხორომ თვისი გაწვრთნილობითა და ხმატყბილობით არქიელის ცნობილი ხოროც კი ჩაჩრდილა, რისთვისაც გალობის არა ნაკლებ მიყვარულმა არქიელმა ლოტბარ-მღვდლის ქეჩუჩა თავს ნაადრევად სკუფია წამოადგა.

1913 წელს ზურეთის მრევლმა, მღვდლის შთაგონებით, ძველი ეკლესიის ხის შენობა დაშალა და სკოლას დაეთმო, ხოლო ტაძრისთვის კი ქვიტკირის შენობა დაიწყო. მაგრამ მოულოდნელად ატეხილმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა და, რაკ რევოლუციებიც ერთმანეთს მოჰყვა, მშენებლობა საბოლოოდ შეფერხდა: დარჩა მხოლოდ შუამდე აყვანილი კედლები.

გასაბჭოების შემდეგ სამრევლო სკოლა ოთხწლედმა შესცვალა, ეს უკანასკნელი—შვიდწლედმა; ახლა კიდევ ზურეთის საკლემურნო სკოლაც შეეძინა და, რა თქმა უნდა, ძველი, ნატაძრალი შენობა ყველა ამ საჭიროებას ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებდა.

დატრიალდა შვიდწლედის გამგე კალისტა რაფაძე: სოფლის აქტივი აამოძრავა, საბჭოს მოუსვენრობის ცეცხლი შეუნთო და ბიჭიკო რიკაძის დახმარებით ჩინებული რვათვალისანი სახლი მეთრე სართულად წამოადგა საეკლესიოდ დაწყებულს, მაგრამ დაუშთაერებელ შენობას.

ეკლესიას კარგა მოზრდილი ეზო ეკრა, ქვიტკირის გალაგნით შემოვლებული. გალაგანს გარედ ვრცელი და ვაკე სასაფლავო იყო. ეკლესიის ეზო სკოლას

მიუჩინეს, სასაფლაო გააუქმეს და სხვაგან გადაიტანეს, ხოლო ის ადგილი კი სოფლის სხვადასხვა საჭიროებისათვის განაკეთნეს.

ამებამდ აქ თავმოყრილია: სასოფლო საბჭო, კოოპერატივე, კულმურნეობის გამგეობა, კლუბი, სამკითხველო, ფოსტის განყოფილება და სხვა ორგანიზაციები. კვირაობით კი აქვე იმართება მახლობელ სოფლების ბაზრობა, რითაც ზურგით ერთ დროს განთქმული იყო.

ამრიგად, ის ადგილი, სადაც წინად ხალხი მხოლოდ წირვალოცვისა და მიცვალებულთა დამარხვის დროს იკრიბებოდა, ახლა გარდაქმნილ სოფლის ცხოვრების ცენტრად იქცა...

სალამოს გამართვას ბიჭიკო რიკაძე ხელმძღვანელობდა. მთელი ორი თვის განმავლობაში სამზადისი არ განელებულა. საამისოდ მობილიზებულ იქნა: აქტივი, კოპკევიჩი, მიწაფეოვა არა მარტო ზურგით, არამედ საბჭოში შემავალ ყველა სოფლისა.

სპექტაკლის რეჟისორად ან, როგორც აფიშით იყო განცხადებული, „მატვრული ნაწილის გამგედ“ რაიონიდან მოწვეულ იქნა იჭაური თეატრის რეჟისორის თანაშემწე, რომელიც ზურგით მკვიდრა იყო, და ამიტომ სალამოს წარმატებისათვის თავს არ იზოგავდა. მის მონაწილეობას, უშუალო სარგებლობას გარდა, ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ რაიონის ცენტრის საზოგადოება დაინტერესდა და სალამოს იქიდან მოსულიც ბევრი დაესწრო.

გალაენის უზარმაზარ კარი-ბჭეზე სამიდიანი აფიშა იყო გაკრული, ფერადი საღებავებით ნახატი და ჩუქურთმული წარწერით აკრელებული. ეს აფიშა — ადმინისტრატორ რაფაძის სიამაყე — შეიდწლედის მოწაფეების ნახელოვნევი იყო.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პროგრამის მესამე ნაწილი, რასაც აფიშა ასე ამცნობდა „პატივცემულ საზოგადოებას“:

„ცეკვა: ქართული და ინტერნაციონალური.

შამილას იცეკვებს ცხრა წლის ავთანდილ დევაძე.

სასულე ორკესტრი. ზურნა. ტრიო: გიტარა,

მანდოლინა, ჩანგური (ბებია მკასი).

ნიხვერსტიინის გარმონი.

ცაცხვის ქვეშ ბუფეტი.“

რიკაძე დილიდანვე პლელადა. აბნეული და თვალარეული იქით აქით აწყდებოდა. ამ წამს რომ ერთ განკარგულებას გასცემდა, მეორე წამს მის საწინააღმდეგოს იძლეოდა. ყველაფერი თვითონ სურდა გაეკეთებია, ყოველივეს საკუთარი ხელითა და თვალთ უნდა მისწვდომოდა. ოფელში გაწურული, ტარივით ტრიალებდა, ჯავრობდა, ივინებოდა: მუსიკამ რაი დაიგვიანა? მონაწილეები ყველა არის თუ არა? ეს იქ წაჰკიდეს, იმას აქ დამიძახე. შენ რა ჰქენი? იმან რა გააკეთა?

სპექტაკლის დაწყებამდე ასე ჰპოროგავდა უსმელ-უკმელი, ნერვებაკიმიული. მერე ერთბაშად მოტყდა. მოეშვა. განვლილს რომ გადაჰხედა, კიდევ გაუკვირდა: ნუ თუ ყოველივე ეს ჩემი ნაკეთებიაო.

აბა ვინ იფიქრებდა, თუ საღამო მართლაც ასეთის წარმატებით ჩიკლიდა? თუმცა დასაწყისი 9 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ ხალხმა უკვე ჰქვისი-შვიდი საათიდან იწყო დინება. შორეულები, როგორც ყოველთვის, უფრო ადრე იკრებიებოდნენ. გალავნის გარშემო ხელიგულივით გაშლილს ჰქვია „საქონის“, რომელსაც წარსულში ბევრი დღეობა და ღრეობა გადაუხდია, ხალხი ძველებურადვე ოთხივე კუთხით ეჯარებოდა: ქვეითი, ცხენოსანი, ურშიანი.

მაგრამ დღევანდელი სანახაობა მაშინდელს როდილა ჰგავდა. მაშინ გონებრივი სიბნელით უსას.ოქმნილი მშრომელი თვალდახუჭული მისდევდა თაობიდან თაობას გადმოცემულ ჩვეულებასა და, საიქიოს დანაპირვე კეთილ ცხოვრების მოლოდინში, ცრუმორწმუნეობით იქარვებდა სააქაოს დუხჭირობით გასიებული ნაღველს.

ახლა კი, უნადაგო ცრუმორწმუნეობა თვალთა რწმუნის სინათლეზე ნისლივით იცარებოდა, ხოლო საიქიოს ფუქსავატი მომავალი, მისი ცხოვრება-წყემედიანა, გამგუნებულ ქალარა სამპროვინისთვის დაელოცნათ და საამქვეყნო—ნაშდვილსა და ხორციელ მომავალს—თუმცა სუსხიანი, მძიმე შრომით, მაგრამ მაინც ურყევი იმედით სჭედავდენ.

მთელი ოჯახები დღეიან-ბუღიანა აყრილიყვენ. თავიანთი საგზალი თან წამოეღოთ და, როგორც ძველად—დღეობაში—დაჩარდახებულ ურმებს ზოზინით მოაქრიალებდნენ. სადღესასწაულოდ მორთული ახალგაზრდობა: ვაეები ხელგადახვეულნი, ქალები მკლავგაყრილნი, სასიხარულო კისკისით შემოდიოდა.

რიგი მარჯვნივ, რიგი მარცხნივ, ზოგი კი, უფრო გაბედული სათემოს შუაგულით მოემართება. დამხვდურნი მოურიდებელი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებენ. მოწონებას თუ წუნს აშკარად გამოჰმატავენ. მოსულნი გვარისა თუ უზნის მიხედვით ლაგდებიან, გამოწვევად ალესილნი, უბრალოდ თავ-მოწმონენი: ცნაურთა ღიმილი და თვალთა უცნაური ციალი. უეცარი შეძახილი და უნებური გამოხმობა.

ხან აქ, ხან იქ ანახდად დაირა აგუგუნდება, ან გარმონი ასტეხს ქრიალსა და მაშინ, თითქოს უხილაემა ცელმა დასთიბაო, გუნდები თავიანთ ადგილს მოსწყდებიან: წრეს შეჰკრავენ და გაცხელებული ტაში მოციკავე წყვილს, უნდა, არ უნდა, ფინთიხივით წრის შუაგულს გამოისვრის.

ბალახგადავლილი და მიყრუებული ისევე გაცოცხლდა ძველი სათემო: ვივილი, კივილი, სიმღერა, სიცილი, ძახილი და გამოძახილი. თითქოს კაცთა ზემის მხარასამელოადო, პირუტყვთაც ყბა აფშვიათ: ცხენტა კიხვინი, ხართა ბლავილი, ძალლთა ყყფა—ხლაფუნნი...

სალამოს საესტრაღო ნაწილი გვიან გათავდა: ცეკვა ნაშუალამეკამდე გასტანა. თუმცა სხვაგვარი გასართობის მოტრფიალეებმა სპექტაკლის დასრულებას აღარ უცადეს და თავიანთ საქმეს ადრევე შეუდგენ.

სუფრები ასწლოვან ვეება ცაცხვის ქვეშ იყო გაშლილი. მოყვარულთათვის ნოშოვანი ფანჩატურებიც კი გაემართათ. გალავნის ძირას, სახელდახელო ხის შამფურებზე, ქათმები და მწვადები შიშხინებდა. ცოტა მოშორებით, უზარმაზარ თალარში ღვინის ჩაფები იყო ჩაციებული.

ბუფეტის გაშვებლობა ნეფიტარიძეს ებარა, რისთვისაც ათიოცე ხელქვეითი ჰყავდა მიჩენილი, ყველა თავისიანები: ფსიტიძე, აცაშვილი, ნიხელოშვილი...

— აბა ამაღამ აწაპნის აი!

— აწაპნის თვარა, ახალი ხილია მაგისთვის!

— რა გინდაო, ძეგო, ჭეცე მაგას აქეს და კაკალიც!

ენაძვირობდნენ ზოგიერთები.

ვინ იცის, ესენი იქნებ მართალნიც იყვენ, მაგრამ ნეფიტარიძის დასაცავად ის მაინც უნდა ითქვას, რომ ამ საღამოს იგი საამისო გუნებაზე როდი იყო, მას სულ სხვა რამე ედო გულში, უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი.

დღეს იგი სავსებით სხვა და სხვანაირი იყო: ტუჩზე ნაცაღი მელის ღიმილი ეკრა, სახეზე — ხვერდის რბილი თავაზი და ხალხში კატუნის მოქნილი, ფეხაკრეფილი სისხარტით დაძვრებოდა. ათასი თვალი ესხა და იმდენივე ყურით. საკმაო იყო ერთხ მოხედვა, თვალის ქნევა ან თითის აწევა და მუსტრის სურვილი აუჭარებლად, მაგრამ სწრაფად ასრულდებოდა. ხანდახან, ბრძანებათა და განკარგულებათა გაწამაწიანში, თვალით შერიკიბე ფსიტიძეს მიიხზობდა და რაღაცას წასწარწილებდა.

სუფრა გამრავლდა, ლხინი გახშირდა. გადაკიდებულ მრავალკამიერს მოქვიფენი ცაცხვის წვეროკინაზე აჰყავს.

გარჯილობით განთქმულ, მაგარ თვრინელებს ღობური სმა გაუჩაღებიათ, ძველი, შამა-პაპური: ერთი სასმისი — მათს თამადასავით ყვირაპი და ფაშეიანი — მარჯვნიდან მარცხნივ მიჰყვება. სანამ მისი რიგი არ მოვა, თუნდაც წყურვილი გაღრმობდეს, ერთ წვეთსაც ვერ გადაჰყლაპავ. სუფრის მაგიერ ნოშო დაუფენიათ, სუქან ხორცს საკუთარი ჯიბის დანებით მკადებზე სთლიან და სვავებავით ისანსლებიან.

მათს პირდაპირ, თითქოს საკონტრასტო, ჩინობისთვისო, პიწკია კინოთლები წამომსხდარან: მაღალნი, სუბუქნი, ქამარში გამძვროლნი. ჩიტბივით იკენკებიან, ფუტკრებივით იწრუტებიან. სრიალი და რაკუნი კი იმდენია, რომ კაცს ეგონება, შეუქმელ-შეუსმელი ამათ რა გადარჩებო. სამაგიეროდ, ამოდ მღერიან, განსაკუთრებით ქალები.

იქით ძლოური, შემდეგ თელარი — ორივე ქინკული და ჩხუბის გადაშვიდე. აქ უკვე, როგორც იტყვიან, „გოჭი ხიდზე გასულა“: აღარც თამადა, აღარც მოინახენი — ძალი პატრონს ველარ სცნობს.

საღამოს მონაწილეთათვის ცალკე სუფრაა გაშლილი გრძელი და ბარაქიანი. დაკაპიწებული და მკერდლია ნეფიტარიძე მზრუნველობით თავს დასტრიალებს, არგებს, აარიგებს.

გებეწებიან: შენც დაჯექიო. აბა როგორ შეიძლება? ეგერ მეგობრებიც ებატეებიან: სასოფლო საბჭოსა და კოლექტივის გამგეობას ზიარი სუფრა აქვს გამართული, მაგრამ ნეფიტარიძე იმათაც ვერ მიჰკარებია. არა, მან ასე ფეხზე უნდა იტრიალოს, რადგან დღეს სხვისი მოლბენა მისი მოლბენაა. სამაგიეროდ მისი პირმშო ხომ აქაა? შამის ნაცვლად ის მოაღბენსო.

და ღორიეცაც წამოდგება, სავსე ჭიქას აიღებსა და სუფრას ასე მიმართავს:

— ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. არის საჭირო იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს შკოლას, საზოგადოთ/სწავლა განათლებას. და აი ჩვენ დღეს სრული ასი პროცენტით ეჭვსაყვანილი ის საქმე, რომელიც განათლებას უნდა ემსახუროს. თქვენ კარკაფუ ელფიყუ ეჩქანაგებო, თუ რა გააკეთა ამ საქმეში ჩვენმა ძვირფასმა ბიჭიკომ. ის რო არ ყოფილიყო, ეს საქმე უთუოდ ჩავარდებოდა. ამიტომ, ამხანაგებო, ზურეთის კომკავ“ შირის სახელით მე მადლობას უცხადებ ამხანაგ ბიჭიკოს. ეს ერთი. ამასთანავე წინადადებას ვიძლევი, რომ ამ ამხანაგურ სუფრასაც იმან უხელმძღვანელოს.

საერთო ტაში. დასტური.

— თანახმა ვართ.

— ჩინებულია!

— ვთხოვთ, ვთხოვთ.

— რა თქმა უნდა!

ბიჭიკო უარზეა, ხელებს ასაეხაეებს, წამოწითლდება.

— ამხანაგებო, მე...

— ვთხოვთ!

— კარგი, კაცო!

— გათავებული საქმეა.

— ამხანაგებო, მამისმინეთ, — საერთო ხრილში ამბობს რიკაძე: — გერ ერთი, რომ ლეინოს არ ვსვამ. მეორეც, სასტიკათ დაღალული ვარ და, მესამე, რაც მთავარია, იქ, სადაც ამხ. ჟორჯია არი, თამაღობას იპას ვინ შეეცილება?

— არა, არა!

— ვთხოვთ.

— კაი ახლა!

— ლეინოს ნუ დაღევ, კაცო!

— ისე გეიხელმძღვანელებ.

და უარზეც აღარ გაუვიდა.

ნეფიტარიძე შორი-ახლოდან ყურს უგდებსა და ტუნთან შიტანილ მუქში ეშმაკურად იღიმება. კმაყოფილია თავისი პირმშოსი:

„არა უშავს. დასაწყისი გვარიანია. ჰაი, ბიჭო, თუ გამოდგე!“

გულში ამბობს იგი და შერე ფსიტიძეს წასაფრებულებს:

— ლეინო ხო კარკა შეაზავე?

— ფიჭრი ნუ გაჭ, ერთი კვარტა ვოტკა უთაქე!

ბიჭიკო მართალს ამბობდა: ლეინოს არ სვამს. არა იმიტომ, რომ არ შეეძლოს, ან არ უყვარდეს, არამედ იმიტომ, რომ იცის თავისი ხასიათის ამბავი: სმაში შეუწყნარებლად ჰინკულიანია, ხოლო ნასვანი კი — მეტად უხიავი. ამიტომ სმასაც ერიდება და, მით უმეტეს, თამაღობასაც.

მაგრამ დღეს როგორღაც სადავე მაგრად ველარ დაიჭირა და ნეფიტარიძის მიერ გადაგდებულ ანკესს უნებურად წამოვეგო.

გვერდით რიკაძეს უნასის წიწილა უზის. წინასწარ არყითშეზაველ ლეინოს გულმოდგინედ უსხამა და ჰიქასაც პირნათლად აცლევინებს. თანაც მამი-

სებურის ვერაგობით აქებს, აქეზებს, სადღეგრძელოებს იგონებს და ცხოვრებად აწვდის.

რიკაძეც, რაკი ერთხელე უნებობის კარი შეაღო, უკვე მორჩილად მიჰყვება ალკოჰოლის ვეება მდინარეს სულ შორს, შორს, თორბისა და თაქდავიწყების ოკეანეში, სადაც არც ნაპირი სჩანს, აღარც კანდელი...

ცნობილ დალაღსა და სპეკულანტს, ლატა ბორდილაძეს სუფრა დემონსტრატულად განზე გაუტახნია, განცალკევებულა, რათა მისი ყარაზოხული ქეიფი ყველას თვალში ეცეს. ახირებული და თანაც საინტერესო ვინმეა ეს ბორდილაძე. მისი სტიქიონი სპეკულაციაა, რასაც იგი სპორტივით ეწევა. სხვადასხვა ფიქტიური რწმუნებით აღქურული, დღეს ამ რაიონში „მოღვაწეობს“ ხეალ მეორეში. ხოლო, როცა სადმე უყვლავენ, მაენე სულივით ერთბაშად სადღაც ვაპქრება. ფინაგენტებსა და მას შორის მუდამ დაუცხრომელი და დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული, საიდანაც გამარჯვებული ჯერ-ჯერობით ბორდილაძე გამოადის.

სადაფრობით ზურეთელია, მაგრამ არც იქა და არც სხვაგან სადმე თითზე დასახვევი არაფერი გააჩნია: რაც რამ აქვს, სულ თან დააქვს. ოხრად ნაშოვარს ოხრადვე ჰფლანგავს, რის გამოც მისგან ნაპურ-მარილვეი ოხერიც ბევრი შეარეელობს.

დღესაც თავისებურის ხელფართობით იხარჯება: ხუთ და ათწერვონცია-ნებს ძველ ჩვარივით ისერის. შესაფერილი ამფსონი თან მოუყვანია და განგებ გამომწვევად დემოშირობს, რა არის, მაინც გაშივავო. მართლაც გაუდის, და როგორ? ნეფიტარიძე სულ თითის წვეროებზე სდგას მის წინაზე: რჩეული რამეები—საქმელი თუ სასმელი—მისთვის აქვს გადანახული. დუდუკი და გარმონი მის სუფრას არ შორდება. ნიხვერშტეინს ხომ ნამდვილი რთველი აქვს, პატივისცემით პირდაპირ ქერის ორმოში იფლება.

ბიჭიკო რიკაძე კირეეულობს:

— რაშშშია საქმე, ამხანაგებო?

და ბორდილაძის სუფრისკენ ბუქარის თვალით იბღვირება. ყორყოკა მხარს უჭერს, დამშვიდების ნაცვლად უფროც აქეზებს.

— აბა რაიო? მაგის მეტი არავინ არი აქ თუ რაფაა მაგისი საქმე?

აღექსა თავისებურად ორკვალობას: იქითაც არის, აქეთაც. ბორდილაძესთან მივა—ემჰაქურ თვალს ჩაუკრავს. აქ მოვა და რიკაძეს ტურამზუნებული ეტყვის: ყურადღებასაც ნუ აქცევ, რა მაგისი ღირსიაო. მერე გაბრუნდება და ორივეს გასაგონად ვითომ ზემოობით ამბობს:

— აგრე ჰო, ეტოტაზე ჩხუბს ნუ მოშლით! თქვე ოჯახქორებო, გასაყოფი რა გაქეთ? იქეიფეთ, ილხინეთ—მე კი პური და ღვინო მამთხოვეთ.

ბორდილაძე თავის ტყავში ველარ ეტღევა. გული თავაწყვეტილ მოლხენის ეინით აქვს საესე, ჯიბე უკი—იოლად ნაშოვნი ფულით. თავისი სუფრის ფარგალი მისთვის მეტად ვიწროა: სურს გაიშალოს, გაგანიერდეს.

სავსე კიჭით საბჭოს სუფრასთან მიბაწცალდება. ბოთერადის სახით ხელისუფლებას სადღეგრძელოს სვანს, აქებს, აღიდებს. რისი გავოთქნაც მის შოვალ ენას ველარ მოუხერხებია, იმას ხვეწა-ყოციით ააშკარავებს.

ცოტა ხნის შემდეგ ბოთერაძე ადგება, სამაღლობელს დაღვეს, ^{ჩინისა და} სპეკულაანტ ბორდილაძეს სიცოცხლისა და სასარგებლო მოღვაწეობის განკარგობას უსურვებს.

— მერე ჩვეულებრივი პატივობია შეიქნება, სუერებს მიწვევას ^{გაგონებულნი} ~~მიწვევას~~ ^{გაგონებულნი} ~~მიწვევას~~ თიანებენ.

აღმოსავლეთის სიწითლე ერევა, მოქიფეებს კი — ყვითელი ციცქა. კარბადნავსებ ჭიქებზე დადინებული ღვინო მთვრალი სენტიმენტალობის კავშირს აბამს. სუფრა სუფრის სადღეგრძელოსა სვამს. ძღვნად წარგზავნილ ხონჩას სამაგიერო მოსდევს. ზურნა, დაირა, გარპონი თავის-თავად უკრავს, ჩახრინწიანებული ყელი უნებურად მღერის უშნოდ, უაზროდ, საერთო ხრიალსა, ღრიანცელია და ბრაგუნ-დაგუნში ყურთა სმენა აღარ არის: კაცი უღვინოდაც დაითვრება.

რიკაძეს კინჭყლის ბურძგალი კბილით უჭირავს: სადაცაა გადმოვადებს. ნიხვერშტეინის გარმონი ვერცხლივით წყრიალებს და ამომავალი მზის სხივება გულამოსკენილი კისკასით ეგებება.

ლატა ბორდილაძეს ცეკვის „ხოში“ აქვს: თავზე საეყ ბათლი დაუდგამსა და ფართო ბაღდაღურს უვლის.

რიკაძე „რეჩა“ ამბობს: ფეხიანი ვეება ჭიქა ბარძიმივით აღუშართავს. საათის ბორბორელსავით მთელის ტანით ჰქანაობს. დაღვრილი ღვინო მაჯის ღარს მისდევს და სახელოს უსველებს. ამოხანძლულ სასაში გამშრალი ენა აღარ ეძვრის, მალი-მალ ტუჩს აწლავუნებს და გამოლეულ ნერწყვს ეძებს.

— ჩუმაღ!

ბრაზით წამოიხაველებს იგი და ღვინიან ბოთლს სუფრაზე ძალუზად დაათბლეს.

— თქვენ ეი, სიჩუმე იყოს!

წამოიჭრება ეორეკა ნეფრტარიძეც. დანარჩენები ჩანგლით და დანიით ჭიქ-თეფშებს აჩხაკუნებენ.

საქმე არა გაქვს?!

ბორდილაძეს მზრებში, ალბად, დილის გრილი ნიავე შესჯდომია და ის თუ დააფრენს ასე ლალად, ასე განიერად, მაგრამ ამ ნიხვერშტეინს მაინც რაღა ეშმაკვა უკბინა, რომ ასეთის ხელოვანებით აკრახებებს თავის გაომონს?..

— ჩუმაღ-მეთქი!

ჰყვირის რიკაძე.

— დაუკარ!

ბრძანებს ბოთერაძე

შემდეგ, უზერხული დუმილი მძიმე, შეკუბებული ვით ქარიშხლის წინ, და: დაქიშული ძარღვები, საფეთქლებს შიძალეებული სისხლი, ყელს მიბჯენილი ბრაზის ბურღო.

— ნიხვერშტეინ, აქ მო!

— ფეხიც არ მოიცვალო!

— ოოო, თქვენი...

კინჭყლის ბურძგალი ახლა კი თავის-თავად გადმოვარდა, რევოლვერის ჩახმასს დაეცა და გაისროლა: ერთი, ორი...

შემდეგ კი, რა მოხდა, ან როგორ მოხდა, დანამდვილებით არაფერს იცის. ზოგი ამბობს: ტყვია ცაცხვის ხმელ ტოტს მოხვდა, ტოტი წამოვარდა/და მოცუკვავე ბორდილაძეს თავზე დაეცაო. სწებები კი, პირიქით, ასე ხსნიან: ტყვია პირდაპირ მისთვის იყო ნასროლი შეგნებით, სასიკვდილოდ.

ასე იყო, თუ ისე—ფაქტი კი ის იყო, რომ დილით, უკვე რვა საათზე, როცა ძველი სათემოს მოედანი საბაზროდ მოსული ხალხით მთლად გაქედილი იყო, დაჭრილი სპეკულიანტი სასოფლო წყაროზე მძიმე ქრილობის გასაბანად მიიყვანეს, რიყაძე კი—ნაღებინები პირის გამოსარეცხად.

იმავე დღეს ეს ამბავი ნეფიტარიძის პირით რაიონში მივიდა, დეპეშის სახით კი—ცენტრში.

13

რიკაძის გაწვევის შემდეგ უნასებმა საულმთლად აიშვეს. თუმცა წინადაც არაფერი ეწინოდათ, მაგრამ ოდნავი რიდი მაინც ჰქონდათ: ხალხი რას იტყვისო. ახლა კი მორიდებაც დაჰკარგეს და სინდისიც. უზოგველობას თავგასულობა დაურთეს და გაუკითხავად სთელავდნენ ყველას, ვისაც კი რაიმე მიზეზით აითვალწუნებდნენ, სულერთია, ვინც უნდა ყოფილიყო, მართალი თუ მტყუანი.

ნეფიტარიძე უღვაშის გრეხით საქვეყნოდ ტრაზანობდა: „კამბეჩის მოჭიდავე ხარს რა არ შერჩებაო“. კოლექტივში სრულას ერთპიროვნობით გაბატონდა, საზოგადო ქონებას ახლა უფრო მეტის გულგრილობით ეპყრობოდა, ვიდრე ოდესმე: მარცხნითა და მარჯვნივ გულუხვად არიგებდა. მის საწინააღმდეგოდ არა თუ სიტყვას ან საქმეს ვინმე გაჰბედავდა, არამედ სულსაც ვაგლახად ვერაფერს დაჰბერავდა.

თავმჯდომარის მიწვევით გათამამებული მისი დამკაშები მეგლერტე ღორბივით დინგით მისდგენ კოლექტივის დოვლათსა და მის არსებობას ძირს უთხრიდნენ. თვითკრიტიკა და სოცშეჯიბრება უკრიტიკობითა და სიბეჭით გაჯიბრებით გააყალბეს. წმინდის მომიზეზებით კოლექტივის შედგენილობა სალი ელემენტისაგან გასწმინდეს და უწმინდურთა საეანედ აქციეს.

პირში მოქმელ ბერიკაძესა და ენამწარე „გეიკრიქეს“ ინტრიგანობა დასწამეს, წვერთა შორის არეგ-დარეგა შეაქცესო, კოლექტივიდან გარიცხესა და ეს საძაგლობა საერთო კრებას დახდასტურებინეს. საუყეთესო ბრიგადირსა და დამკერვლს ანტიფო ზიბზიბაძეს, რომელმაც გაბედა და ფსიტიძეს უქნარობა უძრახა, გამგეობის დადგენილებით უქანასკნელი გაფრთხილება გამოუქცხადეს.

იმ დროს, როცა საერთო ყანები და ვენახები მოუფლელობის გამო ბალახით იყო გადავლილი, კოლმეურნეობის წვერები ლუქმა პურის საშოგრად ქირის მუშად გარბოდნენ, ან მათხოვრებევით ხელგაწვიდინი მეზობელს—კერძო მეურნეებს—თითო მჭადის სესხებაზე ელიტინებოდნენ.

რიკაძის „გაფუჭებით“ კირილე ბოთერაძე ხომ მეშვიდე ცას დაეწია, სასოფლო საბჭოში ის კაცი, რიკაძე, შიშველ ხანჯალივით იყო აღმართული და ბოთერაძესაც ნაცადი ჯამბაზის მოჭნილობა და მოძრაობის სიხუსტე ესაჭიროებოდა, რათა მოუფრწხილებლად ზეც არ წამოკებოდა. რაკი ეს „სულთამბუთავი“ ასე იოლად თავიდან მოიშორა, სოფელი უძაღლო დასახა და სრულიად უჯობო დაიარებოდა.

რკაძის მოღვაწეობით „გამრუდებული ხაზი“ ერთის დაჯერით გაასწორა: თიბაძისა და კირკიტაძის საქმეებს განთქმულ ჭაღალდიყლაპია „ყდაში“ უკრა თაფი, ხოლო ჟორჯიას, მამის თანდასწრებით, სატუქსავე ლექსების დასრულებას და კომპოზიციის სუბუქ კავალერიის მიერ ნაველევი საკითხის დასრულებას დასაძინებლად მოახსენებდა. ამას რომ მორჩა, მერე სხვა საზრუნავი დაისახა: საჭირო იყო ყველა იმის „მორჯულება“, ვინც ასე თუ ისე რკაძისთან იყო დაახლოებული, და ვასაც მის მუშაობასთან რაიმე კავშირი ჰქონდა. გალაღებული უნასი კაპალა ნესტარს იღესავე და შურისძიების გესლით გარემოს სწამლავდა.

ამრიგად, ჯერ-ჯერობით ბურთივ ამით დარჩათ და მოედანიც. შეხვედრისას ერთმანეთს შორიდანვე უთქმელად გაუღიპებდნენ სწორედ ისე, როგორც ინკვიზიციის ხანაში იეზუიტებს სჩვეოდათ თურმე.

— ა, ახლა რაღას იტყვი, კილე ჩემო?

ეუბნება ნეფიტარიძე თავის მეგობარს, რომელიც იდაყვით მუთაქას დაპყრდნობია და გაფიქრებული ცხვირს იჩიჩქნის. დღეს „მგალობელიც“ გვარინად შეირგეს. ახლა კაკლის ხის ჩრდილში კილობი დაუფენიათ და პერანგის ამარები პგორაობენ.

— რისას, ლექსო-ჯან, რისას?

— ხო ჩასპანდი ბიჭი ვყოფილვარ?

— იმე, ხარ რაღა!

— ამოუსვი თუ არა საკადრისათ?

— ჰოოო... იმაზე მეუბნები?

ახლა მიხვდა ბოთერაძე და, უეცრად, ბუშტუქა ცხვირის ნესტოდან ორი თითის ჩამოკვრით ერთი ნამჯა შავი ბალანი გამოიტანა.

— იმაზე გეუბნები, იმაზე. ხო ამოკყარე გულის ბუხარი?

— ანასუნნი მის საქმეს!

— საკონტროლოზე გოდოუსციათ. კვერნაძე მეუბნებოდა გუშინღამ.

— საკონტროლოზეო?

შეფიქრიანდა ბოთერაძე და ცალი წარბი რაღაც უცნაურად აებრიცა.

— ჰო. რაზე გაეჭვდი?

— ევ ვერაფერი სასიამუნოა მაინცდა მაინც.

— ვითამ რათა?

— ხო იცი, შანჯალს ორი პირი აქვს.

— შენ გგონია, კუდს მთქნევს?

ცოტა არ იყოს, შიში შეეპარა ნეფიტარიძისაც.

— გგონია კი არა, დარწმუნებული ვარ. იმისთანა ღჯუ კაცია, რო სამარემღი არ მოგეშვება.

— რა გამოუა მერე?

— ვინ იცის.

— ვითამ უმოწმებს ვინმე? აჰა რომელი გაბედავს?

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს.

— პირველი შენი ნათლული იქნება.



მიუვო ბოთერაძემ.

— ეინა, კაცო?

გაიკვირვა ნეფიტარიძემ, რაკი ერთბაშად ვერ მიუხედავს.

— ეინა და, კალისტა რაფაძე.

— კალისტაოოო? მეც არ გამიკვირდა! რას უნობ, კაცო, უმოწმოს კი არა, შიშით სულ ზაფრის ჭარები აქვს ატეხილი.

— ჰო და, სწორეთ მაგიტომ: შემპარავი ძალდი უმურო გიკმენს.

— კბენაზე ნუ იქნება, თვარა კბილები კი არავის დოუძერია ჩემთვინ.

— მეც აგრე მგონია. ყოველ შემთხვევაში...

ბოთერაძემ განგებ აღარ დაასრულა, რათა თავისი ნაზრახი დამქაშის-თვის გამოეთქვევინებინა.

— ურიგო არ იქნებოდა, რო ისიც ერთი ჩვენებურათ დაგვეპედა!

— მერე ნათლიდედას რალას ეუბნები?

სიცილით ჰკითხა ბოთერაძემ.

— მაგათი პატრონის დედაც! რა მენადლეება?

— ლექსო-ჯან, ნამდვილი საკომისრო კაცი ხარ!

ერთხანს ორივე სდუმდა, რადგან ნაზრახი ორივეს ჰქუაში დაუჯდა.

— შენ ერთი ეს მითხარი, — დაიწყო ბოთერაძემ: — მამა მისი ნადიაკენარი ხომ?

ნეფიტარიძე კითხვის აზრს მიუხედა.

— ნადიაკენარი კი არა, მგონო, ახლაც არ აკლებს ხელს.

— ჰო და, მაგაზე ადვილი რალა არი, შე კაცო? უწროზო შამოსივალნი ამდენი და ამდენი, თვითდაბეგვრაც ორი იმდენი, მერე კულტმშენებლობის გამოსაღები, კერძო ბაზარზე გაყიდული პროდუქტები და... ქე გამოუა წირვა შენ ნათლიმამას, ჩემო ლექსო.

— იი დარდი! ჯაერით აღარაფერს ვქამ.

მყრალი ღრეჯით მიუვო უმადურმა ნათლიამ და წამოდგა.

— ავაშენა ღმერთმა, გვარიანათ გამოვშუშდი.

— მეიცა, კაცო, სად მიგეჭკარება? ავერ ხათუნას გადაუძახებ, ჰორთა კიტრებს დავაქრეფებ, ხელადას წყაროში ჩავაგდებ და...

— არა, არა. ხვალ, ხო იცი, ძველებურათ ფერიცვალობაა. ერთი ძირულაზე ჩევირბენ, იქნება ორიოდე ღერი თებში დევიქირო, კაი ხანია ბადე აღარ გამიშლია.

— ჰოო, მაგას კი არ მოგაშლევინებ. სიმართლე გითხრა, კიპორკაზე შემწვარი ბოლოწითელი ახლა, ისრიმ მაყვლით...თუ რამე იხეირო, ჩემი სულიც ახსენე, თვარა წაწყვდები, იცოდე!

და მსუნავები ხარბი წლაკუნით განშორდენ ერთმანეთს. მაგრამ ნეფიტარიძე რამდენიმე ნაბიჯის შემდგომ კვლავ შემობრუნდა და ბოთერაძეს მოაძახა.

— ჰო, მართლა, კაი გიქნია, რო ი ოჯახეტიანი გავიშვია!

— ეინა, თიბაძე?

— ჰო, ცხედარი უდგია შინ იმ საკვდაც: ცოლი გადმეცვალა.

— თელი ქვეყანა დამასია, კაცო; შამამჩიელეს და შამამტიორეს ჩვენ ვართ თაედებო. რალა უნდა მექნა? გასეუნების ვადა მივეცი და ვნახოთ: თუ ოქრუა არ მამიყვანა, ის ერთი ქობი რო აქს, იმასაც თავზე გადავამგრე.

— აგრე ჯოპდა, აგრე. რას იზამ, ჩვენც ადამიანები ვართ? მიმავალმა წაილაპარაკა და, ჭიშკარს რომ გასცდა, უდარდელის ღიღინით შეუდგა კლდეკარს აღმართს.

ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა: როცა გზაში მარტო იყო, საკუთარ თავს ებასებოდა ხოლმე, არა გულში, რაც ყოველი ადამიანისათვის ბუნებრივია, არამედ ხმიანად, კითხვა-პასუხით, ოითქოს გვამში მეორე ვინმე უზის და იმას ეხმაურებო. ახლაც ასე იყო. მიდის და მილაპარაკობს:

— არა, ერთი გამაგებია, ნეტაი, ი სულწაწყმენდილს რა უნდოდა ჩემგან?

— იმაზე ვამბობ, თიბაძის ცოლზე.

— თელი სიცოცხლე დიდინ-პატარიანა უბარი ვიყავით, თვალის დასანახავათ ერთმანეთს ვეზარებოდით და ერთბაშათ, როცა სული ხთებოდა... მამიყვანეთ, ერთი დამანახვეთ, მინდა დავლოცოვო!

— მერე რა უყოთ ახლა?

— არა, კი არაფერია... რაცხას უგნური დედაკაცი წამებოდებს, იმისი რა მცოდნია, მარა... გულში მაინც ეკლათ მესობა: უნდა დავლოცოვო.

— ალბათ ისიც ისე დაშლოცავდა, რავარც ბიჭკო რიკაძე მლოცავს ახლა! იმას კი ორუტებე საქავებელი, მარა...

— ე კირილე რამ შეაშინა ასე მწარეთ? ქუდს მეიქნეესო. რამდენიც უნდა, იმდენი იქნისო...

ჰო, ვინ იცის? მარცხა წყერის ფერიას. თავი რო დეიდვრინოს?

— იმე, რასაკვირველია, მატლი ხო მატლია, მარა ფეხს რო დააბიჯებ, ისიც ქე გასხმარტალდება.

— ააა, ფრთხილათ, ბიჭო ალექსა, სიმარჯვე ახლა გმართებს აი!

— ღარიბთა ჯგუფიო... მე მაგათა ყოფა ვატირე! რა უნდათ? რას ქინ-ქრაქობენ?

— არა, ცოტა დაყვავება ქე არი საქირო. სახრე და მათრახი ყოველთვის როდი ვარგა. ხანდახან ია და ვარდიც კიაა: თვალს წყალს დააღვიეებს...

— ჰო, მეიცა, ერთი ი ბრუტიანი ჩივაძე მოვითაფლო ჩემებურათ! მერე თელ ღარიბების ფარას ეიყოლიებს...

ცოტა ხნით შესდგა, სუნთქვა მოიბრუნა და მერე ერთბაშად:

— ვაი, დედასა! ჩემი დღე შუა გაყოფილიყო და პატარა სწავლა მქონოდა... მაშინ გიჩვენებდიყე სერის!..

ამ ლაპარაკში კარგა ძალი გზა გაჰლია. სერზე რომ ავიდა, გრილმა სიომ დაბებრა. ქულა მოიხადა, ოფლი ქუდითვე მოიწმინდა. შედგა და გარემოს თვალი მიმოავლო: იქვე კოჭზე წამოსკუპდა. პაპიროსი დაახვია, მოსწია და რატოქლაც ღრმად ამოიგმინა.

ქვემოდ, დაფენების გასათავარში, ორი-სამი კილომეტრის მანძილზე, ვეება ჯობივით იდო „შიგულას“ პოხიერი ტაჯობი. სატაროოდ მოსული სიმინდის ყანები ალელვებულ ტბასავით ღალანებდა. გარშემო, დარგვალეებულ ბორცვებზე,

მეორე უმეწამლედი ვენახები ლაინობდა. მარცხნივ, წვიმივ და რეკონს უვი-
 იელ ფერდობებზე, ტყერად აყრილიყო ხელით ნარგავი აკაციის ლაშხები. მარ-
 ჯვნივ კი, ხე-ხილთა და ვენახთა შორის, ნიყვებევით გამოსწრედ წველელკრამი-
 ტ ანი კობტა იდებო.

ნეთუტარიძე უნებურად გავტაცანა ამ სანახაობითა და უნებურადვე უც-
 ნაური ნატვრა აღეძრა:

— აი, აქედან მოყოლებული—და თვალით მთელი ტაფობი შემოფარგლა:
 —ყანაინ-ვენახიან-ტყიან სახლ-კარიანა ერთი კაციის უნდა იყოს ყოლიფერი და...
 მაშინ ქე იცხოვრებ ხერიიანა.

მაგრამ, ალბად, საკუთარივე უგუნური ნატვრისა შერცხევა და იმიტომ მი-
 მოიხედა, ხომ არავის გაუგონიო.

ხეზოდან, სხლტიანის ბილიკით, ორი კაცი ჩამოდიოდა, ლაპარაკით, ატრქა-
 რებლად. დააკვირდა. იცნო: ერთი ყარამან რაფაძე იყო, მეორე კი—ელიზბარ
 თიბაძე.

— ალბათ მიცვალბულასთვის მიყავს, დავათნის საკითხავათ.

უეცრად გაივლო გულში და წამოხტა. ერთი ფეხის დაკვრით გზას მო-
 შორდა, სიბინდის ყანაში შეძერა და გაიტრუნა.

— არა, ტყუილია, ჩემო ელიზბარ, შენ აქ სამართალს ვერ იპონი. — ამბო-
 ბდა რაფაძე: — ზომ ხედავ, კუდი კუდზე აქვე გადამბული!

— აბა რა ვქნა? რა მეშველება?

— რაი და, ქალაქს უნდა წახვიდე.

— ეპ, რითი წვევიდე, ჩემო ყარამან, რითი? სახში ერთი გაკენეტა სიბინდი
 არ გამოჩნია. ახლა კიდევ ეს უბედურობა დამატყდა თავს: ასი თუმანი ფული
 ვერას მიშველის.

— დამწვარზე დუღარეო, რო იტყვიან, ისე მოგვიდა, შეუბედურო, მარა
 რას იზამ. მეტი გზა არ არი. წადი, პირდაპირ მახარაძესთან მიდი. ამბობენ,
 ძალიან შემბრალე კაციიო. მიდი, ოუხსენი შენი გარეპობა: ასე და ასეთქვა.
 კი ნურათერს დოუ'ალავ, ყოლიფერი უთხარი. უსათუოდ შევიწწარებს, კამი-
 სიას დაგინიშნავს.

— კი, მარა იქამდე ვინ მიმიშეებს? გზა მე არ ვიცი და კვალი.

— ჩემი ბიჭიკ აპირებს წასვლას, ერთათ იმგზავრებთ. ამას წინახე ჩვენი
 ზარასპია იყო წასული, ხარები რო ოფწერეს. გადარეული ჩამევიდა სულ: თვი-
 თონ მინახულო, გვერდით მაიჯინა და ისე გამამკითხა ყოლიფერიო. მართა-
 ლია ხარჯი მოუვიდა, მარა ი ხარები ქე დეიბრუნა.

მაჩევით გაბუ'უნებულ აღექსას სისხლი საფეთქლებში აწვება, საკუთარი
 გტლის ბრავუნი ესმის, მაგრამ ვერ განძრეულა. როცა მგზავრებმა კარგა მან-
 ძილი ჩაიარეს, საფრიდან მხოლოდ მაშინ გამოძვრა, ჩლატუნით მიმავალ რა-
 ფაძეს მექარის თვა-ი დაადვენა და სისინით მიიყოლა:

— ეს ულაში ძალლის ფუნაში გენახოს, თუ ეგ სავეტნიკობა არ განანო!

და ფარჩა—ულვაში ისე მაგრა გადაიგრიბა, რომ უნებური ტყვიელი
 იგრძნო. მერე ერთბაშად პირი იბრუნა და კვლავ სასოფლო საბჭოსკენ გასწია



ყურმოკრული ნალაპარაკევი ნეფიტარიძემ იმ ლამესვე საბჭო თვემჯდომარეს მიუტანა. ორი იმდენი მოგონილიც ზედ დაურთო, ეჭვქუთუხეჯიჟსხვილა და ბოთერაძეს ბრაზით სულ კბილები აკრაპუნებინა.

თავისებურად მოითათბირეს, ჩვეულებრივად დაასკვნეს და, მეორე დღესვე ყარამან რაფაძეს 3000 მანეთის საშენაწერო ფურცელი საგანგებო კაცი სხელით მიაყენეს, თანაც გადბჭრილი დირექტორია მისცეს: რა თქმა უნდა, ფულს მაშინვე ვერ დაგითვლის, ამიტომ დედიან-ბუღიანად ყველაფერი აუწერე და სამი დღის ვადა მიეციო.

მასწავლებლის კულაკურად დაბეგვრის ამბავმა მთელი სოფელი ააყაყანა. პატიოსანი, მშრომელი ელემენტები, ისინი, ვინც ახალი ცხოვრების გაწამაწიაში გულწრფელად იყვენ ჩაბმულნი, საგონებელში ჩააგდო: ხეაღინდელი დღის იმედი დააკარგვინა და შრომის სიტკბოზე გული ააგორებინა. ანტისაბჭოთა ელემენტებს კი ღვარძლიანი სისინის პროვოკაციული საბაბი მისცა.

— მოდი ახლა და ამ ცხოვრების გეიგე რაზე!

— ალექსას კითხე და გაგაგებიებს.

— ეჰ, გეიგე, არ გეიგე—სულერთია, ჩემო ძამია!

— კალისტა რაფაძემ თუ გეიგო, აჰა იმიტომ შეუკაზმეს გემრიელი საქამალი.

— კაცო, იმას რო მაგისტანა საქმე უქნეს, შენ ვინდა დაგინდობს?

— არა, ჩემო, არა: წასულია ჩვენი საქმე.

— ნავისი რჯულიც არ იყოს! მოუსვამ ხელსა და სულ ერთ დღეს შევქამ რაც ვამაჩნია!

— რასაკურელია! სხვა რო არ გავაძლო, ბარემ ჩემ ტომაქში ჩავყრი.

ასე მსჯელობდა სასოფლო წყაროზე საგრილოდ გამოსული ხალხი. ეს წყარო ან, როგორც სოფელი ეძახდა, „ხატის წყალი“ ერთგვარი საკრებულო ადგილი იყო. ნასადილევს, სანამ მზე არ გადაიხრებოდა, მუშაობის განახლების მოლოდინში დიდი თუ პატარა აქ ისვენებდა: ქალები იოლი ხელსაქმარითა და ქორიკანობით, ვაჟები—თამბაქოს წვეითა და მასლაათით.

— კაცო, ვფიქრობ და ვერ ვამიგია,—ამბობს სარდიონ თავბერაძე, ვისაც სოფელში დაკვირვებულნი კაცის სახელი აქვს გავარდნილი:—თელი ჩემი სიცოცხლე ბატონსა და მის კალონს ვებძოდი, ავი იყო და იმიტომ. ახლანდელი თავრობაც იმას ებრძოდა ხომ? მაღლობა ღმერთს, ბატონიც გადაეარდა და მისი კალონიც, კაი და პატიოსანი! მარა გამარჯვებული ახლა მე მეძძვის. რათა რისთვის? სიამეც რო ვებრძოდი იმისთვის? აჰა თავრობასაც გლახა საქმე უქნია?

— იმისთვის, ჩემო სარდიონ, რო ნეფიტარიძეს სულ წითელი კვერცხი ვერ უგორე ხელიგულზე.

— კაი, ვთქვათ, მე ვერ უგორე, მარა შენ? ზიზზიბაძემ? თიბაძემ? რომელი ერთი ჩამოგითვალო? რაფაძემ რალა დააშავა? კალისტა ხო გადაყოლილია თავრობის საქმეზე? მერე რატოა ასე?

— იმიტომ, რო მარტვა ალექსამ ჭამოს!

— კი, მარა რატო იმან უნდა ჭამოს მარტვა?

— კომუნისტია და იმიტომ!

ერთბაშად მიახალა განკულაკებულმა დათია ულუფაძემ, რომელიც შორი-
აღლოს იჯდა ბუსავით აფხორილი და ხელისუფლების აუკისრების გეგმას იფ-
ხანდა: ახია თქვენ თავს, ნეტავ უარესიც დაგემართებოდეს!

— ეს ვინ არი? — უცრად წამოიძახა ჩვენმა ნაცნობმა ბერიკაძემ და
ულუფაძისკენ ჯდომელა მიტრიალდა: — დათია ხარ? ჰო, შენგან როდი მივირის
მავისთანა პასუხი! შე კაი კაცო, რომელ კალონში წერია, მარტვა კომუნისტმა
კამოს და შენ შიერი იყავიო?

— არ წერია, მარა ასე გამოდის.

— იმე, ამა თავრობას ქვეყნის წახთენა დომეზია?

— მერე ამდენ ხანს არ გავიგია?

იქედნურის ღრეკით მიუგო ულუფაძემ და დამამიცირებლად გადაჰხედა.

— ასე ჰო, ჩემო დაეით, მე პირში მთქმელი კაცი ვარ, ნუ გეწყინება:
შენი მუცლის ტკივილი სხვა არი, ჩვენი კიდე — სხვა.

— რასაკერულია, შენ სხვანაირათ მოგშივა, მე სულ სხვანაირათ!

— მოდი ახლა და ამას ელაპარაკე! — გაჯავრდა მართალი ბერიკაძე: —
კაცო, საქმეს ჩახედვა უნდა თუ არა?

— მერე რატო არ ჩახედავ? ორი თვალი ხო შენც გასხია.

ბერიკაძემ დასაძგერებელ მოზვერივით ქვემოდან შეუბღვირა და, როცა
პირიღნ ჩიბუხი გაიძრო, დინჯად, თავისებურად უპასუხა:

— თვალთაც ბევრი მინახავს და ყურით უფრო მეტოც გამიგონია, მარა
ეს როდი კმარა: თვალით ნახულს და ყურით გავგონილს ჰქუა უნდა დაატანო,
საკუთარი გონებით უნდა გაზომო. იმიტომ ახლა ასე გეტყვი: ამ ცხოვრებას
რო დავეკვირებივარ, მე და შენ არაფერში გასატოლებელი არ ვართ, არც
წინათ ვყოფილვართ ერთ უღელში და ვერც დღეს გევებმებით. შენი ზვიმირა
რო მუქოულათ აბნევა, ჩემსას კრიჭაში ერთი მარცვალიც არ ვარდებოდა.
მამაშენმა მზა მხარეულზე დაგაჯინა. ჩემდენი არც გარჯილობა გინახავს, არც
გაქირვება, ხო გახსობს: შენ ასმანეთიანი ცხენით დაბძანდებოდი, მე ბატონის
იასოული მაჯდა კისერზე. აგერ სამოც და ათი წლის კაცი ვარ და ერთი და-
რიანი დღე არ გამთენებია: ცალ ბეჭზე სიღარიბე მეყიდა, მოორეზე — ხელმო-
კლეობა...

— შენ რო გლახა იყო, ვისი რა ბრალია!

ცალყბად შეუღრინა ულუფაძემ.

— დათია, ნუ გამახელებ! — ფიცხად მიმართა ბერიკაძემ: — გლახა რატო
იყავი? შენ დამაგლახავე და იმიტომ, შენ და შენისთანებმა: ამ ცხოვრების
სათავე და საყელავი თქვენი იყო, გზა და ხიდი თქვენ გეყავათ, თავრობა და
მისი უკალონობა თქვენ მხარეზე იყო და ამა ვის არ დააგლახავებდით? თვარა
ისე რა საგლახაო მჭირდა? ჯანი მაკლდა, თუ ჰქუა? გარჯა თუ მოხერხება?
ჩემ წესაზე ყოლივერი ქე მჭონდა, მარა... უსამართლობამ დამაჭირა წიხლი და
ველარ ოფდექი...

— ახლა? ახლა თითის წვერუებზე ტრიალობ არა?

— ახლა? — და მოხუცი წუთით ჩაფიქრდა, თითქო სიტყვას ეძებდა: — წებან რო გეუწებოდი, სხვანაირი მუცლის ტკივილი გაქ-მეთქი, ის სიტყვა კი არ წამამტენია, მართალი ვითხარი. შენ, ჩემო დავით, ისევ იმ დროსთვის სწავარხი ხარ და ცხადათაც ძველი გელანდება. ახალი რავე მოგეწონება, როცა გულში მისი სიძულელი ვიდევს? მე რო ახალს ვაუკებ, იმიტომ კი არ მამდის ასე, რო ახალი მძულდეს და ძველი მიყვარდეს. არა. ძველიც ჭირმა გადააშენა და მისი მამგონიც! სახარბიელო იმას ჩემთვის არაფერი მოუტია...

— ახალმა რა მოგცა? — გააწყვეტანა განკულაკებულმა და, რაკი მოკამათემ პასუხა ჩვეულებრივად შეუგვიანა, ეგონა, ჩიხში მოვიმწყვდიეო, და ბოროტის ხიხინით დაუმატა: — კოლეტივში შეგათრიეს და მერე იქიდანაც პალური გკრეს! დამსწრეთა შორის წყნარი სიცილი გაისმა.

ბერიკაძემ, თითქოს გაუჭირდა და მაშველს ეძებსო, იქაურობა ჩამოათვალეო, სვანური ნაქუდარი მოიხადა, ზედ გაციებული ჩიბუხი მიაგდო და ხმადაბლა იკითხა:

— კომუნისტი ხო არავინ არი აქანა? არ მინდა გავაგონო, თვარა უმფრო გოუა თავს. — მერე ერთბაშად წელში გაიმართა, მთელის ტანით ულუფადისკენ წაიზიდა და ხმამალა უპასუხა: — ახალმა რა მამცა? ახალმა ის მამცა, რაც ჩემი რყო და რაც უსამართლობამ წამართვა: ბატონმა, მოურავმა, ხემწიფემ და იმი-სმა უკალონობამ!

მოურავის ბუნებაზე ულუფადეს უმწიფობის ცეცხლი შეენთო: იგი ცნობილი მემამულის, კუტადწოდებულ სერგო წერეთლის ნამოურავალი იყო და ამიტომ ბერიკაძის ნათქვამი შიგ გულში მოხვდა.

— მე რა წაგართვი, შე საწყალო?

განგებ დაკნინებულის სიბრაღულით ჰკითხა და სახეზე მთლად წამოქირხლდა.

— მაგისთანა ლაპარაკი არაფერი საკადრისია სწორეთ!

განზე წაიღუდუნა ნადიაკენარმა შაველაძემ, რომელიც თავის ღროზე და ახლაც ბერიკაძეზე უფრო ღარიბი იყო, მაგრამ ძველი საკმეველის სუნი-მაინც ვერ დაევიწყებია.

ბერიკაძის ბურღულა უღვაშებში ეშმაკურმა ღიმილმა ისე გამოანათა თითქოს ფიჩხის კონას ერთბაშად ცეცხლი მოედოო.

— არა, სიტყვამ შეიტანა, თვარა შენი მოურაობისას მე წასართმევცი! აღარაფერი მქონდა: სულ უწინდლებმა წეიღეს.

მერე კვლავ თავის აზრს დაუბრუნდა:

— კოლეტივიო, შეუნები. კოლეტივი ღარიბი კაცისთვის არი მოგონილი, თუ გვიგებს, მარა...

— მაგისთანა სახარება ნეფიტარიძეებს უკითხე!

ბოროტად მიახალა ულუფაძემ.

— მიტრმაც დაგიფასეს აი, ჩემო სარდიონ!

დაუმატა ულუფადის კოლმა.

— მერე რა უყოთ! საქმე ჯერ ვერ დეეწყო ხეირიანათ, მარა არაფერია: იმა-ქრებს, იღუღებს და ღვინო დადგება. შენ ის გინდა, რო კოლეტივა სულაც.

არ იყოს, მე კიდო ეს მინდა, რო კაი კოლექტა იყოს და მიტო მიწებს/გზოი. ეს ცა და ქვეყანა მარტვა ნეფიტარიძეზე როდი ტრიალობს, ნეფიტარიძე რო ივია, კოლექტიასი რა ბრალია? ავს ავით მეეკითხება, კვირღვე ქვეყნის გზან არ დაქარქავს...

ამ ლაპარაკში რომ იყვენ, უეცრად ქვედა უბანში უცნაური ჩოჩქოლი ატყდა, ჩოჩქოლს ნგრევისა თუ მტერევის ხმაური დაერთო, ხოლო საერთო ხრიალსა და ლაწუნში ბავშთა ცივის ხმით წივილი გამოერჩა.

ყველამ უნებურად დააყურა.

— რა ამბავია?

— ნეტა რა შობდა?

— სად უნდა იყოს?

— გონია თიბაძეებშია!

— ი უბედურს კიდო არაფერი გოუქირდეს!

წამოიძახა ბერიკაძემ და გასაქცევად წამოდგა. მასთან ერთად რამდენიმე ქალი და კაცი პირდაპირ ვენახებზე დაეშვა ამბის გასაგებად.

ხმაურობაზე მიცვივნულთა შორის ბერიკაძე პირველი შევარდა ეზოში და გარკებული იქვე გაქვავდა:

სახლის წინ, ღობის გასწვრივ, რომელიც თითქმის სახლის ყურზე იყო მირაგვეული, ათიოდე კაცი ბორბოცობდა. მათ შორის ერთი ვინმე, მაღალი და მხარ-ბეჭიანი, მაგრამ ბერიკაცულად წელში მოხრილი, ადლიან ძველებურ ხანჯალს ატრიალებდა, ზედმისულებს თანდათანობით კიშკრისკენ ერეკებოდა, თანაც არა ადამიანური ჩახლჩილი ხმით ჰხაოდა:

— არ მამეკაროთ! არ დაგინდობთ! დაგჩეხავთ!

მოხუცს ახალუბის უკანა კალთაში პატარა გოგონა ჩასკიდებოდა, რაც შეეძლო, მოხუცს უკან ეხიდებოდა და თავაშეკრებული გაჰკიოდა:

— ბაბუა! ბაბუა!

იქვე, ღობურ გადასაბიჯზე, პერანგა სულიყო შემდგარიყო, მუხლებიკან-კალებული სარს ებლაუქებოდა, ცრემლითა და წვინტლით მოთხუნული ტუჩი განზე მოქცია და ისტერიულად ღრიალებდა:

— ვაიმეე! მიშველეე!

მამის სასხლავით შეიარაღებული თემური კაი ზორბა ვაეკაცს გამკლავებოდა, რომელსაც თოკით ჯორა—დეკეული ეჭირა და წართმევას ლამობდა. თვით დეკეული, თითქოს პატრონს ეხმარებო, დაქინჩული და ფეხმბრჯენილი. უკან-უკან იხევდა და მოძალადეს ჩვეულ ბოსლისკენ მიათრევდა.

ერთი ვინმეც გრძელის ფარხით კრავიან ცხვარს დასდევდა დასაქერად და, აქოშინებული, სასოდაკარგული, უწმაწურად ივინებოდა. გამურთხალი კრავი საცოდავი ბღაილით კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა, თვალაბნეული, დედის მაგიერ, ხან დეკეულს მივარდებოდა, ხან კიდევ თაფლისფერ ბომბორას, რომელიც პირდობრიანი ხლაფუნებდა.

ოქრუა-ცხენი უკვე გაენაპირებინათ: კიშკარგარედ გაყვანილი, ტუჩმოკ-რული, ზურგზე თოფგადადებულ მილიციელს ეჭირა. დალურსულ ყურებს პებელას ფრთებივით აცქვიტინებდა და სისხლიან თვლებს ისე ჰაკლავდა, თითქოს მოძალადეებს ემუქრებო.

ახლო მეზობლები, ზოგი შიშით, ზოგიც „უტყვივარი თავი რათ ავირკიოო“, ლობებესა და რგულებს ამოჰარებულნი, შორიდან უჭერუტუნენ, მხოლოდ სამი-ოცდეს გაეხედნა ეზოში შემოსვლა და ისინიც, რაკი ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს, თავიანთ უმწიბრობას თავის ქნევითა და ტუჩის წლაკუნით გამორქვანდნენ.

— გასწით, გამშორდიო! უხამსებო, ძალთაპირებო!

— ბაბუა! ბაბუუუ!

— იიი, დედიკოოო!

კვილი, წივილი, ხორხოცი, ხლავუნე, ცხვართა ბლავილი, დევეულ-ს ზული, ძალის ყეფა—სულთქმა და გინება...

წუთით შემდრკალმა ბერიკაძემ ინსტიტუტურად მკლავები დააკაპიწა, ვით რდესმე გიორგობას თემობაში იცოდა ხოლმე და, ისიყო, შუა ორომტრიალი იუნდა შევარდნილიყო, რომ...

უეკრად ლობეს თრთხავით მოვარდა სახელეწილი, სუნთქვა შეკრული „გეიკრიკე“. საფეთქლებზე ოფლის ღული სდიოდა, ქუჩუნა თავზე დარაიას ყაბალახი გადაეარდნოდა, ხელში აკაციას ეკლიანი ტუცი ეჭირა. მოვარდა. ლობეს ფეხშიწარებლად გადმოველო და მოძალადეებს ფოცხვერივით დასტყვილა:

— ჰაი, თქვე დედლებო, თქვენა!

ეკლიანი ტუცი განივრად დაიქნია, ხალხი მირეკ-მორეკა, შუაგულს გამარჯვებულვით აღიშართა და უეცრად, სრულიად დამშვიდებულის ჩვეული კრეჭით ფინაგენტს მიმართა:

— ვერ მოვართვეს პატრიჯანი, ნუ დაგჩნება ხათრიჯანი!

ფინაგენტმა გაკვირვებული თვალი მიაშტერა.

— ჰო, ჰო, შენ გეუწები, ყალბ აბაზიანებს რო გიგავს ეგ თვალები!

— რაშია საქმე?

შრაზით ძლიეს მოახერხა მან.

— რაშია და, დეფხიკეთ აქიდან: კამისია მევიდა!

მერე გულიჯიბიდან დაკეცილი პაწია ქაღალდი ამოიღო და ფინაგენტს გადასცა.

ფინაგენტმა რომ ბართი წაიკითხა, მის მოწერსაც გვარიანად შეუყურ-თხა მომტანსაც. თავისიანებს დაუძახა და კულამოძეებული წავიდა.

— აბა, ჰაიდა, გეზრულ-გეთურ!

თავისებური მსუყე საცილით დააყოლა „გეიკრიკემ“.

აფორიაქებული ხალხი ერთხანს პირდაღებული იდგა. ბერმა კიკოლამ გაოცებით ხელები ზეღმართა და მიღეულის ხმით იკითხა:

— გამაგებზე, შვილო, რა მოხ...

მაგრამ სიტყვა ვეღარ დასრულა და, აფექტით ატანილი, იქვე ჩაიშვლა, ვით ქარიშხლისგან მოტეხილი ბებერი მუხა...

გადასახადის შეჩერების განკარგულება რაიონიდან სასოფლო საბჭოს დილითვე ტელეფონოგრაშით მიუვიდა, მაგრამ ბოთერაძეს ამგვარის განკარგუ-ლებით ყური ისე მოუღელალი ჰქონდა, რომ მის წაკითხვაზე მოწყენილობის

მთქნარება აუტყდა, ტელეფონოგრაფმა მდივანს ხელუკუღმამ მიუგდო და, თავის მხრით, ასეთი განკარგულება გასცა:

— მიწერე, თუ კაცი ხარ, რო თქვენი ტელეფონოგრაფმა გვიან მივიღეთ და გადახტევილება სისრულეშია მოყვანილი-თქვა!

მაგრამ ბოთერაძე აბა რას წარმოიდგენდა, თუ ამ ამბავს სხვა გარემოებაც დაემთხვევოდა.

კომისია, რაზედაც „გეიკრიქე“ ლაპარაკობდა, სარაიონო პროკურატური-დან წარმოგზავნილი უფროსი გამომძიებელი იყო, ვისაც რაიონული საკონტროლო კომისიის მიერ, რიკაძის საქმესთან დაკავშირებით, ზურეთის სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის გამგეობის მოქმედებათა გამოკვლევა ჰქონდა დავალებული.

„გეიკრიქე“ თავისებურის ჰუმორით ასწერდა იმ შთაბეჭდილებას, რაც ამ „კამისიის“ მოსვლამ სასოფლო საბჭოში მოახდინა.

— ცხენი რო ზედ აივანთან მოაგელეა, მაშინვე გულში გევიფლე: ეს ფარსაგი ვინმე არ უნდა იყოს მეტეჟი. შვეიდა, თუ არა, თავისი მანდატი ამეილო და თავგდომარეს უჩვენა. იმისი ჩვენება და კირილეს წახტენა ერთი იყო. იმე, ან ფერი სად დეეკარქა ასე უცბათ, ან ხორცი: ეს ეინგილივით კაცი მიწაში ამოღებულს არ დეემგვანა! სიცოცხლე გაქ, იმას ფუთება დამართა: ხან იქით ეცა, ხან აქეთ. ისე აბრუსილდა, როგორც თავმოჭრილი ქათამი. მერე ჩუმათ განზე გამიხმო და ყელი გამამიწია: თუ ძმა ხარ, ხათრი დამდევი და ეს ქალაღლი აგენტს მიუტანე, თიბაძისას არიო. იმე, მოკურცხლე, მარა რა მოკურცხლე: წერეთლის წვეარიც ვერ დემეწეოდა.

— კი, მარა ნამდვილათ კამისია არი?

— მართლა შენი თვალით ნახე?

— რაცხა არ მჯერა, ბიჭო!

მიაყარეს აქეთ იქიდან. „გეიკრიქე“ სულ აიბნა, არ იცოდა, ვისთვის ეპასუა.

— კაცო, პროკუროვია, გეიგეთ. რაიკომს გამოუგზავნია გამოსაძევათ.

— პროკუროვიო?

— ჰაი, ღმერთო!

— იქნება ახლა მაინც გვეშველოს!

— რას ამბობ, კაცო,—მტკიცედ ამბობდა აციატებული „გეიკრიქე“:— რაიკომი რო საქმეში ჩეერევა, ხუმრობა კი აღარ არი!

— აი ყოჩაღ, კალისტა!

— ძან მარჯვე ბიჭია, ძმაო!

— ნასწავლი კაცია: გზაც იცის და კვალიც.

— აბა ჩვენ ქე ვიყავით აგერ, თხებივით თავმოყრილი.

— არა, აღბათ რიკაძემაც მოუთავა ხელი, თვარა...

— ბიჭებო, მეიცადეთ, ხბუებივით ნუ ახუნტრუტებთ,—ჩაურია უიმედობის წვეთი ზალიკა უცუნძიმე. იგი, საზოგადოდ, გულგამოჭმული კაცი იყო:— ნეფიტარიძე იმისთანა მამაძაღლია, რო...

— მეც აგრე მგონია,—კვერი დაუკრა ნადიაკენარმა:—საღზე განიეროლავს და კიდე გაძვრება.

— თავისებურათ მოსაუვლავს, მოქარავს და—განაგრძობს განსუფთავილი სიტყვა უცუნძიმე:—პროკუროვიც ხო ადამიანია? ქე ჩაფარკხეიუნსიკსადაპტერს

— არა, რო ლაპარიკობთ, რას ლაპარიკობთ?—ჩაერია აქამდე მოუჭრე ბერიკაძე—არც თავი გაგეგებათ არც ბოლო. გლახები ვართ და ახია ჩვენ თავს, რაც მოგვივიდა. მარა პარტიას და თავრობას როდი ძინავს. შენი უხეირობით საერთო საქმეს როდი წაგახთენიებს. პროკუროვი მევიდაო, გაგკვირებიათ. აბა რავე გეგონათ? სიავე არავის შერჩენია და არც შერჩება, ალექსა იყოს, გინდა კვინტრიშა.

სწორს ამბობდა სარდიონ ბერიკაძე: ავებსა და უნასებს არ შერჩათ გესლი და სიავე. გამომძიებელმა თითქმის სამი კვირა იძია, იკვლია და, იქიდან რომ დაჩუტული პორტფელი მოიტანა, აქედან სამაგიეროდ ტიკივით გაბერილი წაიღო.

გამომძიების დროს, სხვათა შორის, ერთი საინტერესო გარემოებაც გამოირკვა: „ნიანგში“ მოთავსებული წერილი, რამაც თავის დროზე ნეფიტარიძეს „ფეთებან დამართა“, თურმე რიკაძეს კი არა, „გეიკრიქეს“ ეკუთვნოდა.

უნდა გენახათ, რა გაბღენძილი დაიარებოდა მას შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი: ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. განსაკუთრებით გოგობებში იწონებდა თავს, რუს ნიშნადაც პაწია ქერა უღვაშები მუდამ სადგისივით გაწიკილი დაჰქონდა.

გავიდა კიდეც ერთი კვირა და ადგილობრივ სარაიონო გაზეთში იმავე „გეიკრიქემ“ წყაროზე ჩვეულებრივად შეკრებილ ხალხს შემდეგი ახალი ამბავი წაუქოთხა:

„პარტიული მენერალური ხაზის დამახინჯებათა და სახალხო ძონების განიამების შესახებ.

საქ. კპ (ბ) № რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან.

საქ. კპ (ბ) № რაიკომის ბიურომ, მოისმინა და განიხილა რა რაიონის პროკურორის ამხ. ზარძის ინფორმაცია ზურეთის სასოფლო საბჭოს და იმავე სოფლის სასოფლო-სამეურნეო არტელის „სამაგალითო“-ს ორგანოებში აღმოჩენილ დამახინჯებათა და ბოროტმოქმედებათა შესახებ, აღნიშნავს:

ხსენებულ სასოფლო საბჭოს პარტიულმა და კომკავშირულმა უჯრედებმა, აგრეთვე ცალკე კომუნისტებმა და კომკავშირელებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო სიფხიზლე პარტიის გენერალური ხაზისა და სახალხო ქონების დაცვის საქმეში, რის შედეგადაც სასოფლო საბჭოში ადგილი აქვს ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკისა და კლასობრივი მიდგომის უხეშ დამახინჯებას, ხოლო კოლექტივში კი სახალხო ქონების გაფლანგვა-განიავებას, რომ ხსენებულ ორგანიზაციებში მოკალაიებული არიან კლასობრივად უცხო ელემენტები, გამეფებულია ძმა-ბიჭობა, შინაურულობა, ერთმანეთის ბოროტმოქმედებათა დაფარვა და სხვ., ყოველივე ზემოხსენებულისა გამო რაიკომის ბიურო ადგენს:

1. მოხსნილ იქნენ თავიანთ თანამდებობიდან ზურეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კირილე ბოთერაძე (პარტიის წევრი 1924 წლიდან) და ზურეთის სას.სამ. არტელის „სამაგალითო“-ს გამგეობის თავმჯდომარე ელენე ნეფიტარიძე (პარტიის წევრი 1923 წლიდან);

2. დაევალოს რაიონის პროკურორს ამხ. ზარიძეს დაკვრითი წესით დაამთავროს კლასობრივი ხაზის დამაზიანებელთა და სახალხო ქონების გამწვანებელ—გამფლანგველთა საქმეები საჩვენებელი წესით მათი გასამართლების მოსაწყობად;

3. დაევალოს რაისაკონტროლო კომისია მუშგლებინს ერთი დეკადის ვადაში გადასინჯოს ზურეთის სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის გამგეობის შედგენილობა კლასობრივად უცხო ელემენტებისგან მათი გაწმენდის მიზნით;

4. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში“.

უნ.სთა ბუდე დაინგრა. სიავისა და ბოროტების ხვრელიდან გამოდგენილ ქვეწარმავლებს ყოველგვარი საძრომი დაეზოთ. უნიადაგო გამოდგა ზოგიერთების შიში: ვაი, თუ რაიმე აბრუნდი მოხდეს და გაათოკილებმა კვლავ თავი აიშვან, მაშინ ხომ ზურეთში აღარავის ეცხოვრებაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ორივე თავმჯდომარე და მათი დამკავშირებელი რაიონის ცენტრში დაიბარეს, საიდანაც არცერთი აღარ დაბრუნებულა: გამოძიებელს აღმკვეთ ღონისძიებად მათი წინასწარ დაპატიმრება აერჩია.

ამ ამბავს ზურეთის მთელი მშრომელი მოსახლეობა საერთო სიამით შეხვდა. სერიდან სერზე, სახლიდან სახლში, ვით ოფესმე შემოსეულ მტრის ზრდოთა განადგურებისა და ოტების დროს, სასიხარულო ყვირით ამცნობდენ ერთმანეთს ამ მოულოდნელ ამბავს.

ზურეთის საბჭოში შეშავალი ცხრა სოფელი, ცხრავე უხამსი მოქმედებით დარბეული, ანაზღვეულად ღზინს მიეცა.

საჩვენებელი სამსჯავრო რაიონის ცენტრში იყო დანიშნული. ბოროტმომქმედნი უზენაეს სასამართლოს განსვლელ სესიას უნდა გაესამართლებინა, როგორც მძიმე დამნაშავენი. მართლმსაჯულების ბასრი ხმალი უკვე გაშიშვლებული იყო. მისი მრისხანე, მაგრამ სამართლიანი ელვარება უნაღების ღრძო გულს შიშითა და ძრწოლით ავსებდა, ხოლო მათ მიერ უბრალოდ დასჯილებს კი სიმშვადესა და სასოებას ჰგვრიდა.

სასამართლოს ხდომებში ადგილობრივ თეატრის შენობაში უნდა მომხდარიყო, მაგრამ მიღეთის მოზღვავებულ ხალხს არა თუ თეატრის კარგა მოზრდილი დარბაზი, მგონი, განთქმული ტროკადეროც კი ვერ დაიტევდა.

თიბაძიანთსა წინა ღამით ერთი წვეთიც არ სძინებიათ: მამა-შვილი მოწმედ იყო გაწვეული. ჯერ ცისკარიც კი დაძრული არ იქნებოდა, რომ-დიდიან-პატარიანა ერთბაშად წამოაშალენ და უმთავროში შორეულ გზას გაუდგენ. სახლის მცველებად მედიკო და პაწია სულიკო დაანარჩუნეს. თემურმა ადრე გამოიბახოვა წასვლის ნებართვა და ახლა ყველაზე მეტად ის იჩქაროდა.

სასოფლო გზები, როგორც ძველად, აღდგომის ღამეს, ფარნებითა და კრაქებით იყო აკიაფებული. მეზობელი მეზობელს გასძახოდა: დროა, არ დაიგვიანო.

თეატრის დარბაზი აღრიდანვე ისე გაიქედა, რომ ნემსიც კი არსად ჩაეარდებოდა. რამდენიმე ასეული კაცი მაინც გარედ დარჩა და იქვე, ქვეყნიერებასა და დარბაზების ყაფაზებთან ატუზული, საკებურის მოთმინებები ეტყულებოდა განაჩენის გამოტანას.

პროცესი ხუთი დღე და ხუთი ღამე გაგრძელდა. პროკურორი მძიმე ბრალდებაზე ვერ მოჰლალა, მოსამართლენი კი — დაკითხვამ და საქმის წვლილებამ. ბრალდებულთ ნირი შესცვლოდათ: ნეტავ, სად გაპქრა უწინდული ტლანქი ყოყლოჩინობა, უდიერობა და უტიფრობა!

თავი ყველამ დამნაშავედ სცნო, გარდა ნიხვერშტიენისა. მხოლოდ იგი არ იტყებდა უღურს: დაკითხვის დროს მის წითურსა და ქორფლიან სახეზე უცნაური ღიმილი გაიფლავებდა ხოლმე, უბრალო და უცოდველი, რომლითაც თითქოს ამპობდა: თავი დამანებეთ, მაგისტანებისა მე არაფერი გამეგებო.

ორმოცდა ათმა მოწმემ ნათლად, მკაფიოდ და ურყევად დაადასტურა ყოველივე, რაც კი გრძელ ბრალდებაში იყო აღნიშნული.

მეზუთე დღის ნაშუალამევს სამსჯავრომ საერთო მკვდრული დუმილის დროს, შემდეგი განაჩენი გამოიტანა:

„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ქ. №-ში თავის საჯარო სამსჯავრო სხდომაზე შედგენილობით: თავმჯდომარე — უზენაეს სასამართლოს წევრი არჩილ თოფრაძე, მსაჯულნი: იესე შავიანიძე, თედო ტაბიკაძე; პროკურორ ზარიძის მონაწილეობითა და წამალადის მდივნობით, მოისმინა და განიხილა რა სისხლ. სამართლის საქმე ბრალდებისა გამო სოფ. ზურეთის მცხოვრებლების: 1. ალექსი ნეფიტარიძის 2. კირალე ბოთერაძის 3. ლასა ფსიტის 4. ტატო აკაშვილის 5. ივანე ნეპომნიაშჩის იმ ბოროტმოქმედებაში, რისი ნიშნებიც გათვალისწინებულია 1932 წლის 7 აგვისტოს დეკრეტით „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობისა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“, საქმეში დაგროვილი მასალებით და საქმის ირგვლივ სასამართლოს მიერ ნაწარმოები გამოძიებით სცნო დამტკიცებულად, რომ ზემოდასახელებული პირები წინასწარ შეთანხმებითა და ბოროტის განზრახვით ხელს უწყობდნენ მოსავლის მოყვანის, აღებისა და შენახვის გეგმების საბოტაჟურ ჩაშლას, კოლექტივის ქონების გაფლანგვა-განიაფებასა და ამ ბოროტმოქმედებათა დაფარვის მიზნით ურთიერთ შეთანხმებით მოქმედებდნენ, რამაც კოლმეურნეობას „სამაგალითო“-ს მიაყენა 327.684 მ. ზარალი.

მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღწერილი და იხელმძღვანელა რა 1932 წლის 7 აგვისტოს დეკრეტით, დაადგინა:

1. ალექსი ნეფიტარიძე, 40 წლის, პასუხისგებაში უმყოფი, გლეხი, ირტელ „სამაგალითო“-ს ყოფ. თავმჯდომარე;

2. ლასა ფსიტძე, 57 წლის, შექლებული გლეხი, პასუხისგებაში ნამყოფი, ძველი რეჟიმის დროს მთავრობის მამასახლისი, ანტისაბჭოთა ელემენტი;

3. ტატო აკაშვილი, 45 წლის, გლეხი, პასუხისგებაში უმყოფი, მეფის დროის ნასტრაენიკალი;

4. ივანე ნეპონიაშვი, 36 წლის, პასუხისგებაში უმყოფი, ღარიბი/გლეხი, ყოფილი ბოგანო, გადმოხვეწილი;

5. კირილე ბოთერაძე, ზურეთის სასოფლო საბჭოს ყოფილი მენეჯერი/მარე, 38 წლის, პასუხისგებაში უმყოფი, ყოფილი მენშევიკი და გვარდიელი

ცნობილ იქნენ დამნაშავედ მათდამი ზემოდწარდგენილ ბრალდებაში თანახმად 1932 წლის 7 აგვისტოს დეკრეტისა და სოც-დაცვის ღონისძიებად თითოეული მათგანისთვის მიღებულ იქნეს უმაღლესი ზომა — დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით.

ამავე დროს, მსჯავრდებულ ივანე ნეპონიაშვიის მიმართ სასამართლო, იღებს რა მხედველობაში, რომ ის არის ღარიბი გლეხი, ყოფილი ლატაკი და გადმოხვეწილი, აგრეთვე პოლიტიკურად ნაკლებ შეგნებული, მიღებულ ღონისძიებას, უმაღლეს ზომას — დახვრეტას უცვლის 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით და ნახევარი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა.

თავმჯდომარე: არჩილ თოფრაძე.

მსაჯულები: 1. ი. შავიანიძე,

2. თ. ტაბიკაძე.

ახე განადგურდა უნახთა ბუდე.

ტფილისი.

1933 წლის ივლისი — სექტემბერი.



ლ. ჯიბრაძე

საქართველოს

ნაწილი

ზესტაფონი ძველი რუსეთის ბიუროკრატის რატომღაც არ მოეწონა „ყვირილად“ გადააკეთა. ამ ბიუროკრატის ერთი უცნაურება ჰქონდა აჩემებული საქართველოში: ქალაქების, დაბების და სოფლების სახელების გამოცვლა უყვარდა. ამას ხერხად ხმარობდა, რომ ხალხისათვის ისტორია და თვითმყოფობა დაევიწყებინა. უეჭველია, უისტორიო და უსახელო ხალხი უფრო ადვილად დასაურევებელია.

ეს ოინი რუსეთმა ზესტაფონის მეზობლებსაც უყო: ხარაგრულს და ხაშურს. ერთს „ბელაგორი“ დაარქვა, მეორეს — „მიხაილოვო“.

ძველ რუსეთს მთლიანად საქართველოც არ მოსწონდა. ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებად ჰყადა გადაკეთებული. დარწმუნებული იყო: თუ სიტყვას „საქართველოს“ ხმარებიდან ამოაგდებდა, საქართველოც სინამდვილეში არ იქნებოდა. ეს იმიტომ, რომ სინამდვილეს იგი იმ ქალაქით სჭვრეტდა, რომელსაც თვითონვე ადგენდა თავის მოსატყუებლად. ამ ქალაქზე კი, მართლაც, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველო არ იხსენიებოდა.

— თქვენ ამბობთ, საქართველო. აი, რუკა. აქ აღნიშნულია მხოლოდ ორი გუბერნია. ისინი ჩვენი დიდი რუსეთის განაპირა გუბერნიებია მხოლოდ და მეტი არაფერი. მორჩა და გათავდა.

საკითხი უბრალოდ იჭრებოდა. მეფის მთავრობას მარტივი და უხეში ხერხები უფრო ემარჯვებოდა. რთული პოლიტიკის წარმოების თავი არ ჰქონდა, დასავლეთი ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებს სიმპათიისა რომ ახასიათებდა. — ერმაკი ამ მხრით შესანიშნავი ფიგურაა რუსეთის ისტორიაში.

ოქტომბრის რევოლუციამ განიავა საბოლოოდ ეს უბადრუკი ბიუროკრატია.

და ზესტაფონიც ისე აღსდგა, როგორც სხვა მრავალი წაშლილი სახელები საქართველოში.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუცია რა რევოლუცია იქნებოდა, რომ საქმეზე ზესტაფონის სახელის აღდგენით გათავებულყო. მაინცდამაინც ვინ მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზესტაფონმა თავისი ადგილი დაიჭირა რკინის გზის სადგურის ამრაზე და ოფიციალურ თუ კერძო მიწერმოწერაში აღინიშნა თავისი ძველი სახელწოდებით.

საქმე ის არის, რომ ამ უბრალო ამბავს სხვა ამბავიც მოჰყვა, გაცილებით უფრო დიდი და საკვირველი. — რევოლუციით აღორძინებულმა ზესტაფონმა

უცებ სულ სხვა გვაჩვენა და თავისი სახელი ისეთ მოვლენას დაუკავშირა, რომელიც მოწოდებულია დაიწყოს სრულიად ახალი თავი საქართველოს უსტოვის ისტორიისა.

მან უცებ მიხურ-მიხურა თავისი სამიტიტნობეზ, გამოქრამებული მატარებლებს რომ ჰაქის არაყით ხედებოდენ მთელი 24 საათის განმავლობაში, და ისეთი ელექტრო-ცეცხლის თვალებით დააბრიალა, რომლებს მსგავსები იშვიათად, აქა-იქ თუ ანათებდენ ევროპაშიც-კი.

შე მოგახსენებთ ზესტაფონის ფერო-მარგანეცის გიგანტური ქარხნის იმ ღია ელექტრო-ლუმენებზე, რომლებიც შავიქვის მადანს აღნობენ და ფეროს ამზადებენ.

შავი მადნის გადამდნობი ელექტრო-ლუმენები ახალ მიღწევად ჩაითვლება თანამედროვე მეტალურგიულ მრეწველობაში. ეს არის უმაღლესი საფეხური დღევანდელი მძიმე ინდუსტრიისა, რომლის შესაძლებლობანი საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ მე-20 საუკუნის უდიადეს პერსპექტივებს ბუნების დამორჩილების სფეროში.

ბევრმა, იქნება, იუცხოვოს და თქვას: როგორც მთელად საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური განვითარების დონე, ისე ჩამორჩენილი და ღარიბი ზესტაფონი, რომლის მრეწველობითი უნარიანობა ჰაქის არაყის ხდით ამოიწურებოდა, რა მოსატანია მე-20 საუკუნის უდიდეს ამბებთანო. საიდან სადაო.

საქმეც ის არის, რომ სწორედ ეს ჩვენი ზესტაფონი დღეს ამ დიდ ამბებს უპირისპირებს. სწორედ ჩვენს ზესტაფონს ზელთ უპყრია დღეს ის ძალა, რომელიც შავქვის ცეცხლის წვეს აღენს და მისგან ფეროს ამზადებს—პროდუქციას, აუცილებელ ელემენტად რომ შედის ყველა იმ სასწაულ მომქმედ რთულ მანქანებში, რომლებსაც თანამედროვე ადამიანი ჰაერზე უფრო მაღლა ზესტაფონში აჰყავთ, გინდ ჩაჰყავთ ქვესტაფონში, ოკეანეთა სიღრმეს რომ სცილდება.

ჩვენი ნაცარქექია ერთხელ მღვეს შეხვდა. დაუფვირა, დამორჩილდით. მღვეს ეს სასაცილოდ არ იყო. მაშინ ნაცარქექიამ უთხრა: აბა, მიცქირეო იილო ქვა, მოუჭირა ხელი და წვენი გამოადინა. მღვეს ვერ წარმოედგინა ქვეყანად ისეთი ძალის არსებობა, რომელიც ქვას გაათხიერებდა. როცა ასეთი ძალა ნაცარქექიას ხელში დინახა, უმაღვე დაემორჩილა (რადგანაც მღვევი დარწმუნებული იყო, რომ წვენი ქვას სდიოდა და არა ყველს, მეც ამ უკანასკნელზე არაფერს ვამბობ).

რა თქმა უნდა, არც ჩვენ, მწერლები, ვიყავით მღვეები, ზესტაფონის ფერომარგანეცს რომ ამას წინად ვეწვიეთ, და არც ის ვეება ქარხანა ჰგავდა ნაცარქექიას, მაგრამ როცა დავინახეთ, რომ ელექტროლუმენში ჩაყრილი შავიქვა, ქვანახშირი და ქვაკირი ცეცხლის ელვარე ლავად გადმოიღვარა და კასრები დამზადებული ფეროს სახით ჩადინდა, ჩვენი გაკვირება უთუოდ ისეთივე იყო, როგორც იმ მღვეისა, რომელმაც ნაცარქექიაში ბუნებრივი ძალა დინახა.

ეკვი არ იყო: ზესტაფონი მე-20 საუკუნის ტექნიკის ერთ ერთ სასწაულს დაუფლებოდა.

და რევოლუციის უაღრესი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ ჩვენს ნაცარქექიაში—ზესტაფონს დღეს იმდენი შეაძლებინა, რომ ნამდვილად ქვიდან წვენი გაქოადინა.

ჩვენ მატერიალისტები ვართ. უნიადავო, განყენებული ფანტაზია ჩვენთვის უცხოა. ჩვენ ასეთი ფანტაზიის მტრებიც კი ვართ. მაგრამ მოუხედავად ამისა, ბევრი რამ ჩვენ მიერ შექმნილი ისეთი რამ არის, რასაც უცხოელს ვერ ვუწოდებთ, თუ არა ზღაპრულს, ფანტასტიურს“ (მ. გომიჯი).
 რასაკვირველია, საქართველოს საერთო ეკონომიურ-სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური მომზადების მხრით თუ შევხედავთ ზესტაფონის მაღალხარისხოვან ფერომარგანეცის უდიდეს ქარხანას თავისი რთული მოწყობილებით, რომელიც თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს შეიცავს, უნდა ითქვას, რომ მისი მოვლინება ჩვენში უფრო ზღაპრულ ამბავს ჰგავს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ამ კუთხის სათანადო ნედლეულების მარაგის პირობებს და ენერგეტიული შესაძლებლობათა განვითარების უახლოეს პერსპექტივას ჩვენში, უნდა აღინიშნოს, რომ არა თუ ს. ს. რ. კ-ში, შეიძლება თამამად ვთქვათ, ზესტაფონი მომარჯვებული ადგილია მძიმე და შავი მეტალურგიული მრეწველობის განაღებისათვის. ამწინებლებს ზუსტად მოუაზრებიათ კიდევაც ეს გარემოება.

დღეს ფერომარგანეცის წარმოება ყველაზე უფრო განვითარებულია ნორვეგიაში. თავის უხვ პიდრო-ენერგიულ საშუალებათა წყალობით ნორვეგია უიაფეს ფეროს ამზადებს მსოფლიო ბაზარისათვის. ეს მაშინ, როცა თვითონ არც შავიქვა გააჩნია არც ქვანახშირი. შავიქვა მას სამხრეთ აფრიკიდან შემოაქვს, ხოლო ქვანახშირი ინგლისიდან. საქართველოს კი ამ მხრით განსაკუთრებულად ხელაყრელი პირობები აქვს. ზესტაფონის გარშემო 20-დან 50 ვერსის მანძილზე მდებარეობენ უმდიდრესი ბუდობები როგორც შავიქვის, ისე ქვანახშირის და სხვა მადნებისა. ქიათურა, ტყიბული, მოწამეთა (ქვაკირი), შრომა (ცეცხლის გამძლე თიხა) იჭვე—რიონის ელექტრო ენერგია და შავი ზღეაც, როგორც მსოფლიო ბაზარი.

ქეშმარიტად, ზესტაფონს ამ პირობებში თავისი მაღალღირსების ფერომარგანეცით შეუძლია ნამდვილი ბრძანებელი გახდეს მსოფლიო ბაზარზე.

მაგრამ ზესტაფონის უახლოესი მომავალი ამით არ ამოიწურება. საქართველოს რომელიმე კუთხე მას რკინასაც მიაწვდის და მაშინ იგი თავის ფეროს თვითონვე მოიხმარს უფრო მაღალი პროდუქციის შესაქმნელად.— ზესტაფონის ფოლადი მაშინ თავის სიტყვას იტყვის.— მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადება, აი ზესტაფონის უახლოესი პერსპექტივა.

ასეა: საქართველოს ახალ ისტორიაში ზესტაფონს ყველაზე უფრო საოცარი ფურცელი მიეკუთვნება—მელნის მაგიერ იგი დაწერილ იქნება ელექტრო-ცეცხლში ნაწრთობი ლავით.

მეგობრებთან ერთად მე ბედნიერება მქონდა მისი პირველი სტრიქონი დამელანდა, დამელანდა მეოქი ვამბობ, რადგანც არც ისე ადვილია მის ელვარებისათვის თვალის გასწორება. არც მის მღულარე ქუბილს ადვილად მოიხმენს ყური.

ჩვენც შიშა და გაოცებას ვერ ვფარავდით. მაშინ, მგონია ჩენს გონება მახვილ მწერალს სერგო კლდიაშვილს მოუვიდა აზრად შევემაგრებინეთ. მან ფეროს ვაცივებული ნამტრეკები ჩაგვიწყო ჯიბეში.— ჩვენ მივხდით, რომ ეს იყო ახალი საქართველოს ცეცხლში გამოვლილი ძლიერების სიმბოლო.





ფერო-გიგანტის რადიო-ელვა

ძვენად ფეროს მშენებლებს

ყურადღება!
 ყურადღება!
 ლაპარაკობს
 ზესტაფონი.
 მოისმინეთ,
 თუ რა ხდება
 აქ საერთო,
 მოსაწონი.
 მოითმინეთ!
 მოისმინეთ!
 საარაკოს
 გეტყვით ამზავს:
 ისე სწრაფად
 გარდავქმენით,
 რომ ფერ იცნობთ
 ამ ჩვენს დაბას.
 სადაც გლეხი
 კენესდა მუდამ
 და ქობზახი
 ჰქონდა მერცხლის, —
 ელსადგური
 აგუგუნდა,
 აგუზგუზდა
 ფეროს ცეცხლი.
 მაშ, ისმინეთ
 ხმა მოჭფინეთ,
 ხმა საქვეყნოდ
 მოსაგონი.
 ინდუსტრიის

კერად იქცა
 უმნიშვნელო
 ზესტაფონი.
 აი ჩვენი
 ბუმბერაზი,
 სამრეწველო
 ფერო-მშენი,
 რომლის დროშას
 დამკვერთო რაზმი
 აფრიალებს
 მაღლა რწმენით.
 რიონჰესია
 ელდენს გვაწვდის
 და ზირგანეცს
 ქიათურა,
 ტყიბული კი
 შაეკვას,
 ქეაკირს
 და ვარეარებს
 შრომის ქურა.
 ვარეარებს და
 აღნობს ხელოად,
 ლითონ წყაროდ
 იოდულს ლარში.
 სადაც მუშებს
 უნდათ შევლა,
 ინტენერი
 უდგათ მხარში.
 და ეს რაზმი,



ცეცხლი თვითონ,
 ცეცხლის ალში
 იბრძვის,
 ბრუნავს.
 ყალიბებში
 დამდგარ ლითონს
 შლამსა ხდის და
 ხვითქში სცურავს.
 კოვკ. რტიის
 დაეალებებს
 ჩვენს მასაში
 გადმოტანილს, —
 ვასრულებთ და
 გამარჯვებას
 მივულოცავთ
 ბელად სტალინს.
 მაშ, გასძახეთ,
 გადალაზეთ,
 ცა ხმელეთის
 ზღვარი,
 სივრცე,
 რომ რაც გეგმით
 დავისახეთ
 შევასრულეთ
 დროზედ მტკიცედ.

შევასრულეთ
 და განვაგრძობთ
 ბოლშევიკური
 შემდეგ ბრძოლას,
 რომ ჩვენს ქარხნებს
 არ ვაკლებდეთ
 სტალინივით
 მაგარ ფოლადს.
 ეს ფერო-მთა
 ისე ჰშენის
 ზესტაფონის
 მინდორ-სერებს,
 როგორც ზღვაში
 მცურავე ნავებს
 ოკეანეს კრეისერი.
 და ეს ჩვენი
 ფერომშენი
 მტრის თვალთაც კი
 შეაჩერებს
 და შესძახებს...
 ვაშა!
 ვაშა!
 მის მუშებს
 და ინჟინერებს...

გიგანტი

ნათყუვა

შვიდნი იყვნენ ისინი, — შვიდნი ძმანი, შვიდი დამკვრელი.

რა უყოთ რომ ერთი დედ-მამის შვილნი არ იყვნენ, მაინც — ძმები იყვნენ.

რა უყოთ რომ ერთი მათგანი ქალი იყო, მათი უფროსი, — ცვლის ინე-
ნერი, — მუშაობაში, თავდადებაში რომელ ვაჟკაცს ჩამოუვარდებოდა?

ეს შვიდი გული ერთად ძგერდა და გეგმა მათთვის არ არსებობდა, გეგ-
მებს მუდამ წინ უსწრებდენ.

უზარმაზარი ღუმელები ავი ძალღებვიით იღრინებოდენ, ბრდღვინადენ
გალიზიანებულ ლომებვიით ზარდამცემად და რისხვიით ალი ფაფრებვიით ეკრა-
კნებოდათ. ისინიც ამ შვიდი დამკვრელივით ძგერდენ ერთად, დაბჩენილ პირი-
დან უშვებდენ ბრაზიან ლაშქრად ცისჭრად ატაცებულ ვარსკვლავებს. ბარაქია-
ნად იღვრებოდა ლაშზე გადმოდენილი თეთრი დნარი, გაეარგარებული ჰაერი
ნაპერწყლებვიით ფეთქდებოდა და ციციანათელადასეული თიხით ამოგლესილ
თუჯის ბოყვებს პირამდე ავსებდა.

შვიდნი იყვნენ ისინი, შვიდნი და ის შვიდი კაცი, ბრეზენტის სპეცურე-
ბითა და ფიცრის ლანჩიან ფხსაკმელებით დაცულნი, დატრიალებდენ აღრე-
ნილ ლომებს და გადასძახოდენ ერთი მეორეს ყიფინით:

— სალაძე...

— ჰაუუ...

— ბირბიჭაძე...

— უუ...

— ლორია... ჩიტაძე...

— ვირაა...

— ნადირაძე... ნიქარაძე...

— მაინა...

და კაცები კი არა, ფაფაზაგრუხული ლომები, ბრდღვინვით ეხმაურებო-
დენ მათ და შვიდთავეს გული ამ ელექტროღუმელებვიით ბარძგალობდა.

მადანი დულდა და ორთავეს: კაცებსა და ღუმელებს, გულღვიძლში 6000
კილოვატიანი ვოლტის რკალი ქონდა წელკავად შენთებული.

30000 ტემპერატურიანი თაკარა ლაღანებდა დახვარტული და აღაოში-
აღნობდა ერთად: ჭიათურის შავ ქვას, ტყიბულის ქვანახშირს, მოწამეთის კირ-
ქვასა და უტილნედღუულ რკინას.

დაშეესანი, ჩათახი, ძამა და ქობულეთის მაგნიტრტები აქვლებდნ მათ და რკინით ემუჭრებოდნ. თუ ქიათურა და ტყიბული ვერ დააოწებდა მათ მადას, სიმონეთისა და ტყვარჩელის მიდამოები დააყრიდნ რისხივით შავ ქვესა და ცხელ ნაცარს.

მატარებელები შეცხადებულებივით წიოდნ უზარმაზარ ფაშეებივით ზარბად დაბნენილ ბუნეკრებთან. აყრიდნ მოხვავებულ ნელელულს და ბუნეკრების ქვეშ გრძელ და დაუსრულებულ აშიებად გაქანებული კონვეიერები და ლიფტები, გადამცემები და ვაგონეტები მიაქროლებდნ ამ ნედლეულს შალა, მესამე სართულში. აქ, ცაში, დანგით დანგამდე არწეული ავტომატიურ სასწორებზე ცვივოდა ხვიშირებივით ქოვამოცარულ ვაგონეტებიდან ხახადაბჩენილ ლუქელებში.

ცეცხლი ბობოქრობდა გამძვინვარებული და თავაწვეტილი ალი დროშე-ბივით ეტლაშუნებოდა შავად გაზინქულ ბეტონის ქერსა და აირსანთქავ ზარფუშებს. ლუმელის ლურლუციან ფაშეში დაგროვილი აირები კურკუშდებოდა, ამოდიოდა ზემოთ და ყელში ამოწოლილი ფეთქდებოდა ვულკანებივით, აფრქვევდა ირგვლივ ლაპილებს, ჩინჩლებს და გავარჯარებული ტუფს.

ზანზარში, გუგუშში ხრიალებდა ვაგონეტები და ამ შვიდი ძმის უშიშარ მუშაობას რომ უტკეროდი,—ისე მშვიდად, ისე ბიჯითად მუშაობდნ ისინი, რომ ცეცხლის ეს გაგანია თეატრალური გეგენებოდა და ბოყევიდან ამოხდილი, ჯერ კიდევ წითლად მოვარჯარე შტაბელები, ზოდები, ცყარა მიწაზე დაკლულ ხარებივით.

ოწინარი დინჯი სიდარბაისლით სეირნობდა თვალუწვდნ ფარდულ ქვეშ და წეროსავით გრძლად გადმოწვდილ კაკვიან ნისკარტით მიქონდა ეს შტაბელები ატაცებულ წიწილებივით ლიანდაგზე ჩამომდგარ მატარებლისაკენ.

ყიამეთში ისმოდა:

— ვირა ა...

ეს, — ლუმელეები იყო.

— მაინა-ა...

ეს, — შვიდი ძმა.

ლითონი წყალივით დიოდა ლარებში და ლარები ბოყეებზე ყო მიშვებული.

ზამთრის გრძელ ღამეებში გორაკებზე გადმომსხდარი მშიერი ტურები და თვალმიბლექილი ოდები გადმოცქეროდნ ძრწოლა ატანილი ამ გაქათქათებულ ქარხანასა და მის კიდევანობაზე ელექტრონებით გადაბდლიაობულ თეთრ კორპუსებს.

ვილაც ოთახში პატეფონს უქრავდა, იქ რადიო ყეფდა და კლუბში დისკუსია იყო გამართული, ანხ. სტალინის უკანასკნელ სიტყვას ამუშავებდნ.

სოფლებიდან ჩამოსული მევენახე კოლმეურნენი გაოცებული უტკეროდნ ამ ცეცხლის საწინებლებს და გული იმედით ევსებოდათ.

ეს ნადნობი, ასე უხვად რომ იღვრებოდა, მათი ტრაქტორები იყო, მათი გუთნები, წალდეები, თოხები და სასხლავი დანები.

მატარებელები მიაქანებდნ ამ წელის მომწყვეტად მძიმე ფაბრიკატს საბ-კოების მეტალურგიულ ქარხნებში და მიკოდნ სიხარულით:

— დავუფლოთ ტექნიკას...

— გაუმარჯოს საბჭოთა მშენებლობას...

— გაუმარჯოს სოციალიზმს...

სოციალიზმი ქვეყნის სემაფორთან გუგუნებდა მოვარდნილ მატარებელი-
ვით და ეს გადაქნეული ლოზუნგები ტყრშიალებდნენ ლარსად პროლოტარულ
ცის ტატნობზე წითელ აფრებივით.

ეს ლოზუნგები და ფერომარგანეცი ხელახლა დნება ერთად და სამანქანათ-
მშენებლო ქარხნებიდან კონვეიერები მოაცურებენ ავტობებს, ტრაქტორებს, გუთ-
ნებს ჩვენთვის და ტანკებს, ხარბაზნებს ყუმბარებს ჩვენი მტრებისათვის.

შვიდნი ცყუნენ ისინი, — შვიდნი ძმანი, შვიდი დამკვრელი.

პროფ. გ. ნიკოლაძის საცდელ ქარხანაში გაიწვრთნენ ისინი ცეცხლთან
თამაშში, ჩელაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში გამოდარჯავდნენ, გამოი-
ბრძობდნენ ცეცხლში ისე, როგორ სულში და ბორცში ნედლი ადგილი არ დარჩე-
ნოდათ.

ახლა აქ დნებიან ისინი ერთხელ კიდევ ამ ნედლეულთან ერთად, შენდე-
ბიან ამ ქარხანასავით ახალ ადამიანებად. ვაეკაცდებიან ამ სამქრობივით და
არაფერი, გარდა ამ ქარხნისა და საკუთარი თავისა, მათ არ გააჩნიათ.

არც სახლი, არც ნაფუხარი.

ლარიზნი და უსახლკარონი დასხდნენ აქ და ეს ქარხანა, უდიდესი ამ დუ-
ნიაზე, — მათია და ქრაქითა და კვარით განათებული გლეხური წარსული რომ
გაახსენდებათ, ჰგონიათ: სიზმარი იყო, შეციებული კაცის ბოდეა. არ ჯერათ ეს
წარსული გარდასული, დაუგერებელ თქმულებასავით აგონდებათ.

თვრამეტი იქნებიან ისინი, თვრამეტი ძმანი, — თვრამეტი ღუმელი.

გული დედამიწასავით უცემს მათ და იქ, გულ-ბოყვში, ორი ცეცხლის
მფრქვეველი ელექტროდი პოლუსებივით აქვთ გაყრილი შანთებად.

რა უყოთ რომ ჯერ სამია. განა იმისათვის, ვინც ისინი გააჩინა, თქმა
და ქმნა ერთი არ არის?

რა უყოთ, რომ კაცები არ არიან!

სამაგიეროდ კაცი უდგას მათ პირში სულად, კაცივით ხდებიან ავად და
კაცის სხეულივით არიან რთულად ნაგებნი.

ეს თვრამეტი ღუმელიც ამ შვიდი ძმასავით აშენებენ სოციალისტურ ქე-
ყანას.

რა უყოთ რომ კაცები არ არიან, რაი მერე, პარტიბლეთი რომ არა
აქვთ, არც კავშირის წევრები არიან. არც კლუბში დადიან.

სამაგიეროდ პარტია მოდის აქ და მისი ბეტონის კედლები და საყვირები
გადაკვივია ჯერ კიდევ გუშინ ვენახებისა და მავნოლიების, უკუდო აზნაურე-
ბისა და ლატაკი გლეხების ქვეყანას:

— ამზანაგებო, ფართედ გავშალოთ სოციალისტური მშენებლობა.

ალი ცას ლოკავს, დროშები რიქრავებად ფრიალებენ.

უკუდო აზნაურები დამფრთხალი თვალებით, ხანჯლების ქნევით მიაგელ-
ვებენ ჯაგლაგ ცხენებს ბნელეთისაკენ. ჩოაის ყოველ ქილაზე ზის თითო ყორა-
ხი და ყორნები ჩხავიან თვალბედითად.

ათასხუთასი მუშა იმუშავენს აქ

ათასხუთასი პროლეტარი.

ეს შვიდი ქა ამ ათასხუთასი კაცის წინამორბედია.

ეს შვიდი ძმა ზესტაფონის ფერომარგანეცის გიგანტია.

ეს თვრამეტი ღუმელი ზესტაფონში დგას.

ძველი და ახალი ზესტაფონი

ნატყევი

მდინარე ყვირილას ღვრია ნაპირებზეა გაშენებული ეს პატარა ქალაქი-ოღესლაც ლავის გასათევი ადგილი სპარსეთისა და ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო ქარავნებისათვის; მრავალი წლების მანძილზე საოცრად უცვლელი და ერთფეროვანი.

თითქმის უკანასკნელ წლებამდე ზესტაფონს არ უღალატნია ამ თავისებურებისათვის, რომლითაც ის განირჩევა სხვა მსავეით პატარა ქალაქისაგან და არ დაუქარგავს თავისი სპეციფიურობა. არა იმიტომ, რომ აქ ერთი ჯურის ხალხმა მოიყარა თავი და მათ პირი შეჰკრეს ასე ეცხოვრათ, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრების პირობებმა, გარემოცვამ შექმნა ის ასეთი, გამოკვეთა მისი სახე-ძველი ზესტაფონი განთქმული იყო სამიკიტნოებით, რესტორანებით რკინისგზის სადგურის ბაქანით, დუქნებით და მღელქნეებით. მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირალი იყო იმით, რომ არსად ასეთი გასაოცარი ტიპი აღმართნისა არ მოინახებოდა, როგორც აქ.

არსად არც ერთ დაბაში, არც ერთ ქალაქში, არ იყო იმდენი სამიკიტნო, რამდენიც აქ. პროპორციულად რომ ავიღოთ, არსად არ ისმოდა იმდენი ღვინო. პირველი შეხედვით ეს იყო ყველაზე უფრო მზიარული კუთხე საქართველოში. სიმართლე უნდა ითქვას, — ზესტაფონის სამიკიტნოები და რესტორანები არც თუ ურიგო იყო. ლხინის მოყვარულთ აქ საცხებით შეეძლოთ თავისი სურვილის დაკმაყოფილება. ამ მხრივ სამიკიტნოები მათ სრულ მფარველობას უწევდათ. ხანდახან მიკიტნები „ხელოვნების მოყვარულთა“ როლშიც კი გამოდიოდნენ. მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილს ზესტაფონში ასეთი რამ შეემთხვა: არ ვიცოდა გარემოებამ ჩამოაგდო ფიროსმანი ზესტაფონში. ყოველ შემთხვევაში მისთვის, ვინც სარდაფებში ამკლავებდა თავის გენიას, აქ ფართო სარბიელი არსებობდა. დაემუშტრენ ერასმანეთს მიკიტნები — სათითაოთ ცდილობდნენ, რომ მხატვარი ჯერ მას რგებოდა. ბოლოს ერთმა იგდო ხელში, დაახატინა ათიოდე დიდი სურათი და შემდეგ, რომ მხატვარი სხვას აღარ რგებოდა, დაათრო ის, მიიტყუა სადგურზე, უყიდა ბილეთი, ჩასვა მატარებელში და ტფილისისაკენ გაისტუმრა. ფიროსმანის ეს სურათები 1922 წელს კიდეც ეკიდა იმ სარდაფში.

მაგრამ როგორ შეეძლო ამ პატარა დაბას 1500 მცხოვრებით მულღივად კარგი შემოსავალი მიეცა სამიკიტნოებისათვის. საიდუმლო სწორედ აქ არის. მაგრამ ეს საიდუმლო სულ უბრალოთ იხსნება:

ზესტაფონის გარშემო ეხვია სოფელი. ყოველი აზნაური, რომელიც გაყიდდა ან მიწას, ან სახლს, ან ვაჭრობით შეიძენდა რამეს—თავის თავს თითქმის ვალდებულად ხდიდა ჩასულიყო ზესტაფონში და ერთხელ მფრინველად გაენავარდა. და რადგან გარემო სოფლებში აზნაურთა რიცხვი მუდამ მატებული იყო, დღემდე რამდენიმე კაცი აუცილებლად გამოჩნდებოდა სადმე. ზესტაფონში ამ შემთხვევაში ობობასავე იყო: ძალიან მოხერხებულათ იჭერდა მსხვერპლს.

არსებობდა კიდევ მეორე ჯურის მუშტარი: კლუბი გახლდათ ზესტაფონში. ამ კლუბში სცენაც იყო დარბაზიც ას კაცისათვის მაგრამ სცენა იშვიათად თუ გამოიყენებოდა ღრმა ნირვანისაგან. საშაგეროდ მუშაობდა ერთი დიდი ოთახი. აქ საღამოდან გათენებაში, ხოლო ზანდახან ორი ღამე გადაბმულად, ბაქარას გახურებული თამაში იყო. ისინი. ვინც ყოველდღე ნახულობდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს შორის კეთილი მეზობლობა და მირონობაც ჰქონდათ, დაუზოგავად სძარცვავდნენ ქალაქის თამაშში. იყვენ სპეციალისტები,—ხოლო ეს სპეციალისტები მუდამ პატივისცემით იხსენიებოდნენ და ისინიც ისე დადიოდნენ, თითქმის ერთად ერთნი იყვნენ დედამიწაზე ცხოვრებისა.—რომელიც მხოლოდ ბაქარას თამაშით არსებობდნენ, კარგად ცხოვრობდნენ, ოჯახსაც კარგად აცხოვრებდნენ. და მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა, რომ ის არსებობდა ცუდლუბობით, ყველა ისე უყურებდა, როგორც პატიოსან პიროვნებას. ბაქარაში გამარჯვებულნი შემდეგ აუცილებლათ მიდიოდნენ სამიკიტნობებში და „კეთილი შენაძენიდან“ კაიბლომა ნაწილს იქ სტოვებდნენ. ეს ისე აუცილებელი და ჩვეულებრივი იყო, რომ ფიქრადაც არავის მოსვლია, თუ კიდევ სხვაგვარად შეიძლებოდა მოქცევა.

რკინისგზის სადგური ერთად-ერთი ადგილი იყო, სადაც ადგილობრივი ინტელიგენცია“ თავს ირთობდა, ერთმანეთს მახულობდა და ერთგვარ სულიერ საზრდოსაც იღებდა. თუ ვინმეს ნახვა მოგინდებოდათ დაიმედებული შეგეძლოთ წასულიყავით, სახალხო მატარებლის მოსვლის დროს ზესტაფონის სადგურზე. ბაქანი საესე იყო ადგილობრივი მოქალაქეებით. მატარებლის მოსვლისას ქალაქის მცხოვრებთა თითქმის სამი მეოთხედი აქ იყრიდა თავს. ბაქანი ამ დროს მოაგავდა დახურულ ბულვარს. სადაც მშენიერად გამოწყობილნი ქალ ვაენი არხეინად დასეირნობდნენ. ვინმეს მოსვლას უცდიდნენ ისინი. არა, ამიტომ არ გამოდიოდნენ. ქალაქის დუნე ცხოვრება ერეკებოდა მათ ერთად-ერთი ადგილისაკენ, სადაც ხმაურობდა მატარებელი, სადაც სიციცხლე შეოქონდა ეგონებში შემსვლელთა ფუსფუსს და სადაც ბორბლების ხმაური თითქმის ეუბნებოდა მათ, რომ არის დიდი ქალაქები, სადაც სხვა ცხოვრება მიმდინარეობს, ბაქანზე გამომსვლელნი უბრალოთ არ იცვამდნენ. ის, რაც გარდერობში საუკეთესო ჰქონდათ, ჩაიციებოდა იმისათვის, რომ აქ გაჩენილიყვნენ.

ზესტაფონში საერთოდ ყოველთვის „უკანასკნელი მოღაჭე“ იცვამდნენ განსაკუთრებით მანდილონები. მაგრამ ამ „მოღაჭე“ ზესტაფონი უკრიტიკოთ არ იღებდა. რაღაც ზესტაფონური კიდევ შეჰქონდათ მასში. თუ მოდის მიხედვით კაბა განიერი უნდა, ყოფილიყო, ისეთ განიერს შეიკრავდნენ, რომ ძველებური ზაბარდა უკან რჩებოდა მისგან თავისი ხალვათობით. თუ ვიწრო უნდა ყოფილიყო—ისეთ ვიწროს, რომ ფეხებ დაბორკილნი დადიოდნენ. თუ გრძელი—

მაშინ ისე დააგრძელებდნენ, რომ შლეიფივით ეკიდა. თუ მოკლე — ისეთ მოკლეს, რომ მუხლის თავები დაბლა რჩებოდა.

ასეთივე გულმოდგინებით იცვამდნენ მოდას ვალები. გაქცობის შემდეგ არა ახალი სახის ტანსაცმელი — პირველად აქ ჩაიკმებოდა. მაგრამ აქაც შესტაფონური მიდრეკილებით. მაგალითად: ზევით კოსტუმი ახალ მოდაზე, ყულსახვევი და კრახმალიანი საყელო — ფეხზე კი უძიროები მუხლთან თანამით შეკრული. სადგურთან დილიდან დაღამებამდე ორი-სამი ათეული ფეხსაცმელების მწმინდავები იჯდნენ. აისორის ბიჭები „ჩისტი-დოსტი“. მუდამ დღე გაცხარებულ მუშაობაში იყვენ აისორის ბიჭები. „დოსტები“ ყოველთვის ბლომათ იყვენ. პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო თითქოს ეს პატარა ქალაქი იმისათვის არსებობდა, რომ აისორის ბიჭებისათვის სამუშაო მიეცა და მუდამ ფეხსაცმელი ეწმინდა.

მთელი ეს შხადება იმისათვის იყო, რომ ბაქანზე ნახევარი საათით გამოჩენილიყვნენ და ხალხში გასულიყვნენ.

დღეში ორჯერ ან სამჯერ ესტუმრებოდნენ ბაქანს. მაგრამ იყვენ ისეთებიც, რომელნიც თითქმის მოუშორებლად იყვენ ბაქანზე. მე მახსოვს ერთი ზესტაფონელი მოქალაქე. მორჩილი ტანის იყო. თავის ოთახში შესვლა ეხარებოდა. ხშირად ღამეს სადგურის ფანჯარაზე ითევდა. თითონ ხუმრობდა თავის თავზე, რომ გაიზარდა იმხელა, რა სიგანისაც ფანჯარა იყო. ეცვა ჩოხა, უძიროები მუდამ ვაპრიალებული. ჩოხის უბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი იხედებოდა. ეს ცხვირსახოცი რამდენიმე წელიწადს ჰქონდა. მგონი სიკვდილამდი. სადილობდა და ვახშობობდა სადგურის ბუფეტში. ცხოვრობდა ეს კაცი იმ ფულით რომელიც სოფლად თავის „მამულების ლიკვიდაციით“ აიღო. ხასიათი და გუნება მუდამ ერთ დონეზე ჰქონდა. სახეზე ეტყობოდა, რომ თავის თავით კმაყოფილი იყო. ყვიჩილივით დადიოდა. საკვირველი იყო ეს კაცი და საკვირველადაც დაასრულა სიცოცხლე. 1921 წლის მარტის პირველ დღეებში, როცა მენშევიკების უკანასკნელი მატარებლები გაშორდნენ ზესტაფონს, სადგურის ფანჯარაზე დაინახეს ნაბადში გახვეული კაცი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში არ განძრეულა. იცოდნენ ვინც იყო, გაარყიეს გასაღვიძებლად, მერე ნაბადი და კედარი ნახეს.

იმ მოწყენილ საათებში, როცა არც მატარებელი იყო, მოქალაქენი ერთადერთ ქუჩაზე, რომელიც სადგურის გასწვრივ არის და სადაც გშენებულია დუქნები, არბეინად დადიოდნენ. ქუჩაში ყოველ დუქნის წინ გაშლილი იყო წარდი და კამათელს აგორებდნენ. მაგრამ იყო წუთები, როცა მყუდროებას ჩვეული ეს მოქალაქენიც, როგორც სჩანს გრძობდნენ საოცარ მოწყენას. ვეღარ უძლებდნენ მოწყენას. და მაშინ მის გასაქარვებლად საოცარ რამეს გამოიგონებდნენ. თქვენ გგონიათ რომ ამით თავს ირთობდნენ მხოლოდ ახალგაზრდები. პირიქით, უმთავრესი მონაწილენი ხანშესული და დარბაისელი მედუქნეები იყვენ: დაიჭერდნენ ნავაზს, კუღზე კონსერვის ცარიელ კოლოფს გამოაბამდნენ და გაუშვებდნენ ქუჩაში. მირბოდა შეშინებული ძაღლი, მიარახუნებდა თუნუქის კოლოფს, უკან კი მზარული ყიყინით მისძახობდა ხალხი. ან და: ჩამოივლიდა ვინმე დუქან-დუქან და იტყობდა საკვირველს: — არ გაგივიათ რა მოხდა, დომენ-

ტიმ თავისი ვერძი დაკლა და მაკე გამოდგა. ერთი ვინმე გამოიგონებდა ამას და მერე მთელი დღე ეს ამბავი იყო სალაპარაკო საგნათ.

გამოცოცხლება ერთობოდა ზესტაფონს კვირა დღეებში. ექვსდღეს დაჭრობა იმართებოდა. გარემო სოფლებიდან გლეხებს ჩამოქონდათ მხდარი ქვეტყეობი, ყველი, ლობიო, ფრინველი, თიხის ტურქელი, რუმბებით ლენო. გავიდა ბაზრობა და შემდეგ ექვსი დღე ისევ მიღებული და კვდარი იყო ქალაქი.

ერთად-ერთი „წარმოება“ ჰქონდა ზესტაფონს. ეს იყო მარანი. და სულ ბოლოს კონიაკის პატარა ქარხანა. ასეთ პირობებში რომელ სამრეწველო პროდუქტარიატზე შეიძლება აქ ფიქრი.

ყველა ის ცოცხალი ძალა, რომელიც ვერ ეგუებოდა ზესტაფონის ატროს-სვერას, გაუბოდა მას. ამ პატარა დაბიდან გამოსულა არა ერთი და ორი რევოლუციონერი, მაგრამ თითქმის არც ერთი არ შერჩენია მას. ზესტაფონი მტკიცედ იცავდა თავის ტრადიციულ ყოფას და ახლოს არ გუაობდა. როცა ის გენერალ ალიხანოვ-აგარსკის კაზაკებმა რეაქციის დროს გადასწვეს, ზესტაფონი მალე აღსდგა თითქმის იმავე სახით, როგორც მანამდე ჰქონდა. აშენდა ისეთივე დუქნები. ისეთივე სამიკიტნოები.

ათეული წლებით ასე ცხოვრობდა ზესტაფონი. ასე „აწმინდებოდა“ და ყალიბდებოდა მისი სახე. ასეთივე შეინარჩუნა მან იმ დრომდე, სანამ პროლეტარულ რევოლუციის ქარტეხილმა არ გადაიარა მის თავზე. ასე იყო იმ დრომდე, სანამ საქარის მზრისაკენ, სადაც წინად სიმინდის ყანები იყო და ქალა, არ დაშენდა სამრეწველო გიგანტი ფერო.

2

ახალმა ცხოვრებამ, ცხოვრების ახალმა პირობებმა, არა თუ ქალაქის გარეგანი სახე, მისი შინაარსი შესცვალა. შესცვალა აგრეთვე ადამიანიც.

მე შინდა გიამბოთ იმ ახალ ადამიანებზე, რომლის სახე ძველის ნანგრევებზე გამოიკვეთა.

ზესტაფონის მიმყოლ ველზე, საქართველის ძირში ორიოდე წლის წინად დაიწყო ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა. მას, ვინც ამ ქარხნის ისტორიას დასწერს, უამრავი მასალა ექნება იმის აღსანიშნავად, თუ რა ენტუზიაზმით და რა პროლეტარულს სიმტკიცით შენდებოდა საქავშირო მშენებლობის ეს უდიდესი გიგანტი საქართველოში. ჯერ მხოლოდ ორი ლუშელი მუშაობს ფეროში, მაგრამ ამ ორმაც სულ სხვა სახე და მიმართულება მისცა წმინდა გლეხურ კუთხეს და, რაც მთავარია, შექმნა ახალ ადამიანები, მან მოგლიჯა სოფელს ის ახალგაზრდები, რომელთაც ძველი ცხოვრების პირობებში ყანის თონხაში უნდა დაეღობათ თავისი სიცოცხლე, მოგლიჯა და მათ ცხოვრებას სხვა მომავალი გადაუშალა. ვინ იქნებოდნენ მამალაძე, სალაძე, ცხადაძე, ლვინჯილია და ათასი სხვა, რომ პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვებას ქარხნები და ფაბრიკები არ ეშენებია საქართველოში.

— დედაჩემი ქვრივი იყო. ოთხასი საყენი მიწა ჰქონდა და ამით გვაცხოვრებდა ობლებს.—მოიგონა თავისი წარსული ფეროს მუშა მამალაძემ.

რომან მამალაძე ახალგაზრდა კაცია. 26 წლის. დღეს უფროს მდნობლათ მუშაობს. კვალიფიციური მუშაა. ბრიგადირი. მაგრამ ვიდრე ამ მდგომარეობას

შიალწვედა, ეკლიანი გზა გაირა. ბავშვობა მისი მწარე იყო. საოცარი სიღარიბე. გამოსავალი კი არსადიან. ვითომ შეელოდა დედას რომანი. მწყვესანი იყო, მოჯამავირეთაც. მაგრამ ამით რომ უნდა მიშველებოდა თავიანთი მშობლები სიმწარეში იყო, სხეას რითი შეუშლუბუქებდა ცხოვრებას. რჩეულს უნდა, რკინისგზაზე შევიდა. ვერ უბრალო მუშათ, შემდეგ კი ნელი-ნელ გზა გაიკაფა და ბოლოს შემკეთებელ მუშათ იყო. მუშაობდა რკინის გზაზე 1930 წლამდე, ამ ხნიდან კი ფეროში გადავიდა.

— მესამე წელიწადია ფეროში ვარ და, ვიცი, ბოლომდე აქ ვიქნები.— ამბობს ამხ. მამალაძე.

საშუალო ტანისაა რომანი. ჩასკნილი ბიჭია. ხელს ისე ღონიერად არ-თმევს კაცს, რომ კიდევ დიდხანს გრძნობს მისი თითების შეხებას. რკინის უროს ნაჩვევია მისი ღონიერი მარჯვენა. სიმძიმეს ნაჩვევ ზელისთვის სინაზე, ცხადია, უჩვეულოა. შავგრმან სახეზე პატარა შავი თვალები მოუსვენრად დარბიან ადამიანის ცოცხალი ბუნება იხედება ამ თვალებიდან. როცა ხანდახან გაიღი-მებს, ღიმილი მთელ სახეზე ეფინება, პატარა შავი უღვაშების ჩრდილი ქვეშ საოცრად თეთრი კბილები დალაგებულ მძივებათ და მორიდებით გამოიხედავს— თითქო ერიდება თვისი საოცრად კეთილი ბუნება გამოიჩინოს.

— შვიდი თვე ვმუშაობდი ფეროში. შემდეგ ქარხანამ გამგზავნა ტფილისში შავი მეტალურგიის კურსებზე. აქ პროფ. გიორგი ნიკოლაძის და ინჟინერ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ჩემთვის საჭირო ცოდნას ვიმენდი. ერთი-ორი სიტყვა გითხრა გიორგი ნიკოლაძეზე. კაცად კაცი იყო საწყალი. იმას რომ დასკლოდა ვინ იცის რამდენ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა. ალბათ იცი, ჩვენი ფეროს მშენებლობის დიდი ენტუზიასტი იყო ის... პირველად გიორგი ფეროში ენახე: ღუმელზე ვმუშაობ, ცხარე მუშაობაში ვართ ჩვენი სალაძე ცეცხლის ალში ტრიალებს, ცეცხლს ებრძვის პირდაპირ. მის გარშემო და კარგა შორ მანძილზე ცეცხლი ცვივა. მოვიხედე—ჩვენს გვერდით დავინახე მალალი კაცი ტრუსიკებში. სდგას ეს ნახევრად ტიტველი კაცი და სრული სიმშვი-დით შეჭურებს როგორ ცვივა ცეცხლი მის გარშემო. ვერ მოითმინა სალაძემ და შესძახა:

— ადამიანო, ვერ ხედავ ამ ჯოჯოხეთს: მოშორდი ამ ადგილს, თორემ დაიწვები. ეს მალალი შავგრემანი კაცი ტრუსიკებში კი ფებს არ იცვლის, ისევ დამშვიდებით სდგას და უყურებს მუშაობას ველარ მოვითმინე. მივარდი, ვაფა-ფრთხილე. მან კი ალერსიანათ დამადგა ბეჭებზე ხელი და ნელი ხმით მითხრა:— იმუშავე გეთაყვა, იმუშავე. მე არაფერი მიშავს. მერე ვაეიგე, რომ ეს საკვირ-ველი კაცი პროფესორი ნიკოლაძე იყო. შვიდ თვეს დავყავი გიოგირსთან ტფი-ლისში. როცა ისევ ფეროში ებრუნდებოდა, ვგრძნობდი რომ უკვე გამოვადგე-ბოდი გაზხანას. ასეთი რწმენით მივდიოდი ისევ ფეროში და მგონი არც მო-ვტყუებულვარ ამაში. დავიწყე ბეტონზე მუშაობა. ვხელმძღვანელობდი ამ საქმეს. 1931 წელს კი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამაგზავნეს ჩელიაბინსკში ამხ. ვოროშილოვის სახელობის ფეროს გამანდნობ ქარხანაში. რომ განახა რა დიდე-ბული ქარხ.ნაა. კაი რამეა, უნდა გითხრა სიმართლე. ნახევარ წელიწადზე

მეტი დაეყავი იქ და შემდეგ ისევ ფეროს დაუბრუნდი. ახლა უფროს მუხრანელად ვმუშაობ და ბრიგადას ვხელმძღვანელობ.

— დამკვრელი, იქნები, ცხადია, რომან.

— სამკერავ დაჯილდოებული ვარ, — იმერელის სიმკერვეს უბრალოდ მამალაძე.

ერთი შეხედვით ეს არის ჩვენი ახალი სამრეწველო მუშის ჩვეულებრივი ბიოგრაფია. არის ასეთი მუშის ცხოვრებაში გშირული მომენტებიც, რომელნიც ახალ რომანტიკას ქმნის. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი და აღსანიშნავი ისაა, რომ ამავდროს ის არის აღმზრდელი მასავით ახალ აღამიანისა.

ფერომ მენებლობაში ერთ დღეს მივიდა ორი ახალგაზრდა ზესტაფონის რაიონიდან ცხადაძე და ლვინჯილია. ორივე ჩვეულებრივი გლეხი. სახნისის მეტი არაფერი უნახავთ, მთელი ზაფხული ყანა თოხნეს, შემოდგომა მოიწიეს და იმ განზრახვით, რომ გაზაფხულამდე საქიროაში იშოვიდნენ რამეს, ქარხანას მიადგენ. მიიღეს ორივე სამუშაოზე. მამალაძის ბრიგადაში მოხვდნენ. მკვირცხლი ბიჭები იყვნენ. საქმეს მონდომებით ეკიდებოდნენ. მოწონდა ორივე ბრიგადირს, მაგრამ ამავდროს გული სტკიოდა. იცოდა, რომ მოახლოვდებოდა თუ არა გაზაფხული, დასტოვებდნენ ისინი ქარხანას და ისევ სოფელს დაუბრუნდებოდნენ. ჩაუვარდა თვალში ეს ბიჭები მამალაძეს და ვადასწყვიტა დაიმორჩილოს როგორმე მათი გლეხური ბუნება და სამუდამოთ დაუკავშიროს ქარხანას.

— რო წარმოვიდგენდი, ისევ სახნისს უნდა დაბრუნებოდნენ ისინი — გული საგულეს აღარ მქონდა. რათაც უნდა დამიჯდეს, ისინი მუშებათ უნდა ვაქციო, — ასე ვუთხარი ჩემ თავს. ვერ ურიგდებოდა ფიქრი იმას, რომ გაზაფხულზე სამუშაოს დასტოვებდნენ და წავიდოდნენ.

როგორც აღსაზრდელ ბავშვებს, ისე მიუდგა მამალაძე ცხადაძეს და ლვინჯილიას. უაღერსებდა მათ და უყვავებდა. მოკლილ საათებში როცა მოსვენებული იყვნენ, ბრიგადირი ჟამბობდა მუშებს თავის თავვადასავალს, ჩელიაბინსკის ქარხანაში მუშაობის, ამბავს. დაინტერესდნენ ცხადაძე და ლვინჯილია იმ შორეული გიგანტით, საერთოთ წარმოებით. ერთხელ რალაც წინადადებაც კი შემოიტანეს სამუშაოში ცვლილების მოხდენის მიზნით. ეს წინადადება ყურადღების ღირსი სულ არ ყოფილა, მაგრამ ბრიგადირმა მამალაძემ ისე მიიღო, თითქო დიდათ სასარგებლო რამ იყო. განზრახ ქენა ასე. მიხვდა, რომ მათში შორეულათ მაინც მუშურმა ბუნებამ იჩინა თავი. არ გაუშვა ხელიდან ეს გარემოება. წაახალისა ისინი, წარმოების ბედით დააინტერესა. იცოდა ბრიგადირმა, რომ მათ ვარდასაქმნელად ჯერ კიდევ დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდებოდა, მაგრამ გახალისდა როცა იმედი მიეცა რომ მიზანს მიაღწევდა. ამის შემდეგ ვააორკეცა თავისი ყურადღება ორივესადმი. ყოველგვარად შეეცადა, რომ მათთვის კარგი პირობები შეექმნა.

მაგრამ... მოაღწია თუ არა გაზაფხულმა, ცხადაძემ და ლვინჯილიამ დასტოვეს ქარხანა და წავიდნენ სოფელში. დასძლია სოფელმა. მიწის ძახილი უფრო ძლიერი გამოდგა.

— დარცხვნილად კი წავიდნენ, — გაიცინა მამალაძემ. — თვალი ვერ გამოსწორეს. დალუნეს თავი და ისე გაუდგენ გზას. ვხედავდი როგორ შორდებოდნენ

აქაურობას და ვერ ვისვენებდი. ბრაზიც მომიდოდა და კიდევ მეტოვებოდნენ. თუმცა რაღაც იმედა მქონდა—რატონაც მჯეროდა, ადრე თუ გვიან ისევ დამიბრუნდებოდნენ.

ქარქინული

არ მოტყუებულა მამალაძე. დაუბრუნდენ სოფელს ცხადვე დასტურდება. მაგრამ ვერც სულ გლებურათ დაუბრუნდენ. უკვე გაბზარული აღმოჩნდა მათი ბუნება. ახალი სისხლი შერფოდა ძველს. მუშის ფსიქიკას საესებით ვერ ატარებდნენ, მაგრამ აღარც გლებური იყო მთელი. გაორებულათ იგრძენეს თავი. ქარხნიდან გაიქცენ და სოფელს მიაშურეს, მაგრამ მის მყუდროებაში ძველი სიმშვიდე აღარ მქონდა. ქარხნის ხმა ესმოდათ. ქარხანა ეძახდათ. წაიშვავეს სოფელში ერთხანს გასძლეს, შემდეგ კი...

ერთ დღეს ცხადაძეც და ლვინჯილიაც დაადგენ სოფლის დაღმართს და ფეროს ქარხანაში დაბრუნდენ.

თავისი ბრიგადირი იკითხეს.

შეხედა მათ მამალაძემ და სიხარული ვეღარ დამალა.

— დაბრუნდით, ბიჭებო?

— დავბრუნდით.—დარცხვენით სთქვა ცხადაძემ—ხასიათი აღარ მაძლევს სოფელში ვიყო.

შენ, ბიჭო.

— მეც ასე ვარ.—მხრები აიჩენა ლვინჯილიამ.—აქ რო ვიყავი, სოფელი მენატრებოდა... დავბრუნდი იქ და, აქაურობა მომიჩნდა. აქ მიჩნდა.

— ნამდვილად?

— რა დავმალო, ნამდვილად.

ამკამად ორივე ფეროში მუშაობს. ისევ რომან მამალაძის ბრიგადაში არიან. ცხადაძე—ლითონის ამლაგებელია. ლვინჯილია—კოვშის ამლესავი.

— ერთი მაგათი კვალიფიკაცია ამაწევია, მერე აღარ მეჭნება იმაზე ფიქრი, რომ ისევ სოფლისავენ იხამენ პირს.—დარწმუნებულია მამალაძე.

ეს გახლავთ მოკლეთ ისტორია ორი მუშისა, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ გლებები იყვნენ. ასეთი ბიოგრაფია ფეროს მუშებში არა ორსა და სამსა აქვს. შემოდგომაზე სოფლებიდან ჩამოდიან, მუყაითად მუშაობენ. გაზაფხულზე კი ისევ სოფელს უბრუნდებიან. მაგრამ არა ყველა. რამოდენიმე კაცი სამუდამოთ რჩება ქარხანაში. არიან ისეთებიც რომელთაც სოფელთან კიდევ აქვთ კავშირი. სოფლადაც მუშაობენ და ქარხანაშიც. ადმინისტრაცია ამას არ ეწინააღმდეგება. მაგრამ მუდამ იმის ცდაშია, რომ მტკიცე კადრი შექმნას.

მრავალი ათასი წლებით მდუმარე, გარინდულ ველზე, რომელზედაც სიმინდის ყანებს და ქაობის მალალ ბალახს აშრიალებდა ქარი, ახალი ცხოვრება გადაიშალა. რა საოცარი სისწრაფით და ძლიერებით დაარღვია ძველი, მტკიცედ დამკვიდრებული ყოფა და ცხოვრება ორ ღუმელში დანთებულმა ცეცხლმა. უახლოეს წლებში კი ფერომარგანეცში 18 ღუმელი უნდა ამუშავდეს.

სამი ახალგაზრდა ძალა. სამი ენერგიული პიროვნება უდგას სათავეში ზესტაფონის და მისი რაიონის ახალ ნიადაგზე დამკვიდრების საქმეს სამივენი პირმტკიცედ ატარებენ, ცხოვრებაში პარტიის და ხელისუფლების დავალებას: პარტიული კომიტეტის მდივანი ანზ. გ. რ. გაბუნია, ფერომშენის დირექტორი—

ამხ. ნ. კალანდიაძე, სატრ. სადგურების ხელმძღვანელი ამხ. ლ. ჯაბუაძე-
ახალ ზესტაფონს აშენებს საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის საუკეთესო-
ნაწილი, ახალ ზესტაფონს აშენებს ის სამრეწველო პროდუქტების წარმოება-
მტკიცედ მოიღვა აქ ფეხი მხოლოდ ცამეტი წლის წინად.

ახალი ზესტაფონი მტკიცედ იმარჯვებს და მკვიდრ საძირკველზე დგება.
წარსულს, თუ ის უკვე სულ გამქრალი არაა, სასიკაცლო ძალა აღარა აქვს.
გზა მშვიდობისა. არა მგონია დაატიროს ვინმემ გარდა იმისა, ვინც თითონაა
უკვე გამოტირებული...

ღამე იყო როცა ფერომარგანცის ქარხანას ვტოვებდი. იანვრის ქარი
სუსხიანი იყო. ქარი ატრიალებდა ერთმანეთში შერეულ თოვლსა, და წვიმას.
ქარხნის ღუმელების ძლიერი ცეცხლი შორ მანძილში შეჭრილიყო წითელ სვე-
ტად. იმ ღამეს ერთ ღუმელთან, რომან მამალაძეს ბრიგადა მუშაობდა. პირველი
შეხედვით შეუძლებელია ფანტასტიურ-სანახაობათ არ წარმოსდგეს ის სურათი,
როცა ელექტრონის უძლიერესი ნაკადით ავარდნილი ცეცხლის გარშემო ტრი-
ალბენ, ადამიანები... ღუმელში დულდა გადამდნარი ქვანახშირი კარი ღია
ჭკონდა და მაინც არ გამოდიოდა.

თვალისმომჭრელი თეთრი ცეცხლით იხედებოდა უზარმაზარი ღუმელის
პირი, საიდანაც ძოლოს დროს ნაკადი უნდა წამოსულიყო. როცა კაცი
შეეცდებოდა გზა გაეკაფა ნაკადისათვის და ელექტრო—კეტით იჭრებოდა
აღულებული ფეროს სტიქია კი, ღუმელი, თითქო ცოცხალი არსება ყოფილიყო,
დამყარებულ ხმით ღრიალებდა.

საშინელ ცეცხლს საკვირველი ჯიუტობით ებრძოდა კაცი ბრეზენტის
ტანსაცმელში. ღუმელის ცეცხლის სინათლისაგან წითლად მოელვარე სახე
აღმოკიდებული სჩანდა. როცა წუთით მოიხედა, ვიციანი—რომან მამალაძე იყო.

დიდხანს ებრძოდა მამალაძე ცეცხლს, რამდენიმე წუთით შეისვენა მხო-
ლოდ მაშინ, როცა აღულებული ფერო თეთრ ნაკადთ წამოვიდა ღუმელიდან.



ლევან ასათიანი

რომანი სამოქალაქო ომის თემაზე

ა. ქუთათელის „პირაპარ“

ტოლსტოის ლენინმა რუსეთის რევოლუციის საჩუქრად უწოდა. ცხადია არა იმიტომ, რომ მან შექმნა „მომღერება უსათუოდ უტოპური და თავისი შინაარსით რეაქციონური, — ამ სიტყვის უზუსტესი და უღრმესი მნიშვნელობით“, არამედ იმიტომ, რომ ეპოქა, რომელსაც ეკუთვნოდა ტოლსტოი „შესანიშნავი რელიეფობით აისახა მის გენიალურ მხატვრულ ნაწერებში“. „ტოლსტოი დიადია, — სწერდა ლენინი, — როგორც გამომატველი იდეებისა და განწყობილებების, რომელიც შეიმუშავა რუსეთის მრავალწლიანი იანმა გლეხობამ ბურჟუაზიული რევოლუციის მოახლოების წამს რუსეთში“.

ლენინის ეს თვალსაზრისი უდიდესი სიცხადით მიგვითითებს იმ ამოცანებზე, რომელიც საფუძვლად უნდა ექნეს დღევანდელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ჩვენი მწერლობის მთავარ ამოცანას შეადგენს იმ იდეებისა და განწყობილებების ასახვა, რომელიც ამოძრავებს რევოლუციონურ მუშათა კლასს სოციალიზმისათვის ბრძოლის პერიოდში.

მეორე დიდი ამოცანა საბჭოთა მწერლობისა იმაში მდგომარეობს, რომ მან ახალი შეფასება მისცეს წარსულ ისტორიულ მოვლენებს. პროლეტარიატმა მხრებისა და ლენინის მსოფლმხედველობის სინათლეზე კრიტიკულად უნდა გადააფასოს ყველა ის ღირებულება, რომელიც კაცობრიობის წარსულ ეტაპებს შეუქმნია. მუშათა კლასის როლი ამ საქმეში ძალიან წააგავს იმ როლს, რომელიც შეასრულა ახალგაზრდა ბურჟუაზიულმა კლასმა მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის დროს. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის რევოლუციამ, ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში, ენციკლოპედისტების, ვოლტერის, რუსოს, დიდროს, მონტესკიეს და სხვების სახით, შესძლო ფეოდალიზმის წიაღში წარმოშობილი კულტურული ღირებულებების „გონების სასწორზე აწონვა“ და ბურჟუაზიული კლასის ინტერესების თვალსაზრისით გადაფასება. ასეთივე ამოცანა დასმული პროლეტარიატის წინაშე ბურჟუაზიული კულტურის მიმართ.

თანამედროვე ცხოვრების ასახვა და მასთან ერთად ისტორიული მოვლენების ახალი მსოფლმხედველობით გაშუქება — აი, ისტორიული ამოცანა საბჭოთა ლიტერატურისა დღევანდელ ეტაპზე.

სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს ერთადერთ სწორ მეთოდს როგორც არსებული სინამდვილის, თანამედროვე ცხოვრების სწორი ქსახვის, ისე გადასული ეპოქების, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების მართვითი ჩვენებისათვის.

საბჭოთა მწერლობა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ისტორიული თემებისადმი. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ისტორიულ ასპარეზზე გამოსულ პროლეტარიატს სურს ახალი შეფასება მისცეს განვლილ ეპოქებს. ამით აიხსნება ის მოძალემა ისტორიული თემატიკისა, რომელსაც აგრეთვე ადგილი აქვს ჩვენს მწერლობაში.

ისტორიული შინაარსის ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ანხ. ალ. ქუთათელის რომანიც „პირისპირ“.

ეს რომანი ავტორის სადებიუტო ნაწარმოებს არ წარმოადგენს. ქუთათელი უკვე რამდენიმე წელია იბეჭდება ჩვენი ჟურნალებსა და სალიტერატურო პრესაში. იგი ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის, როგორც ავტორი ლექსების, პატარა პროზაული ნაწარმოებების, პიესების.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ქუთათელის შესახებ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერჯერობით ღირსშესანიშნავი არაფერი თქმულა.

ქუთათელის ადრინდელი პროზაული ნაწარმოებნი ერთგვარ მონამზიდებელ პერიოდს წარმოადგენენ იმ დიდ ტილოსათვის, რომელიც მოგვცამან რომანის სახით. ამ პატარა ნაწარმოებთა შორის უსათუოდ საგულისხმო და აღსანიშნავია რამდენიმე ნამუშევარი: მაგ. „ცხენოსანი“, „სივილა“, „ზონის ბირცა“, „მურზა“, „გვალვა“ და სხვა. ესენი უფრო ეტიუდებს და ესკიზებს წარმოადგენენ, ვიდრე მოთხრობებს, რადგან არც ერთ მათგანს არ ახასიათებს დამთავრებული ფაბულა, სიუჟეტური მთლიანობა. თემატიკა ამ ეტიუდებისა აღებული ჩვენი პროვინციის ცხოვრებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ზონის ბირცა“ და „მურზა“. ავტორი გვიხატავს მეეტლეების, სოფლის ინტელიგენტების და სხვ. დამახასიათებელ ტიპებს პროვინციალური დაბის ყოფაცხოვრების ფონზე. იდოტიზმი ძველი პროვინციის ცხოვრებისა შესანიშნავი მხატვრული ხერხებით აქვს ავტორს გადმოცემული. ამ მხრივ უსათუოდ დამახასიათებელია ეს ეტიუდები.

აღსანიშნავია აგრეთვე პატარა ესკიზი „გვალვა“. აქ მოცემულია ერთი ფრაგმენტი იმ სურათისა, რომელსაც წარმოადგენდა ჩვენი სოფელი ახლო წარსულში, იმ ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ჩვენი სოფლის სოციალური და ეკონომიური საფუძვლების ძირული გარდაქმნა, — სოციალისტური რეკონსტრუქცია. ავტორი ახერხებს გვიჩვენოს ატავიზში წარსულის რწმენისა და ჩვეების, რომელიც ჩვენს სოფელს მემკვიდრეობათ დარჩა უკულმართი სოციალ-ეკონომიურ ფორმაციებიდან.

ავტორი მხატვრულ ფორმებში გადმოგვცემს მოხუცი გლეხების განწყობილებებს, რეალისტურად აგვიწერს სოფლის ხუცეების გაიძვერობას, რელიგიური რიტუალს, გვალვით შეწუხებულ ცრუმორწმუნე გლეხების პროცესიას ხუცესების მეთაურობით და ოსტატურად გვიხატავს მოხუც გლეხებს, გლეხის ქალებსა და საერთოდ თანატოლი რწმენით შეპყრობილ ბრბოს. ეს წერილი პროზა-

ული ნაწარმოებები საგულისხმონი არაან, როგორც ავტორის მოსაზრებელი შემოქმედებითი ეტაპი დიდი თემატიკური კონცეპციის შემცველ ნაწარმოებზე გადასასვლელად.

რომანი „პირისპირ“ ავტორის სწორედ ასეთს პირველ ნაწარმოებებს წარმოადგენს. მწერალს თემად აუღია საქართველოს ვითარება თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში, სამოქალაქო ომების დასაწყისი, მენშევიკური პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკა და ამ ფოზე ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყოფაცხოვრება, დაპირდაპირებული რევოლუციონური მუშათა კლასის და ინტელიგენციის მოძრაობასთან.

როგორი იყო სოციალ-პოლიტიკური სახე ამ პერიოდისა? ამხ. სტალინი თავის ცნობილ წერილში „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალისმის ნიღაბში“ („პრადა“ 1918 წელი) ასე ახასიათებს ამ პერიოდს: „თებერვლის რევოლუციის ა/კავკასიის მშრომელ კლასების მდგომარეობაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. ჯარისკაცები, — სოფლის ეს ყველაზე უფრო რევოლუციონური ელემენტები, ჯერ კიდევ ფრონტზე იმყოფებოდნენ, ხოლო მუშები, რომლებიც ამ მხარის ეკონომიურ ჩამორჩენილობის გამო სუსტნი იყვნენ საერთოდ როგორც კლასი და ჯერ კიდევ არ იყვნენ მომავრებულნი, როგორც ორგანიზებული ერთეული, კმაყოფილებას განიცდიდნენ მოპოებული პოლიტიკური თავისუფლებით და როგორც ეტყობა, არ ფიქრობდნენ შემდეგი ნაბიჯის გადადგმას. მთელი ძალა-უფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. უკანასკნელნი მაგრად იყვნენ ჩაქიდებულნი ამ ძალაუფლებაზე და ელოდნენ, თანაც ხალხისთა აძლევდნენ საშუალებას ესერულ-მენშევიკურ სტრატეგებს მოეტყულებინათ მუშები და გლეხები ბრძნული სატყუებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე, სოციალისტურა გადატრიალების განუხორციელებლობაზე და სხვ.“

მენშევიკური პარტიის პოლიტიკის დამახასიათებელი იყო ამ პერიოდში მთლიანი ფრონტის შექმნა თავად-აზნაურულ და წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებთან.

საგულისხმოა მენშევიკების შეხედულება რევოლუციის ბუნებისა და მისი შემდგომი პერსპექტივების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო მათ ტაქტიკას და მთლიანად პოლიტიკურ საქმიანობას თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე. „ეს რევოლუცია არ არის სოციალისტური, — სწერდა ერთ-ერთი მენშევიკური ვახეთი იმ დროს — მისი ამოცანაა არა კერძო საკუთრების მოსპობა. იგი ვერ გასცილდება ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს. რევოლუციით დაინტერესებულთა არა მარტო უჭონელი და ნაკლებ მჭონე კლასები, არამედ დაინტერესებულთა შეძლებული კლასებიც, განსაკუთრებით კი სავაჭრო-სამრეწველო წრეები. მაშასადამე შეუძლებელია მიმდინარე რევოლუცია მოხდეს ბურჟუაზიულ კლასების მონაწილეობის გარეშე. პროლეტარიატი მარტო თავისი ძალებით ვერ შესძლებს რევოლუციის მოხდენას და მან ბურჟუაზიულ კლასებთან ერთად უნდა იაროს...“

მენშევიკური პარტია მტკიცედ ატარებდა ცხოვრებაში ბურჟუაზიულ და რეაქციონურ კლასებთან თანამშრომლობის პოლიტიკას, როგორც საქართველო-

ში, ისე ამიერ-კავკასიის მაზტაბითაც, ამ საერთო ფრონტის პოლიტიკური წინარსი გამოიხატებოდა ქვეყნის რევოლუციონურად განწყობილ ძალებთან ბრძოლაში, რევოლუციონურ პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესებთან უძებრისპირებაში.

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

მენშევიკების იმ თავითვე აღებულ პოლიტიკურ კურსს შედეგად მოჰყვა მთელი კალეიდოსკოპი ისტორიული მოვლენებისა, რომლითაც ხასიათდება პერიოდი, ასახული ქუთათელის რომანში. ამ ისტორიულ მოვლენებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია შამქორის ბრძოლას, შემდეგ მასთან დაკავშირებულ ბოლშევიკურ მიტინგის დახვრეტას ალექსანდრეს ბაღში და ბოლოს საერთო სიტუაციით შექმნილ საგარეო ვართულებას, რომელიც გამოიხატა იმპერიალისტურ ოსშალეთთან შეტაკებაში ბათუმისა და ახალციხე ახალქალაქის ფრონტზე. ეს პოლიტიკური სიმძაფრით და ხშირად სოციალური ტრაგიზმით აღსავსე ისტორიული მოვლენები საფუძვლად უდევს ამხ. ქუთათელის რომანს — „პირისპირ“.

გამოქვეყნებული ნაწარმოები წარმოადგენს ერთგვარ მხატვრულ ექსპოზიციას დიდი ტილოსი, რომელიც დაფიქრებული აქვს ავტორს, რომანის არქიტექტონიკის ანალიზი გვიჩვენებს რომ სიუჟეტური კონცეპციის თვალსაზრისით მას ორი მიგისტრალური ხაზი მოეპოება: ერთის მხრივ ფაბულა ინდივიდუალური გმირებისა, — ყოფითი მომენტების, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური გარემოცვის გადმოშლა, მეორე მხრივ ისტორიული მოვლენების, სოციალური გარემოს ჩვენება. რომანში ავტორის მხატვრული ხედვის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრება. ავტორის მთავარ მიზანს შეადგენს ასახოს ქართული ინტელიგენციის ორა ბანაკი: ფეოდალურ-ბურჟუაზიული და რევოლუციონურ-პროლეტარული და მოგვეს სოციალური კოლიზია ამ ანტაგონისტური კლასებისა, დააქენოს ეს ორი ბანაკი პირისპირ. ავტორს დახატული აქვს მთელი ვალერეა ჩვენი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებისა, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდ როლს თამაშობდა გარკვეულ პერიოდში.

ქუთათელის რომანის მთავარი გმარია ახალგაზრდა ინტელიგენტი კორნელი მზეიძე. ეს არის ნაწიერი ფეოდალური ოჯახისა, ფეოდალურ ტრადიციებზე აღზრდალი ყაწყალი კაცი. კორნელი მზეიძე სწავლობს ტფილისში, გინზახაში, ვითარდება იმ რღურ გარემოცვაში, რომელიც მაშინ დამახასიათებელი იყო ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული ახალგაზრდობისათვის. სხვა პირობებში, სხვა სოციალ-ეკონომიურ კონტექსტში კორნელი მზეიძისაგან გამოვიდოდა დათიკო „გლახის ნამზობისა“, ან დამთავრებული ტიპი ტარიელ მკლავარის.

როგორც არის იდეური საწყარო კორნელისა? გინზახაში ის ვართულაა მხოლოდ ტანვარჯიშობით და ნადირობით. მართალია ხშირად მასაც აინტერესებს ზოგიერთი საკითხი, რომელიც სცილდება ვარჯიშობის და ნადირობის ფარგლებს: ასე მაგალითად ის მონაწილეობს ლიტერატურული წრის შეცადინებაში, მაგრამ ეს უფრო შემთხვევითი ფაქტაა. საერთოდ კი მას ახასიათებს სრული პოლიტიკური უვიცობა, აზროვნების სიღარიბე და ვიწრო პორიზონტი. და აი ასეთი იდე-

ურ ბაგაეით ის ხედება რევოლუციას. იგი ვერ ერკვევა მდგომარეობაში, ნაციონალისტურ, წერილობურეუხიულ ინტელიგენციის შრომაში მოხვედრილი ის წარმოიდგენს თავის თავს გმირად, ეწერება ჯარში და იბრძვის ქაქუჩის მიზანი და შინაარსი მას გარკვევით წარმოდგენილი აქვს საკვალის ხისხმოა ერთი გარემოება. შამქორის ბრძოლაში მონაწილეობის შემდეგ, კორნელის თითქოს სხვაგვარად ეხილება თვალი და მის წინაშე იხადება კითხვა: „რისთვის ვახადფურებთ ჩვენ ამ მიზანები ერთმანეთს“. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, — გვეუბნება რომანის ავტორი — ბევრ რამის გადაფასებას მოითხოვდა კორნელისაგან“. ასეთი გადაფასება შეხედულებისა, რასაკვირველია ძალიან საეჭვო იყო მოცეა კორნელის თავისი შინაგანი ზნეობრივი წყობის გამო. მართლაც რომანის პირველ ნაწილში ეს გადაფასება მას არა აქვს მოხდენილი და საეჭვოა ის მოხდეს აგრეთვე რომანის მეორე ნაწილშიც. კორნელის პორტრეტი საერთოდ რეალისტური სიმართლითა აქვს ნაწვევები ავტორს.. ეს არის ცოცხალი ტიპი იმ დროინდელი წერილობურეუხიული ახალგაზრდა კაცისა.

იმ თაობაში, რომელსაც ეკუთვნოდა კორნელი, დამახასიათებელ ფიგურას წარმოადგენს გრიგოლ ცაგური შვილი. უნდა ითქვას რომ ავტორს ამ ახალგაზრდა პოეტის სახე უფრო მეტის გულმოდგინებით აქვს დახატული. თავისი შინაგანი ფსიხოლოგიური წყობით ცაგური შვილი ბევრით არ განსხვავდება კორნელისაგან. თუმცა თავისი განვითარებით ის გაცილებით მალა დგას; „ცაგური შვილს მოხვეჭილი ქონდა პოეტის სახელი რამდენიმე დასტამბული ლექსის გამო. იგი გატაცებული იყო ქართული მწერლობიდან გურამი შვილით, მხოლო უცხოელთა — ბოდლერით, მისი „ავი ყვავილებით“. ერთი ცუდი ზნე დასწემდა ცაგური შვილს. იგი ზეპირად იტყოდა საკეთარს და სხვის პარნოცრაფიულ უამრავ სიტყვებს. ეს ტლანქი, ავლამრული ყაიდის ლექსები, რომლებიც იმ ზნობით ძალზედ გაერკულა მოსწავლე ახალგაზრდობაში აღვირახსნილ პოეტების მეობებით, ბოლო უიმედობა, ბოროტების წინაშე მუხლდრგვა და დეკადანსი ახლად შემდგარ ლიტერატურულ ჯგუფის მიერ, გრიგოლის ნილაბს წარმოადგენდა, არსებითად ის მეტად სათუთი, გულკეთილი, სალი გონებისა და გრძობის ახალგაზრდა იყო. ავადმყოფური ჰანგები მას შეთვისებული ქონდა რეაქციის პირში შვილის — სიმბოლისტური სკოლისაგან — ეს სკოლა აღმოზდა აღმავრენას, ბრძოლის უნარს, გულს სასოწარკვეთა და უიმედობა ისადგურებდა. ამ გვარ განწყობილების დროს გრიგოლი ლენინში და ქალებში ეძებდა თავდავიწყებას, ან კიდევ ტლანქი ლექსებისა და უწმაწურ ენამახვილობის ნილაბს ქვეშ“.

ასეთი არის სახე ამ წერილობურეუხიულ ახალგაზრდისა, რომელიც ისტორიული ფაქტების თანმიმდევრობის წყალობით გამოდის იმ დროინდელი ცხოვრების ავანსცენაზე და გარკვეულ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

საგულისხმო ტიპია იურისტი ესტატე მაყაშვილიც. ეს არის წარმომადგენელი იმავე ბურეუხიული, უფრო სწორად წოდებრივი ინტელიგენციისა. „განათლებული მებაირალტრე“ კონტრ-რევოლუციონურად განწყობილი თავადაზნა-

ურობისა და საერთოდ თავადაზნაურული ინტელიგენციისა იმ პერიოდში. ეს-ტატე მაყაშვილის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენს დამოუკიდებელ საქართველოში მოწვეული იქნეს გერმანიის კაიზერის შვილი, რომ რევოლუციური მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ადამიანური ურთიერთობის აღსადგენად. ავტორის მხატვრულ აზრს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ გრიგოლ ცაგურიშვილისა და კორნელი მხეიძის თაობაში ის ამჩნევს მაინც ერთგვარ დიფერენციაციას, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი სინამდვილეში. ეს დიფერენციაცია გამოიხატება იმაში, რომ ახალგაზრდობის ნაწილი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები არიან რომანში გ. ნახუცრიშვილი და მიტო ჩიკვაძე, უფრო „რევოლუციონურად“ არიან განწყობილნი, მართალია, ეს ტიპები რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდობისა მეტის-მეტად სქემბატურად არიან მოცემულნი, მეორე პლანზე, მკრთალად, მაგრამ ეს შემჩნეული დიფერენციაცია მაინც საგულისხმოა და რეალურად ხელსახები.

განსაკუთრებით საინტერესო არის რომანში პლატონ მოგველაძის ტიპის ცხოვრებიდან აღებული სახეა ავტორს იგი დახატული ჰყავს მეტის-მეტად მკვეთრ ირონიულ ხაზებში. ეს არის ტიპი ლიტერატორის, რომელიც სრულიად მოკლებულია თანამედროვე სინამდვილეში ორიენტაციის საშუალებას: „ეს კაცი ყველას უნდობლად ეკიდებოდა და ასეთ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი თავისებურად ასაბუთებდა: ისეთ ჭეყანაში სადაც მოკლეს ილია, მე აღარ ვის ვენდობი, ქართველის პათოსი მარტოობაშია და არა კოლექტიურ ყოფაში“.

აღსანიშნავია პლატონ მოგველაძის პოლიტიკური ფილოსოფია. მისი აზრით საქართველოს იდეალი უნდა იყოს ჯვარისა და ხმლის სინთეზი. თუ ილია ჭავჭავაძეს დროშას გუთნისა და ხმლის კავშირი ეწერა, თავადაზნაურული ინტელიგენციის ამ დეგენერატ „ფილოსოფოსის“ ლატაკი აზროვნება უფრო მარჯვნივ მიდის და ჯვარისა და ხმლის სინთეზს, ანუ კლერიკალიზმისა და ფეოდალიზმის კავშირს მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ეს ტიპი ძალიან მოგვაგონებს ფეოდალური ინტელიგენციის ტიპებს, გამოხატულს წარსული საუკუნის ჩვენს მწერლობაში. გიორგი ერისთავის კომედიებში ასახული ინტელიგენტები ივანე და ბეგლარი აღჭურვილი იყვნენ თავისი დროის „კულტურის“ მარაგით, მაგრამ ამასთან ერთად მოკლებულნი ყოველგვარ ორიენტაციას პრაქტიკული სინამდვილის ვითარებაში. ისინი იყვნენ ფანტაზიორები, მოწყვეტილნი ცხოვრებას. მაგრამ პლატონ მოგველაძესთან შედარებით ისინი დღეს უფრო პროგრესიულ პიროვნებებათ გვეჩვენებიან. ისინი თავისებური ენტუზიასტები იყვნენ განათლებისა და კულტურის, პლატონ მოგველაძე კი პირზე დორბლმოკრული უარყოფს კულტურას. დამახასიათებელია მაგალითად მისი სიტყვები: „ადამიანი მის მიერვე შექმნილი კულტურის მონაა და შესაძლოა მსხვერპლიც, ამიტომ საჭიროა დაბრუნება მიწასთან. ეს დაბრუნება პიროვნებისათვის არის მეტად ძნელი და ტრაგედიით სავსე, მაგრამ იგი მაინც აუცილებელია“.

საგულისხმოა ეს მიწასთან დაბრუნების ფილოსოფია. საერთოდ მაშინდელ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის სინამდვილეში ამ „მიწასთან“ დაბრუნების თეო-

რის მართლაც ერთგვარი გასავალი პქონდა. მოვიგონოთ ექსპრესიონისტები, რომლებიც გამოხატავენ იმით დაღლილ წერილბურჟუაზიული ფენების იდეური გაკორტებას, დაცემულობის სულსკვეთებას.

ბურჟუაზიულ ინტელიგენციის პორტრეტების გალერის ^{სრულყოფილად} ხდის რომანში დახატული ოფიცრის ტიპები, ესენი არიან წარმომადგენლები მეფის სამსახურში გამოწრთენილი თავდაზნაურული სამხედრო კასტისა. ყოფილი ანდრონიკოვები, ციციანოვები და სხვები, რომლებსაც ცარიზმის ბატონობის ხანაში რცხვენოდათ თავისი ქართველობისა და იცვლიდენ თავის გვარს ანდრონიკოვ-ციციანოვად, ეხლა რევოლუციის მიერ გამოდევნილნი, საქართველოში იცვამდენ სამშობლოსათვის თავდადებული გმირების მანტას.

რომანში დახატულ იფიცრებს შორის საინტერესო, ცოცხალ ფიგურას წარმოადგენს მაგალითად რ. ტმისტრი აფხაზავა. ეს დამთავრებული ტიპია კონტრრევოლუციონერი ოფიცრის, ავანტიურასტის, თავაღებული კაცის, რომელსაც არაფერი არ სწამს ქვეყანაზე, გარდა თავისი ჯვარ-მენდლებისა. აფხაზავა ძალიან მკვეთრ ფერადებში აქვს დახატული ავტორს. მისი სახე მოცემულია მწვავე ირონიულ ხაზებში. ამ მხრივ საინტერესოა აფხაზავას ჯვარმენდლების აღწერა. ჯვარმენდლები ყველაფერ იყო ამ „გმირისათვის“, გარეგანი ფორმა, ზიზილ-პიპილოები ფარავდენ ამ ადამიანის შინაგან სულიერ სიცარიელეს.

ასეთივე დამახასიათებელი ტიპია გენერალი ნიეარაძეც. რომანში მოცემულია შესანიშნავი გროტესკი, — სცენა, როდესაც გენერალი სიტყვით მიმართავს ჯარს. მეფის გახრწნილი მოხუცი ოფიცრის სახე მხატვრული უშუალოებით არის წარმოდგენილი. ასეთივე არის კაპიტანი ალექსიძე, გენერალი შალალოვი, რომელიც მეთაურობს ადერბეიჯანის კონტრრევოლუციონურ ბანდებს. მთელ ამ თაობას თავდაზნაურულ და ბურჟუაზიულ ინტელიგენციისა დაპირისპირებული ჰყავს რევოლუციონური, პროლეტარული ინტელიგენციის თაობა. რომანის წყობა, სიუჟეტური აღნაგობა, ისეთია, რომ ეს რევოლუციონური ინტელიგენციის ბანაკი შედარებით მეორე პლანზეა მოცემული. ამ ბანაკის წარმომადგენლები არიან ვანო მახათაძე, პეტრე ნატროშვილი, ქართველი ჯარისკაცები და აგრეთვე ბოლშევიკი ხელმძღვანელები რომლებიც მეთაურობდენ კავკასიის ფრონტიდან წამოსულ ეშელონებს.

ვინ არის მახათაძე? მახათაძის ბიოგრაფია არის ტიპიური ბიოგრაფია შშრო. მელთა წრიდან გამოსული ინტელიგენტისა, რომელიც იზრდება გაქვირებაში, რომელშიდაც ცხოვრების სიდუბჭირის გამო ვითარდება ფოლადის ნებისყოფას, სიმედგრე და გამძაფრებული პრინციპიალუბი შეფურიგებლობა მწავრელი კლასის წინააღმდეგ. „მახათაძეს კარგათ ახსოვს თვითმპყრობლობასთან ბრძოლა, 1905 წელი, გაფიცული მამა და მუშები“. მკითხველისათვის ნაცნობია ის სოციალური არე, რომელშიც იზდებოდა ეს ახალგაზრდა რევოლუციონერი ინტელიგენტი. „რევოლუციის დროს მახათაძე უშუალო მონაწილეობას იღებდა ზამთრის სასახლის აღებაში პიტერის მუშებთან და ფრონტიდან მოსულ, ჯარისკაცებთან ერთად“.

ვანო მახათაძე მენშევიკების ბატონობის დროს დაუღალაოდ მუშაობს ჯარში, აწარმოებს პოლიტიკურ მეცადინეობას, აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა გაფურცევაში და საერთოდ პროტესტის ყველა ფორმაში, რომელსაც მუშათა კლასი უცხადებს გაბატონებულ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას. იგი ჩაქმნის მუშაობის და აქტიური წევრთაგანია ალექსანდრეს ბაღში მომხდარი მიტინგისა, სადაც იგი ამჟღავნებს მთელ თავის რევოლუციონურ ბუნებას, თავის შეუპოვარ გამბედილობას.

მახათაძესთან შედარებით უფრო ეპიზოდური არის ნაჭროშვილის სახე და უფრო მკრთალი ბესო ალავეძისა. მაგრამ მთლიანობაში, როგორც მახათაძე, ნაჭროშვილი და ალავეძე, ისე ჯარისკაცები, რომლებიც ეპიზოდურ ტიპებად გვევლინებიან და გამოხატავენ რევოლუციონურად განწყობილი ლაშქრის სულისკვეთებას, საერთოდ გაბატონებულ ბურჟუაზიულ ძალა უფლებასთან დაპირისპირებულ რევოლუციონური ბანაკის წითელ სურათს იძლევიან.

უსათვლად უნდა აღინიშნოს როგორც ნაკლი ერთი გარემოება. რომანში გლეხობის სახე არ სჩანს, არ სჩანან მუშები. რადია, ავტორს არ შეეძლო საზოგადოების ყველა ფენების თანაბარი სიმკვეთრით ასახვა; მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლუციონური მუშათა კლასის და გლეხობის რამდენიმე წარმომადგენლის მკვეთრი მოხაზვა რომანს უფრო მეტს სიმძაფრეს და მხავტრულ სრულყოფილობას მისცემდა. იგივე უნდა ითქვას პარტიის როლის შესახებ. თუ არ ჩათვლით ერთ ეპიზოდს, სადაც ავტორს ნაჩვენები აქვს საოლქო კომიტეტის ბინა, რომანის მთელ მანძილზე ვერ ნახავთ პარტიის მუშაობის დამახასიათებელ მომენტებს. უნდა ითქვას კი, რომ პარტიის ხელმძღვანელ როლს ავტორი გვაგრძობინებს გმირების მოქმედებაში და ეპიზოდების/განვითარებაში. ასეთია შამქორის ომი, სადაც პირისპირ ხედებიან რევოლუციონური ჯარი და კონტრრევოლუციონური ბანდები; აქ მკითხველი აშკარად გრძნობს პარტიის ხელმძღვანელ აზრსა და ტაქტიკას, მოქმედების გეგმას. იგივე შეიძლება ითქვას მიტინგისა და მთელ რიგი სხვა ეპიზოდების შესახებ, სადაც პარტიის აზრი, პარტიის იდეები მოქმედებენ.

ქუთათელის რომანის სიუჟეტური აღნაგობის დამახასიათებელ მომენტს შეადგენს ერთი გარემოება. სოციალური არე, რომელსაც ენგელსი „ტიპიურ გარემოს“ უწოდებდა, ხშირად იქცევა რომანის განვითარების წამყვან ფაქტორად, ხოლო ინდივიდუალური ტიპების ბედი და თავგადასავალი „ამ ტიპიურ“ გარემოს მხატვრულ ილიუსტრაციად. რომანში გამოყვანილი გმირების მოქმედება კი არ ქმნის რომანის განვითარების ერთგვარ მექანიზმს, არამედ, პირიქით, გმირების საქციელი და მოქმედებანი გამომდინარეობენ გარემო სინამდვილის სიტუაციიდან. ამგვარად რომანში ხელსახებია დისპროპორცია „ინდივიდუალური ფაბლისა“ და სოციალურ მოვლენათა განვითარების შორის. მაშინ, როდესაც რომანში დასრულებული სახით არის აღწერილი ერთი ციკლი ისტორიული მოვლენებისა თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდან გერმანელთა ჯარის ოკუპაციამდე, — ინდივიდუალური გმირების ბედი მათი ფსიქოლოგიური და ყოფითი მომენტების (კვანძი, კოლიზია, კულმინაციურა წერტილი და გახსნა ამ კვანძისა) ამ რომანში დასრულებულად არ არის მოცემული (რასაც

გაეცნობით ალბად მეორე წიგნში). ეს დისპროპორცია გამოწვეულია ალბად იმით, რომ პირველი მოცემული ნაწილი რომანისა წარმოადგენს ექსპოზიციას, შესავალს შემდეგი ნაწილისათვის.

ქუთათელის რომანისთვის ძალიან დამახასიათებელია მტრის შეგნებულ ხერხი. ეს არის ირონია, სატირული მანერა მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელთა ტიპებისა და სიტუაციების ჩვენებისა. აქ ირონია გამოყენებულია როგორც გარკვეული მეთოდოლოგიური ხერხი. ოკლოვსკი ამბობდა, რომ ხელოვნება არსებითად ირონიულიაო. რასაკვირველია, ეს დებულება ს. და-ვოა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ირონია უსათუოდ ახასიათებდა დიდ ხელოვნების მთელ რიგ ნიმუშებს. აღსანიშნავია, რომ ყოველი კლასი სარგებლობდა სატირით, როგორც ბრძოლის ბასრი იარაღით. მაგალითად ბურჟუაზიული კლასი თავის წინამორბედ ფეოდალური კლასის წინააღმდეგ ყოველთვის მიმართავდა ამ იარაღს. ეს იყო საუკეთესო საშუალება მოპირდაპირე კლასის სასაცილო მხარეების გამოსაჩვენად.

„დონკიხოტი“ არის შედეგრი სატირისა ფეოდალურ საზოგადოებაზე. შექსპირის ტრალედის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ირონია ქუთათელის ნაწარმოების ერთ ერთ ხერხს შეადგენს მხატვრული ზომიერებით გამოყენებული ირონია. ამ ხერხს ავტორი მიმართავს სხვათა შორის ისტორიული პორტრეტების დახატვის დროს. ასეთია მაგალითად ნოე რამიშვილის, ევგენი გეგეკორის, როტმისტრ აფხაზავას და სხვ. აღწერა. გარდა ისტორიული პირობებისა და ტიპებისა ავტორი ირონიულ ხაზებში გვაძლევს მთელ ეპიზოდებსაც. ასეთია ქეიფის აღწერა ნინოობას, ომში მიმავალ ჯარის დალოცვა მლედლების მიერ.

ეს ირონია უსათუოდ ტენდენციურია. ის გამომატველია ავტორის თვალსაზრისისა და გარკვეული მსოფლმხედველობის.

ქუთათელის რომანი შეიცავს ბევრ მხატვრულ ეპიზოდს, ასეთია ნატრო-შვილის სიკვდილი და საინტერესო მომენტი აფხაზავას მოკლისა. უდიდესი ოსტატობით არის აღწერილი შამქორის ბრძოლა, ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტა და განსაკუთრებით ბატალური სცენა: — ბრძოლა იღუმალასთან ჯავხეთში, რაც შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

რომანს ძალიან ბევრი სახე და შედარება ახლავს სამკაულად. უმეტესობა სახეებისა ავტორს აღებული აქვს იმ გარემოდან, რომელშიც იმყოფება გმირი. მაგალითად „აფხაზავამ დააყარა შეკითხვები პარაბელუმის ტყვიებივით“. „აფხაზავას რახმელები მისცვიოდენ ჯავშნიან მატარებელს, ჩოხის კალთები აიკაპიწეს, არწივებივით ჩაურინდენ ჯავშნიან ბუდის ხერხელებში და მიიმაღლნენ“. „ვიწრო ხეობაში თუფშებივით დაიბნა ცხენთა ფლოკეების თქარუნი“. „აქა იქ მთაში, ჩრდილში და საფარში გაწოლილა თითქოს ქიებით შეკმული დახვრეტილი თოვლის ზოლები, რომელიც მძევალივით უცდის მთაში ქარბუქსა და ზამთარს.“ „დაქრილის თავი ქანაობდა ამწვანებულ მთის კალთაზე ვით ყაყაჩო“, „უშმა-რები მოფრინავდენ გრიგოლის თავზე შხუილით, თითქოს იღუმალის მალღობიდან ასპინძამდე სვეტებზე გადაქიმულ ფოლადის თოქსა და ღვედებს კტრ შემოკრეს და ეთერში გარხულ ლითონს ზუზუნნი გაუღისო“.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს მრავალი გამოთქმა და ცალკე სიტყვა, რომელიც ავტორის მიერ წიგნიდან ამოღებული ან შესწორებული უნდა იქნეს. საერთოდ ქუთათელის რომანს, — ეს უნდა აღინიშნოს გარკვეული სისტემატური მასალის ორგანიზაციის, ავტორის მიერ სტილის შინაგანი რიტმიული გამართვის თვალსაზრისით მთლიანობა არ ახასიათებს. ეს უსათუოდ ნაკლია, რომელიც ავტორმა უნდა გამოასწოროს შემდეგი მუშაობის დროს.

ქუთათელი თავის რომანში მხატვრული სისწორით გვიხატავს პოლიტიკურ-სოციალურ გარემოს და გვაძლევს ტიპიურ ხასიათებს ამ გარემოში. მისი რომანი მიეკუთვნება სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დამუშავებულ ისტორიულ მხატვრულ ნაწარმოებთა რიგს. ეს ერთი იმ საუკეთესო წიგნთაგანია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც ასახავს სამოქალაქო ომების ისტორიას.

ქუთათელმა დასძლია ძირითადი ამოცანა თავისი რომანისა: მოეცა ქართული თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენცია მისთვის დამახასიათებელ ყოვეთი გარემოში და რთულ ისტორიულ მოვლენების ფონზე. მისი წიგნი უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ქართულ ლიტერატურის აქტივში, როგორც მიღწევა.



ალექსანდრე სულავე

სახელოვანი ბრძოლის ფურცლები

1

ისტორიულ-რევოლუციონურ ლიტერატურას მარტო მხატვრული, მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ აღმზრდელია, შემეცნებითი და პოლიტიკურიც. ამით აიხსნება ის ცხოველი ინტერესი, რომელიც სამართლიანად გამოიწვია ჩვენს მწერლობაში პ. საყვარელიძის ბელეტრისტულმა ტილოებმა.

„დაფანტული ფურცლები“, „ეკლიან გზაზე“, „ქვა და რკინა“, „უკანასკნელი გადასარბენი“ საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში მნიშვნელოვან ბელეტრისტულ ნიმუშებს წარმოადგენს.

სულ ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც პ. საყვარელიძემ ხელი მოჰკიდა ბელეტრისტულ მუშაობას, დიდ ისტორიულ-რევოლუციონური ამბების მხატვრულ გადმოშლას. ამ მცირე ხნის განმავლობაში მან ოთხი დიდი ბელეტრისტული ნაწარმოები მოგვცა.

სამწუხაროდ ჩვენმა კრიტიკამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო პ. საყვარელიძის მხატვრული პრაქტიკის სათანადო შეფასება. მიუხედავად ამისა, მისმა ნაწარმოებმა თვითონ გაიკეთა გზა-კვალი, რაც უსათუოდ ავტორას უნარჩინობით, მხატვრული უშუალობითა და აქტუალობით აიხსნება.

რა არის საინტერესო და მიმზიდველი პ. საყვარელიძის ამ დიდ რომანებში? ბევრი რამ. ეს წიგნები 1905 წ. გმირულ ხანაზე დაწერილი, იგი დაწერილია იმ ადამიანის მიერ, ვისაც საკუთარ თავზე განუცდია თვითმწყობელობის რეჟიმი, გამოუვლია ამ რეჟიმის საწინააღმდეგო ბრძოლის შკოლა—იატაკქევშ მუშაობის სინამდვილე, სატუსალოები, კატორღა და სხვა.

ავტორი იბრძოდა იმ პარტიის რიგებში, რომელიც მუშათა კლასს რევოლუციონური პროგრამით და მოქმედებით აძლევდა გამარჯვების შესაძლებლობას. აშკარაა, რომ ბოლშევიკური პარტიის შეიღს, რომელმაც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა რევოლუციონური ბრძოლის სისხლიანს მძიმე, და სახელოვან საქმეში—ცოტა რამ არ ექნებოდა სათქმელი მშრომელი კლასის რევოლუციონური თავგადასავლის ისტორიიდან.

პ. საყვარელიძეს, როგორც ბელეტრისტს, მასალის დაუფლებიდან და განცდის უნარი აქვს. ამის წყალობით მან შესძლო მხატვრული უშუალობით და ფხიზელი რეალისტური მეთოდით აესაზა რევოლუციონური წარსულის ეპოპეია.

ე. ნინოშვილი ვერ მოესწრო 1905 წლის დიდი რევოლუციონური სტიქიის ხილვას, და რათა თავის მადლიანი კალმით უკედავეყო ის დიდი მოძრაობა. მაგრამ აშკარაა, რომ ეს პირველი ქართული ეპოპეია ქართველ რევოლუციონერ მწერლობას უყუარადღებოდ არ დარჩენია.

ამ ეპოქას არა ერთი და ორი ღირსეული მესიტყვე, რევოლუციონური გამბედაობით და მხატვრული უნარით დაჯილდოვებული ოსტატი გაუჩნდა. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ რეაქციის პერიოდში შეუდგა ამ დიდი რევოლუციონური აზვირთების მხატვრულ გამოსახვას.

ოქტომბრის რევოლუციამ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის საფუძვლები დაღწა და მძლავრი შესაძლებლობა მისცა მწერლებს წარსულის მხატვრული შემეცნებისათვის. წარსულის რევოლუციონერ თემებზე მუშაობა, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არავითარ შემთხვევაში თანამედროვეობიდან გაქცევას არ ნიშნავს. პირიქით, განვლილი ბრძოლების, რევოლუციის განვითარების სისწორით ჩვენება ხელს უწყობს სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეს. იგი აღვივებს სიყვარულსა და რწმენას მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის მიერ წარმოებული დღევანდელი გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობისადმი, რომლის გულისთვისაც წარსულში დიადი ბრძოლები იქნა გადახდილი.

1905 წლის რევოლუცია და მისი მიმდევრო წლები. სასტიკი რეაქცია გამეფდა, ამბოხებული მუშები და გლეხები, სისხლიანი ბარიკადები, უშიშარი ტერორისტები, წითელრაზმელები, გადაშვვარი სოფლები, ჯალათები, ჯაშუშები, აჯანყებული მეზღვაურები, საღრჩობელა, კატორღა, ციხე და ციხის ქვეშ აზნაგების გასანთავისუფლებლად გათხრილი გვირაბებიც, აშკარად მებრძოლი და იატაკ ქვეშ მომუშავე ბოლშევიკები—ყოველივე ეს გრანდიოზული და დაუვიწყარი ეპოპეია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა რევოლუციონური ბრძოლის ისტორიაში. ამავე დროს ის წარმოადგენ დაუშრეტელ მარაგსა და წყაროს ლიტერატურისათვის.

ეს მარაგი ფართოდ არის გამოყენებული პ. საყვარელიძის რომანებში, სადაც მკვეთრად და ნათლადაა მოცემული ამ ეპოქის სახე, მომქმედი კლასები, ადამიანები, მოვლენები.

1905 წლის რევოლუცია იყო ის „გენერალური რეპეტიცია“, რომელსაც შემდეგი ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილი გამარჯვება მოყვა. „1905 წლის გენერალური რეპეტიციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა 1917 წლის ოქტომბრის გამარჯვება“—ამბობდა ანხ. ლენინი. მისთვის 1905 წლის რევოლუცია იყო პროლეტარიატის უდიდესი მოძრაობა პარიზის კომუნის შემდეგ, რევოლუციონური ბრძოლის ის ნიმუში, რომელიც ჩირაღდანს უნდა წარმოადგენდეს რევოლუციონურ მებრძოლთა აღზრდის საქმეში.

1905 წლის რევოლუციამ ჩვენში, მწერალთა მთელი რიგი ფენები აამოძრავა. ამ მწერლების მოღვაწეობა სხვადასხვანაირია. ზოგი მათგანი თავის წვრილბურჟუაზიული ბუნებით, მენშევიკური მსოფლმხედველობით, დაცემულობისა და ოპორტუნიზმის იდეოლოგიას ანვითარებდა, ზოგი კიდევ იძლეოდა ამ სინამდვილის რევოლუციონურ შემეცნებას.

1905 წლის რევოლუციის გაელენა ქართულ ლიტერატურაზე მტკად დიდია. მაშინდელი თაობის მწერლები დღესაც ვერ სცილდებიან ამ რევოლუციის თემებს, განსაკუთრებით ის მწერლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ ამ რევოლუციაში და საკუთარ თავზე გამოივლდათ წიქქქქქქქსუსხი, გადასახლება და ციხეები.

წერა იმაზეა, რაც ნაცნობია, შესწავლილი და განცდილი შემოქმედების აუცილებელი მოთხოვნილებაა, ამიტომ ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებზე ისაა, რომელიც დიდი სიღრმით იძლევა ცხოვრების შემიცნებას, სინამდვილის უტყუარ გადმოშლას, ისტორიული კვშიარიტების გამოსახვას.

ამ თვალსაზრისით 1905 წლის ლიტერატურულ საგანძურში უსათუოდ მნიშვნელოვან და ფართო მხატვრულ ტილოებად პ. საყვარელიძის რომანები რჩება.

ეს რომანები დიდი ისტორიული მოძრაობის, კლასების, სოციალური ფენების, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის სამკედრო-სასიციოცხოლო შეჯახებათა მხატვრული მატიაწეა. მუშათა კლასის და მისი საუკეთესო ავანგარდის—ბოლშევიზმის რევოლუციონური ბრძოლებისა და ტრადიციების დოკუმენტი, მუშებისა და გლეხების საუკეთესო შვილების თავდადებული და სახელოვანი ბრძოლის მხატვრული ფურცლებია.

პ. საყვარელიძის მხატვრული ნაწარმოები მთლად ადასტურებს ამ კვშიარიტებას, მწერლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების რეალურ ცოდნას და იდეურობას. სწორედ ეს ორი აუცილებელი პირობაა, რომ დამაჯერებლობას და განსაკუთრებულ ძალას აძლევს პ. საყვარელიძის რომანებს.

ძნელია პავლე საყვარელიძის რომანების შინაარსის გადმოცემა რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებებს აქვს თავისი მაგისტრალური ხაზი, იგი მაინც უფაბულო კომპოზიციათაა გაკეთებული, მისი ფაბულა რევოლუციონერების ათასნაირი თავგადასავალის, პარტიების, სოციალური ფენების, მთელი ოჯახების, ძველი რუსეთის საშინელი ყოფაცხოვრებითი მომენტების ამსახველი ცოცხალი ეპიზოდებისა, დაფანტულად, მაგრამ შინაგანი ორგანიული მთლიანობით გამაგრებული.

დაწყებული „დაფანტული ფურცლებით“ ჟიანასკნელ ნაწარმოებამდე პ. საყვარელიძე ეპიურ სიღინჯით ბოლომდის მიჰყვება და ფურცლავს ჩვენი ისტორიული წარსულის ამალეღებელ სურათებს.

ამ რომანების ძირითადი ტენდენციაა გვაჩვენოს რეაქციის პერიოდი და მისი გაელენა საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე, ამ ფენების იდეურ-მორალური მდგომარეობა და სხვადასხვა პარტიების მოქმედებანი, ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა, მათი სულიერი განწყობილება. ერთი მხრივ რეაქციის სუსხი, ციხეების რეჟიმი, საკატორლო წლები, ხოლო მეორე მხრივ არალეგალური რევოლუციონური მუშაობის სინამდვილე.

როგორც ვხედავთ, აქ მოქმედების მეტად დიდი ფონია აღებული, ამიტომ ნაწარმოების გეოგრაფიაც მარტო საქართველოს ფარგლებით კი არ არის შეზღუდული, არამედ მთელი მაშინდელ რუსეთის იმპერიაა აღებული. მოქმედე-

ბა ხშირად ვითარდება სხედასხვა ქალაქებსა და კუთხეებში, ქუთაისში, ბაჭო-ში, ფოთში, ციმბირში, სპარსეთსა და სხვ.

მოქმედების ასეთი მაშტაბი, რასაკვირველია, თავის დედსუბკონტინენტურ საყვარელიძის რომანებს, ავტორს ხშირად ეკარგება მხატვრულ-მეცნიერული გრძნობა, იგი ხშირად თავს ვეღარ ართმევს სამოქმედოდ გამოყვანილ უამრავ ადამიანებს, ტიპებს, გმირებს, ნაწარმოებში ხშირად აღვლილი აქვს მომქმედი პირობების აბნეულ სიარულს.

3. საყვარელიძის რომანების პირველი და უმთავრესი ნაკლია ზვიადობა, გაბერილი ეპიზოდები, რომელიმე შემთხვევის ან გმირის თავგადასავლის ძალზე გაჭიანურებული თხრობა, მოვლენების მონოტოლური აღწერილობა. დამახასიათებელია მაგალითად თუნდაც ასეთი ადგილი „ქვე და რკინაში“: „ციხე სდუმს, სდუმს ციხე“. მწერალს უსათუოდ ციხის დუმილის ამ მოსაზერებელი განმეორებებით სურს განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა. მაგრამ ამგვარი ხერხი უფრო უარყოფით შედეგს აღწევს, ვიდრე დადებითს.

3. საყვარელიძეს თხრობის თავისებური ხერხი ახასიათებს, რომელიც არც ლიტერატურიდან მოდის და არც ოსტატობას ნიშნავს. იგი ნაკარნახევია თვით მასალის სიმრავლისაგან. ეპიზოდები ერთმანეთშია ჩასმული. ზის კაცი და მოგვითხრობს ამბავს. ამ ერთ ამბავში ხშირად ჩაქსოვილია მრავალი სათავედასაქალო ხასიათის სხვა ამბავი, ამიტომ ზოგჯერ თხრობის ძაფი დახლართულია და ძნელად ასათვისებელი. საყვარელიძეს ახასიათებს ფსიხოლოგიური აღწერა, ზოგჯერ გადამეტებული ფსიხოლოგიზმი. ფსიხოლოგიზმი საყვარელიძის ერთერთი საუკეთესო თვისებაა, მაგრამ მწერალი ხშირად ვერ იცავს ზომიერებას და კარბსა და ყალბ ხაზზე გადადის. ასეთია ბევრ შემთხვევაში მისი რომანების მთავარი გმირი ალექსის ცხოვრების თუ ფსიხოლოგიური მდგომარეობის აღწერა:

კარბ ფსიხოლოგიზმს და ფაქტების მოზღვავებულ აღწერას მწერალი ხშირად ემპირიზმამდის მიჰყავს. მასალის სიდიდე და მისი დაუწერაობა და კონკრეტიზაციის უქონლობა 3. საყვარელიძის რომანებს ბევრ წყალს მატებს. ამ რომანებში ბევრზე ბევრია ეპიზოდები და აღწერილობა, რომელიც ნაწარმოებს ამძიმებს. და მხატვრულ მოქნილობას უკარგავს. პაეღე საყვარელიძე ბევრ შემთხვევაში ასე ახერხებს ტიპიურ ხასიათების ჩვენებას, მაგრამ რომანის მოქმედების არეზე გამოყვანილ უამრავ ადამიანებს ხშირად შტრიხებით ხატავს. ისინი ხშირად წუთით ჩნდებიან და შემდეგ ისევე ეკარგებიან, რომ არც მათი სახე და არც მათი მოქმედების ხასიათი მოსჩანს.

3. საყვარელიძეს დიალოგი ეხერხება, თუმცა ხშირად ეს დიალოგები არაა ოსტატურად გაკეთებული. გმირი ზოგჯერ ნამეტან ბევრს, უგემურად და მოსაწყენად ლაპარაკობს. ამას 3. საყვარელიძის სასიამოვნო და კოლორიტიან ენაში უსათუოდ შეაქვს დისონანსი.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ნაკლია, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ 3. საყვარელიძე უნარიანი ორგინალური და დაკვირვებული ბელეტრისტიკა. უმთავრესი კი ის არის, რომ საყვარელიძე ბოლშევიკური მსოფლმხედველობითაა აღჭურვილი. მის ნაწარმოებში არა აქვს ადგილი ფალსიფიკაციას, წვილბურთუაზიულ სენტიმენტალიზმს და დაცემულობას.

რასაც უნდა მოგვითხრობდეს იგი—ილია ბარბაქაძის თავგადასავალს თუ მენშევიკის თედორეს ლაყბობას, ნიკარტას, თუ სანდრო ჩალანდარის შეთხვევის, ციხის ნაძირალებისა თუ პოლიტიკური პატიმრების კონსტრუქციულ-ტექნიკური ისტორიის—ყველაფერს კლასობრივი თვალსაზრისით აშუქებს, და თუ ხშირად განგებ ამუქებს ფერებს და დეტალების სინამდვილეს მიმართავს, ამას იმისთვის მიმართავს, რომ ყოველმხრივ და დამაჯერებლად გამოამჟღავნოს მოვლენის თვისება, ტიპის ხასიათი.

ამ მხრივ პ. საყვარელიძე იშვიათი რელიგიურობით ახერხებს მენშევიკების ლიკვიდატორული ბუნების გამოაშკარაებას, მათი პანიკორობისა და დონკიხოტობის გამოამჟღავნებას.

ასეთია მაგალითად მენშევიკი თედორე, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებულ სხდომაზე ანვითარებს მენშევიზმის ფილოსოფიას. რევოლუცია ბურჟუაზიული უნდა ყოფილიყო, —აცხადებს თედორე, —მტერი ტყუილად გვაბოროტეთ, მუშათა კლასის გამოსვლა შეცდომა იყო:

კიდევ უფრო დამახასიათებელია მენშევიკის მეორე ტიპი ხაშიქამია, ან კიდევ რევოლუციის ფეხის-ხმის ამჟღავნებელი სტუდენტი, სოციალისტობის მოდით გატაცებული.

რევოლუციამ დიდი სიცხადით გამოაშკარავა სხვადასხვა პარტიებისა და ადამიანების ბუნება მაშინ, როცა რევოლუცია შარა-გზას ადგა, როცა მისი ცეცხლი მძვინვარებდა, მაგრამ უფრო მეტი რელიეფობით გამოაშკარავა ისინი, როდესაც რევოლუციამ შარა-გზიდან ბილიკებისკენ შეუხვია („დაფანტული ფურცლები“).

დადგა რეაქციის ხანა, გაძნელდა ლიკვიდატორული სულისკვეთება და ისინი რევოლუციონერების წინააღმდეგ.

— „აკი გეუბნებოდით, ვერ გაიმარჯვებთ, ნუ იწყებთ ბრძოლასო“.

ასეთია რეაქციის დროს ყოველი ლაჩრის და ნაცარქექიას ბუნება. რეაქცია ასეთ შემთხვევაში ხელს უწყობს რევოლუციაზე მიტმანებულ ადამიანის სწრაფ გახრწანას.

ადამიანთა ასეთ კატეგორიას ეკუთვნიან მენშევიკები და სხვა მრავალი წვრილბურჟუაზიული პარტიების წევრები, ინტელიგენტები.

ამ მხრივ რეაქციის დროისთვის საკმაოდ ნაცნობი ტიპია ისილორე, რომელიც არც აქეთაა, არც იქით. უფრო იქითაა საითაც ქარი დაბერავს, სადაც ხერია, მაგრამ, სანამ ამინდი გამორკვეული არაა, ეს ყალთაბანდი და მედროვე ადამიანი მოხერხებული თვალთმაქცობით აქაჩრაკებს თავის საქმეებს.

ასეთივე ტიპია ანაბარე —საკუთარი კანის შიშით შეწყუბებული, ასეთივეა ზარნაშო. „დღეს მაცოცხლე და ზვალინდელ დღეზე ვინ ჩივავო“, —აი მისი ფილოსოფია.

ასეთივე ჯიშის ხალხია ფედერალისტების ტიპები. „მათ თავიანთი პროგრამა არ გააჩნიათ“ —ამბობს მათ შესახებ „დაფანტული ფურცლების“ ავტორი. ისინი

„სოფლად თავადებისა და წარჩინებულთა ოჯახებში დიარეზიან, განსაკუთრებით შემოდგომაზე, მაკრობისას, ალბად იმიტომ,

რომ თავიანთი ეროვნული პროგრამის განსახორციელებლად საუკეთესოდ მიიჩნიათ მამულიშვილური გადაკვრა და ბაიათების ჩალიღინება“.

პარტინული

აბა რა საყვირეელია, რომ ასეთი ადამიანები რევოლუციონერების მგორე დღესვე შავრანგელებად და ჯაშუშებად გადაიქცენ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც თვით მუშებშიაც შეხედებოდი მერყევსა და შშიშარა ადამიანებს. რეაქცია სწორედ ასეთი „ოხერი და წუნკალი“ ხალხით სარგებლობს, ან—როგორც „ქვა და რკინა“-ში ერთი რევოლუციონერი ამბობს:

„მთავრობას ასეთი ოხრების შოვა, როგორც ჰგავს, არ უჭირს, ნახულობს ჩვენ შორის თითო-ოროლა სულმოკლე ადამიანს“.

აი სწორედ ასეთი სულმოკლე და „წუნკალი“ ადამიანების ხროვას შეადგენს პ. საყვირელიძის რომანებში საზიზღარი პროვოკატორების, ჯაშუშების, ჯალათების ტიპები—იგორა, ნიკარტა, ტიმა, სარეკელა, თუთიყუში და სხვა.

შავი რეაქციის მძევნარებისა და ციხეების რეჟიმის ფონზე პ. საყვირელიძე რელიეფურად იძლევა ერთი მხრით გამყიდველი და სულმოკლე ადამიანთა სახეებს, რომლებიც, ისე გაჩნდნენ და გამრავლდნენ რეაქციის ატმოსფეროში, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, მეორე მხრით—მტკიცე რევოლუციონერებს, მებრძოლ მუშებს, გლეხებს ინტელიგენტებს, იატაკ-შვეშ მომუშავე ბოლშევიკებს.

იგი ერთმანეთს ორი კატეგორიის ადამიანებს უპირდაპირებს. ეს ადამიანები ებრძვიან ერთმანეთს, როგორც კლასობრივი მტრები. ეს მტრობა ფიზიკურ განადგურებაშიც კი მიდის. მოლაღატეებისა, ჯალათებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ ხშირად სხვა გზა არ არსებობს. აქ სიკვდილი რევოლუციონერი განაჩენის ასრულებდა. ამიტომაც, რომ სანდრო ჩალანდარი ქალაქიდან ქალაქში დარბის, ეძებს და ყნოსავს პროვოკატორ ნიკარტას გზაკვალს და ბოლოს თავის ამხანაგებთან ერთად კიდეც ასაღმებს მას სიკოცხლეს.

ეს ხალხი მუშათა კლასის მოწინავე შეილებია, ტერორისტები, პროფესიონალური—რევოლუციონერები, პროპაგანდისტები, არალეგალური სტამბის ორგანიზატორები. მათ სძულთ თვითმპყრობელობა და მისი დამქაშები, ყოველგვარი ლაჩარი და მერყევი ადამიანები. მენშევიკის სახელი მათთვის გახრწნილების სინონიმი.

დამახასიათებელია ამ მხრივ თუნდაც რევოლუციონერების შემდეგი დიალოგი „ქვა და რკინა“-ში.

— „მოგიცლია ერთი შენც,—ანჩხლობს კაპიტონა,—ყველას მოყვარე თავი, და ყველანი იქნება ბარე ორი კიდე ნიკარტაზე უარესი. არა, ძმაო, ჩვენ ნამეტანი გამოვიტანეთ საპარასკეოზე ჩვენი მუშაობა. მენშევიკებისგან შეგვეყარა ჩვენ ეს უკურნებელი სენი. მოვეუქროთ უნდა კონსპირაციის მუხრუჭი, თორემ ჯერ ერთი ჩვენ მთლიანად ამოგვეწყვიტავენ და, თუ ვინმე გადაურჩა მტრის ტყვიას, დანარჩენებს ჩვენ ამოვხოცავთ“.

ასეთი ტიპებია კაპიტონა, რაფაელა, მუშა-რევოლუციონერი ფილო, სანდრო—ჩალანდარი, ზურა, ივლიანე, უსახელო და მრავალი სხვა. მათს გამოსახვაში პ. საყვირელიძე დიდ სითბოსა და სიყვარულს იჩენს. ეს ადამიანები ბოლ-

შევიკები არიან, უტეხი ნებისყოფით, სითამამითა და სიმტკიცით აღმსარებელი. ესენი არიან სწორედ, რომ აღვივებენ რევოლუციის მინელეზულ ცეცხლს. ისინი ისევე რაზმავენ მასებს ახალი და გადაწყვეტი ბრძოლისათვის, ვით მთრთის მრავალი მუშაა, მრავალი გლეხი, მრავალი ინტელიგენტი, მაგრამ ყველა მათგანში მხოლოდ ერთი პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების იდეით არის გამსჭვალული.

ასეთი ტიპია მაგალითად, ალექსი. ის თითქმის ყველა ამ რომანების ცენტრალური ფიგურაა. იგი ინტელიგენტი ბოლშევიკია, რომელსაც მტკიცედ სწამს პროლეტარიატის ჰეგემონია, იგი მტკიცე ბოლშევიკია, თუმცა მას ზოგჯერ წვრილბურჟუაზიული რეციდივები აღელვებს.

ალექსი ერთი თვალსაჩინო ტიპთაგანია პ. საყვარელიძის რომანებში. იგი მტკიცეა აშკარა შეტაკებების დროს, არაღვგალურ პირობებში და საკატორლო წლების პერიოდშიც.

ალექსი პოლიტიკური პატიმარია. ციხისა და რკინის კიდლებშია გამოწყვდიული ირგვლივ ციხის საშინელი რეჟიმი, მაგრამ ის ისევე რევოლუციის საკითხებზე ფიქრობს და მსჯელობს.

„ჯალათების ზარი და ზეიმი ჯერ არ შეწყვეტილა, ჯერ კიდევ ლაღობენ და ნავარდობენ, ჯერ კიდევ გამარჯვებულად გრძნობენ თავს ჩვენი მტრები, მაგრამ მათთვის არ მუშაობს ისტორიის ჩარჯი“... „სიმარჯვეს ის გამოიჩინს, ვინც ამ ჩარხის ტრიალს ააჩქარებს. ეს ერთისა და ორის საქმე არ არის, შეერთებული ძალითა და ღონით უნდა მოვევიდოთ ამ საქმეს...“

ასე იცის მოჩქარებული გრძნობების გაყოლა. „შეერთებული ძალები“, მაგრამ ვის უნდა შეუერთდეს?

მენშევიკებმა კარგა ხანია, რაც თავი დაუკრეს რევოლუციის. ესერები რევოლუციის ატაკატუნებენ, თვითთულს თავი ქვეყნის მხსნელად გმირად მიიჩნია. რაინდული დამკლავებით აპირებენ საქმის დაბოლაებას.

მათთან ჩვენ შესაერთებელი, მათთან ერთად სასიარულო გზა ჩვენ არა გვაქვს და არც გვექნება.

ღრმად და მაგრად ფესვების გადგმა მუშათა უბნებში, მუშათა მასის ამოძრავება...

ვინ უნდა ითაოს, ვინ უნდა წაუძღვეს რევოლუციის? ჩვენ ბოლშევიკები. — ამბობს ალექსი.

ალექსიმ იცის, რომ მუშათა კლასი ისევე ემზადება ახალი რისხვისათვის. ალექსი ჯერ კიდევ ციხეში ზის და სწუხს, რომ ციხეში ჯდომით ტყვეილა უბრალოდ სცდება.

მაგრამ ამ ციხიდან გასვლა არც ისე ადვილია. მას ათასი ხიშტი, ათასი ჯალათი დარაჯობს. ეს ციხე თვითმპყრობელობის მოუხეშაობის სიმბოლოა, მისი უკანასკნელი იმედია და საფუძველი. იგი ამ უზარმაზარი ციხე ქვა და რკინის (ან, როგორც რევოლუციონერები უწოდებენ, „მშრალი გილიოტინის“) საშუალებით ახშობს კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისათვის მებრძოლ ადამიანების ნათელ ოცნებას და რწმენას.



აუტანელი და საშინელია ადამიანისთვის ცისის რეჟიმი,

ბორკილი, ვიწრო საკნები, კლექი და სიკვდილი, საყვარელი მშობა, ცივი ციმირი, საღრჩობელა—აი ამ ციხის დამახასიათებელი წესები.

ციხის საშინელება, ციხის ფსიქოლოგია, ციხის ველური ტრადიციები, მისი ყოფაცხოვრება—აი ის თემა, რომელსაც დიდი უშუალოდ იძლევა პ. საყვარელიძე თავის რომანებში. ციხის ყოფა-ცხოვრებისა და რეჟიმის ასეთი რეალური სახით ჩვენება ქართულ ლიტერატურაში უსათუოდ პირველი მავალითია.

იგი წარსული დერეჟიმორღული რუსეთის სამარცხვინო და კომმარული წარსულის, შავნელი ცხოვრების ეპოპეიაა. ციხის ბინძური ყოველდღიური ცხოვრება და მისდამი სიძულვილი ავტორისა ისეა დაწერილი, რომ ეს სურათები ხშირად შედეგს აღწევს. ასეთის ნიმუშს წარმოადგენს თუნდაც „ქვა და რკინა“-ს უკანასკნელი ფურცლები.

„ქვა და რკინა.

არამც თუ ქვას, იმათაც მოვსპობთ, ვისი ბედი და კეთილდღეობა ამ ქვაზე არის აშენებული.

არ დავტოვებთ მათ სახსენებელს.

გარედ ზამთრის ქარი უბერავს. თოვლის ბუქი აწვება ამ ჩვენ ციხის მაღალ ლოპეს, მაგრამ ვერც ციხე და მისი ლოპე, ვერც ზამთარი და მისი თოვლი, სიცივე და ყინვა, ვერავინ და ვერავითარი ძალა ვერ შეაკრთობს, ვერ შეატრიალებს აზვირთებული აბობოქრებული ქარიშხლის ტალღებს“.

„ის მოდის, ის მოვა, ის უნდა მოვიდეს.

მესმის ხმაური ამ შოახლოვების.

აღტაცებით ვეგებები მე ამ სვლას, ამ მოსვლას“.

კითხულობთ პ. საყვარელიძის რომანებს და თვალწინ იშლება რომანოვების სისხლიანი დინასტიის საშინელება, ზიზღი და შურისძიების გრძობა გიპყრობთ იმ წარსულისადმი, რომელიც მილიონიანი მშრომელი ადამიანების ტანჯვა-წამებაზე იყო აშენებული.

რამდენი გმირული ბრძოლა, რამდენი მსხვერპლი, რამდენი მგზნებარე ადამიანის სიცოცხლე შეწირული მონობისა და ძალადობის დასამშობად! რამდენი ზეადამიანური გაკვირვება, ჯოჯოხეთური ცხოვრების ეკლიანი გზა გაუვლიათ იმ ადამიანებს, ვისაც ნამდვილად, ღრმა რევოლუციონური რწმენით და ლენინური პირდაპირობით უბრძოლიათ კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის, ახალი სოციალისტური ცხოვრებისათვის.

პ. საყვარელიძის მხატვრული ნაწარმოებები მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის, მასების, საუკეთესო და უშიშარი რევოლუციონერების ცხოვრებისა და ბრძოლის საუკეთესო ფურცელია, სადაც ავტორს ცოცხალი დამაჯერებელი სურათებით, ეპიზოდებით და სახეებით აღუბეჭდავს ავტორს ექსპლოატორული ეპოქის მახინჯი სახე. ამ ფურცელზე ნათლად და ცოცხლად არის დახატული პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის აზრი და ისტორიული დანიშნულება, რომლის ბრწყინვალე გამართლებას და ტრიუმფს კაცობრიობის ისტორიაში სოციალიზმის მშენებელი ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს.

სიმონ ხუნდაძე

პიეზი-სარჯალი

გზიგთლ თრჷულიანის პრთელილო

1

„დიდუაზული განხვევაა“

„მე არ მახსოვს, და ვგონებ არც თქვენგანი ვინმე უნდა იყოს მომსწრე, რომ ვისმეს ამ გვარი დიდებული განხვევა ჰლირსებოდეს საქართველოში“, — ასე ამბობდა იკიკი ამ 50 წლის წინეთ გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

მართლაც, იშვიათი და არანახული დასაფლავება იყო, „ქუჩებში ტევა არ იყო“, „სამოქალაქო და სამხედრო გენერლების“ გვერდით უამრავი სხვადასხვა პროფესიის და ეროვნების ხალხი იყო შეკრებილი. „სამწუხარო პროცესიას წინ მიუძღვოდა დეპუტაციები სხვადასხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა გვირგვინებით. ორმოცამდე გვირგვინი იყო“.

ალსანიშნავია გვირგვინთა მრავალფეროვანება. რეპორტიორი გადმოგვცემს: „პირველად მიჰქონდათ ქალაქის ხალხის ბაყლები ს გვირგვინი ზედ წარწერით: „შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი, — რომ აღგედგინა“.

მეორე გვირგვინი იყო მელიქიშვილის სტამბის მუშებისაგან შემდგენი წარწერით:

„შენ, იცოდი, რომ არიან დარიბნიც,
არის სადმე სიმწართა ცხოვრება“.

მეცხრე — „შრომის“ რედაქციისაგან ზედ წარწერით:

„ლექსთა მეფეს“.

მეთერთმეტე — „დროების“ რედაქციისაგან ზედ წარწერით:

„მეფეს სიტყვისას“

შემდეგი გვირგვინები თავადაზნაურთა, სამხედრო დაწესებულებათა, პოლკებისა და პირთა, და სხვ.

„დეპუტაციებს მისდევდა გარდაცვალებულის ორდენები, რომელნიც ათს ხავერდის ბალიშზედ იყო დაწყობილი.

კუბო სამხედრო და სამოქალაქო ლენერლებს მიჰქონდათ.

„სოფლის ნაცვლებმა და შამასახლისებმა დაძრეს თეთრი დროშა, რომელზედაც იყო გამოხატული ორბელიანთა ლერბი; დროშა მთელი პროცესიის წინ ფრიალებდა და ამას თან მიჰყვებოდა ათასობით ხალხი.

„გარეთ ქუჩებში პირველად იღვნენ ამქრის წარმომადგენელი თვრამეტე ბაირალით, მარცხენა მხარე მთლად ჯარს ეჭირა... ბანები, სახურაუები, ფანჯრები და ღერფნები იმ ქუჩებისა, საითაც გაემართა პროცესია, გაქედლი იყო ხალხით. ქუჩებში ტევა არ იყო“.

ეს დიდი და შრავალფეროვანი „სამწუხარო პროცესია“ ი. ქავჭავაძის მკვექარე ორატორულმა ავტორიტეტმა დააგვირგვინა:

„იგი იყო თვითმყრობელი ჩვენი ქართულის ენისა, იგი იყო“

„მეფე“ ჩვენი სიტყვების, ძალ-ღონისა და „სიმდიდრის“.

მაგრამ საქართველოს 60-იან წლების დიდი პოეტის თქმას კავკასიის ჯარის უფროს თანამდებობის აღმასრულებელი დიდი ლენერლის ჯომარჯიძის სიტყვა ეჯიბრება:

„დიდებულო წინამძღოლო! ჩვენო შენის მაღალის სახელით დამშვენებულია ფურცელნი კავკასიის ომიანობის ისტორიისა“.

დიდი ქართველი პოეტისა და დიდი რუსის ლენერლის გვამს „ხელ-მწიფე იმპერატორის“ ალექსანდრე მესამეს ცრემლებიც დაეპკურა. თ. ლ. შელიქიშვილმა ტელეგრამა გამოაქვეყნა.

„ღრმად ვმწუხარებ ესრეთის კეთილ-შობილის და პატივსაცემის პირის სიკვდილით“.

„სამწუხარო პროცესიამ“ დასასრულს მიაღწია. რეპორტიორი დაასკვნის:

„სამ საათს ოცი წამი (1883 წ. მარტის 26-ს) აკლდა, როდესაც გოლოვინის პროსპექტზე გაისმა თოფების სროლა და კვირაცხოველიდამ იგრიალეს ზარბაზნებმა. ეს ის წამი იყო, როდესაც ჩვენი დიდება, ჩვენი მზე ჩაასვენეს საფლავში“ (იხ. „დროება“ № 65, 1883 წ.).

მაგრამ „ჩვენი დიდება“, ჩვენი მზე“ ყველასათვის ვერ ანათებდა თანაბრად: ამ „საერთო აღტაცებაში“ თავისებური დისონანსი შექმნდა არანაკლებ დიდი პოეტის აკაკის დიპლომატიურად წარმოთქმულ სიტყვას.

„აკაცის ნამსახურის დავიწყება და დაუფასებლობა უმადურობაა ჩვენი მზრით, ვახვიადება და ნამეტნაობა კი შეცდომა, რადგანაც ამით ნამდვილი ღირსებაც იჩრდილება... დიალ, დიდბანს იცოცხლა განსვენებულმა მამულის შვილმა, მამაცად განელო ეს ბოროტების საფრთხით სავსე ქვეყანა, არც ერთხელ ფეხი არ წამოუკრავს... ეპ რალა დაგვჩინია მეტი, ვისურვოთ, რომ შემდეგმა საუკუნეებმა გაგვიზადონ ნამდვილი მამულის-შვილები“ („დროება“ № 66, 1883 წ.).

აქ უკვე საგრძნობი იმერულ ყაიდაზე გადაკრული დისონანსი მეტყველებდა: მართლაც, პოეტს არ სწამდა გრ. ორბელიანის არც „ლექსთა მეფობა“ და არც მისი მამულის შვილობა. ათეული წლების შემდეგ პოეტი თავის მოგონებაში სწერდა:

„დიდებული ჩამოშავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯობიანი ბუნებითაც დიდი ნიჭიერი იყო გ. ორბელიანი მაგრამ არც ერთ ამ ღირება-

თავანს ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსათვის: როგორც საისტორიო გიარის-
შვილს,—ისტორიული არა დაუტოვებია რა, როგორც მალაზხარისმოვან-ქვეყ-
ნისათვის არა გაუკეთებია რა და, როგორც დიდბუნებოვან მგოსანს მწერლობაში
კვალი არ დაუსვაშა*. (იხ. ტ. 1—გვ. 92.)*

„მხნე მეომარი და გამოჩენილი მხატველი“

ვის უფრო გლოვობდა მაშინდელი საზოგადოება გრ. ორბელიანის გარ-
დაცვალებით: „ლექსთა მეუფე“, „მხნე მეომარს“, თუ „გამოჩენილ მმართველს“?

— ზოგს „სიტყვის მეუფეს“ მოსწონდათ გრ. ორბელიანში, ნაწილს—დიდი
მეომარი და სარდალი, დანარჩენებს კი—დიდი ჩინოვნიკი და ყაფლანიანთა
გვარიშვილობა. საერთოდ კი, მაშინდელს ჯერ კიდევ განუვითარებელს ურთი-
ერთობაში, მთელი საზოგადოება ეპოქის გმირს ხედავდა, „ჩვენს დიდებას“, „ჩვენს
მზეს სხივჭაჭვევებს“ აღმერთებდა. შემთხვევით არ სწერდა ი. მეუნარ-
გია: „მთელი ჩვენი საუკუნე სავსეა გრიგოლ ორბელიანის სახელით... ეს ოთ-
ხმოცი წელიწადია, მის პიროვნებას ვხედავთ ჩვენი სამშობლოს ისტორიის
ყოველს ფურცელზე. იშვიათი პოეტი, ისეთი პოეტი, რომლის ზემოდ მარტო
ერთი რუსთველი და არის, უცხო მოსაუბრე, მხნე მეომარი, გამოჩენილი მმარ-
თველი“... („დროება“ № 61, 1883 წ.).

მეუნარგიას პირით მაშინდელი გაბატონებული საზოგადოებრივი წრეები
მეტყველებდნენ, ის წრეები, რომელნიც ჰქმნიდნენ საზოგადოებრივ აზრსაც და
განწყობილებასაც. გრ. ორბელიანმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრება დიდებასა
და ზეიმში გაატარა, ამავე დიდებითა და ზეიმით ჩაეიდა ღრმად მოხუცი საფ-
ლაეში. მაგრამ დრომ თავისი ჰქნა: შემდგომმა ეპოქამ გრ. ორბელიანს ეს
დიდებისა და „მეუფეობის“ გვირგვინი ჩამოაცალა: საზოგადოების დიდი ნაწი-

*) უფრო მკვეთრად და გადაჭრით გამოსთქვა აზრი გრ. ორბელიანის მებრძობთა წი-
ნალმდებ ცნობილმა ნაროდნიკმა ეგნატე იოსელიანმა. პოეტის დასაფლავების მეორე
დღესვე იგი სწერდა:

„...მრავალ ნაკლულეანებას ვხედავთ ჩვენ გამსვენებულ პოეტის საზოგადო აპარეზზე მო-
ღვაწეობაში... დაუმალავად, პირდაპირ ვალიარებთ—თემცა იქნება ზოგმა საწყენადაც მიიღოს
ჩვენი აზრი,—რომ პოეტის შრომა და ღვაწლი ერთი-ორადაც რომ გადაიქცეს, მაშინაც ვერ
დაისაკუთრებს საქართველოს დიდებას და მისი სიკვდილი ვრს უჯენ სიბნელეს ვერ მოაჭდენს.

...გრ. ორბელიანი რაც უნდა მალაღის ნიჭის კაცი ყოფილიყო, რაც უნდა დიდი ნაღვაწი
დაეტრევიანა სამშობლოსათვის, მაინც მისი შრომა შეადგენდა მხოლოდ მცირედ ნაწილს ნაცი-
ონალურ სიმდიდრისას... მოუფიქრებელმა ბაასმა პოეტის გ. ორბელიანის დასაფლავების დროს
მოგვაცანა ეს რამდენიმე აზრი. ზოგიერთი მალაღი ფრაზები, გრ. ორბელიანის მოთქმთაგან
წარმოთქმული, ადიღად აგრძნობინებდნენ მკითხველს, რომ თვით აქტორს არ ესმის პოეტის
მნიშვნელობა ჭარბულ ლიტერატურისათვის... სულ სხვა სურათს წარმოადგენს პოეტის მდგო-
მარეობა, როდესაც თავს შორს იჭერს ცხოვრებასთან, ან დაშლერის უწინაშენლო, გაღვებარის
ლექსით .. ვინც ხალხს მშარში არ უდგია, არა შეეღის, არ უჭარვებს მწუხარებას, მას ძნელად
შეუძლიან ჩაბეჭდვას ხალხის გონებაში თავის სახელი. ვერაფერი ჰება იყო გარდაცვალებულის
პოეტისა საუღლაში ჩამუების დროს ეს სიტყვები: ეს ვაში იყოს, როდესაც ჩვენი მზე, ჩვენი დი-
დება საფლაეში ჩაეასვენეთა“. („გრიგოლ ორბელიანი“, „ივერია“ № 4 გვ. 71, 72, 74,—5.18388 წ.)-
ახე აფასებდა წერილ-ბურეუაზიული აზროვნების წარმომადგენელი გრ. ორბელიანის შემოქმე-
დებისა და ღვაწლს.

ლისათვის ნათელი გახდა, რომ ამ დიდად ნიჭიერი პიროვნების გამოღვაწეო სარბიელი „ორბელიანთა სისხლის სიღარიბისა“ და ამ საშინლად დასჯილ გვარის“ აღდგენისაკენ იყო მიმართული. კრიტიკულად შეფასრუენენ დაობამ ნათლად დაინახა, რომ გრ. ორბელიანისთვის „პოეზიის სამეცნიერო-ტურული ტახტი სხვათაშორისი საქმე იყო, რომ მას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი არ დაუმჩნევია ჩვენს მწერლობაში: „სიტყვის მეფის“ მუხამბაზები ვერას გზით ვერ დასძლევდენ ბესიკის „სეედის ბალში“ გაფურჩქნილ „მუხამბაზებს“, ხოლო „ლექსთა მეფის“ პოეტური სიღრმე ვერ დაეწეოდა „უგზო-უკვლოდ მქროლავ“ მერანზე მჯდომ ქაბუკ ნიკო ბარათაშვილის პოეტურ გაქანებას. ნათელი შეიქმნა აგრეთვე, რომ „მხნე მეომარი“ და „დიდი სარდალი“ რუსეთის ბიშტებითა და ზარბაზნებით გზას უკაფავდა თვით-მპყრობელობის იმპერიალისტურ-კოლონიალურ პოლიტიკას კავკასიაში, ხოლო „გამოჩენილი მმართველი“ სისხლით, საბრძოლელათი და ციხეებით ამტკიცებდა რუსეთის ბიუროკრატულ-პოლიტიურ წყობილებას ჩვენში.

გრ. ორბელიანი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო, იგი ყაფლამიანთა დიდი გვარის უკანასკნელი მოგვიანი იყო. როგორც ეპოქის შვილმა და დიდი გვარის წარმომადგენელმა გრ. ორბელიანმა თავიდანვე თავისი ნიჭი იმ სარბიელზე სცადა, რომელიც უფრო შეესაბამებოდა მის საზოგადოებრივ ყოფას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 1816 წელს იგი სამხედრო სამსახურში შევიდა იუნკრად. პირველი ჩინი მიიღო 1821 წ. და ამ დროიდან მოკიდებული 1856 წლამდე. განუწყვეტლივ მსახურობდა სამხედრო სამსახურში. და დიდ წარმატებასაც მიაღწია 1857 წ. იგი დაინიშნა ალექსანდრე 2-ესთან ლენერალ-ადიუტანტად. 1826—29 წლებში ორბელიანი მონაწილეობას ლებულბრდა სპარსეთთან და ოსმალეთთან ომებში., 1831-38 წლებში იგი მსახურობდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ორბელიანის სამხედრო კარიერა ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ და იგი დაჯილდოებულ იქნა ჩინებითა და ორდენებით. 1840 წ. იგი კიშინისა და მალაღ-ღეთის აჯანყებულ სოფლებს ამშვიდებდა ზარბაზნებით, ხოლო 1841 წ. არღეთინსკთან ერთად ანადგურებდა გურიის აჯანყებულ გლეხების სოფლებს. 1843 წელს იცავდა აფარიის მხარეს შამილის შემოტევისაგან, ამის შედეგად იმავე წელს იგი დაინიშნა აფარიის მმართველად, („აფარიის ხანი“). 1843 წ. იგი სწერს „მ. არგუთინსკის:

„პირველნი იმათნი კაცნი დიდროანის ხუნდებით ჩაყარე ნაობახტში და გამოვუცხადე ხალხსა, რომ ამათ სუყველას დაეახიზო. შეიყარნენ ყადიები, ბეგაულლები, მუხლთ-მოდრეკით მთხოვეს პატეება, მეც, რასაკვირველია, მეამა ესე და ამათ პატევისცემათ ისინი დავიხსენ სიკვდილისაგან, მაგრამ ერთი თვე შევინახე ტუსალობაში. დავიწყე სოფლებში სიარული და ქადაგება—ქადაგება ძალიან საქმესა შვრება აქა—და ახლა მერწმუნეთ, კნიაზო, ასე რიგად გამიჩარხავს ხალხი, რომ მარტო მე აქაურობით შევებმი შამილას“ (იხ. ი. მეუნარგიას: „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“ გვ. 42).

პოეტი არც ტრაბახობდა და არც ხუმრობდა. ქართველი პოეტი და რუსი სარდალი ენერგულად და სერიოზულად აკეთებდა რუსეთის თვითმართებულობისა და კაპიტალის საქმეს: ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებდა მეამბოხე სოფლებს და ქვეყნებს, მისთვის სულ ერთი იყო აჯანყებულთა და მთავრობისა, მეამბოხე აფარიელები, ურჩი ლეკები, თუ შამილის უძლევი არმია: ორბელიანში „ქვეყნის მმართველისათვის საჭირო მტკიცე და უღმომელი ხასიათი“ მეტყველებდა, იგი „ურჩთა და ორგულთა სჯიდა სასტიკად, სამაგალითოდ“. (მეუნარგია). ლეკებთან ბრძოლის დროს იგი სწერდა სხვადასხვა პირებს: „ესა და ეს სოფელი სულ მოვახნევინოთ ნიშნად სრულიად აოხრებისა“ „ამათი სისხლი დავლიოთ“. ძმას ზაქარეას სწერდა: „რატომ მეც მანდ ომში არა ვარ, რომ ერთი მათგანის (ლეკის) სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცოცხლად“ (მეუნარგია—გვ. 43). ორბელიანის საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ ეს სისხლიანი გაბოროტებული წერილი ისტორიამ შეუნახა ჩვენს თაობას, ხოლო მისმა მებოტბე ბიოგრაფმა თავი ვერ შეიმაგრა ეს გამოაქვეყნებინა.

1844-46 წლები პოეტმა-სარდალმა ლეკებთან ბრძოლაში გაატარა 1847 წ. იგი დაინიშნა აპზერანის პოლკის უფროსად 1848 წ. ომებში გამარჯვებული სარდალი—პოეტი თავის ძმას ილიას სწერდა: „სოფელი ისე დავანგრეით, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე“. 1849 წ. ორბელიანი გენერალ-მაიორის ჩინით არის დაჯილდოებული და განიერ მკერდს სტანისლავას პირველი ხარისხი უმშვენებს. იგი თავის ძმას ილიას სწერს: „მომივიდა ვარსკვლავი.—მინდა ქირამალამის ხალათზედ დავიკურო და კნიაზ პატიომკინისავით დიდკაცურად, ნებიურად გავწვე დივანზედ“.

1850 წ. ორბელიანი დანიშნეს ქარ-ბელაქნის სამხედრო მაზრის და ლეკების საზღვრის უფროსად. ამ მხარეში არეულება სუფევდა. მისი ბიოგრაფი სწერს: „მიუცილებელმა ადმინისტრატულმა საჭიროებამ აიძულა პოეტი ემხარა არა პოეტური ღონისძიება: თავები და ხელები ვკრევიანებინა ყაჩაღებისათვის“ (გვ. 46) თვით პოეტი სწერს ილიას: „ნელ-ნელად თავებს ვაპრევიანებ და აქამდის გავაბედვინე ხალხსა, რომ თვითვე გამოაშკარავენით მოაქვთ ჩემთან თავები და ხელები ყაჩაღებისა“.

1852 წ. იგი კასპიის მხარეთა ჯარების მთავარ სარდალია და სამოქალაქო ნაწილის გამგე. ორბელიანმა სამოქალაქო საქმეებში „დრაკონის კანონები შემოიღო“ (მეუნარგია). იგი ფორონკოვს სწერდა: „თუ რომ გუბდენის მცხოვრებნი გონს არ მოვლენ, ნება მიბოძეთ, ისე დავსაჯო ისინი, რომ შევიღებმა მამების ნასახლარს ველარ მიავნოს“. სისხლმა და რბევამ ისე გაიტაცა პოეტი-სარდალი, რომ როდესაც მას ეწვია ფორონკოვი სახლში იმ მხარის დასათვალიერებლად, იგი სწერდა ილიას: „ამ წყეულს ზაქათალაშიაცა არა არი რა სრულებით იმისთანა ნუგბარი კნეინის მისართმევედ და თუ მიჩრევ ორიოდ ყაჩაღის თავებს მოვაპრევიანებ და მივართმევ“.

1853 წლებში ორბელიანი კვლავ შარას მმართველია. პოეტი-სარდალი ფორონკოვის პოლიტიკის ერთ-ერთ მარჯვე ძალად გადაიქცა. იგი ქედს იხრიადა ფორონკოვის წინაშე და მისი უალრესი პატივისმცემელი იყო. 1854 წ. როდენ-

საც ფორონცოვი განთავისუფლებულ იქმნა. ორბელიანი სწერდა მას: „განვლიან მრავალნი წელნი, რიგ-რიგით დაიჭურენ აქ თქვენს ადგილს, მაგრამ თქვენს მაგიერობას კი მაინც ვერავინ გაგვიწევს და დიდხანს, დიდ-ხანს ვერარ მოეწევა ჩვენი თვალი ტფილისის ახალ მმართველებსა“.

კარიერისა და ჩინ-მენდლების მოტრფიალე პოეტი-სარდალი ძლიერ ადრე შეეწვია და შეეტკბილა ახალ მმართველებსაცა: ბარიათინსკი და დიდი მთავარი ორბელიანის უერთგულესი მფარველები შეიქმნენ.

1855 წლებში გრ. ორბელიანი დაუცხრომელ ბრძოლებს აწარმოებდა ლეკებთან. 1855 წ. იგი სწერდა დ. ჯორჯაძეს: „მცხოვრებნი ახლა თავ-პირში იცემენ, ჰხედავენ რა, თუ როგორ ინგრევი-იქცევა-იწვის მართლად მშვენიერად აშენებულნი თლილის ქვით ჩუქურთმიანი სახლები. ამ ორ სოფელში ვუშვებ მხოლოდ ერთს მეჩეთსა და დანარჩენსა კი ვსთხრი ძირიანად.—ამა ორის სოფლის აოხრებამ შეაძრწუნა ტაბახარანი და ყაითალი და ახლო მოდიან დეპუტატები ერთგულებისა და მორჩილებისა განცხადებისათვის“.

ორბელიანის მათრახი და რისხვა მარტო ყაჩაღებს, შეამზობეთა, გლეხებსა და მეთაურთ არ ხედება. იგი არ ინდობს არც მაღალ წოდების წარმომადგენელთა და არც მწიგნობართა. პოეტი სწერს: „გუშინ ერთი შიხმაჰმადის თანა-შემწე მომგვარა ჯამბეგის შვილმა, დიდი თურმე მწიგნობარი, სახელად აბდულყადიბ ყადი. ჯერ შარიათისთვის ვებაა ასე, აუხსენი, რაი არს სწორე შარიათი და მერე ვავამათრახე, ასე რომ ჩემს შარიათსა არ დაივიწყებს, თუ ცოცხალიდა დარჩა“.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, კავკასიის მეფის მოადგილედ დაინიშნა ცნობილი ბარიათინსკი. ამ პერიოდში გრ. ორბელიანს ფართო გზა გაუხსნა: მან სამხედრო და სამოქალაქო იერარქიის უმაღლესს ხარისხს მიიღწია. ბარიათინსკის პოეტი-სარდალი დიდი აღფრთოვანებითა და შიშით მიეგება. დალესტანით მომავალ მეფის მოადგილეს იგი პეტროვსკში მიეგება მას და ალტაცებულ სიტყვაში შემდეგი აღნიშნა:

„დღე, აკურთხოს ღმერთმა თქვენი ამ ქვეყნად მობრძანებაცა და დიდებულ ტახტის წინაშე შემდგომი სამსახურიც იმ მრავალ ათასოვან ერისა და მხედრობის სადღეგრძელოდ, რომელიც ასე ალტაცებით მოგელისთ. ახარეთ მუდამ გული მეფისა მარადის სახელოვანისა და თქვენის ღვაწლითა“.

ეს არ იყო დიპლომატიური ენით წარმოთქმული სიტყვა მოვალეობის აღმასრულებელ სარდალისა და მოხელისა, ორბელიანი მთელი თავისი შეგნებითა და პოლიტიკური რწმენით ლაპარაკობდა. ამ სიტყვაში გამოთქმული იყო გრ. ორბელიანის მთელი პოლიტიკური კრედო, მაგრამ მისი პირით საქართველოს წარჩინებული წოდება მეტყველებდა. დიდებულ ტახტის „ერთგულება“, დიდი სამშობლოს სამსახური და საქართველოსადმი სიყვარული—ამაში გამოიხატებოდა ამ ბრწყინვალე წოდების პოლიტიკური შეგნება. გრ. ორბელიანმა ეს აზრი გაატარა არა მარტო ოფიციალურ სიტყვაში, არამედ თავის ნათესავისადმი გაგზავნილ ინტიმურ წერილშიაც. იგი სწერს: „მოდის თქვენკენ მთავარ-ნართველი კნიაზი ბარიათინსკი, კაცი ღვთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლისფრით: გულით, გონებით, კეთილ განმზრახველობით.—მოდის დიდი სიყვარუ-

ლით, დიდის სურვილით საქართველოს გაბედნიერებისათვის. ლმერთან მისცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის, რაიცა მიაშპო თავის პლანებიდამ. ხელმწიფესა და თვით ლმერთსა ჰყვარებოდა საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა—მთავარმართველად. ამა რაც შეგვეზღოსთ, მზიარულობით მიეგებენით: ზურნით, ნალარით, ცხენის ჭენებით, ყიყინით, ყვირილით, ვინც როგორ იცოდეთ, ისე მიეგებენით, სულ ბაირალებით“ (იხ. მეუნარვიას წიგნი—გვ. 68).

ბარიათინსკის მეფის მოადგილედ დანიშნვამ ომი შამილის წინააღმდეგ უფრო გააცხოველა და ფაქტიურადაც დამთავრა იგი არსებითად გუნების დამხოვათა და შამილის დატყვევებით და (1859 წ.). დამთავრდა ის 60-წლიანი ომი, რომელსაც რუსეთის თვითმყრობელობა აწარმოებდა ამიერკავკასიის დაპყრობისათვის: შამილის წინააღმდეგ წარმოებული ოცდა ათწლიანი მკაცრი მრავალი ებოზოდებით აღსავსე ომი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენდა ამ ომების ისტორიაში. შამილის დამარცხების შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელო შებრძოლებანი მოხდა სხვა ტომებთან რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიტიკური აპარატის გასამტკიცებლად მთელს კავკასიაში.

შამილის დამარცხებით ბარიათინსკის სახელი დიდად გაითქვა. მაგრამ ბარიათინსკის სტრატეგიულ გეგმებს გრ. ორბელიანის გამოცდილი სარდლური ნიჭიც უწყობდა ხელს. 1857 წ. ორბელიანმა რამდენჯერმე დამარცხა შამილის ჯარი სალათავეიაში და ბოლოს ბურთუნაიცა აიღო. პოეტი-სარდალი სწერდა ყაფლან ორბელიანს: „თიბათვეში ამოველ ჯართა სალათავეიაში, სადაც ვაშენებთ ციხესა. შამილიც იყო აქ დიდის ჯართა, ქურდსავით ტყვეში იდგა დარამდენჯერაც გამოვიდა ტყილამ, იმდენჯერ დამარცხებული ცხვირ-პირ-ჩამტკრეული მორბოდა. 24-იენის ვეება ხევი ავაგეს იმათის დახოცილებითა. ორნი ნაიბნი და მრავალნი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე. იმ დღეს ოთხასზე მეტი დაიხოცა იმათას. ... დღევრძელობა შენ გქონდეს, რომ მე ისინი დათესავით ვალრიალე და კახეთის სისხლი ავილე“ (იქვე. 69—70).

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ გრ. ორბელიანს გენერალ-ადიუტანტობის ჩინი შესძინა და ხელმწიფე იმპერატორის სვიტაში ჩარიცხა. ბარიათინსკიმ თავისი ექსტელბანტები გაუგზავნა. ორბელიანის გამარჯვებით თავბრულახვეული მეფისმოადგილე შემდეგ საინტერესო წერილს სწერდა მას:

„ალარ მაცდით, თითქოს გონს მოვიდეს, უპატივეცემულესო-თავადო გრიგოლ დიმიტრის ძე, ისე თავბრუს მხვევთ“. თითქმის ყოველ დღე თქვენის ბრწყინვალე და ჩინებული გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდგეგერებს ხელმწიფე იმპერატორისათვის წარსადგენად, რომელიც, ეკვი არ არის, მოხარული იქნება თავის ახალ გენერალ-ადიუტანტის „წარმატებისა“ (გვ. 71). 1858 წ. დამთავრდა გრ. ორბელიანის სამხედრო სამსახური დიდის გამარჯვებითა და წარმატებით. მან დიდი ამაგი დასდო რუსეთის მხედრობას ამიერკავკასიის დაპყრობის საქმეში, განსაკუთრებით შამილისა და ლეკის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1858 წ. გრ. ორბელიანმა ახალი წარმატება მიიღო; მაგრამ ახლა სამოქალაქო-ადმინისტრაციულ სარბიელზე: იგი დაინიშნა მეფის მოადგილის საბჭოს თავმჯდომარედ და ძლიერ ზმირად რამოდენიმე წლის

განმავლობაში მეფისმოადგილის თანაშემწის მოვალეობასაც ასრულებდა. 1860 წ. მან ტფილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაც მიიღო, ამ თანამდებობების ასრულების დროსაც იგი უერთგულესი გრძნობებით ხელმძღვანელობდა და ენერგიულად ამტკიცებდა რუსეთის ცარიზმის პოლიტიკურ აპარატს ამიერკავკასიაში. ბართიანისკის ავადმყოფობის დროს ორბელიანი დიდი ხანის განმავლობაში ასრულებდა მის თანამდებობას. 1862 წ. ორბელიანმა უმაღლესი რესკრიპტი მიიღო, რომელშიაც ვკითხულობთ:

„...განთავისუფლებთ რა კავკასიის ნამესტნიკისა და მხედრობის მთავარ სარდლის თანამდებობისაგან, ჩემდა სამართლიან მოვალეობად ვცნობ განგიცხადოთ გულთთადი მადლობა იმ სასარგებლო მოღვაწეობისა და წარმატებულ განკარგულებათათვის, რომლითაც ჩემი ნდობა გაამართლეთ სრულიად“.

როგორც ვხედავთ, ორბელიანმა სავსებით და მთლიანად დაიმსახურა მეფის ნდობა: იგი „დიდებული ტახტისა“ და „დიდებულ მეფის“ უერთგულესი მოსამსახურე იყო. 1862 წ. კავკასიის მეფისმოადგილედ დანიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც 1882 წლამდე იყო აქ. გრ. ორბელიანი კვლავ უმარჩილესი გრძნობით აღიესო და სწერდა: „ვეითარცა უდიდესი გულთამბილავი, მიუხედა ხელმწიფე აქაურ ერის გულის წადილსა და კავკასიის მეფისმოადგილედ დიდი მთავარი დანიშნა. დანიშნულება ესე ჩვენის ქვეყნისადმი ხელმწიფის ახალსა და განსაკუთრებულს მოწყალებას მოასწავებს“. 1866 წლამდე ორბელიანი თავის ძველ თანამდებობაზე იყო და დიდ დახმარებას უწევდა დიდ მთავარს. ამ წელს იგი იმპერატორის სახელმწიფოს საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული და უკანასკნელ წუთამდე მხოლოდ ამ თანამდებობას ასრულებდა ნომინალურად. მისი მოღვაწეობიდან 1866 წლამდე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი ორი მომენტი: 1863 წ. ზაქათალის მაზრაში მოხდა ლეკების აჯანყება: ორბელიანი გაგზავნილი იქნა ამბოხების ჩასაქრობად და მან ერთხელ კიდევ შელება აჯანყებულ გლეხთა სისხლით ზაქათალის ველები. 1865 წ. ტფილისში მოხდა ამქრების აჯანყება, რომელმაც მთელი რუსეთის რეაქციონური ძალები და ევროპის ლიბერალური პრესაც აალაპარაკა. ამ ამქართა წრიდან გამოსულ ლაშქარის მებოტბე პოეტმა-სარდალმა ეს აჯანყება მახვილით ჩააღწო და გალატაკებულ წერილი-ბურჟუაზიის სისხლით შელება ტფილისის ქუჩები. ეს აჯანყება გამოიწვია ქალაქში შემოღებულმა გადასახადებმა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა წვრილ ხელოსნებსა და ვაჭრებს. გრ. ორბელიანმა ჯერ მშვიდობიანი საშუალებით მოინდომა აჯანყებული ხალხის დამშვიდება. იგი თავისი გვარიშვილობის ავტორიტეტით იყო დაიმედებული და თვითონ გავიღწ მოედანზე. პოეტმა-მეფისმოადგილემ ხალხს მიჰმართა:

— შეილებო, გონს მოღიოთ, დამშვიდდით. კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარ-მმართველი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდი.

— ეჰ, დალოცვილო, — უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ, — თქვენი საქმე სულ სხვა არის. თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავს, — აი რა განსხვავება არის ჩვენს შორის. საიდან მივცეთ მომეტებული ხარჯი, თუ არ გვაქვს (მეუნარგია გვ. 90).

თის ბატონობის მოსასპობად და საქართველოს მემკვიდრეობის აღსადგენად. ერთს აჯანყებას მეორესთან არავითარი იდეურ-პოლიტიკურ-სოციალური ნათესაობა არა აქვს. ვანა შეიძლება ასე სიერცესყვედულობის გარეშე ყველა აჯანყება ერთმანეთს დაუნათესაო და არ გამოაჩვენებდეს მათს სოციალური მამოძრავებელი ძალები და მიზნები, პროგრამა?

ჩვენ განვიხილეთ გრ. ორბელიანის მოღვაწეობის ერთი დიდი მხარე, მისი როლი და შრომა სახელმწიფოებრივ და სამხედრო სარბიელზე. იგი ერთგული მსახური იყო რუსეთის ტახტის და ამ ერთგულებით და თავდადებით მუშაობით გამარჯვების უმაღლესს საფეხურს შიღწია: იგი ჩინ-ორდენებითა და უმაღლესი ბრძანებით იქმნა დაჯილდოებული.

სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის გარეშე მისთვის არ არსებობდა სხვა სამსახური და სხვა მოვალეობა... არა იყო: მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის ვადარჩენა განადგურებისაგან. სამოც წელზე მეტი მოღვაწეობის მანძილზე მას არა შეუტანია რა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამ პერიოდში ხდებოდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაცია და კულტურული აღორძინება; გრ. ორბელიანი ამ დიდი პროცესის გარეშე იღვა, მისთვის ეს არ არსებობდა, არ აინტერესებდა. სამაგიეროდ, იგი ბრწყინვალე სახელით დაგვირგვინდა სამხედრო და საადმინისტრაციო სარბიელზე. გრ. ორბელიანი, როგორც მეომარი და ადმინისტრატორი მკაცრი და დაუზოგველი იყო. ამას ვერ ვილაგ მისი მეხოტბე ი. მეუნარგიაძე: „პოეტის მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ ორბელიანი დაღესტანში მსახურების დროს დიდი გულფიცხი კაცი ყოფილა, რომელსაც არად მიაჩნდა კაცის-კვლა, სოფლის აკლება, ხალხის გადასახლება“ (გვ. 73). ასეთი მკაცრი და დაუზოგველი მმართველი იმ პერიოდში არ იყო იშვიათი: მათ შორის საპატიო ადგილი გრ. ორბელიანს ეკუთვნის. მან პირველი სამხედრო განათლება და სამოქალაქო გამოცდილება ერმოლოვის სკოლაში მიიღო. ეს დაუნდობელი და სისხლის მსმელი მთავარმმართველი ათი წლის განმავლობაში (1817—27) სისხლის ღვარებითა და საღრჩობელათი, ზარბაზნებითა და ხიშტებით ანადგურებდა ა/კავკასიის ერებს. უცნაური იყო მისი სიმკაცრე და დაუზოგველობა. გრ. ორბელიანს არ უყვარდა ერმოლოვი, იმიტომ რომ იგი მკაცრად ეპყრობოდა ქართველ არისტოკრატებს, მაგრამ მისი მეტოღი პრინციპიალურად მოსწონდა და ენერგიულადაც ატარებდა ცხოვრებაში. გრ. ორბელიანს უყვარდა და აღმერთებდა ვორონცოვს, ბარიათინსკის, დიდ მთავარს იმიტომ, რომ მათ უყვარდათ ქართველი მეშაბულენი და მათთვის ზრუნავდნენ. იგი ერთგულად, ენერგიულად და მთელი თავისი შეგნებით ემსახურებოდა მათ, მათთან ერთად ეწეოდა სახელმწიფოებრივ-სამხედრო მუშაობას.

ეს სამსახური მას არ დაუფიწყეს საფლავში ჩასვლამდე. 1871 წ. გრ. ორბელიანს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ქართველ თავად-აზნაურობამ 50 წლის სამოღვაწეო იუბილე გადაუხადეს: რასაკვირრებელია, ზეიმობდნენ რუსის დიდი სარდლისა და ტახტის ერთგული მსახურის მხნე მმართველის მოღვაწეობის 50 წლის თავს. იქ ქართველი დიდი პოეტის ხსენებაც კი არ ყოფილა: რუსის დიდმა სარდალმა ერთხელ კიდევ სძლია ქართველი მეგოსანი.

იელისის 7—ს თეატრის ბაღში გამართულ სადილზე, რომელსაც დაესწრო დიდალი გენერლობა და დიდკაცობა, ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსულმა მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა შემდეგი სიტყვით მიმკვირვებელნი იხილარს:

„თქვენ ჩაუნერგეთ სიყვარული და პატივისცემა თქვენს მშვენიერ ქვეყნსა და ქვეყნის მშენებელსა და დაუღალავმა მოღვაწეობამ მოგაგებინათ თქვენ გული ხელმწიფე იმპერატორისა. ამ მხარეში ჩამოსვლისთანავე მე ნამდვილად დავაფასე სარგებლობა და გამოცდილება თქვენი და თქვენმა ხასიათმა მაგალითად შემაყვარა თქვენი თავი და გამზადა პატივის მცემელი თქვენი“ (იხ. „დროება“ № 61, 1882 წ.).

ამ სიტყვის საპასუხოდ იუბილიარმა სთქვა:

„დიდებულს ტახტს კეთილ-სინდისიერად ვემსახურებოდი. უფრო მეტად ვაცი ის, რომ დიდსულოვანის მონარქის მოწყალება ჩემს სამსახურს ვერსად აღემატებოდა მუდამ. ახლა კი თქვენის უმაღლესობის მოულოდნელი ჩვენ შორის ყოფნა მთლად ჩემის სამსახურის გვირგვინსა და ჩემის სიცოცხლის სიზარულს შეადგენს“ (მეუნარგია გვ. 92).

მაგრამ პოეტის „სასიხარულო მომენტი ცხოვრებაში“ შეადგენდა სწორედ 21 სექტემბრის ის მომენტი, როდესაც ხელმწიფემ პირადად მიულოცა იუბილიარს დღეობა და ვადასცა რესკრიპტი „ანდრია პერვოზვანის ლენტით“, პოეტს „იქვე ჩამოვიდეს ლენტით და თავ-მალა-აწეულად მოისმინა წირვა“ (მისი სიტყვებით).

რესკრიპტში კი ალექსანდრე მეორე სწერდა გრ. ორბელიანს:

„სიყმაწვილიდანვე შესწირეთ თქვენი თავი სამხედრო ასპარეზს და მიიღეთ მონაწილეობა ყველა ომებში—თურქებთან, სპარსელებთან და ლეკებთან 1822 წლიდან 1857 წლამდე. არამც თუ მარტო სამხედრო სამსახურში, თქვენ სამოქალაქო სამსახურითა დიდი ღვაწლი დასდეთ მამულს, როდესაც 1858 წ. მოგიწოდეთ თქვენ მთელი მხარის გამგებლად, დიდი შრომა და გამჭრიახობა გამოიჩინეთ მაგის დამშვიდებაში და სამოქალაქო წესების დადგინების ისტორიაში კავკასიის იქით მხარეს თქვენ დაიპყრეთ შესანიშნავ ადგილს,

ეხლა, როდესაც პირველად ენახეთ კავკასიის აქეთა მხარე მთლად დამორჩილების შემდეგ, მოვისურვეთ ავღნიშნოთ თქვენი მხნე და ძველი სამსახური მამულისა და ტახტის წინაშე ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში და მით დავიმტკიცეთ ჩვენი კეთილი განწყობილება თქვენადმი. ამიტომ გვიწყალობებთ თქვენთვის კავალრობა ჩვენი საიმპერატორო ორდენისა წმინდისა მოციქულისა ანდრია პირველ წოდებულისა, რომლის ნიშნებსაც ამასთანავე გიგზავნით.

დავშთებით ყოველთვის უცვლელად გულითადი თქვენი მოსიყვარულე და მადლიერი ალექსანდრე („დროება“ № 61 1883 წ.).

გრ. ორბელიანმა უმაღლეს ბედნიერებას მიაღწია. ასეთი „ბრწყინვალე გამარჯვება“ იშვიათად რგებიათ კავკასიის შვილებს.

„სახინლად დასჯილი გვარის“ მადროშა



გრ. ორბელიანი იმ გვარის შთამომავალი იყო, რომელიც ქვემო ქართლის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა. გადმოცემით ორბელიანნი იყვნენ „ადგილით კერძოთ ჩინეთისა“-გან მოსულნი საქართველოში. ისტორიულად ეს გვარი ერთ-ერთ უდიდეს ფეოდალურ ძალას წარმოადგენდა ჩვენში. 18-ე საუკუნის ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ეს გვარი დანაწილებული ყოფილა და შიგ ფეოდალურ-წოდებრივ იერარქიულ განრიგებას საგრძნობი ადგილი ჰქონია დათმობილი. „ამათ სახლთა შინა ვინცა იქმნების პირველი შვილი რევაზ სარდლის სახლისაგან შთამომავალი, იგი არს შერაცხილ პირველ თავადად“, ხოლო დანარჩენნი „მეორედ და მესამედ თავადებად ხარისხსა შინა“—ასე არის 1783 წ. ტრაქტატის დამატებაში აღნიშნული (იხ. „მასალა ისტორიისთვის“—„ივერია“ № VI გვ. 5, 1884 წ.). გრ. ორბელიანი ამ „პირველ თავადის“ შთამომავალი იყო და მეფე ერეკლეს შვილის შვილი.

არც ერთი ჩვენი მე-XIV-ე საუკუნის მოღაწე ისე შიშველ არ იყო დატვირთული თავისი გვარისა და ოჯახის ინტერესებით, როგორც გრ. ორბელიანი; არავენ ისე მძლავრად არ მოსთქვამდა თავის „გვარის დაცემისა“ და ოჯახის გაწყალებას, როგორც ეს პოეტი. ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გრ. ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის შეგრძნობის საფუძვლებზე იყო აშენებული; გვარი და ოჯახი ფეოდალური წყობილების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეკონომიურად მძლავრი გვარი და მტკიცე დულაბით შეკრული ოჯახი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბატონობის შეურყეველი საფუძველი იყო; გვარის დაცემა, ოჯახის „გაწყალება“ ამ ფენის პოლიტიკურ დაცემისა და დაქვეითებას მოასწავებდა. გრ. ორბელიანს ეს პოლიტიკური ფილოსოფია საუცხოვოდ ჰქონდა შეთვისებული; როგორც მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგს, გვარისა და ოჯახის სიძლიერის დაცვა საზოგადოებრივ ცხოვრების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. გრ. ორბელიანის შემეცნებაში ორბელიანთა გვარის წარმატება საქართველოს წარმატებას ნიშნავდა, მისი დაცემა საქართველოს დაცემის მაჩვენებელი იყო. ამ ფილოსოფიის მიხედვით გვარისა და სამშობლოს ცნება სინონიმები იყვნენ. აკაკი მართალს სწერდა თავის „მოგონებაში“. „იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონ-კაცურად ესმოდა. იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის“ (ტ. 1 გვ. 92). ამას ვერც მისი მეზობლე კ. აბაშიძე მაღავეს, რომელმაც გრ. ორბელიანში „ორმაგი“ ბუნება დაინახა. იგიც სწერდა: „... დედამიწაზედ ერთადერთ საყურადღებო ცენტრად, ერთადერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთა გვარეულობის დაცემისა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა“ („ეტიუდები“ ტ. 1 გვ. 33).

ეს ბუნებრივი იყო იმ მსოფლმხედველობის მატარებელ ადამიანებისათვის, როგორც გრ. ორბელიანი იყო.

აღსანიშნავია, მეორე მომენტიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ პერიოდში ზღვობდა ჩვენი გავეროპილებების საგრძნობი პროცესი, და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების რენესანსი: გამრავლდა ჟურნალგაზეთებზე; ქაიშდენიშეკერ დაარსდა ქართული დასი, გაიფურჩქნა მწერლობა, ჩამოყალიბდა ქართული თეატრი, დაარსდა მთელი რიგი სხვა დაწესებულება. გრ. ორბელიანის ყურადღების ცენტრს ეს არ ეხებოდა; ყოველივე ეს დიდი რუსი სარდლისა და მმართველის ყურადღების გარეშე მიმდინარეობდა. სახელმწიფო-სამხედრო საქმეებით დატვირთულს ბრძოლის ველი და ბიუროკრატიულ-პოლიტიკურ აპარატის მოწყობა სავსებით იტაცებდა და ქართულ-კულტურულ საზოგადოებრივი ცხოვრება მისი ყურადღების ორბიტრის გარეშე იღვავ. მაგრამ სამსახურის გარეშე პოეტს ჰქონდა ერთი დიდი საზრუნავი საქმე: თავისი ოჯახი, გვარი და თავადაზნაურობა. მისი მეტობზე—ბიოგრაფი ი. მეუნარგია მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ამის მეტს ვერაფერს პოულობს. მაგრამ მაინც დიდი ხობით აღნიშნავს:

„გრიგორმა რაკი სიღარიბეს დააღწია თავი, მთელი თავისი ღონისძიება თავის დაცემულის ოჯახის და გვაროვნების აღდგენას მოახმარა. ვერ წარმოიდგენს, ვერ დაიჯერებს დღევანდელი ქართველი მკითხველი, რომ შეიძლებოდა ეს ასეთი თავგანწირული სიყვარული ძმათა და ნათესავთა, როგორსაც ვხედავთ ჩვენ პოეტის წერილებში და ცხოვრებაში... ნათესავთა და თავისიანთა სიყვარულს ის განავრცელებდა შემდეგში მთელი თავადაზნაურობის, სრულიად საქართველოს სიყვარულამდე... პრიკაზის ვალის გადახდა, ზაქარიას შეილების გაზრდა, თავისი ძმის ილიკოს წარმატება, ბიძაშვილების და მოყვარეთა სიკეთე—აი რა იყო მისი სამუდამო ზრუნვა სამსახურის გარეშე“ (ი. მეუნარგიას წიგნი გვ. 47—8). ამის მეტი სამოღვაწეო საქმე გრ. ორბელიანისათვის არ არსებობდა და ამ მხრივ ჩვენ სავსებით უნდა დავეთანხმოთ მის ბიოგრაფს.

ეს ცნობები ჩვენ მასალებს გვაძლევს გრიგოლ ორბელიანის არა მარტო პრაქტიკულ მოღვაწეობის შესასწავლად, არამედ გზას გვიხსნის მისი იდეოლოგიური სამყაროს შესაცნობადაც. აქ ნათლად სჩანს დიდი ფეოდალის სოფლკეების შინაგანი არსი.

ეს ფეოდალური შეხედულება გრ. ორბელიანისა მთელი თავისი სიმძლავრით გამოიხატა და გლახობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ჩვენი პოეტი ბატონ-ყმობას საზოგადოებრივი ცხოვრების შეურყვეველ საფუძვლად სთვლიდა. თვით დიდი ფეოდალი და მემამულე, ორბელიანი გლახობასა და ბატონყმობას ამავე თვალსაზრისით იხილავდა. მისთვის გლეხი მემამულის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენდა; ბატონ-ყმობის ინსტიტუტი წოდებათა ურთიერთობის ნორმალური ფორმა იყო. ასეთი იყო მისი პრინციპალური შეხედულება გლახობასა და ბატონყმობაზე, როგორც მემამულისა და ფეოდალის. მაგრამ გრ. ორბელიანი მეფის ჩინოვნიკიც იყო და ნმ-იან წლებში ვიცე-ნამესტნიკის მოვალეობას ასრულებდა და როგორც მოხელეს, როგორც მთავრობის აგენტს უყოყმანოდ უნდა განეხორციელებინა საქართველოში მეფის „სავლებო რეფორმები“, რომელიც ფორმალურად მაინც ანთავისუფლებდა გლახობას ბატონყმურ უღლი-

საგან. გრ. ორბელიანის ჩინოვნიკური მოვალეობა მის ფეოდალურ შეხედულებას დაუპირისპირდა ამ საკითხში, როგორც მორჩილი ჩინოვნიკი, იგი იმპერატორის ბოძანებას ვერ გადაუხვევდა, როგორც მემამულე-ფეოდალს თავის პრინციპიალურ მოსაზრებებიდან არ სურდა დახვევა — ამ კოლიზიიდან ორბელიანმა თავისებური გამოსავალი ჰპოვა: ოფიციალურად იგი თავად-აზნაურობას უქადაგებდა „სისხლ აუღლელებლად“ მიეღო მეფის ბრძანება, ხოლო არაოფიციალურად იმავე თავად-აზნაურობას არწმუნებდა ფული და ნამული მოვთხოვით „დებულებაში“ შესატანად, როგორც კორექტივი ადგილობრივი პირობებით გამოწვეული.

სანამ დოკუმენტებს მოვიყვანდეთ, აქ საჭიროა მოვიყვანოთ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ნათელს მოფენს გრ. ორბელიანის ბატონყმურ იდეოლოგიას. როგორც აღნიშნული გვქონდა, 1863 წ. ზაქათალაში მოხდა მცხოვრებთა აჯანყება. ოფიციალური ცნობებითვე, ეს აჯანყება გამოწვეული იყო ახალი მართველობითი სისტემის შემოღებით, აღმინისტრაციის თვითნებობითა და მექრთამეობით და მცხოვრებთა შორის ძალდატანების საშუალებით ქრისტიანობის გავრცელებით (ს. ესაძე: „Историческая записка“... ტ. 1 გვ. 201). აჯანყებულთა უმეტესობა მშრომელი ხალხი იყო. აჯანყების ჩასაქრობად იენისს გაგზავნეს გრ. ორბელიანი, რომელმაც მახვილი და საღრჩობელა ერთნაირად ააღაპარა. თავის მოხსენებაში მთავრობისადმი გრ. ორბელიანი მოითხოვდა: 1) დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას, მათი სახლების დაქცევას და ვენახების გაკაფვას, ექზეკუციის ჩაყენებას სოფლებში; 2) დამნაშავეთა ოჯახების ყმობაში გადაყვანას. დაღესტანის არქივიდან ამოღებული ცნობების მიხედვით, 1883 წ. ერთი ავტორი სწერდა: „დამნაშავეების ცოლების მიცემაზე ყმად, მთავრობა (ორბელიანს) თანახმა არ გაუხდა, რადგანაც იმის სასჯელ რუსის სჯულის კანონში (არ არის) და სრულებათ არ ეთანხმება ეს აზრი განზრახვის უმაღლესი მართველობისა, რომელიც სკდილობს მოსპოს მონობა იქ, სადაც ეს ეხლა არსებობს. დარჩენაც სიკვდილით დასჯილ დამნაშავეთა სახლობისა სამშობლო ქვეყანაში არ შეიძლება და ამის გამო უნდა შეიცვალოს განზრახვა მისგან (თ. ორბელიანისაგან) სასჯელ გაგზავნით, ანუ გადასახლებულთა ყოველთა მათ სახლობათა საუკუნოდ ციხიბრში, შოლოდისიც იმ შემთხვევაში, თუ რომ (თ. ორბელიანი) სრულიად საჭიროდ დაინახავს სამავალითოდ დასჯას, ნება ერთვის აასრულოს მარტო ჰაჯი მერტუზის სახლობაზე მისგან განზრახული სასჯელი (ყმით მიცემა ვისთვისმე)... თ. ორბელიანმა დამნაშავენი ზოგი ჩამოახრჩო, ზოგი კატორღაში გაგზავნა, ზოგი ციხიბრში გადასახლა, ზოგი თავდებობით... დაარჩინა ზაქათალის მაზრაში“ (გ. ბ. „მასალები ცხოვრების აღსაწერად თ. გრ. დ. ორბელიანისა“, „დროება“ № 79. 1883 წ.).

ამრიგად, ქართველი დიდი პოეტი რეფორმის პერიოდში აპირებდა ბატონყმობა შემოეღო ზაქათალას ლეკებისათვის და ინგილოებისათვის, იმ რაიონში, სადაც მუსულმანური წესის მიხედვით, არ არსებობდა ბატონყმური ინსტიტუტი. რეაქციონერ პოეტს „ლიბერალურმა“ მთავრობამ მოაგონა ამ მეთოდის შესაბამისობა „რეფორმის“ აზრთან. ქართველ პოეტს მაინც ორგი-

ნალობის პრიორიტეტი ეკუთვნის: ის პირველი შეეცადა ჩვენში აჯანყებულ გლეხების ახალი მეთოდით დასჯას—ყმობაში გადაყვანას.

ამ პერიოდში ტფილისის გუბერნიაში უკვე ემზადებოდნენ „რევოლუციის“ გატარებისათვის საქართველოში. გრ. ორბელიანს, როგორც ადგილობრივი მთავრობის წევრს, ვიცე-ნამესტნიკს და ტფილისის გენერალ-გუბერნატორს უკვე აღარ შეეძლო ბატონყმობის მოსპობის წინააღმდეგ ოფიციალურად გამოსულიყო. მას მეფის „დებულება“ უნდა გაეტარებინა და აი 1863 წ. ტფილისის გუბერნატორს თავად-აზნაურთა კრებაზე იგი გამოდის უადრესად „ჭუმბინტარული“ სიტყვით. ჯერ კიდევ ზაქათალას მიდამოებში დათხეული სისხლი გლეხებისა არ გამშრალიყო და ორბელიანის მოხსენებას ზაქათალაში ბატონ-ყმობის შემოღების შესახებ მელანის სისველე კიდევ აჩნდა, რომ იგივე ორბელიანი ტფილისში ოქროპირობდა:

„მოვიდა დრო, როდესაც საქართველოსი ძველი ჩვეულება, ძველი წესი დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნოებიდან, უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ დღათ საქართველო მიიღებს ახალსა სახესა, ახალსა ცხოვრებასა, რაოდენსაც განვიხილავთ ამ საგანსა, მხოლოდ ვხედავთ ერთსა აუცილებლად: მებატონეთა უნდა შეჰსწირონ მსხვერპლი შეძლებისამებრ. მაგრამ ამ დანაკლისში ვითარცა ქრისტიანენი, უნდა ვნუგეშობდეთ იმ ჰაზრით, რომ ასი ათასი სული თავისუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელს მდგომარეობისაგან. ნუ გვწყინს ეს სიტყვა: კაცი, ჩაჰნებრ დაბადებული, რომელსაცა საქვეყნოს საქმეში არა აქუს არცა ხმა, არცა რაისმე უფლება, რომლისათვისცა თითქმის სამართალშიაც არა ჰყურია სანუგეშოდ და არცა აქვსთ საკუთრება, რა არის მართლად, თუ არა ტყვე? კიდევ ვამბობ, ნუ გვეწყინება ეს სიტყვები, არამედ სულით მივჰმადლოთ კაცთ-მოყვარეს ხელმწიფესა, რომელმანცა ნებითა თვისითა დაგვადგინა ჩუჰნ კეჰმარტს, ქრისტიანურს გზაზედ.

ეს საქმე, რომლისათვისცა შევყრილვართ აქა, არის შეტად ძნელი გადასაწყვეტად, მაშასადამე გვმართებს, რომ გულდამშვიდებულად, სისხლ აუღელვებლად, ყოვლის ყურადღებით და მოთბინებით, მოვისმინოთ პროექტი, წარმოდგენილი ჩუჰნდა განსახილველად, და ამასთანა ესეცა უნდა ვჰსთქვა, რომ ნუცა დავემღურებით ვისმე, რომელიცა არა იყოს თანახმად ჰაზრისა ჩუჰნისა, რადგანაც იმდენი გუჰქვს, რომ ვინცა რას ამბობს, ამბობს სიკეთისათვის საზოგადოებისა“ (იხ. საქ. მუზეუმში: გრ. ორბელიანის არქივი).“

ეს სიტყვა დიდი მოხელისა და დიდი ფეოდალის დიპლომატიური სიტყვა იყო ერთი მხრივ, „მებატონეთა მსხვერპლის შეწირვა“ და „გულდამშვიდებულად, სისხლ აუღელვებლად პროექტის მოსმენა, ხოლო მეორე მხრივ—„ხელმწიფემ ნებითა თვისითა დაგვიდგინა“—ნათლად ამჟღავნებდა იგი დიპლომატის არსებით შინაარსს: მართალია, ა ჰაზროთებელია, მაგრამ „ხელმწიფე გვიდგენს“ და უნდა გავილოთ ეს მსხვერპლით.

მეორე მხრივ, პოეტი თავის მეგობარს თ. დიმ. ჯორჯაჯებს კერძო წერილში სწერს:

„გიორგი მუხრანსკი ემზადება წასასვლელად პეტერბურგში და უნდა ეცადოს, რომ დაუმტკიცოს ის საფუძვლები ბატონყმობის დასაქმებისათვის, რომელიც არა ეთანხმებიან რუსულს პოლოცენიეს, და რომელიცა კი უთოოდ და უთოოდ უნდა მიიღონ ამ მხარისათვის გადასაწყვეტად ბატონყმობის საქმისა, ესე იგი: ფული და მამული მებატონეებსა და დანარჩენი გლეხებსა. — ვნახოთ, როგორ გაიმარჯვებს გიორგი და თუ ვერ შეაგონა და ამ გვარად არ გადასწყდა, შენი მტერი იყოს, როგორც საქართველს თავად-აზნაურნი დაილუპნენ, რომ ორს წელიწადსაც ვერ გაძლონ, და ამგვარი მდგომარეობა ესოდენის ხალხისა სიგლახაქეში არ არის სავარგო თვით მმართველობისათვისაც, რომელსაცა უფრო ბევრი თავ-შისაცემი საქმე გაუხდება მომავალში“. ორბელიანი აქ უკვე თავისი საკუთარი ენით მეტყველებდა: „საქართველოს თავად-აზნაურნი დაილუპებიან“, თუ „ფული“ მებატონეებმა „ვერ შეინარჩუნეს“. ე. ი. გლეხებს — თავის უფალი ძაერი, მებატონეებს — ქვლავ ბატონობა.

მეფემ შეიწყნარა მემამულეთა ვედრება: საქ. მემამულეთ გლეხების პირად განთავისუფლებაში მიეცათ 7 მილიონი მანეთი და მიწა მათ საკუთრებაში იქნა აღიარებული, დაწესდა დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი, რომელიც 50 წელი არსებობდა ჩვენში. „რეფორმამ“ გააძვალტყავა გლეხობა და გააღრმავა მათი პროლეტარიზაციის პროცესი.

სამრეწველო კაპიტალისტური შრომითობის განვითარებამ პარაზიტი წოდება ეკონომიურად დაცემის გზაზე დააყენა. მაგრამ ამ წოდების დაცემის მეტად საგრძნობი პროცესი XIX-ე საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ეს გარემოება ბოლშევიკთა და მსუხარემით ავსებდა პოეტის გულს. მან კარგად იცოდა ის დიდი სამსახური, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობის განმტკიცებას გაუწია ქარიველმა ბრწყინვალე წოდებამ. მაგრამ მასთანვე იგი კარგად ხედავდა, რომ 70—80 წლ. განმავლობაში „დიდი ტახტისათვის“ მოღვაწე ბრწყინვალე წოდებას ისტორიის უკუღმართობამ ნიადაგი შეურყია და „საუკუნოდ დაცა“ იგი. პოეტის კერძო წერილებში ამ საკითხის შესახებ ძვირფასის ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ იმ „მწარე ფიქრთა“ და განცდათა გასაცნობად, რომელსაც განიცდიდა მომავლადი წოდების მედროშე.

1875 წ. დიმ. ორბელიანს სწერდა პოეტი:

„..... ნეტაი შენ, დიმიტრა, რომ ხარ მოშორებული და არ გესმის ყოველის მხრით ამით (თავად-აზნაურთა) კვენესა სიღარიბისა გამო. მოვიდა ჩვენზე, წარღვაა და არსადა სსანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფაროთ თავი ჩვენი, არსადა სსანს გამომხსნელი... მინისტრი რას დასდევს ჩვენს განწირულს მდგომარეობას და საუკუნოდ დაცემა ჩვენი თავდაზნაურობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა. და რომელიც აწცა არის ღირსი ყოვლად მოწყალეებითა ყურადღებისა თავის თავად-დადებით ერთგულებითა“... (ი. მეურნარ-გიას წიგნი გვ. 111).

სად, რაში ეძებს თავად-აზნაურობის დაცემის მიზეზებს პოეტი? მისი ოფიციალური ენა, ამ შემთხვევაში, განსხვავდება კერძო წერილებში ენისაგან, კერძო წერილებში პოეტი პირდაპირ ბრალს დებს მთავრობას, რამდენადაც შესაძლებელია წოდებათა შორის ურთიერთობის შეცვლა და ამით გამოსწორება შესაძლებელია დაქცევა. გრ. ორბელიანი კარგად იცის, რომ ძველ საქართველოში უთავად-აზნაუროდ „ვერა რა განკარგულება მოხდებოდა მეფისაგან სამეფოში“. „...საქართველო შეუერთდა რუსეთსა და გამოცხადდა... რომ ყოველივე საქუთრება შეუხებელია“. მაგრამ ეს ქალღმერთი დარჩა. „გამოვიდა უქაზი, რომ ღვდელნი... უნდა იყვნენ თავისუფალნი თავადებისაგან“. განთავისუფლდენ მღვდლები.—და წაიღეს და დასდევს საეკლესიოდ თავადების ყმები და მამულები. ათასი „საჩივარი წავიდა ამაზე სენატში, მაგრამ პასუხიც არ აღირსეს. შემდეგ, „განთავისუფლდენ აზნაურნი და თან წაიღეს არა თუ მამული, მეფისაგან ნაწყალობები, არამედ ისიცა, რაცა თავადსამეცა თავის მხრით აზნაურისათვის.—ამაზედაც იყო დიდი ჩივილი, მაგრამ ესეც დარჩა უპასუხოდ... გამოვიდა უქაზი: ყოველი გლეხი არის თავისუფალი და უნდა თავადებისაგან მიეცეს მათ მიწა, და აღსრულდა ესეცა. და აბა ეხლა წარმოიდგინე, რაღა უნდა დარჩენოდათ თავადებსა? და რაცა დარჩათ, სულ აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიწა, ასე რომ დიახ იშვიათსა აქვს ასი ღვდელნი ერთს ალაგსა. აი, პირველი მიზეზი ჩვენის საზოგადოდ დაცემისა... ახლა ამასთან შეიცვალა ცხოვრებაცა და ჩვენ ახლისა ცხოვრებისათვის არ ვიყავით მომზადებულნი, ე. ი. არა გვქონდა ფული (იხ. 1881 წ. წერილი ივ. ამილახვარისადმი)“. აქ უკვე გარკვეული ბრალდებაა მთავრობის საწინააღმდეგოდ წამოყენებული. ოფიციალურ სიტყვაში პოეტი ამას ვერ ბედავს. 1876 წ. თ.-აზნაურთა კრებაზე პოეტი ამბობდა:

„ბატონ-ყმობის მოსპობამ დაგვლუპაო. ეს მართალი არ არის: ჯერ ბატონ-ყნობა სად იყო მოსპობილი, რომ ჩვენ ვალეები გვქონდა და გაქირვებაში ვიყავით. ბატონ-ყმობის მოსპობა კი არა, თვითონ ჩვენა ვართ, ბატონები, ამაში დამნაშავე; აი მოგახსენებთ—რა ენთო მამა ჩემს? ქონის სანთელი.—ტანთ რას იცვამდა მამა ჩემი? უბრალო ლეკურ შალს. სულ ყველაფერი იაფი და უბრალო იცოდნენ მამა ჩვენებმა. ჩვენ კი? თქვენც კარგათ იცით, თითოეული ახლანდელ თავად-აზნაურს რამდენად უჯდება ცხოვრება“ (იხ. „დროება“ № 48. 1876 წ.).

პოეტი მართალსა სწერდა: შეცვლილმა ცხოვრებამ გამოიწვია ცვლილება მემამულეთა ცხოვრებაშიც და დაცემის გზაზე დააყენა იგი. მაგრამ პოეტს მაინც გულს უღრნიდა ის ცვლილება, რომელიც მმართველობამ წოდებათა ურთიერთობაში მოახდინა და რომელმაც მემამულეთა დაცემა გამოიწვია მისი აზრით.

გრ. ორბელიანის უდიდესი საზრუნავი საგანი ამ უმაღლესი წოდების „გაწყალებისაგან“—გადარჩენა იყო. რუსეთის სარდალმა და დიდმა ჩინოვნიკმა მხოლოდ შენიშვნა მისცა შემცდარ პოლიტიკისათვის მთავრობას, მაგრამ მის გულში „დიდებულ ტახტისა“ და „დიდი იმპერატორის“ მორჩილებისა და ერთგულების გრძნობა ერთ წუთითაც არ შერყეულა. იგი კვლავ რუსეთის თვითმპყრობელობაში ეძებს ხსნას და ისტორიული საბუთით ხელში უმტკიცებს, რომ

ქართულ თავადების დაცვა და გადარჩენა თვით ტაბრის ინტერესს შეადგენს. 1875 წ. წერილში პოეტი სწერს: „განჭკრება ჩვენი სახსენებელი ჰიწინა პირით, მაგრამ მმართველობამ უნდა კი იცოდეს, რომ ჩვენს ადგილზე მყოფი ვერცხვებით ვერ დადგებიან ვერცა სომხობა, ვერცა თათრობა და ვერცა თვით რუსობა. აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და უნდა ვიყვეთ ჩვენვე თვით მართველობისვე სასარგებლოდ, თორემ, ვინ იცის, იქნება მოვიდეს ის დღე, რომ სანთლებით დაგვიწყონ ძებნა და ვეღარ გვიპოვონ განწყალებულნი“.

პოეტის უკანასკნელი წლების მოღვაწეობა ამ ხაზით განვითარდა: იგი ბანკების და „პრიკაზის“ ვალების პატივებით ჰფიქრობდა ნემამულეთა გადარჩენას. პატარა რაიმი იმედი აღფრთოვანებას იწვევდა მასში. ეკონომიკისაკენაც დაიწყო სტერა, როდესაც შიქ-ტფილისისა და ტფილის-ჯულფის გზების გაყვანა გამოცხადდა 1875 წლ. (პოეტი სწერდა ი. ალექსი მესხიშვილს: „ამაზედ შეიქმნა დიდი სიხარული, მილოცვა და სადღეგრძელოები. მართლა და ეს გზები დიდად აამაღლებს ჩვენს ქვეყანას“ („მასალა ჩვენის ლიტერატურისათვის“, „დროება“ № 176, 1883 წ.).

ასეთი იყო ჩვენი პოეტის სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა; ასეთი იყო მისი სულიერი განწყობილება, რომელიც მემამულეთა კლასის დაცემის ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგრამ ერთი მომენტი კიდევ უნდა აღინიშნოს. ჩვენ შევეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ გრ. ორბელიანი ბრწყინვალე წოდების შიგნით არსებული იერარქიისა ან ტრადიციების მოსპობის მომხრე იყო. წინააღმდეგ, იგი ამ გრადაციების პრინციპალური მომხრე იყო და უარყოფდა ყოველგვარ ემანსიპაციას. 1881 წლის წერილში პოეტი ვარკვევით უპირისპირებდა ერთმანეთს თავადებსა და აზნაურებს. ჩვენი პოეტი, როგორც დიდი გვარის წარმომადგენელი და უფლებით აღჭურვილი ფეოდალი, ყოველთვის ებრძოდა წერილ თავად-აზნაურას გათანასწორებას მსხვილ არისტოკრატისთან. 1864 წ. წერილმა თავად-აზნაურობამ მოინდომა ტფ. გუბერნიის მარშლად ცნობილ დ. ყიფიანის გაყვანა. ორბელიანთან და მუხრან-ბატონთა დიდი გვარი სასტიკი წინააღმდეგი გახდენ ამის და კრებაზე ენერგიულად გაილაშქრეს დ. ყიფიანის კანდიდატურის წინააღმდეგ. ივ. მუხრანსკი კომანდირის ტონით ემუქრებოდა კრებას, რომელიც ერთხმად ამირებდა აზნაურ დ. ყიფიანის არჩევას: „როგორ? ბუნტობთ?.. ეს ხომ ბუნტია! პროკურორს დაუძახეთ აქ. მემამზახე (ე. ი. დ. ყიფიანი) სურთ გაიყვანონ ჩვენს წინამძღვარად“ (ა. ფურცელაძის მოგონებანი: „შაკაჩაია“ № 132, 1912 წ.). არა-ნაკლებ აღელვებული გრ. ორბელიანი ამბობდა: „...ახლა ვინცა დავრჩით წარჩინებულთა, უკეთესთა გვართა შეილნი, მოგმართავთ ჩვენ უმცროსს ძმთა—ნუ გვაქმეეთ სირცხვილსა, ნუ დაგვამფხოვთ თავზე ჩვენ, ქართლ-კახეთის გამობრწყინებულ გვართა, აზნაურ ყიფიანს, აბაშიძის ნაზნაურევის შვილსა“ (ნ. ყიფიანის წერილი „მოამბე“ № 4, გვ. 93, 1894 წ.).

დიდფეოდალთა ენერგიულმა ბრძოლამ ვერ გასჭრა: დ. ყიფიანი მარშლად აირიყეს. გრ. ორბელიანმა ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა: „საქართველო მაშინ დაილუბა, როცა მე და წვიმიტაძე ერთმანეთს შეგვასწორეს“. (იხ. ა.

ფირცელაძის წერილი). დ. ყიფიანი თავის მემუარებში გადმოგვცემს ამ არჩევნების შემდეგ ორბელიანი „ლოგინად“ ჩაეარდა და თვე ნახევარი იწვა. მეფის მოადგილე ნახულობდა მას და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაეშინებოდა („იხ. მემუარები“ გვ. 101). ავადმყოფმა ორბელიანმა მუხრანსკისთან ერთად „დანოსი“-თხოვნა შეიტანეს მეფის მოადგილესთან, რომ არ დაემტკიცებიათ დ. ყიფიანი, როგორც წერილი აზნაური, რადგან ეს შეურაცხოვა იქნებოდა ბრწყინვალე წოდებისა და დარღვევა ისტორიული ტრადიციისა. გარდა ამისა, ყიფიანის მოწინააღმდეგეებმა გაავრცელეს საზოგადოებაში ხმა, რომ იგი მომხრეა საქართველოს ავტონომიისაო.

1877-8 წლებში გრ. ორბელიანმა ერთხელ კიდევ ენერგიულად გაილაშქრა აზნაურებთან გათანასწოების წინააღმდეგ. აქაქის გადმოცემით საბანკო კრებაზე იგი ამბობდა: „ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე ყაფლანიშვილს და ვილაც ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა... იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჭო საქმეში (ტ. 1 გვ. 92).

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ყაფლანიანთა გვარის უდიდესი პატრიოტი იყო; ამ გვარის დაცემა საქართველოს უბედურებად მიაჩნდა პოეტს. ერთ დროს ბრწყინვალე გვარი, დღეს გადაშენების აგონიას განიცდიდა. მე უნარგია სწერს: „ამგვარში ქონებრივ სიღარიბეს ზედღაერთო სისხლის სიღარიბე, — არაეინ იბადებოდა, ამათ ოჯახში“ (გვ. 114). 1878 წ. „ღრმად შეწუხებული პოეტი სწერდა თავის რძალს სოფიოს:“ ... ვხედავ ჩვენი ოჯახის ესრეთ გაწყალებას, ესრეთ გაოხრებას... ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენი სხვათათვის... ასე საშინელად ისჯება ჩვენი გვარი... სახსენებელი ჩვენი ოჯახისა განჰქრა, ვითარცა სიზმარი. ჩვენს ქუჩაში ჩამოეთესლენ პოლოსოვები, ამოვიანცები, ფიტიტკოები, ჩვენს შამა-პაპის სასაფლაო, უფალს ფაიროვს გაუხდია ცხვრების ფარებად“. ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის“ (გვ. 115). 1882 წ. პოეტი სწერს: „... საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაც ჰსიანს ცხადად ზეგარდმო რისხვა. ჩვენ ყაფლანიანი ვილუბებით, მაგრამ არც სხვანი ბედნიერობენ. „სიკვდილის წინახანებში სასოწარკვეთილებით თვითგრძნობა უმალღეს წერტილს აღწევს“... სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაცა, ჩვენი სურვილიცა, ცხადად სჩანს რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვლენილი და ვილუბებით. აღარავინ გვებადება, აღარავინ გვეზღება; ხმა საიდუმლო მესმის: „აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აეყარენით“ (გვ. 116).

ეს პესიმისტური წინაგრძნობა სასიკვდილოდ გამზადებულ წოდებისა. ამ წერილის სტილი და ლექსიკა გარკვევით ისახავს — თესლგამხმარ, სისხლ გადარიბებულ, განწირულ კლასის მდგომარეობას. ორბელიანთა დიდი გვარის უკანასკნელმა მაგიანმა, ქალარით მოსილმა ქართველმა დიდმა პოეტმა უკანასკნელი მდულარე ცრემლები დააფრქვია თავის „განწყალებულ“, „გაოხრებულ“ „დაღუპულ“ გვარის აკლამებზე. ამ „განუშორებელი ფიქრით“ დაღონებული ჩავიდა მოხუცი პოეტი საფლავში. ❀



პოეტს სადარდებელი ქონდა: „ისტორიის რისხვამ“ უფრთხულუნაჲს სოციალ-პოლიტიკური იდეალები ნაცარ-ტუტად დაამსხვრია. მას „ღამის სწამდა, რუსეთის ტახტმა იხსნა ქართველი ბრწყინვალე წოდება, შეიფარა თავის ფრთებს ქვებ და გადაარჩინა იმ აღრევათა, რომელსაც აღგილი ქონდა ევროპაში. ორბელიანი მოსისხლე მტერი იყო ევროპის რაიმე მოძრაობისა; განსაკუთრებით „მეამბოზე პარიზი“ იწვევდა მასში განუსაზღვრელ ზიზლს და შიშს, 1866 წ. თავის ნათესავს იგი სწერდა:

„...Я желаю, чтобы юное сердце Грузии было проникнуто религиозными убеждениями, без чего нет счастья человеку в жизни. Я желаю, чтобы мой племянник был православный грузин, просвещенный европейскою наукою, а не испорченный порочными идеями новейшей французской философии; в особенности живите как можно дальше от Парижа: там поселился бог разврата со всеми чарами обольщения“. ორბელიანს სურდა ევროპის მეცნიერება პროგრესიულ იდეების გამოკლებით გამოეყენებია თავისი წოდების ინტერესებისათვის. „ცთუნებისა და გაბრწყინლების ღმერთს“ იგი ებრძოდა მთელი თავისი არსებით, როგორც ევროპაში, ისე საქართველოშიც. ორბელიანის არქივში ინახება მის მიერ შეკრებილი საიდუმლო ცნობები, ლიბერალურ მოძრაობის მამხილებელნი. აქ მისი ხელით ჩაწერილია: მოსკოვში აქვს სტეფან ნაზარიანიც, პროფესორს მოსკოვის უნივერსიტეტის: ეს არის პრედესდატელი საზოგადოებისა „Братия любви“ ამან გაასწავლა გოგობერიძე (ლაპარაკია ზეს. ლოლობერიძე დას. ხ.), შანშიევის შვილები. სრულიად ჰქადაგებს თავისუფლებასა, სომხობის ნაციონალიზმსა, სარწმუნოების შეცთასა; ამასთანავე ერთად არიან პეტრე შანშიევი, ხატი-სოვი, სიმონიანიცი და სხვანი თანაშემწედ და განმავრცელებლად ამა სწავლისა,—ესენი ჰქადაგობენ „Материализм“ (იხ. გრ. ორბელიანის არქივი, Q 147 ა.).

ორბელიანს კარგი აგენტურა ჰქონია: ნაზარიანიცი სომეხთა მოძრაობის მეთაური იყო და რუსეთის ემიგრაციასთან ჰქონდა კავშირი; ზეს. ლოლობერიძე აქტიური წევრი იყო 60-იანი წლების მოძრაობისა.

დიდი ფეოდალი უკვე გრძნობდა, რომ მისი წოდების დაცემასთან ერთად მის საფლობელოში „ცდუნებისა და გაბრწყინების იდეები“ იპარებოდა. სახელოვანი მმართველი წინასწარი ზომების მიღების მზადებაში იყო გართული: ლიბერალურ იდეებს თვითმპყრობელობის მაგარ აპარატს უპირისპირებდა.

გრ. ორბელიანი ვერ ეჩვეოდა ქალაქურ ცხოვრებას; მისი შეგნება „მღელვარე ქალაქისთვის“ არ იყო განწყობილი. 1864 წ. პოეტი სწერდა დ. ჯორჯაძეს: „ახლა მინდა მივეგდო მოსვენებითა და დავიწყო ქალაქის ცხოვრება, სავსე ამოებითა, რომელსაცა ვერ ეჩვევა ხასიათი ჩემი და მგონია აღარცა ეამი იყოს ჩემი შეცვლისა“ (იხ. გრ. ორბელიანის არქივი).

ამ „ამოებით სავსე ქალაქისადმი“ უარყოფითი დამოკიდებულობა მარტო გრ. ორბელიანის დამახასიათებელ თვისებას არ შეადგენს. ეს მისი დის შვილის მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთი საყურადღებო

თვისებასაც შეადგენს. 1844 წ. დიდი პოეტი სწერდა ზაქარიას: „Дай мне маленькое, независимое состояние, я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью, и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем Отечестве... оставь службу, займись имением, и это другая слава—сделать счастливым своих крестьян, оставленных до сих пор без господина-попечителя“ (ნ. ბარათაშვილი გვ. 106-7. 1922). ეს პატრიარქალური ცხოვრებისადმი ლტოლვა და უარყოფა ქალაქის მღელვარე ცხოვრებისა—ფეოდალური აზროვნების დამახასიათებელი იდეოლოგიაა. დიდი მამული და დიდი სასახლე, მორჩილი, დიდძალი ყმებითა და მონებით, ქორ-მეძებრებითა და ცხენებით, უზრუნველი ცხოვრებითა და დამოუკიდებელი მარტივი პატრიარქალური ყოფით ჩვენი პოეტების შემეცნებაში დაპირისპირებულია ბურჟუაზიული ქალაქისადმი, თავისი სოციალური მრავალფეროვნებით და კლასიური წინააღმდეგობით, მერკანტილისტური სულითა და მღელვარე, დაუცხრომელი ცხოვრებით.

ფეოდალური საბუღარების დაცვა ქალაქის გახრწნილ გავლენისაგან—ეს ჩვენი ფეოდალური მწერლობის მთავარი მაგისტრალური ხაზია.

4.

ზრ. ოკაშვილის პატრიარქია *

* ეს წერილი განსვენებულ ანტ. სიმონ ხუნდაძეს დაუმთავრებელი დარჩა.
რედ.

ალექსანდრე ჯაბადარი

მობონებანი

გაგრძელება *

ტფილისსა და საქართველოში მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ არსებით ცენტრად გადაიქცა ქართველთა ამხანაგობის სტამბა. პირველი იყო რკინის გზის ტფილისის სახელოსნოები. ამის გამო ტფილისის შესტამბეებმა და ქარხნების პატრონებმა ჩემს წინააღმდეგს სისინი დაიწყეს. ამას დაერთო საჩივრები განრისხებულ ლიბერმანისა, რომელმაც რკინის გზის უფროსს ვედენევს (რომელიც შემდეგ მუშების დადგენილებით იქნა მოკლული) შესჩივლა, რომ „ამხანაგობას“ იმისთვის უნდოდა რკინის გზის სასტამბო საქმეების ხელში ჩაგდება, რომ ადვილად შეემოკლებინათ სამუშაო დღე და ასე პროპაგანდა ეწარმოებინათ შრეწველობის წინააღმდეგო. მ. ს. სამუშაო დღის დაპირებაც ლიბერმანმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენა. ვედენევს შესჩივლა და გააბრთხილა, რომ ამისთანა პირობებში ჩვენ ბოლომდე ვერ შევასრულებდით ხელშეკრულებას, რომლის დარღვევა რკ. გზას ზარალს მოუტანდა, რადგან შეუსრულებელ სამუშაოში სტამბები მეტს გადაახდევინებდნენ რკ. გზას. რკინის გზის მმართველობაში მეცა მკვანდნენ მეგობრები— ევანგულოვი (სამასალე განყოფილების უფროსის მოადგილე), მუშკაროვი (მთავარი ბუხალტერი) და სხვ. ვედენევს გამგეობაში რომ ჩამოეგდო ამაზე ლაპარახი, ევანგულოვს შესაფერი პასუხი მიეცა.

გარდა ჩვეულებრივი მუშაობისა, სტამბის ქვემოთა ორ სართულში მუშებს შორის სწარმოებდა არა-ლეგარული მუშაობაც; ამისთანავე არა-ლეგარული მუშაობა სწარმოებდა მესამე სართულშიც, ხოლო ერთმანეთის დამოუკიდებლად. საჭიროა აღნიშნო, რომ სტამბის მომუშავეთა არა-ლეგალური მუშაობა სწარმოებდა დიდი სიფრთხილით: მოთავენი სცდილობდნენ სტამბას ენება არ მოსვლოდა. რასაკვირველია, შრიფტი ნელ-ნელა გაჰქონდათ, ზოგი საიდუმლო სტამბებისათვის და ზოგიც სხვა კერძო სტამბისათვის, რასაც მე უყურადღებოდ ვტოვებდი.—პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ ვიცოდი, რისთვისაც მიჰქონდათ, მეორე შემთხვევაში კი იმიტომ, რომ ეს რომ გამოემეტლავნებინა და დამესაჯა დამნიშავენი, არ იყო გარანტია, რომ უკანასკნელნი არ დააბეზლებდნენ პირველთ. ეს კი გამოიწვევდა პირველების დაპატიმრებას და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უსიამოვნება იქნებოდა.

* იხ. „მთაბი“ № 1-2.

1901 წ. 2 იანვარს ამიერ-კავკ. რკინის გზის მმართველობამ განსაკუთრებული კომისია გამოგზავნა სტამბის დასათვალისწინებლად, თუ რამდენად მოეასწარიტ ექვს თვეში მოგვეწყო საჭირო სიდიდის სტამბა. თქმულ განსაკუთრებული კომისიისათ: თუ 2 იანვრისთვის სტამბა არ იქნებოდა მოწყობილი, სტამბის სანდარი 9.000 მან. (ჩემ მიერ სესხად აღებული) მისაკუთრებინათ და საქმეები ისევ ლიბერანისათვის გადაეცათ. კომისიამ სტამბა საკმაოდ მოწყობილად იცნო და სამუშაოც გადმოგვეცეს. ამან ძალიან გაგვახსნევა. ამავე 1900 წელს ზაფხულში ახალმა ჯგუფმა განვიზრახეთ დაარსება სოც.-ფედერატ. პარტიისა. ჩემთვის ეს იყო გაგრძელება ყოფილი სურვილისა, რასაც წარსულში თანამგრძობი ვერ მოვუპოვეთ, — ბოლო ჩემი ამბანაგებისა და მეგობრებისათვის ეს იყო ახალი დაწყება იმისი, რასაც ჩვენ ვესწრათებოდით ოთხმოციან წლებში.

პირველ ორგანიზაციულ კრებას დაესწრენ, ჩემს გარდა, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ვლად. ლორთქიფანიძე, გიორგი ლასხიშვილი და სხვ. არჩეულ იქმნა კომიტეტი, რომელიც შეუდგა საქმეს.

გაზეთის გამოცემის საჭიროება კვლავ წარმოსდგა მთელი თავისი სიძლიერით. პარტიისათვის საჭირო იყო ორი გაზეთი — ერთი ლეგალური და მეორე — არალეგალური. მაშასადამე, უნდა გამოქვეყნებოდა სხვა გზები ლეგალურ გაზეთის გამოსაცემად.

იმ დროს, ე. ი. 1900 წ. ტფილისში არსებობდა გაზ. „ცნობის ფურცელი“, რომლის რედაქტ.-გამომცემლად იყო ცნობილი ვალიკო გუნიი. გაზეთის პროგრამა იყო: დეპეშები, ადგილობრივი ახალი ამბები და განცხადებანი, ე. ი. არავითარი პროგრამა. ასეთი გაზეთი არას წარმოადგენდა. ილარ მახსოვს, რა მიზეზით, ამ გაზეთის გამოცემა დროებით შეჩერებული იყო. ვალ. გუნიის მივეცი წინადადება — გაზეთი ჩემთვის გადმოეცა. შევთანხმდით. გუნიამ ნოტარიუსის წესით მოწყვიდა გამომცემლობა 300 მან.. როგორც გაზეთის მესაკუთრემ, რედაქტორად ალექსანდრე ქუონია წარვადგინე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ქუონიას დამტკიცებდნენ. ქუონია დათანხმდა მოკლე ხნით ყოფილიყო რედაქტორად. ნებართვასთან პროგრამის გაფართოვებაც ვითხოვეთ. ტფილისის ზაცენზ. კომიტეტმა კარგი აზრი გაგზავნა. რადგან პეტერბურლში პროტექცია აღმოჩნდა, გაზეთის რედაქტორად ქუონია მალე დაამტკიცეს და პროგრამაც გაგვიფართოვეს. 1901 წელს უკვე დაეიწყეთ „ცნობის ფურცლის“ ფართე პროგრამით გამოცემა. სამი თვის შემდეგ ჩე წარვადგინე თხოვნა „ცნ. ფ.-ს“ რედაქტორად დამტკიცების შესახებ. მეც უკვე შეიარაღებული ვიყავი პროტექციით. მოკლე ხანში შახოვსკოისაგან (ბეკდვითი სიტყვის უმთავრესი მმართველობის უფროსი იყო პეტერბურლში) ტელეგრამა მივიღე ჩემ რედაქტორად დამტკიცების შესახებ. ამ საქმეში ძალიან დაშეხმარა მარიამ ჭავჭავაძის ასული, რომელიც იმ დროს ცხოვრობდა პეტერბურლში და კარგად იცნობდა შახოვსკოის და მის ოჯახს. მარიამ ჭავჭავაძე იყო შეილი საშა ჭავჭავაძისა (საოლქო სასამართლოს წევრი), რომელთანაც მეგობრული განწყობილება გვექონდა და მარიამსაც კარგად ვიცნობდი. ამის მეუღლეს ვუკოლიანსოპოლსკის გავლენა ჰქონდა პეტერბურლის მაღალ წრეებში. ამის შემდეგ

ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო წერა, რადგან თუ ამ თავისუფლებისათვის ვისმეს დასჯიდნენ,—ეს ვიყავ მე. მე არ მინდოდა აღ. კუონიასთვის ჩემი მიზეზით რაიმე უსიამოვნება მიეყენებინათ.

რედაქციის

რედაქციის კოლეგია შევადგინე (ხოლო საბოლოო რედაქციის შემთხვევაში მე დავიტოვე); კოლეგიის ხელმძღვანელობა მივანდო გიორგი ლასხიშვილს, რომელიც ამავე დროს სოც.-ფედ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე იყო. უნდა აღვნიშნო, რომ ლასხიშვილი ფრიად კარგი და პატიოსანი ამხანაგი იყო. „ცნ. ფურც.“-ს არსებობის განმავლობაში ჩემი უფლებით (რედაქტორისა) ვისარგებლე ხუთჯერ, თუ ექვსჯერ, როდესაც ჩვენი თანამშრომლების წერილები არ გაუშვი დასაბუჟდად, რადგან არ ვეთანხმებოდი იმათს მიერ გამოთქმულ აზრებს ზოგიერთ ეროვნულ კითხვებში. ამან პირველში ავტორების უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ შემდეგში დამეთანხმნენ, რომ მე მართალი ვიყავი.

1904-5 წლებში გაზეთი „ცნ. ფ.“ 13,000 ეკვ. ვადიოდა—ქართული პერიოდული გამოცემათა ტირაჟი 1900-ს არას დროს არ ასცილებია.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს გაზ. „ცნ. ფ.“-მა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში თავისი ცნობებით ომის შესახებ. თუმცა ყველა ცნობები რუსულ გაზეთებიდანვე იყო ამოღებული, მაგრამ ისე კარგად და ტენდენციურად იყო ხოლმე ამოკრეფილი, რომ ომის მდგომარეობის ერთგვარი მიმართულების სურათს ნათლად ხატავდა. გაზეთის ეს განყოფილება და „უცხოეთი“ იმდენად საინტერესო იყო, რომ სამხედრო შტაბი (ტფილისში) დაინტერესდა „ცნობის ფურცლით“ და ყოველ დღე ამ გაზეთიდან ამოკრეფილ ცნობებს ომის შესახებ ათარგმნიებდნენ შტაბის უფროსისათვის. ამ განყოფილებას აწარმოებდა ჩემი უახლოვესი ერთგული ძველი მეგობარი შაქრო ბილანიშვილი, დიდად პატიოსანი, საქმის ერთგული, ფრიად განვითარებული ადამიანი.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციის განკარგულებაში იყო პეტერბურგში ახლად დაარსებული ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტო, რომლის აგენტად ტფილისში იყო ანდრო ლულაძე. ამ საქმის წარმოებას ფული უნდოდა, ლულაძეს კი ეს ფული არა ჰქონდა. ეს საქმეც „ამხანაგობამ“ მოაწყო. ზოგიერთი ცნობები ტელეგრაფით ჩვენ უფრო ადრე მოგვდიოდა. შორეულ აღმოსავლეთში ჯავ-შნიანი გემის „პეტროპავლოსკის“ და ზედმყოფი აღმირალი მაკაროვის დაღუპვა იაპონელების ნაღმით რედაქციამ მიიღო ორი დღით ადრე, ვიდრე სხვა რედაქციებმა. ტელეგრამა მოვიდა ღამის 1 საათზე, როდესაც გაზეთი უკვე იბეჭდებოდა. ბეჭდვა შევაჩერეთ და ეს ახალი ცნობა შევიტანეთ. მეორე დღეს ამ ამბავმა, რომელიც მხოლოდ „ცნობის ფურცელ“-ში იყო დაბეჭდილი, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სამხედრო წრეებში შტაბში ეკვის თვალით შეხედეს ამ ცნობას. შტაბიდან ოფიცერი გამომიგზავნეს რედაქციაში იმის გასაგებად, თუ რა-ნაირად მივიღეთ ეს ცნობა.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, მეტადრე უკანასკნელ თვეებში, არსებულ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ ხალხში მოძრაობა ოანდათან ღვივდებოდა. შეიქმნა ატმოსფერა, როგორცა ხოლმე კეჟა-ქუხილის წინ. რასაკვირველია, ჩვენც იმედებმა გავვიტაცა, მეტადრე რაკი იაპონია დახმარების აღმოჩენას დაგვპირდა და ნაწილობრივ იარაღით პირ-

ველი დახმარება აღმოგვიჩინა კიდევ. პარიზში იყვნენ გ. დეკანო-
ნოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე; იქვე წავიდა გ. ლასხაშვილი, არჩილ
ჯორჯაძე ხელმძღვანელობდა ვაზ. „საქართველოს“ გამოცემის
პოლიის წარმომადგენელთან მოლაპარაკებაში. გუგუშვილი
ქეშიშვილიც შევლოდა. როდესაც ფული იშოვეს და იარაღი (თოფი და
პატრონები) უკვე შეძენილი იყო, საქირო შეიქმნა საკუთარი გემის შეძენა და
სანდო, გამბედავი კაპიტანი და მეზღვაურები. ამ საქმეში დიდი სამსახური გაე-
ვიწიეს ვარლამ ჩერქეზიშვილმა და კორნელისენმა, ვარლამის მეუ-
ლის ფრიდას ნათესავმა. ამ კორნელისენმა მოაწყო გემის შეძენა, თვი-
თონ იკისრა გემის წამოყვანა (უფროსი მეზღვაური იყო) თავისი სანდო მეზ-
ღვაურებით. გზაზე გემს სახელი „სირიუსი“ დააწერინა და მშვილობით გამოი-
არა დარდანელი, სადაც კინალამ ხიფათში გაება.

მანამ გემი მოვიდოდა, საქირო იყო გემის გადმოტვირთვა მოგვეწყო, რომ
ყოველივე ეკვი იგვეცდინა, მე დავალბული მქონდა ბათომში და ფოთში წას-
ვლა, სანდო პირებთან მოლაპარაკება, ადგილების დათვალიერება, სადაც შესაძ-
ლებელი იქმნებოდა იარაღის დროებით შენახვა.

წავედი ბათომში, თან ირაკლი ფურცელაძე წაიყვანე. ბათომში ვინა-
ხულე ფრიად სანდო პირები, რომლებმაც დაიბარეს ორი სანდო კონტრაბან-
დისტი ლაზები და გამაცნეს. იმავე დღეს ბათომშივე მოვიდა პარტიის წევრი
ხ. თ. კახივე მეორე დღეს გავემართენით ადგილების დასათვალიერებლად. ჩვენ
ნავით შევედით არხების ლაბირინტში, ვიარეთ ერთი საათი და მართლა ისეთ
მიყრუებულ ადგილას მიგვიყვანეს კონტრაბანდისტებმა, რომ მისი პოვნა თუ
შეუძლებელი არა, ძალიან ძნელი იყო. აქედან შეიძლებოდა რკინის გზის ახლო
სადგურზე გატანა, სადაც ბევრ შემას ზიდავდენ და ვაგონებს ტვირთავდენ. ეს
ადგილი მოწონებულ იქნა, მით უფრო, რომ შემის გაზიდვის დროს ადვილი
იყო ყუთებში ჩაწყობილი იარაღის გაზიდვა. შემდეგ გეგმა შეიცვალა. გემი მო-
ვიდა უფრო მალე, ვიდრე ჩვენ ველოდით. იარაღის მისაღებად წავიდა პარტიის
წევრი თ. სახოკია, ჩვენი მეგობარი, კაცი იშვიათი ენერჯისა და დიდად პატიოსა-
სი. როდესაც დაიწყო ფოთის ახლო ნაგებში გადმოტვირთული იარაღის ნავთ-
სადგურში გადმოტვირთვა, ამ დროს გამოჩნდნენ სოც.-დ—ს პარტიის გამოგზავნი-
ლები და მოინდომეს იარაღის დასაკუთრება. შეიქმნა აურ-ზაური. ვილაც რეგ-
ვენმა მოინდომა თოფის გასინჯვა, ჩადო პატრონა, თოფი გავარდა და ეს საკ-
მარისი იყო, რომ ნავთსადგურის დარაჯები ფეხზე დამდგარიყვნენ. თუმცა ნავი
გაიქცა, მას დაეწივნენ, ხოლო გემმა მოასწრო გაქცევა, გზა-და-გზა იარაღი სულ
ზღვაში ჩაყარა. ასე სამარცხვინოთ გათავდა ჩვენი შეიარაღება. 1878 წ. საქარ-
თველოს ასაჯანყებლად ინგლისის მიერ გამოგზავნილი ორი გემი იარაღი ხელში
ჩაიგდო რუსეთის ესკადრამ. მეორედ იაპონიიდან 1904 წ. მოგვა-
წოდეს იარაღი, მაგრამ ვერც ეს მივიღეთ, ზღვაში დაი-
ღუპა.

1908 წ. „სირიუსის“ კაპიტანს შევხვდი პარიზის ახლო სოფელ კლამარში,
მისი ძმის, ქრისტინის, ბინაზე. ეს ძმა ანარხისტია. ი მკაპბო იარაღს

მოტანის ამბავი. ლაპარაკის დროს ეტყობოდა, რომ დასცინოდა ჩვენს უორ-განიზაციობას. ვანა დასაცინი არ ვიყავით?

იპონიის ომმა და რუსეთის ჯარების ზედი-ზედ დამარცხებამ დიდი მოძრაობა გამოიწვია რუსეთში, საქართველოში.

ბალხში მოშაობა უფრო დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურიაში, სწავროებდა ს.-დ. ორგანიზაციის მეთაურობით. გურიაში მოძრაობა 1904 წლის მიწურულიდან დაწყებული ისე ფართო იშლებოდა, იზრდებოდა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია უღონო შეიქმნა მასთან ბრძოლაში. რევოლუციონური მოძრაობა ქართლშიაც დაიწყო. ადმინისტრაციისათვის საშიში მდგომარეობა შეიქმნა, იმდენად საშიში, რომ ჰეტერბურგის ლოცვა-კურთხევით კავკასიაში გადასწყვეტეს 1905 წ. ნოემბერში ქართლში და დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ექსპედიციების გზავნა, რომ სამაგალითოდ გაენადგურებინათ იქაურობა, რათა სხვაგან ვერად გაეხდნათ ამბოხება.

რევოლუციონური მოძრაობით დაშინებული ადმინისტრაცია და ჯარების ზოგიერთი უფროსები ცენტრიდან გამხნეებულნი კლავინდებურად გაბატონდნენ. ვათამამებულმა მთავრობამ 1905 წლის დეკემბრის გასულს საჯაროთ გამოაცხადა—არაფერს არ დავზოგავთ, არაფერს არ დავხედავთ და რევოლუციის კი გავესრვითო.

1906 წ. იანვარში უკვე ცნობა მოვიდა, რომ დ. სურამში ჯარისკაცებს აუკლიათ, დაუწვიათ იქაური ს.-დ.-ს კლუბი. 26 იანვარს ქართლში გაგზავნილმა გენერალ-გუბერნატორმა ბაუერმა მთელ ქართლში საომარი დროის წესები გამოაცხადა. ამან გამოიწვია გაფიცვები.

თანახმად 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტისა, დასავლეთ საქართველოში ბალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ჰქონდათ თათბირი. მაგრამ მანიფესტი ერთი იყო, ხოლო ადმინისტრაციისა და ჯარების უფროსების თვითნებობა—მეორე. მაგალითად, ნასაკირალში (გურიაში) მომხდარ კრების გამო ბალხსა და პლასტუნებს (ყაზახები) შორის მოხდა შეტაკება. ეს შეტაკება პროვოკაციით იყო გამოწვეული, საომარი დროის წესების შემოღების გასამართლებლად.

რადგან მანიფესტში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაც იყო ბოძებული, ჩვენ ბალხის მოძრაობისა, ჯარებისა და ადმინისტრაციის თარეშობის ამბებს თავისუფლად ვბეჭდავდით „ცნობის ფურცელ“-ში.

დასავლეთ საქართველოს ამბების გამო „ნამესტნიკის“ მიერ გადაწყვეტილი იყო დამსჯელ ექსპედიციის გზავნა დასავლეთ საქართველოში. გასაგზავნად დანიშნული იყო ქვეითა და ცხენოსანთა (ყაზახები) ჯარები და არტილერია. ამით უფროსად დანიშნეს გენერალი ალიხანოვი-აფარელი. ეს ამბავი რედაქციამ გაიგო ჯარების გავზავნის რამდენიმე დღის წინ. საჭირო იყო დასავლეთ საქართველოსათვის თავიდან აგვეციდინა ეს ლეთისრისხვა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ განრისხებული ადმინისტრაცია არ დაინდობდა, არ დაზოგავდა ბალხს. მივმართე ქრთვადარ საშუალებას, რომ ჯარის გავზავნა შეგვეჩერებინა, რამდენადაც კი შეიძლებოდა, დიდხანს.

ჩვენი რედაქციის მეგობარი, დიდად პატიოსანი და ხალხის ერთგული ილია ნაკაშიძე იცნობდა მეფის მოადგილის მეორე თანაშემწეს კრიმ-გირეის, რომლის დახმარებით პირველ თანაშემწეს გენერალ მალამას ეუბნებოდა ალექსანდრე ნიკოლოზის დახმარებით პირველ თანაშემწეს გენერალ მალამას შესახებ ჩვენ გვექონდა ცნობები, როგორც მშვიდობისმოყვარული და რიგიანი კაცისა. რომ ჩემს თხოვნას (მე, როგორც „ს. თ.“ რედაქტორი) რაიმე გაეღებოდა პქონოდა („ცნობის ფურცლის“ რედაქტორს არ შეეძლო იმისთანა შუამდგომლობის აღძვრა, რომელიც შეეხებოდა ნახევარ საქართველოს მდგომარეობას), ტელეგრამებით მოვიწვიე ქალაქის თავები ბათუმისა, ოზურგეთისა, ფოთისა და ქუთაისისა. მეორედ დღესვე მოვიდნენ ივ. ანდრონიკაშვილი (ბათუმი), ნ. თავდგირიძე (ოზურგეთი), დ. ლორთქიფანიძე (ქუთაისი). საჩქაროდ თათბირი გაემართეთ ექიმ სანდრო დიასამიძის ბინაზე. სათათბირო საგანი იყო ჯარების გაგზავნის აკდენა. დავადგინეთ გვეთხოვნა ჯარების მაგივრად გაგზავნილიყო სანდრო პირი გამოსარკვევად დასავლეთ საქართველოში მომხდარ ამბების მიზეზებისა. გენერ. მალამამ დაგვინიშნა დღე და საათი ჩვენი თხოვნის მოსასმენად. გამოვტყუდით. მალამას გარდა დაესწრო კრიმ-გირეიც, რომელმაც მალამა წინასწარ მოამზადა. მალამას გავუკეთე მოკლე მოხსენება. თავაზიანად ვაგრძობდით, რომ შეიძლება ადმინისტრაციის ზოგიერთი წევრიც იყვნენ დამნაშავენი, რომელთაც არ იცინან, როგორ მოექცნენ შედარებით კულტურულ ხალხს და სხვ. და რომ ექსპედიციის გაგზავნის მაგივრად ემჯობინება საქმის ნამდვილი მდგომარეობის გამოსარკვევად წავიდეს უფლებებით აღჭურვილი ისეთი პირი, რომელსაც ხალხი ენდობა, რომ სიმართლისათვის არაფერს დასჯილი არ იქნება, რომ ჩვენ ვავატანთ ისეთ პირს, რომ ხალხს დაარწმუნებს, რომ პირდაპირი თქმა თავის ჭირვარამისა პირად მოქმელს არ აენებს. ქალაქის თავებმა თავიანთ მოხსენებებში უფრო დაწვრილებით გააცნეს გენ. მალამას, თუ დასავლეთ საქართველოში რა ხდებოდა. მალამა დაგვთანხმდა და დანიშნა კრიმ-გირეი, „რომელსაც, რამდენადაც მე ვიცი, თქვენც ენდობითო“, სთქვა მალამამ. დამსჯელ ექსპედიციის გაგზავნა შეჩერებულ იქმნა. გურიაში კარგად იყო მოწყობილი, რომ კრიმ-გირეის ადგილობრივ კარგად გაეცნო, თუ რა შეწყუბუბას განიცდიდა ხალხი ადგილობრივ ადმინისტრაციის მოხელეებისაგან. რადგან დასავლეთ საქართველოს ხალხის უმეაყოფილება ადმინისტრაციის მიერ იყო გამოწვეული, საჭირო იყო მისი გამოკვლა და დანიშვნა ისეთი გუბერნატორისა და მისი თანაშემწისა, რომელნიც შესძლებდნენ ხალხთან დაახლოებას და მშვიდობიანობის შეტანას.

ჩვენმა ჯგუფმა აგრონომ სტაროსელსკი იცნო ამ დროის შესაფერ გუბერნატორად. დასავლეთ საქართველო კარგად იცნობდა სტაროსელსკის, როგორც აგრონომს, რომელიც საქარის სანერგეს გამგე იყო, პატიოსანი, ენერგიული მუშაკი, ხალხის მეგობარი. ყველა ეს ღირსებანი თავდები იყო იმისა, რომ დროებით მაინც ხალხი დაწყნარდებოდა და იქნება მთავრობაც დათმობის გზაზე დამდგარიყო. ერთის სიტყვით, საჭირო იყო, რაც შეიძლება, მეტი ხნით აგვეცდინა დასავლეთ საქართველოსათვის ადმინისტრაციის რჩევა და შერისიძება. სტაროსელსკის მოველაპარაკეთ, დავითანხმეთ და შემდეგ

კრიმ-გირეის დახმარებით სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორად დაინიშნა. ამის შემდეგ საქირო იყო ვიცე-გუბერნატორად ისეთი კაცი ავეერ-ჩია სტაროსელსკისთვის, რომელსაც, ვარდა ყოველივე ამ თანამდებობისათვის საქირო სიკეთისა, გუბერნიის მართვის ტენიკის ცოდნაც ჰქონოდა, რადგან სტაროსელსკი ამ ცოდნას მოკლებული იყო. ჩვენმა პატარა წრემ სტაროსელსკი ვახშმად მიიწვია ფუნიკულიორზე. იქ ვერჩიეთ მიეწვია ვიცე-გუბერნატორად ცნობილი მწერალი ალ. ყიფშიძე (ალ. ფრონელი), რომელსაც ჰქონდა გუბერნიის საქმეების მართვის ცოდნის სტატი. სტაროსელსკი დიდის სიამოვნებით დათანხმდა ამაზე. ალ. ყიფშიძე ვორონცოვს წარუდგინა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის თანამდებობაზე დასამტკიცებლად.

ამაიხრად „ცნობის ფურცლის“ გვეფუმა გავლენა იქონია კავკასიის ადმინისტრაციაზე და, ერთის მხრივ, შეაჩერა დამსჯელი ჯარების გაგზავნა დასავლეთ საქართველოში და მეორეს მხრივ—გუბერნატორად და ვიცე-გუბერნატორად დაინიშნინა სტაროსელსკი და ყიფშიძე. რასაკვირველია, კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, ვისი მეოხებით მოხდა დამსჯელ ექსპედიციის გაგზავნის შეჩერება.

ზევითაც იყო ნათქვამი, რომ საზოგადოდ „ცნობის ფურცელ“-მა მოიპოვა ერთგვარი გავლენა ადმინისტრაციულ წრეებში, ყურს უგდებდნენ მის აზრს და შეხედულებას ამა თუ იმ საზოგადო კითხვებზე. სამაგიეროდ, მონარქისტები, ვერედ წოდებული „истиннорусские люди“, რომელნიც ტფილისში „პარტიას“ შეადგენდნენ, ზიზლით და მტრულად გვეყურებდნენ, რადგან ჩვენში ხელადგენდნენ ერთგვარ მათს საწინააღმდეგო ძალას. ჩვენი მტრის განკარგულებაში იყვნენ ხულოგნები, ქანდარმები და ჯარის ზოგიერთი ოფიცრობა, შტაბის უფროსის გენერალ გრიანოვის მეთაურობით.

ქანდარმებს უნდოდათ ხელში ეგდოთ რაიმე გამამტყუნებელი საბუთი ჩემს წინააღმდეგ, ხულოგნები კი იმას ელოდნენ, რომ რაიმე საბუთი ჩავგდოთ მთელი ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ. რაც შეეხება „ცნობის ფურცელს“, ამისათვის არა სჭირდებოდათ სხვა საბუთების ძებნა; ვახეთი მთელი თავისი მიმართულებით და შინაარსით თვალეში ეკლად ესობოდათ და აქაც ეძებდნენ დიდ გასამტყუნებელ ფაქტებს, რომ მოვესპეთ. ამ ფაქტებმაც არ დაიგვიანეს.

ქანდარმები არ გვასვენებდნენ, ხშირად გვეწყვიტდნენ ხოლმე და ჩბრკვდნენ მთელ სტამბას. უნდოდათ ეპოვნათ რომელიმე პროკლამაციის ან ნაწყობი ან დაბეჭდილი პროკლამაცია და არაღეგალური ნაწარმოები. საქმე ის არის, რომ ამის აღმოჩენა იმდენად ძნელი იყო, რადგან სტამბა საესე იყო დაბეჭდილ სხვადასხვა ნაწყობით და დაბეჭდილით, რომ მისი სერიოზულ გაჩხრეკას მოუნდებოდნენ ორი დღე-ღამე, მით უფრო, რომ სპეციალისტები არა ჰყვანდათ ნაწყობის გასარჩევად. სტამბაში იმდენი კუთხე, იმდენი ქალაღი იყო, რომ ყოველთვის შეიძლებოდა დაბეჭდილი ფურცლების მიმაღვა. ასე თუ ისე სტამბაში ვერას პოულობდნენ, მით უფრო, რომ უფრო ხშირად ჩვენ ვიცოდით სტუმრების მოსვლა ერთი საათით წინ მაინც, რადგან მორიგი „გოროდოვოები“, რომელნიც ჩვენი სტამბის ახლო იდგნენ და რომელთაც იცოდნენ ხოლმე ქანდარმების მოსვლა, წინადვე გვაფრთხილებდნენ.

ერთხელ გასაჩხრეკად მოვიდნენ მაშინ (ყოველთვის ღამე მოდიოდნენ), როდესაც რამდენიმე ამწყობნი საჩქარო საქმეზე იდგნენ. ესენიც გაჩხრეკის და ორს უპოვეს თითო პროკლამაცია. ამისათვის დააპატიმრეს მოხდა იმე, რომ გასაჩხრეკად მოვიდნენ ჩვენთვის მოულოდნელად ღამის 10 საათზე. მოვიდა ორტმისტრი ლომიაშვილი, რომელიც სტამბის კონტორაში მიცდიდა. ეზოს კიბიდან შემატყობინეს: ჟურნალ-გაზეთების ასოთამწყობ ოთახში მუშებს პროკლამაციები აქვთო. რასაკვირველია, საჭირო იყო ჟანდარმების ყურადღება სხვა მოშორებულ კუთხეებზე გადამეტანა. აქ უნდა იღვინა, რომ ჩხრეკის დროს მე თვითონ მივუძღოდი და ვთხოვედი ყოველ ოთახისა და კუთხეების გასინჯვას. ლომიაშვილი (გარუსებული) მეორეთ, თუ მესამედ იყო გასაჩხრეკად, იცოდა ჩემი „მასპინძლობა“. შევედი თუ არა კონტორაში, თითქო მახარა: „Мне опять к вам“, საჭიროა გაეჩხრეკათო. მეც ამნაირადვე ვუპასუხე: მოზრძანდით, გაჩხრეკეთ, მე დამწვინებული დავიძინებ, მხოლოდ მუშაობა არ შეჩერდეს-მეთქი. მივეცი წინადადება—ახლა მანქანების განყოფილებიდან დაეწყოს ჩხრეკა-მოსაზრება ასეთი განუცხადე: თუ გგონიათ, აქ საიდუმლოდ იბეჭდება რამე უქველია, დასაბეჭდი ნაწყობი ახლა ქვეით იქნება. დამიჯერა და ეცნენ მანქანების განყოფილებას. მანამ ამ ლაპარაკში და ჩხრეკაში იყვნენ, მეორე სართულში მუშებმა მოასწრეს ღუმელში პროკლამაციების დაწვა. როდესაც მეორე სართულში ამოვიდნენ და შევიდნენ იმ ოთახში, სადაც პროკლამაციები დაწვეს, არ ვიცი დამწვარი ქაღალდის სუნით გაიგეს, ვახმისტრმა ღუმლის კარი გაღო და მუქით გამოიღო ახლად დამწვარი ნაბეჭდი ქაღალდები. ლომიაშვილმა დამწვარზე მაინც წაიკეთხა რაღაცა სიტყვა, რაც პროკლამაციის შინაარსს შეეფერებოდა. მაჩვენა და საყვედურით მითხრა—აი თქვენ ტყუილად წაგვიყვანეთ ქვეითო. ამაზე ვუპასუხე: როდესაც თქვენ სტამბას სჩხრეკეთ—მაშასადამე, ეძებთ დამატკიცებელ ფაქტებს, რომ სტამბაში არალეგალური ფურცლები იბეჭდება, მაშასადამე, საჭირო იყო მანქანების განყოფილების გაჩხრეკა-მეთქი. ასე თუ ისე, ეს ღამეც მშვიდობიანათ ვათავდა. დამწვარი ფურცლების შესახებ ოქმში არ შეიტანა, მხოლოდ, როცა მიდიოდა, ჩუმად მითხრა: თქვენც კარგად იცით, ვინ აწყობს პროკლამაციებს, მაგრამ არ ამბობთო. მე ვუთხარი, რომ სრულიად არ ვიცი, რომ ამ სტამბაში იბეჭდებოდეს არალეგალური ფურცლები; მომუშავენი გაფრთხილებულნი არიან, არა მგონია თავიანთ თავის მტრები იყვნენ, რადგან, თუ რამე მაგისთანა აღმოჩნდა, აქ ცხადია, სტამბა დროებით მაინც დაიკეტებამეთქი. მაინც ვთხოვე დაესახელებინა, ვისა ჰჭულისხმობდა. დამისახელა დიომიდე კილაძე. რასაკვირველია, ეს ცილი იყო. ისეთი მეგობრული განწყობილება გვექონდა მე და კილაძეს, რომ ის უჩემოდ თითსაც არ გაანძრევდა მაგისთანა საქმეზე. ლომიაშვილი დავარწმუნე, რომ ვილაქას ტყუილად დაუბეზღებია-მეთქი.

ტფილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა პარტიულ გოთუას რედაქტორობით გაზეთი „Возрождение“. ტფილისში ეს გაზეთი ერთადერთი გაზეთი იყო, რომელიც აგრეთვე ზოგჯერ ებრძოდა აღმინისტრაციის აღვირახრილობას. ტფილისის ხულიგნები და სახეიდრო შტაბის ზოგიერთი ოფიცრები, გენერალ გრიბუნოვის მეთაურობით, „Возрождение“-საც მტრულად უყურებდნენ და

მიზეზს ელოდნენ, რომ დაერბიათ ორივე რედაქცია („Возрождение“ და „ცნობის ფურცელი“).

ზაფხულის დღე იყო. დილით ჩემს კაბინეტში შემოვიდა ჩრდილმომწვევ და მითხრეს: ცნობა გვაქვს, რომ ხულიგნები დღეს „Возрождение“-ის რედაქციის აკლებას აპირებენ და იქიდან თქვენს რედაქციასა და სტამბაში აპირებენ მოსვლას იმავე მიზნით. გზებზე ჩვენ დაეაყენეთ ჩვენი მომუშავენი თვალის სადევნებლად. შუადღისას ამოვიდა მეტრანაპეი და მითხრა: ეს არის, ეხლა მოიბინეს ჩვენებმა და შეგვატყობინეს, რომ „Возрожд.“-ის რედაქციაში ხულიგნები შეცვიდნენ, შიგ არაინ დახვედრიათ, ავეჯი მიუღწეწიათ, ნაწერები და ქალაღები დაუხვევიათ და გადაუყრიათო. იქ ლაპარაკობენ, რომ ახლა „ქართველთა ამბანაგობის“ სტამბაში და „ცნობ. ფ.“-ის რედაქციაში უნდა წაფიდეთ ასაკლებათო. ჩვენმა მუშებმა კაცი გამომიგზავნეს: გავიგოთ, თუ როგორ გინდათ—აქ დაუხვედეთ და დავიცვათ სტამბაც და რედაქციაც, თუ როგორ მოვიქცეთო? ჩვენ მზადა ვართ ხულიგნებს კარგი გაცვეთილი მივცეთო. რადგან ამ ამბის მოლოდინში გეგმა წინადვე მქონდა შედგენილი, მუშებს დიდი მადლობა შეეუთვალე თავის გამოდებისათვის და ვსთხოვე ყველანი დაუყონებლივ წასულიყვნენ ყველა განყოფილებიდან. ჩვენს დარაჯებს ვუთხარ, ვესტიბულის ორივე კარი გაეღოთ და ისე დაეტოვებინათ; ალაყაფის კარი კი (ეზოდან) დაეტეხათ. ცოლშვილი ახლო მეზობლად გავგზავნე. რედაქციის თანამშრომლებსაც ვთხოვე რედაქციიდან წასულიყვნენ. ყველანი წაფიდნენ, გარდა შაქრო ბილანიშვილისა, ჩემი ახლო მეგობრისა. როდესაც იმასაც მეორედ ვთხოვე, ჩემი გულისთვის ხიფათი არა შეგემთხვეს—რა—მეთქი, შაქრომ თავისებურად მიპასუხა: „რას ამბობ, თუ კი შენა რჩები, მეც შენთან ვიქნები. მართოს როგორ დაგტოვებ; რაც შენ მოგივა, იმას მეც წავიჭობ. ვაი, ვაი, განა აგრეა, რომ ვაჭირებაში თავი დაგანებო!“ ეს მისი მეგობრული თავის გამოდება ყოველთვის მახსოვს. ორნივე გავედით ქუჩის აივანზე და იქიდან ვუყურებდით ქუჩას ხულიგნების მოლოდინში. სამი საათი იქნებოდა, როდესაც მოიბინა ერთმა ჩვენმა მომუშავეთაგანმა და გადმომცა, რომ „Возрожд.-ის“ აკლების შემდეგ ხულიგნების ბრბო პოლიციამ აქეთ აღარ გამოუშვა. რაკი ხულიგნებმა მთლად ვერ დაიკმაყოფილეს თავიანთი ღვარძლიანი გულის წადილი, დანარჩენი საშემოდგომოდ გადასდესო. შემდეგ გავაგე, რომ ხულიგნების ჩვენსკენ წამოსვლა „ნამესტნიკისა“ და გუბერნატორის ბრძანებით ყოფილა შეჩერებული.

ოქტომბრის (1905 წ.) კონსტიტუციამ პირველ დღეებში ხალხი თავთა დაამშვიდა, მანამ კარგად ჩაუკვირდებოდნენ კონსტიტუციის ბუნებას. პირველ დღეებში ყველგან დაუბრკოლებლივ იმართებოდა მიტინგები. ტფილისში მაშინ პოლიცემისტრად იყო პოლკოვნიკი ცის, ყოფილი ქანდარმი, განათლებული, ბუნებისმეტყველი. რა იყო საერთო ბუნებისმეტყველებასა და ქანდარმს შუა—ეს ცისის საიდუმლოებას შეადგენდა. რუსთაველის პროსპექტზე ცისი ერთ მიტინგს დაესწრო, თავის ეტლზე დადგა და მიტინგური სიტყვაც კი წარმოიჭვა. ასე თუ ისე ცისი ხალხს არ უშლიდა მიტინგების მართვას და სიტყვების თავისუფლად წარმოთქმას. მიტინგები საქართველოს სხვა კუთხეებშიაც იმართებოდა, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, სადაც სტიქიური ხასიათი მიიღო.

კონსტიტუციის „თაფლის“ თვე ძალიან მოკლე ხნისა აღმოჩნდა. ცენტრიდან მოვიდა განკარგულება მიტინგები აღეკრძალათ, თუმცა კონსტიტუციით მიტინგები თავისუფალი უნდა ყოფილიყო. „ხულიგნების“ სანატორიუმი დრო ახლოვდებოდა, მიტინგების აკრძალვის განკარგულებამ „ხულიგნებს“ ფრთები შეასხა. ამათ მოინდომეს ტფილისში მთავრობისათვის ეჩვენებინათ ნიკოლოზ მე-II-სადმი თავიანთ მონარქისტული ერთგულების გრძობები. ვორონცოვის ყურამდე ამავე მოვიდა, რომ მონარქისტები დემონსტრაციას აპირებენ და უნდათ სასახლესთან მივიდნენო. მაშინ ტფილისის და მის რაიონის გენერალ-გუბერნატორად იყო გენერალი ჟილიაი. ვორონცოვმა ჟილიაის უბძანა ეს დემონსტრაცია აღეკრძალა. ჟილიამ დემონსტრაციის მოთავეებს გამოუცხადა ეს ბრძანება. მონარქისტებმა მიმართეს თავიანთ მფარველს, სამხედრო შტაბის უფროსს გენერალ გრაიზნოვს, რომელმაც ურჩია—ყური არ ეგდოთ ამ ბრძანებისათვის და გამოსულიყვნენ 22 ოქტომბერს. ამ დღეს ხულიგნები შეიკრიბნენ კუკიის მისიონერთა ეკლესიის გალავანში, დარაზმდნენ, ხელში დაიჭირეს ხატები, ნიკოლოზ მე-II სურათი და ასე გამოემართნენ სასახლისკენ.

სწორედ ამ დღეს ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები მიწვეულნი ვიყავით საცენზურო კომიტეტში სათათბიროდ. კომიტეტის თავმჯდომარემ გააკელმა, რომელიც სკდილობდა ბეჭდვითი სიტყვის მფარველობას, გამოგვიცხადა: „კონსტიტუციის თაფლის დღეები გათავდა“-ო და გვთხოვა თავი შეგვეკავებინა და უკმები სტატიები არ გვებეჭდა, კარიკატურებიც („ცნ. ფ.-ს დამატებაში იბეჭდებოდა) „თავდაპირილი უნდა იყოსო“. მაგალითად, იმ დღეს „ცნობის ფურცელ“-ში მოთავსებული იყო პობედონოსცევი (სინოდის ობერპროკურორი) კუბოში, თავსა და ბოლოში სანთლები ენთო. „პობედონოსცევი ჯერ ცოცხალია, თქვენ კი კუბოში ჩააწვინეთ“-ო. თათბირი გათავდა, რედაქტორები ერთად წამოვედით რუსთაველის პროსპექტისაკენ. სასახლეს რომ გამოვცილდით, დავინახეთ, 1-ლი გინმაზის და სამხედრო მუზეუმის წინ ჯარი იყო გამწყრივებული. ხალხში ლაპარაკობდნენ, მონარქისტების დემონსტრაცია მოდისო. მართლა, შორს შუა პროსპექტზე მოჩანდა ხალხი. ფ. გოგიჩაშვილმა, რომელიც ჩვენთან ერთად მოდიოდა, წინადადება მოგვცა „მუხრანის“ ნომრებში ავსულიყავით, რომ იქიდან დაგვენახნა მონარქისტების დემონსტრაცია. მე არ ვაყვივი, გადმოვედი მუზეუმისაკენ, იქ პროსპექტისა და ბარიატინსკის ქუჩების კუთხეში დავედქ სააფიშო ბოძის მოფარებით. შორიახლო რაზმის ოფიცერი იდგა, რომელმაც თავის რაზმს უთხრა: „მე რომ გიბრძანებთ—წყებები შეაერთეთ ქუჩის გარდიგარდმო“. როდესაც დემონსტრანტები ზუბალაშვილის სახლს მიუახლოვდნენ, ოფიცერმა ბრძანება გასცა ქუჩის შესაკერვლად. ამ დროს გინმაზის კედლის წინ რევოლვერი გაისროლეს. ოფიცერმა ბრძანება გასცა—თოფები მოემარჯვნათ; მეორე ბრძანება იყო—„ესროლეთ“. ჩემს შორიახლო, ქუჩის ახლო, იდგა ვიღაც სოფელელი, რომელიც წაიქცა. მე ბარიატინსკის დაღმართზე დავეშვი (აღუქსანდრეს ბალი დაკეტილი იყო). ვავიჯონე კიდევ ორი წყება თოფის სროლისა. მერე ყველაფერი მიჩუმდა.

ყაზახები პირველ გინმაზიაში შეცვივნულიყვნენ, რამდენიმე გინმაზისტი მოეკლათ, „მუხრანის“ ნომრებში ყაზახებსვე გაეძარცვათ იქ შემაღულნი. ამავე

დროს ყაზახები უბრძანებდნენ თურმე— „Боже, царя храни“ ემლორათ, ერთის სიტყვით, ადმინისტრაციამ თავისუფლების მოყვარულთ დაინახვად, რომ ეს თავისუფლება მიეცათ ყაზახებს ხალხის დასარბევად და დასახორციელდნენ სროლი იქნებოდა, ეს პოლიციის უფროსმა ცისმა იცოდა, რომელმაც სროლის წინ ეტლით გაიარა ზოგიერთი ქუჩები მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას და ხალხს უჩრევდა სახლებში შესულიყვნენ, რომ „шальная пуля не попала-ны“. ამ ამბებმის შემდეგ მალე პოლიც. უფროსი ცისი გადააყენეს და ლენკორანში გაგზავნეს მაზრის უფროსად. გენერალი გრიგორი ბარიატინსკის ქუჩაზე არსენ ჯორჯიაშვილმა ყუმბარით მოკლა. ეს ამბავი ვორონცოვს რომ მოახსენეს, უთქვამს: ასე უნდა გათავებულყოფო.

ნაპერწყალი-ლა იყო საქირო, რომ ხალხი კვლავ ამდგარიყო არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. ეს ნაპერწყალი ყველგან აღმოჩნდა და ნამეტნავად დასავლეთ საქართველოში. ველარც ჩვენი გუბერნატორი სტაროსელსკი და ველარც მისი თანაშემწე ყიფშიძე ცარიელ სიტყვებით ველარ შეიმავრებდნენ აღუღებულს, მოთმინებიდან გამოსულ ხალხს. პოლიტიკური გაფიცვები, დაპატიმრება, ჩხრეკა და ადგილ-ადგილ რბევა გლეხებისა და მუშებისა ნაპერწყალს აღვივებდა, ბოლოს რევოლუციის ალი მოედო დასავლეთ საქართველოს, სადაც იფეთქა ამბოხებამ. ქართლშიაც დაიწყო აგრარულ ნიადაგზე მემამულეთა მკვლელობა. ქართლში მოძრაობას უფრო აგრარული ხასიათი ჰქონდა.

დავუბრუნდები დასავლეთ საქართველოს ამბებს. რასაკვირველია, დასავლეთ საქართველოში ამბოხების ჩასაქრობად და ამბოხების დაშლაშევეთა დასასჯელად მაინც გაგზავნეს ჯარი იმავე ლენერ. ალიხანოვის წინამძღოლობით, ახლა კი აღარ შეიძლება დამსჯელ ექსპედიციის გაგზავნის შეტერება. მხოლოდ ერთი გზა-ლა იყო—როგორმე თვით ალიხანოვზე გვემოქმედნა, რომ სასტიკობა არ გამოეჩინა და ყაზახებისათვის და პლასტუნებისათვის ხალხის დარბევის ნება არ მიეცა, გამოეჩინა ცოტათენი ლმობიერება.

ხელმწიფის მოადგილეს კავკასიაში ვორონცოვს, სხვათაშორის, ჰყვანდა ძალიან დაახლოებული განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილობის მოხელედ „კრიმ-გრემისტერი“ ასილდერბეგ კაზანალიპოვი, ჩამომავლობით ლეკი. კაზანალიპოვი მთელ დღეებს სასახლეში ატარებდა ვორონცოვთან, ართობდა მას სხვა რ სხვა ამბებით და ხშირად ნარდს ეთამაშებოდა. ამ კაზანალიპოვის მეგობარი იყო შაქრო ერისთავი (ელიზბარის ძე, იმ ელიზბარისა, რომელიც სიქართველოში შეთქმულობის გამო ფინეთში იყო გაგზავნილი მე-XIX საუკ. ოცდა-ათიან წლებში; როდესაც დააბრუნეს საქართველოში თავის მამულში ს. ლვარებში, გორიდან 12—15 ვერსის სიახლოვეს, პირველი შუშეულობის ქარხანა გააკეთა), ჩემი მეგობარიც იყო. კაზანალიპოვი ერისთავის ბინაზე გავიცანი, მას შემდეგ ხშირად კლუბში ვხვდებოდით ერთმანეთს და ვმუსაიდობდით ხოლმე სხვა და სხვა პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მოხელე იყო, მაგრამ, როგორც დაღესტნელი, ისიც ფარულად თანაუგრძობდა მოძრაობას იმ მიმართ, რომ თვითმპყრობელობა რომ დაიშობოდა, იქნება დაღესტანსაც შევლებოდა რამე. სწორედ ეს კაზანალიპოვი გამოვიყენე გენ. ალიხანოვთან მოსალაპარაკებლად, რომელიც უკანასკნელს კარგად იცნობდა. წავიყვანე შაქრო ერისთავი და მი-

ვედით კახანალიპოვთან, რომელმაც აღგვითქვა ალიხანოვის ნახვა და ჩვენი თხოვნის გადაცემა.

შემდეგ, როდესაც ექსპედიციამ ითარეშა, ზოგი ადგილქნი მისწავრა მოანგრიდა და დაბრუნდა, აღარ მახსოვს, ვინ გადმომცა ალიხანოვის შეუღლის ნახულება, როდესაც უსაყვედურეს მისი ქმრის ისეთი სასტიკი მოქმედება, — ეთქვა, რომ თქვენ რომ წაიკითხოთ თვით ვორონცოვის ბრძანება ალიხანოვისადმი, გაგიკვირდებათ ჩემი ქმრის ლმობიერებაო; იმან ბრძანების მეოთხედიც არ შეარულა.

თუ ბრძანება საიდუმლო იყო, მოქმედება ხომ არ დაიმალებოდა. ყველამ ვიცოდით, რომ დამსჯელი რაზმის მოქმედება — დანგრევა, დარბევა ხალხისა და აწიოკებაა, მაგრამ ზოგიერთი ჯარისკაცებისა და მათი ოფიცრების მოქმედება წრეს გადასული თავხედობა და უღისციპლინობა იყო.

ხალხის დარბევის შესახებ დასავლეთ საქართველოდან „ცნობის ფურცელს“ ბევრი ცნობები მოსდიოდა, მაგრამ ყველა ცნობების დაბეჭდვას ვერა ვბედავდით. ვიცოდით, რომ სამხედრო შტაბი და ხულიგნები ჩვენზე კბილებს აკრაქუნებდნენ, არ გვინდოდა იმათი ძლიერი გაღიზიანება.

